1941/5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მგზავრი

9

თბილისი
1941

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

წელიწადი მეთვრამეტე

-6397-

ბიბლიოთეკა

## 9

19 სექტემბერი / ხახელგამი 41

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ/მგ. რედაქტორი ალიო მაშაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/IX-41 წ. УЕ34089. ანაწყობის ზომა 7×12. ნიშანთა რაოდენობა სასტამბო ფორმაში 50.688. საავტორო ფორმათა რაოდენობა = 12.65. შეკვეთის № 1262. ტირაჟი 1.800.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, ეორესის ქ. № 5. რედაქციის მისამართი: მაჩაბლის 13, ტელ. 3-71-84.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვასო გოგრაძე

## პსკოვის შარაზე

სხივთა კაშკაშით ელვარებდა ცა მოწმენდილი —
ოქრო გამდნარი.
მდინარის პირად თამაშობდნენ ბავშვები დილით,
დღე იყო წყნარი.

რიგი მინდორზე პეპელებს სდევდა, რიგი ისროდა
ანკესებს წყალში;
ბავშვთა სიმღერა ხმაწკრიალა შორს გაისმოდა
ველზე, ყანაში.

უცებ გრიალით შეარხია ზეცის კამარა
მწარე გუგუნმა
და ლურჯი თაღი ღრუბელივით შავად დაჰფარა
ძერების გუნდმა.

გუნდს ერთი ძერა ჩამოცილდა და ბავშვთა თავზე
იწყო ტრიალი;
ბავშვები შეკრთნენ, გაიფანტნენ ფართო შარაზე
კივილ-ზრიალით.

მობრუნდა ძერა, დაბლა ფრენით გამოეშურა
ფრთამოფარფაშე
და ტყვიის წვიმა დააყარა თავზე მხეცურად
უსუსურ ბავშვებს.

სისხლის წინწკლებით შეიღება ქვები, ბალახი
და შარა ვრცელი,
თითქოს მინდორზე თმახუჭუჭა თეთრი ზამბახი
მოთიბეს ცელით!

ავაზაკებო! თქვენ მგლებივით გწყურიათ სისხლი,
ზართ ნაძირალნი,
ყველა ენაზე თქვენ გახსენებთ უდიდეს ზიზღით
დედა მტირალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ ხართ სიკვდილის, ბორკილების ყველგან მთესავე,
მაშ, აბა სცადეთ —
ხალხი დევგმირი თქვენზე აღსდგა ხიშტის ტყესავით
ზღვებიდან ზღვამდე.

თქვენ გსურთ ჩააქროთ დღე კაშკაშა, ნათლის სამყარო
ბნელი ხუნდებით.
მაგრამ დგება დრო, და მრისხანე ქვეყნის სამსჯავროს
ვერ გადურჩებით!

ჩვენ სისხლს ავიღებთ! სისხლს დედების, უმანკო ბავშვთა,
მხეცურად დაღვრილს.
ძრწოდეთ მტარვალნო! მალე თქვენს ფერფლს, უწმინდურ ძვალთა
ხრამში გადავყრით!

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

# დავით ალმაშენებელი

## სამკარიანი რომანი

### კარი პირველი

### XIX

### ალმასების მანიაკი [1])

სთვლისაი მიიწურა.

მთავარეპისკოპოსს ქუთათელსა და აფხაზეთის კათოლიკოსს ევსტრატის გადაწყვეტილი ჰქონდათ, გიორგობას საქვეყნოდ განეცხადებინათ დავით მეფისა და რუსუდან დედოფლის გაყრა, მაგრამ აქამდის არ მისულა საქმე.

კურთხევის შემდეგ გამართული ზეიმი მოთავდა ქუთათისის სასახლეში. შორიელი სტუმრები და დესპანები წავიდ-წამოვიდნენ: კახეთ-ჰერეთის, ზემო და ქვემო ქართლის, ტაო-კლარჯეთის ერისთავნი, ეპისკოპოსნი და აზნაურნი.

მხოლოდ რამდენიმე დიდაზნაური სახლეულითურთ აღარ აპირებდა ქუთათისიდან წასვლას, რადგან სასახლეში ხმა დადიოდა: კურთხევას ქორწილი მოჰყვებაო დღეს-ხვალ. რუსუდანი ეაჯა დედოფალს ელენეს, როგორც იქნა დაითანხმა ოვსეთიდან ჩამოეყვანათ უფლისწული დემეტრე. მალემსრბოლი აფრინეს, დედამძუძე ყრმიანად იხმეს.

მთელი სასახლის ყურადღება დედისიმედისკენ იყო მიპყრობილი. კურთხევის შემდეგ ლეონ მეფისეულ სასახლის სადედოდან ფეხი არ გაუდგამს მას, ერთხელაც არ მოსჩვენებია აფხაზთა მეფეების სასახლეში არც გიორგი მეფეს, არც დედოფალს ელენეს. არ იცილებდა ლელაის, თავის ძუძუმტეს.

მარიამ დედოფალი ამაოდ ცდილობდა გაემხიარულებინა თავისი პირმშვენიერი სტუმარი, ერთი-ორჯერ საგანგებოდ მოაწყო ცხენებით გასეირნება სათაფლიასკენ, ბევრი ეეედრა დედისიმედს, მაგრამ ამაოდ...

სასახლეში დაუცხრომლად ჭორაობდნენ: დავით მეფეს ხარჭად ჰყავსო მოყვანილი ლიპარიტ ერისთავის ასული.

ასე ამბობდნენ ზოგნი.

მეფე გაეყარა რუსუდანს, სიძვის დიაცად დაისვაო დედისიმედი.

ამტკიცებდნენ სხვანი.

ბაგრატ კუროპალატს ბაძავს მეფე დავითი ყველაფერში, ორბელიანთა ქალ-რძალთ უმიჯნურდებოდაო პაპა მისიც მუდამ.

სისინებდნენ ქუთათისის სასახლის შინაბერა [2]) სეფექალები.

---

[1]) გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 8.

[2]) შ ი ნ ა ბ ე რ ა — ხანგადასული, გაუთხოვარი ქალი. უქმროდ დაბერებული.

დიდი და მცირე დედისიმედს უთვალთვალებდა. მღვდელმსახურება რა მოთავდებოდა ბაგრატის ტაძარში, ხალხი განზრახ ჩალიჩობდა კარიბჭეებთან, უცდიდა ლიპარიტ ერისთავის სახლეულის გამოჩენას.

ბუნებით თავმოდრეკილი დედისიმედი განგებ აყოვნებდა ტაძრიდან გამოსვლას, რათა ცნობისმოყვარეთა უდიერი ჭვრეტისათვის აერიდებინა როგორმე თავი.

ერთხელ, ნაწირვევს, იმოდენა ხალხი შემოეხვია კატაისა და მარიამ დედოფალთან ერთად ტაძრიდან გამომავალ დედისიმედს, შეკრთა მარტოობაში გაზრდილი ქალი.

შორეულ სოფლებიდან ჩამოსული დიაცები მოურიდებლად მისცვივდნენ ერისთავის ასულს, სამოსზე ხელს ავლებდნენ, სახელურებს უკოცნიდნენ, ნაწნავებზე ეფერებოდნენ აღტყინებულნი.

შეფრფინვით შეჰხაროდნენ დედისიმედს, როგორც ოლიმპიადაზე მოგროვილნი ბერძენნი ფრინას, პრაქსიტელესის საყვარელს.

მთავარდიაკონი წამოეწია მანდილოსნებს, ძლივს გამოსტაცა გულწასული ქალწული ბრბოს.

ციხის ეზოში მარტოკა გავლილს რა თვალს მოჰკრავდნენ, გამოუდგებოდნენ მდაბიორთა გოგონები, ყვავილებს უყრიდნენ მომავალ დედოფალს ფეხქვეშ.

მონაზნები და მორჩილები ფერხთით დაუვარდებოდნენ, კაბის ქობებს უკოცნიდნენ ერისთავის ქალს, ლოცავდნენ, თავზე ხელს შემოავლებდნენ, აწუხებდნენ ამბორის ყოფითა.

როგორც ყოველ სრულყოფილ მშვენებას, მასაც არ გააჩნდა საკუთარი სილამაზის შეგნება, თვალის გუგები უფართოვდებოდა შემკრთალს, განცვიფრების იერი ემატებოდა ისედაც გაოცებულ მის დიდრონ თვალებს.

ამ ამბების გამო დედისიმედი უცნაურად უკარება გახდა, მუდამ მარტოობა ენატრებოდა. წამოისხამდა ლელაის შალს, წავიდოდა ბაგრატის ტაძარში, მწუხრზე. საქალებოს ბნელ კუთხეში მიიკუჟებოდა, როცა მრევლი დაიშლებოდა, გამოვიდოდა ტაძრიდან, კარიბჭესთან მოგროვილ მათხოვრებს დაურიგებდა დრაჰკანებს, თანაც უჩურჩულებდა: ილოცვიდეთო დავით მეფის მზეგრძელობისთვის.

გიორგობა ჯერაც შორს იყო. თმენის ღონე ელეოდათ სასახლის ჭორიკანებს.

რუსუდანის მომხრენი სწყევლიდნენ კათოლიკოსს ევსტრატის: რად დაანებაო ჭაბუკ მეფეს სასახლეში ხარჭის მოყვანა?

დედისიმედის დედოფლობის მონატრულნი ქუთათელს აძაგებდნენ: ფლოქვიანი ეპისკოპოსი არ ანებებს, თორემ ლიპარიტ ერისთავის ქალს დაშვენდებოდაო სადედოფლო გვირგვინი.

ერთმა მოულოდნელმა ამბავმა იკმარა გორდისეული კვანძის გასახსნელად.

ბოლოს ევსტრატი კათოლიკოსისა და ქუთათელის თანხმობა სრულიად ზედმეტი გახდა.

შაბათ საღამოს მარიამ დედოფალმა ლეონისეულ სასახლეში მცირე ნადიმი გაუმართა ლიპარიტ ერისთავსა და მის სახლეულს.

არც დედოფალი ელენე, არც მეფე გიორგი ყოფილან იმ დღეს წვეულნი.

დილას მახარაიმ შენიშნა: მარიამ დედოფალი ადრიანად ეწვია გიორგი მეფეს. დიდხანს ისხდნენ კარჩაკეტილში და-ძმა.

ბოლოს გიორგი ჭყონდიდელი და დედოფალი ელენე ახმობინეს. რამდენიმე წუთიც არ გასულა, დარბაზიდან გამოვიდა დედოფალი ელენე, მას ლაწვის თავები წამოჭარხლული ჰქონდა, ტალანში შეეხეჩა მახარაძეს, ხამტირალევი თვალები აარიდა ანაზდად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახარაი კარგად გრძნობდა: რაღაც უცნაური და უჩინარი ამბავი დატრიალდა სასახლეში.

ბჭობდნენ, თათბირობდნენ, ჭორაობდნენ, დიდი და მცირე ღელავდა, მაგრამ არავინ არაფერს უმხელდა მას.

დედისიმედი გადამალაო მარიამ დედოფალმა, ასე ვარაუდობდა მახარაი.

კათოლიკოსი და ქუთათელი რომ გაყრაზე დათანხმდნენ, ეს იცოდა მან, მაგრამ როდისღა უნდა გაჰყროდა დავითი რუსუდანს?

ეს აცოფებდა მოუთმენელს.

კურთხევის შემდეგ სადედოდან არ გამოსულა რუსუდანი. დილა ადრიან ეწვეოდა მას სოხასტენის მონასტრის წინამძღვარი, თუთაი, მონაზვნებითურთ, სძლისპირებს უგალობდნენ დედოფალს.

*

* *

ნაშუადღევს დაიწყო პურობა ლეონ მეფისეულ სასახლეში. მეტწილად ახალგაზრდანი აწვევინა მარიამ დედოფალმა ნადიმზე. ნათაი, თაკვერის ერისთავის ასული, თინათე, ცხუმის ერისთავისა, ლიპარტიანის მეუღლე ლუმაი. ბეჭისციხის პატრონის ქალები: ინაი, დუდაი და ხვაშაი. გვარამ ერისთავის ვაჟები პაპუნა და ყვარყვარე, ცხუმის ერისთავის პირმშო — ჯოჯიკი, რატი ლიპარიტისძე ნიანია ბაკურიანი, შერგილ ლიპარტიანი და ბეშქენ ჯაყელი.

ცალკე დადგმულ ოქროს ტაბაკს უსხდნენ მხცოვანნი: ლიპარიტ ერისთავი, გრიგოლ ბაკურიანი, გიორგი ჭყონდიდელი, გვარამ ერისთავი, დოლათო, ცხუმის ერისთავი, მგლისფერ წვერიანი ჭარმაგი და მისი გაფუებული მეუღლე თათია, სუფრის ბოლოს შერგილ ლიპარტიანი.

სამეფოის უტურფესნი ქალ-რძალნი გარს მოსხდომოდნენ მარიამ დედოფალს. მხარმარჯვნით დედისიმედი, ხოლო მხარმარცხნით — კატაი, ლიპარიტის მეუღლე.

ამ სამთა გასწვრივ დავითი, ნიანია და ბეშქენ ჯაყელი ისხდნენ.

ოქროს ტაბაკებს შორის ვერცხლისა იდგა ერთი. შინდისფერ ქუდიან მეღვინეს ბაღდადური მანდილი ეჭირა ხელში. წერაქვცულით ამსხვრევდა ყინულს, ქაშანურ სინზე აწყობდა ვერცხლისტარიან კოვზითა და საღვინეებში უყრიდა სტუმრებს.

მარიამ დედოფლის ჩამოსვლამ პურობის წესებშიაც შეიტანა მცირეოდენი ცვლილება.

ქართული ჩვეულებისამებრ მდუმარედ როდი სჭამდნენ სტუმრები, არამედ მასლაათობდნენ თანაც.

ენამრავალი კუროპალატისა მელიტა დაუცხრომლად ტიკტიკებდა.

ხან კეისრის ჰიპოდრომის ამბავს უყვებოდა დავითსა და ნიანიას, ხან საყველიერო კარნავალებს გაიხსენებდა, ხან ბაღდადიდან კონსტანტინოპოლს ჩამოსულ აცინგანების ოინბაზობას.

ნიანია ბაკურიანი ჩუმჩუმად აძალებდა ღვინოს ლოყებალეწილ, შეზარხოშებულ დიაკს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სდუმდნენ ქართველი მანდილოსნები, ყველაზე მეტად დედისიმედი მორცხვობდა.

მარიამ დედოფალი კერძებს სთავაზობდა, ეფერებოდა, ეალერსებოდა:

შესჭამეო გეთაყვანე, მცირედი.

„აგეთია, ჩემი ქალი, ავგუსტა, ეუბნება მარიამს კატაი. თუ რაიმე უხარია, არას სჭამს, არც მაშინ, თუ დარდობს რაიმეს“.

„მაშ როგორ გავიგო, კატაი ბატონო, ჩემი სიახლოე წყენასა ჰგვრის თუ ლხენას“?

ამბობს მარიამი და შესცქერის დედისიმედს.

„ვგონებ, წყენასა, გეთაყვანე, არა?“

„მაგას რად ბრძანებთ, ავგუსტა?“

სთქვა ერისთავის ასულმა და ხოხბის ფრთა ჩქიფით[1]) გადაიღო თეფშზე, მერმე პირთან მიიტანა, მოსციცქნა მცირედი და როცა დიასახლისმა მზერა აარიდა, ისევ თეფშზე დასდო და მას შემდეგ ხელი არ უხლია ხორცისათვის მას.

„ბერძნის ქალები ვაჟკაცებთანაც მოურიდებლად გეახლებიან ღვინოსაც. დედოფლის ზოიას გამო იტყვიან: ხიოსის ღვინოს სმაში ტოლს უდებდაო ვაჟკაცებს“.

ესა სთქვა დედოფალმა და კუროპალატისა მელიტას გადახედეს მეინახეთა.

„მე მძაგს, როცა დიაცი მოურიდებლად ეძალება ვაჟკაცების სიახლოეს საჭმელს“.

უთხრა დავითმა ნიანიას ხმადაბლა.

როცა მეხილეთა ატმით, ყურძნითა და თხილით დახუნძლული ხონჩები მოართვეს სტუმრებს, მარიამ დედოფალმა მავედრალი კილოთი მიმართა მანდილოსნებს:

„ხილი მაინც მიირთვით, ქალებო, პურშავობა არ დამაბრალოთ, იცოდეთ“.

შემდგომ ამისა აიღო უმშვენიერესი ატამი, რომელსაც პაწია ხალები აჩნდა ცალმხარეს, გაიხარა ამ საუცხოო ნაყოფის ჭვრეტითა და ისეთის სიხარულით, როგორითაც ბალღს გაუწვდიან ხოლმე ახლადშემოსულ ნაყოფს, შესთავაზა დედისიმედს იგი.

მარიამი მონდომილი იყო თავათ წარემართა საუბარი და მოლხენა. ხანგამოშვებით უთვალთვალებდა დავითსა და დედისიმედს, ოქროს ტაბაკის გალმაგამოღმა მსხდართ.

როცა სტუმრები მელიტას ტიკტიკით გაერთნენ კვლავ, მარიამმა შენიშნა: დავითმა თავისი დიდრონი, საფირონისფერი თვალები გაუმართა ლიპარიტის ასულს და შეხედა შეფარვით, სწორედ იმ წუთში, როცა ქალი თავის მეგობარს ხვაშაის მიუბრუნდა, თვალი დაადგა მის მშვენიერ კისერს, რომელსაც ყვრიმალებს ქვემოთ პაწია ქერა კულულები ჰქონდა ისე დაკლაკნილი, როგორც ნორჩი პწკლები ახლად აყვავებული ვაზისა.

არავითარი სამკაული არ ამშვენებდა მის ჯიშიან ყელს, ხოლო როგორც ერისთავის ასულებს დანარჩენთ, აგრეთვე კუროპალატისას მელიტას უამრავი ლალებით, საფირონებითა და ალმასებით ჰქონდათ დამშვენებული თავკისერი და მკერდი.

ერთ წუთს ორივეს გადახედა მარიამმა და თავის გუნებაში ეს დაასკვნა: და-ძმასავით ჰგვანანო დავითი და დედისიმედი ურთიერთს.

---

[1]) ჩ ქ ი ფ ი — ჩანგალი.

„ეს ჰიმეროსია[1]) ჯადოსანი ღმერთი, რომელიც გამიჯნურებულთ ამსგავსებს ურთიერთს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიფიქრა მარიამმა.

მსახურთუხუცესმა მაშხალები აანთებინა დარბაზში. მარიამმა მოიხედა ეგი და წასჩურჩულა რაღაც.

მცირე ხნის შემდეგ ეზოსმოძღვარი ცინცილუკ ეახლა დედოფალს და ხატაურ აბრეშუმის ნაჭერში გახვეული ნივთი დაუდო იდაყვთან პატრონს.

მარიამმა გახსნა აბრეშუმი და ბულბულის კვერცხის ოდენა ალმასების მანიაკი ამოიღო. მანდილოსნებს თვალი დარჩათ ზედ.

„ეს ალმასები ხაჩატურს უყიდნია მაჰარაჯასაგან, რომან დიოგენის სარდალს ჰინდუსტანში“.

ესა სთქვა, დედისიმედს შეაბა ყელზე და დასძინა: „ამიერიდან შენი ლამაზი კისერი დაამშვენოს მან“.

მერმე ნიკაპზე წაავლო ხელი, თავი მაღლა ააწევინა.

როცა ოცდაცამეტი ალმასი აქათქათდა დედისიმედის მკერდ-კისერზე, კიდევ შეხედა ერისთავის ასულს და აკოცა ლოყაზე.

აღტყინებული ზეწამოიჭრა კუროპალატისა მელიტა და შესძახა:

„დეე, უძვირფასესი უმშვენიერესს ამკობდეს, ავგუსტა“!

მხცოვანთა ტაბაკის მეინახენი ახლადმორთმეულ მაჭარს შეექცეოდნენ.

მოხუცები ისე გართულნი იყვნენ საუბრითა, ალმასების მანიაკის მირთმევა, ლიპარიტ ერისთავის გარდა, არავის შეუმჩნევია. მას არც გაჰკვირვებია ეს ამბავი. კოზმან ბერის ნაამბობი მოაგონდა ლიპარიტს: დომესტიკის ანდრონიკეს მიერ ნაჩუქარი მანიაკი ჩამოუტანია მარიამმა ახალ დედოფალს.

თვალი შეასწრო იმასაც, თუ როგორ აელეწა დედისიმედს ლოყები, მაგრამ არ შეიმჩნია.

გრიგოლ ბაკურიანმა მაჭარი მოსვა და სთქვა:

„ბელიატობაში ვიდექი ჩემის ლაშქრითა, როცა პაჭანიკები ბულგარეთს შეესიენ. სთველობა იყო, საწნახლებიდან ბადაგი გადმოჰქუხდა. ხვასტაგი გავალალვინე სოფლებიდან, ხორბლეული გავაზიდვინე, ვუბრძანე, ბადაგისათვის არ ეხლოთ ხელი. დამშეული ურდოები მივარდნენ მაჭარს და განუზომელად სვეს“.

ბოლოს ლიპარიტ ერისთავისა და შერგილ ლიპარტიანისაკენ მიიდრიკა ბაკურიანმა თავი და წასჩურჩულა:

„მერმე ის იყო, ისეთი სალმობაი[2]) მუცლისა შეეყარათ ამ ველურებს, მრავალი ათასი მეომარი ამოსწყდა“.

„ბოლოს რა მოდგმის არიან ეს პაჭანიკნი, გრიგოლ ბატონო? იკითხა გიორგი ჭყონდიდელმა, მრავალი რამ მსმენია მათ გამო, ზოგნნი ასე იტყვიან, ყიფჩაღნიაო, ბერძენნი სკვითებად უხმობენ მათ“.

„ჭეშმარიტად, გიორგი ბატონო, ბერძენნი სკვითებად სთვლიან მათ, მე ვგონებ, პაჭანიკნი, ყიფჩაღნი და სელჯუკიანნი თურქის ნათესავისა არიან ყველანი.

მხოლოდ ესაა: სელჯუკიანნი გურგენის ზღვიდან ირანს მოედვნენ თავდაპირველად, სომხეთი და საქართველო გადალახეს და ბიზანტიის სამანებს მიადგნენ ბოლოს.

---

[1]) ჰიმეროს — ძველბერძნული ღვთაება მიჯნურობისა.

[2]) სალმობაი — სატკივარი.

ხოლო პაჭანიკებმა და ყიფჩაღებმა ჩრდილოდან გადაუარეს კავკასს, გურგენის ზღვიდან პონტოს ზღვამდე დამკვიდრებულნი, ბალკანეთის მთებიდან უტევენ საკეისროს სამზღვრებს ჟამიდან ჟამზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შარშანაც გადმოლახეს მათ დუნაი. მე და ვრანა წარგვგზავნა კეისარმა ალექსი კომნინმა. მერმე ის იყო ვრანა მოჰკლეს მაგ უსჯულოთა. ჩემი მარჯვენა ხელი იყო ეგ სარდალი, ხოლო მე დამჭრეს.

ქარბორბალასა ჰგვანან პაჭანიკნი და ყიფჩაღნი, გიორგი ბატონო. მოულოდნელად ამოვარდებიან ხოლმე ტრამალებიდან, ხოლო უკუქცევა მათი ისევე სწრაფია, ვითა მოქცევაი ზღვისა.

გადავდენით თუ არა საკეისროს სამანებიდან, ტყეებსა და ლელიანში გაუჩინარდებიან.

ძნელია მათი დასჯაცა, რადგან მათ სახლკარი არ გააჩნიათ.

მათი მსტოვარი ქარია, ციხე მათი — უკუნი ღამე, საფარი მათი — ფლატენი კლდეთა, კარავი მათი — ტევრი უსიერი".

მეხილეთა თხილი მოართვეს სტუმრებს. სუფრის ბოლოში დადგნენ და შეუდგნენ ლეწვას.

გრიგოლ ბაკურიანმა აიღო ერთი, უყნოსა სურნელოვან ფოჩებს, მერმე გამოართვა თხილის სალეწი მეხილეს, შავი, ბანჯგვლიანი ხელები მოსჭიდა და დაამტვრია.

ცოტა ხანს ღეჭდა თავისი ბებრული, ყვითელი კბილებით გულს.

„მაინც რაოდენნი იქნებიან ეგ ყივჩაღნი და პაჭანიკნი, გრიგოლ ბატონო?" ამბობს გვარამ ერისთავი.

„აურაცხელობაა მათი რიცხვი, როგორც იტყვიან ხოლმე კონსტანტინოპოლში კაცნი მეცნიერნი და მათ ქვეყნებში ნავალნი, გვარამ ბატონო. ყოველი ქვეყანა მოსჭამეს მათ, მაგრამ ვერც ერთი დაიმკვიდრეს. „პოლუპლანეტოსს" [1]) უწოდებენ ბერძენნი პაჭანიკებსა და ყიფჩაღებს, რადგან ტრამალებზე დახეტიალებენ დედაწულიანად ნიადაგ.

მათ არც ქალაქნი გააჩნიათ, არც დაბანი, ამიტომაც მხეცობა თან დაჰყოლიათ დედის საშოდან.

სვავებსა და მგლებს ჰგვანან ვერაგობითა და სისხლის წყურვილით ისინი, მაგრამ ესაა, სვავებსა და მგლებს ბუდე და სამალავი გააჩნიათ, ხოლო ყიფჩაღთა და პაჭანიკთა არა აქვთ არცა სამშობლო, არც ერქვანი, არც ბალ-ბოსტანი.

სასაცილოა მათი გემები.

ათიოდე ტყავს ცხენისას მიაკერებენ ურთიერთს, გაბერავენ, საბელებით მოქუბავენ გარშემო, მერმე დედაწულიანად ზედ შეასხდებიან ამ ნავტიკებს, ცხენებს გაუბამენ და გასცურავენ მდინარეს".

„რა სჯულისანი არიან, გრიგოლ ბატონო, ეს ელნი?"

შეეკითხა გიორგი ჭყონდიდელი.

„ვარსკვლავებს თაყვანსა სცემენ ეგ უშჯულონი".

„შარშან წინ დუნაის წყალში ჩაჰყარეს და მოანათვლინეს ისინი ბერძნებმა, მაგრამ მეორე წელსაც არ გახსენებია ეს ამბავი მათ".

ჩააკერა სიტყვა ლიპარიტ ერისთავმა.

„რასა სჭამენ?"

იკითხა თათიამ, ცხუმის ერისთავის გაფუებულმა მეუღლემ.

---

[1]) პ ო ლ უ პ ლ ა ნ ე ტ ო ს — ბერძნულად, ელი, მომთაბარე, მოხეტიალე.

„პური უცნობია მათთვის. ფეტვსა და ბრინჯს ცხენის რძეში მოათუხთუხებენ, კატისა და ძაღლის ხორცსაც შეექცევიან. ამ ხორცს დააგდებენ კეხზე, ბალიშს დაადებენ, მერმე თავათ ზედ დაასხდებინ, გააჭენებენ ცხენს. როცა ხორცი დაიბეჟება, ბრჩხილითა და კბილით დაუწყებენ ძიძგნას.

მოსწყურდებათ ტრამალში და რა ვერ ჰპოვონ წყალი, მთავარ ძარღვს გაუხსნიან ცხენს, მისცვივიან დედაწულიანად და გამოსწოვენ სისხლს.

როცა უკუვაქცევდით პაჭანიკებს, ტრამალზე ვიპოვნიდით ხოლმე სისხლგამოცლილ ცოცხალ ცხენებს, შემზარავად კვნესოდა მრავალი ათასი პირუტყვი უპატრონოდ მიტოვებულ ტრამალზე.

ცხენები ჰყავთ სანაქებო პაჭანიკებსა და ყიფჩაღებს“.

როცა ამას ყოველივეს უთხრობდა ბაკურიანი სტუმრებს, დავითი უხმოდ უსმენდა მას, ცხენების ხსენებაზე მობრუნდა და უფრო გულდასმით მიუგდო საუბარს ყური.

„მათ ქვეყანაში უიარაღოდ ვერვინ გაივლის, — განაგრძო ბაკურიანმა. — დაშინებული მგზავრი ნემსით გაიჩხვლეტს სალოკ თითს, მიუშვერს გზადგამვლელ ყიფჩაღს ან პაჭანიკს, მოაწოვინებს მცირეოდენ სისხლს, შემდგომ ამისა ძმადნაფიცობა მყარდება მათ შორის“.

მეფენი თუ ჰყავთო ან მთავარნი, მაგ უსჯულოთა?

ეს უნდოდა გაეგო ცხუმის ერისთავს.

„მეფენი აროდეს ჰყოლიათ მათ. რამდენიმე მთავარი განაგებს ულუსებს მათსას. თეოფილაქტე მარწმუნებდა, ბულგარეთის ეპისკოპოსი, უცნაური მხედველობა აქვთო ყიფჩაღებს, ერთი დღის სავალზე წვდებიანო ისინი თვალით. იგავმიუწვდენელი მშვილდოსნებია, უფრო საოცარნი მხედარნი“.

დასძინა გრიგოლ ბაკურიანმა, ისევ მოსჭიდა თხილის სალეწს თავისი შავი, ბარჯგვლიანი ხელები, თეთრი გული გამოიღო და დაუწყო ღეჭვა.

სტუმრები მასლაათით გაერთვნენ, გვარამ ერისთავსა და გიორგი ჭყონდიდელს კვლავ ეწადათ ახალი რამ გამოეკითხათ ყიფჩაღებისა და პაჭანიკების გამო, მაგრამ ეზოსმოძღვარმა ამცნო მეინახეთ: ძელსა ჰკრესო მწუხრისას.

როგორც კი მანდილოსნების სუფრიდან წამოდგა დავითი, ჭყონდიდელი გაიხმო დარბაზის ერთ კუთხეში და ეუბნება:

„შენ რას იტყვი, გიორგი ბატონო, კაცნი სარწმუნონი რომ წარგზავნოთ ყიფჩაღეთს. ცხენები ვაყიდინოთ, გარდა ამისა, როქის სპა[1]) შეგვითხელდა ძალზე. თუ მხედრებსაც გვიშოვნიან ქირითა, მათაც გამოვიყენებთ სელჯუკიანთა წინააღმდეგ, არა?“

„მეც ეგ მინდოდა, შენმა მზემ, მომეხსენებინა, მეფეო ბატონო“, — ამბობს ჭყონდიდელი.

ამასობაში მარიამ დედოფალი მიეახლათ ორთა. მან დავითს მიაშურა და ეუბნება:

„უხუცესნი დაიქანცნენ ხანგრძლივი პურობისაგან, შენ უცილოდ უნდა წამოხვიდე ბწუხრზე“.

დავითი, ნიანია და გიორგი ჭყონდიდელი გეგუთს აპირებდნენ წასვლას. მერემეთუხუცესი იუწყებოდა: ცხენები ჩამოიყვანესო ძურძუკეთიდან. დავითი დიდი ხანია ელოდა მათ ჩამოყვანას, გეგუთს წასვლას ეშურებოდა.

---

[1]) როქის სპა—ქირის ჯარი, სოლდნერები, ნაქირავები ლაშქარი.

ზეგ წადიო გეგუთს, სთხოვა მარიამმა, დავითი თავმოდრეკილი დაემორჩილა თავის მამიდის ნაბრძანებს, ჭყონდიდელს მიუბრუნდა და ეუბნება:

„მაშ ასე, გიორგი ბატონო, ზეგ წავიდეთ გეგუთს“.

ახალგაზრდები აიყოლია მარიამ დედოფალმა და მწუხრზე წაიყვანა ისინი.

## XX

## „შენ ხარ ვენახი“.

„შემიყვანეთ მე სახლსა შინა ღვინისასა
და განაწესეთ ჩემსა ზედა სიყვარული“.

გვიან გათავდა მწუხრი. როცა მარიამ დედოფალი სასახლის ბაღში შემოუძღვა სტუმრებს, უკვე მუქდებოდნენ ხეთა სილუეტები.

კუროპალატისა მელიტა შესდგა, მარიამთან მივიდა და ეუბნება:

„ქუთათელის ბაღში გადავიდეთ, ავგუსტა, კარგია მთვარიანში რიონზე გადახედვა იქიდან“.

დედოფალმა წარბები აწკიპა.

რაღა სხვის ბაღში ვიაროთ, ჩვენსაში ვერ დავეტევითო?

მიუგო ბერძნულად ქვრივს. მერმე წინ გაუშვა ქალ-ვაჟნი, თავათ დავითსა და დედისიმედს ხელები წაავლო სათითოოდ მკლავში და ეს უთხრა:

„მრავალი ბედნიერი წუთი გამიტარებია ჩემს ქალწულობაში აქ. აგეთივე ბაღი გავაშენებინე ჩემს მამულში, ქრისტოპოლის[1]) აგარაკებში“.

მარიამმა თვალი შეავლო ნაყოფით დახუნძლულ ნუშის ხეს და დასძინა:

„ნუშმა ველარ გაიხარა ოღონდ. ბროწეულები და ლეღვები პირველ ხანებში გახმენ, მერმე თურქი მებაღე მოვაყვანინე ნიკეადან ერთი. მან ისე კარგად შეფუთნა ხეხილი, ლეღვებმაც გაიხარეს ბოლოს.

ფრიად სათუთი ხეა ჩვენებური ლეღვი, იგი ყოველგან როდი ხარობს საბერძნეთშიაც“.

წინ მიმავალ სტუმრებს ჩამორჩენოდნენ ნიანია და ხვაშაი. ნიანია ატოკებდა მსხლის ხეს, ძირს დავარდნილ ნაყოფს ხელით იჭერდა და სთავაზობდა გვარამ ერისთავის ასულს.

„დედისიმედი მოწყენილია, ეგ შენი ბრალია, დავით“, — სთქვა ღიმილით მარიამმა. მერმე ციხის გალავნის გაყოლებით დარგულ ბროწეულებს გადახედა.

„თვალი უკეთესს ვერაფერს ნახავს ამ სოფლად. მე მიყვარს მათი აყვავილება, შემოდგომაზედაც მომხიბლველნი არიან ისინი“.

სამივემ მიიხედა: მირიადი ლალებივით კიანთობდნენ გახლეჩილი ბროწეულები ფურცლოვანიდან გამოპარულ ნაგვიანებ სხივებზე.

შაშვები დაფრთხნენ, გალავნებზე გასულ სუროებს შეეხიზნენ და ასტეხეს ჭახჭახი.

„ახლა მე უნდა ვიჩქარო, ჩემო კარგებო, ამბობს მარიამი, კატაი მოიწყენდა უჩემოდ ალბათ. დავით, გაატარე დედისიმედი ბაღში, სადაცაა მთვარეც ამოვა. თუთების ტალავერში დაგიხვდებით ჩვენცა“.

---

[1]) ქრისტოპოლი—დაბაა კონსტანტინოპოლის მახლობლად, სადაც დიდძალი მამული ჰქონდა მარიამ დედოფალს. „მნათობის“ № 6-7-ში ეს დაბა შეცთომით ნახსენები მქონდა როგორც „ქრიზოპოლი“.

ესა სთქვა მარიამმა და ნიანიასა და ხვაშაის წამოეწია.

დავითი და დედისიმედი ნელის ნაბიჯით მიჰყვნენ მდუმარე ხეივანს. სამი წლის გაყრის შემდეგ ეს პირველად შერჩნენ ურთიერთს. ... ქალს სუნთქვა შეეკრა თითქოს, ვაჟთან განმარტოება რა შეიცნო.

მზერა ესროლა ალუჩების ფურცლოვანში მიმავალ ხვაშაის. ბალღურმა სურვილმა წამოუარა, უნდოდა დაეძახნა: მომიცადეო, ხვაშაი, მაგრამ ანაზდად ხმა ჩაუწყდა ხორხის არეში სადღაც. ნაცვლად ამისა ხელი მიაწვდინა ბილიკზე გადმოზნექილ ტოტს ალუჩისას, ფურცელი მოსწყვიტა და დაუწყო სრესა.

თავჩაქინდრული მიჰყვებოდა დავითს, თანაც ისე ეუცხოვებოდა ეს ყოველივე, თითქოს იგი არ ყოფილიყოს სასურველი მისი, რომელთანაც მრავალგზის ურბენია ლიპარიტის უბანის ხილნარში, ოდესღაც.

როცა ალუჩების ხეივანი მოთავდა, ბილიკზე გამოჩნდნენ დამასხების ქვეშ მიმავალნი: კუროპალატისა მელიტა, დუდაი და ჯოჯიკი, ცხუმის ერისთავის ვაჟი. ბოლოს ისინიც ფურცლოვანში გაუჩინარდნენ.

ეხლა მელიტას კისკისი მოისმოდა შორიდან. უფრო მეტად ჩამობნელდა ბაღში. დასავლეთით ალანძულ ალვებსა და კვიპაროსებს შორის ელავდა ცარგვალის კალთები, გამოხურვებულ ოქროის ფერისა.

დავითს პირი უშრებოდა მღელვარებისაგან. ყოველი სიტყვა, რომელიც სათქმელად მოადგა ბაგეზე, უსაგნიერი და ფუჭი ეჩვენებოდა მას. ამიტომაც მდუმარედ მიჰყვებოდა ქალს. ამასაც გრძნობდა: ყოველ წუთში მოკლდებოდა ლეონ მეფისეულ სასახლემდის სავალი ბილიკი.

წინასწარ იცოდა: ათასი ნათესავის და ხელშინაურის თვალწინ ადვილად ვერ მოიხელებდა დედისიმედთან განმარტოების შემთხვევას.

კატაი ცერბერივით მწყესავდა თავის ქალს, ყოველ წუთში უთვალთვალებდა, დაჩემებული ჰქონდა: ნიშნობამდის არ მიეცა ქალ-ვაჟისათვის განმარტოების უფლება როგორმე. მადლიერი იყო დავითი თავისი ღვთივმშვენიერი მამიდისა, რომელმაც განზრახ დასტოვა ისინი მარტოკა ხილნარში და თავათ კატაის დასაოკებლად გაეშურა.

რითი არ ჰგავდა ნიშნობას ალმასების მანიაკის გადაცემა? ახლა მაინც დამშვიდდება კატაი, გაიფიქრა დავითმა, მხნეობა მოიკრიფა და ეს უთხრა ქალს:

„ვიდრემდისინ ვიაროთ ასე უმზრახივით მე და შენ? ნუ თუ არ გვეყო დაუბრება ამდენ ხანს?“

„მე აროდეს ვყოფილვარ უმზრახვათ, მეფევ ბატონო, შენთან“.

მიიღო პასუხი.

მეფევ ბატონოვო?

ეჩოთირა ასეთი მომართვა დავითს.

მცირე მანძილზე უჩრდილო ბილიკებით მიდიოდნენ. მთვარე ამოსულიყო უკვე. დავითმა თვალი შეასწრო ფერგამკრთალ სახეს ქალისას. ველარ გაეგო: მღელვარებისაგან იყო ეს, თუ მთვარის შუქისაგან?

კვალად შეხედა მის გვერდით მომავალს და ახლა რაღაც უცნაური იერი ტანჯვისა დაიჭირა მის სახეზე ერთ წუთში.

ასე ეჩვენა ჭაბუკს: ტორტმანობსო მისი მაღალი მკერდი.

ლეღვიანს რა გაუსწორდნენ, კუროპალატისა მელიტას კისკისი შემოესმათ კვლავ. დედისიმედი მიხვდა: სასახლეში ჯერაც არ იქნებოდნენ ახალგაზრდე-

ბი შესულნი, ალბათ, თუთების ტალავერს ქვეშ გვიცდიანო, ასე იფიქრა. მღელვარება წაეკიდა წინასწარ:

როგორ უნდა მისულიყვნენ მარტოკა ორნი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

კატაისაც გამოიყვანდა, ალბათ, მარიამი. დედის მრისხანე სახე თვალწინ დაუდგა ამ წუთში.

ნაბიჯს აუჩქარა დედისიმედმა და იქითკენ დააპირა წასვლა, საიდანაც მელიტას ტკარცალი და ახალგაზრდა რაინდების მხიარული ხორხოცი ისმოდა.

დავითმა მკლავში წაავლო ქალს ხელი და ლელვიანისაკენ მიმავალი ბილიკით წაიყვანა მხარმარჯვნივ. შავდებოდნენ ნეკერჩხლის ხეებზე გასული ვაზები, უზარმაზარი, შავი ურჩხულების დარად ეპოტინებოდნენ ისინი ხეთა მწვერვალებს ნახევრად ბნელში. ქვისაგან გამოკვეთილივით მოსჩანდნენ ვაზის ფურცლოვანიდან მტევნები.

მთვარე კვლავ გამოსულიყო ოდნავ ღრუბლიან ცაზე. ციხის გალავანს გადაღმა ფოლადისფერ გრაგნილივით ელავდა რიონი.

კანტიკუნტად მოისმოდა გუშაგების შეძახილი გოდოლებიდან, ბოლოს დადუმდა ხილნარი, მხმარ ფოთლებში ფაჩუნობდა ზღარბი.

დედისიმედი შეაკრთო სიბნელემ. უფრო ახლოს მიჰყვა ჭაბუკს და როცა სილამისგან ნაბიჯარეული უნებლიედ მიეახლა ვაჟკაცის ძალოვან მხარს, იგრძნო მისი სიახლოვის შეცნობა.

ისევ ჩრდილებში მოხვდნენ ლელვიანის ბილიკებზე მიმავალნი. ახლა თუთების დაკბილული ფოთლების ნაჩრდილი დაფარფატებდა ორივეს თავზე. ფურცლოვანიდან გამოპარული შუქი მთვარისა კიანთებდა ალმასების მანიაკზე ჟამიდან ჟამზე.

„უწინ მე და შენ არა გვჩვეოდა ასე მდუმარედ სიარული, არა?“

შეეკითხა დავითი.

„უწინ სხვა იყო“...

სთქვა თითქმის ჩურჩულით დედისიმედმა, თუთის ფოთოლი მოსწყვიტა.

„განა ახლა ცოტა გვაქვს სათქმელი?“

შეეკითხა ვაჟი.

„მე ჩემდა თავათ არაფერი, იმაზე მეტი, რაც მითქვამს“.

„სამაგიეროდ მე მაქვს მრავალი რამ“...

დედისიმედმა შეხედა. უნდოდა ეკითხნა რაო? მაგრამ ნაბიჯის ხმა შემოესმა და დადუმდა. ლელვიანიდან ვიღაც ახმახი დიაცი გამოდიოდა, ხელშინაური. კოკას მიათრევდა ბილიკებზე ხვნეშით. დავითი ბილიკიდან გადავიდა, თავი მოარიდა მხევალს.

დედისიმედს ჩააცქერდა დიაცი, ქვას წამოედო, მუხლი დაჰკრა მიწას, მაგრამ მაინც უვნებლად გადაარჩინა კოკა.

გაიარა თუ არა მცირედი, ხელახლა მოხედა ერისთავის ასულს.

უარესად დაბნელდა ლელვიანში, დაკეტილ მარნის წინ გამწკრივებული საწნეხელები მდევების ლეშებს მიაგავდნენ ღამეში.

დავითმა შეკრთომა რა შენიშნა ქალს, წელზე ხელი შემოხვია და ახლოს მიიზიდა იგი.

რამ შეგაკრთოვო, სულო?

ქალს გააჟრჟოლა, როცა ის სახელი კვლავ გაიგონა, რომელიც სიყრმიდანვე შერქმეული ჰქონდა მისთვის დავითს.

„მე არ შევმკრთალვარ, მეფევ ბატონო, მხოლოდ ესაა: დამქანცა ქუთათი-

სის ციხეში უცხოთა მიერ ჭვრეტამ. დიდი და მცირე მითვალთვალებს ნიადაგ. როცა სასახლიდან ეკლესიაში მივდივართ მე და ლელაი, ციხეთა სამზერებიდან, გოდოლების ჩარდახებიდან გადმოდგებიან და მიჭვრეტენ. სხაზს ყველას ეუცხოვება ჩემი აქ ყოფნა. ნეტავ მალე წამიყვანდეს აქედან დედა".

„სად უნდა წაგიყვანოს, სულო?"

„როგორ თუ სად? ლიპარიტის უბანში. მუდამ სტუმრობა ვის სმენია, მეფევ ბატონო?"

„ამ სასახლეში ამიერიდან შენ აღარ იქნები სტუმარი".

„ღმერთს ნუ სცოდავ, მეფევ ბატონო, შენ შჯულიერი მეუღლე გყავს განგების ნებით".

„მე მეფე ვარ ამჟამად და ჩემი სურვილი გარდუვალია".

ახალგაზრდული თავმოთნეობით წარსთქვა საერთოდ მშვიდმა და თავმდაბალმა ჭაბუკმა.

„მეფე ბრძანდები ნებითა ღვთისათა, მაგრამ ოდითგანვე ასე დათქმულა: ველარც მეფენი გარდაუვლენ განგების ნებას".

„თუნდაც უბირი მდაბიორიც რომ ვიყვე, ამიერიდან ვერავინ წამართმევს მე შენ თავს, სულო"".

ეს უთხრა ვაჟმა და წელზე ხელი მოხვია აცახცახებულ ქალწულს.

ვაზების ტალავერს ქვეშ ჩამოსხდნენ სკამლოგინზე. ხელახლა გაითავისუფლა ვაჟის ძალოვან მკლავებისაგან დედისიმედმა თავი და მოურიდებლად შეჰკადრა მეფეს:

„შენ შჯულიერი მეუღლე გყავს და ღმერთს ნუ სცოდავ, მეფევ ბატონო".

დავითს ენა აღარ მოუბრუნდა ეთქვა მისთვის გადაწყვეტილი გაყრის ამბავი, არა მიუგო რა. მთვარის შუქის ათინათი ლაპლაპებდა ალმასების მანიაკზე და ეს ერთობლივი ციმციმი წმინდანის ნიმბივით გარს მოსდგომოდა მის ფერგამკრთალ სახეს.

იჯდა გვრიტის მართვესავით გატვრინული დედისიმედი, გულისწამლები და მომხიბლველი, როგორც პირველი ცოდვა.

ახლა ეს უნდოდა ეთხოვა ჭაბუკს: ნუღარ მეძახიო „მეფევ ბატონოს", მაგრამ ნაცვლად ამისა შემდეგი უთხრა:

„ხომ გახსოვს, სულო, ბეჭის ციხეში რომ დაგსვამდი ბლის ქვეშ, თავათ ფეხშიშველა ზედ ავიდოდი, ხოლო შენ კალთას უშვერდი ჩემს მიერ მოკრეფილ ნაყოფს?"

„ნეტავი იმ დროს, როცა შენს სიახლოეს ამოდიოდა და ჩადიოდა, მეფევ ბატონო, მზე".

ეს სიტყვები ბაგეზე მოადგა დედისიმედს, მაგრამ თავი შეიკავა და გაუღიმა მხოლოდ.

ჭაბუკური სიკისკასით ზეასტა ვაჟი. მოსდრიკა ნაყოფით დახუნძლული ტოტი. ხელს აფათურებდა ფოთლებში, ჭკრეფდა დათრთვილულ ლეღვს და კალთაში ულაგებდა ერისთავის ასულს.

თავათაც იგემა, მაინც უცნაურად სწყუროდა ნასმურევს [1]).

წამოდგა, ეკვდერს ჩაუარა, ზეთის სანათური ბჟუტავდა ეკვდერში.

მარანთან მივიდა.

მოქლონი დაუხვდა კარზე.

---

[1]) ნასმურევი—ნასვამი.

პირი უშრებოდა ვნებისაგან გაშმაგებულს. გამობრუნდა, ლელვების ქვეშ დაფლულ ჭურისთავებს დაუწყო ძებნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიმე მათგანი ხომ არ დარჩენიაო ახდილი იმ კოკისან დიაცს?

მართლაც, ალიზის ბელტს წაჰკრა უცაბედად ფეხი. მანდვე ჩარჭობილ ორშიმოს [1]) წაავლო ხელი. ფრთხილად მოჰხადა სარქველი ჭურს, პეშვით მოსწმინდა ბრკე.

მთვარის დისკო კანკალებდა უზარმაზარ ჭურში.

ორშიმო გაავსო ღვინითა.

როცა დავითი ეკვდერთან მივიდა, დედისიმედმა შენიშნა ეკვდერის ჩრდილს გამოეყო შავოსანი ლანდი და ლელვიანში შემოირბინა ოდნავ წაკუზულმა.

მომელანდაო, ასე ეგონა ერთი პირობა ქალს, მაგრამ გამალებულმა შარიშურმა ლელვის ფოთლებისამ იგი დაარწმუნა, რომ ეს არ იყო ჩვენება.

ლამის იყო არ დაიკივლა, მაგრამ ამასობაში დავითი ლელვიანში შემობრუნდა კვლავ, ხოხვით გაუჩინარდა ლანდი.

როცა დავითმა სავსე ორშიმო გაუწოდა, ეეედრა: მოსვიო მცირედი.

გაოცდა ქალი.

მადლი მოახსენა.

არა ვსვამო ღვინოს.

რამ შეგაკრთოვო?

შეეკითხა და დაუყვავა ვაჟმა.

„როცა შენ ეკვდერს მიეახლე, ვიღაც შავოსანი ლელვიანში შემოფათურდა“.

ალბათ, მოგეჩვენაო, სულო.

„თავდაპირველად ჩვენება მეგონა მეცა, მაგრამ ისეთის სისწრაფით გაიშლიგინა მან ფურცლოვანში, დავრწმუნდი: კაცი უნდა ყოფილიყო უთუოდ“.

„ნუ კრთი, ღვინის ჭურდი იქნებოდა, ხელშინაური ვინმე“.

მიუგო დავითმა.

ქალი დამშვიდდა, კოკისანი დიაცი მოაგონდა, მასაც ხომ შავი ეცვა, ახმახი იყო იგიცა. ეგეც ჰქონდა შენიშნული დედისიმედს: როცა ლანდი გარბოდა, კალთები უფრიალებდა.

ვინ იცის, ერთი კოკა რა მიიტანა შინ, ისევ გაბრუნდაო ღვინის წასაღებად მხევალი.

ამას იგიც ზედ დაემთხვა, რომ დავითს ახდილი დახვედრია ქვევრი.

ჭაბუკი გვერდით მიუჯდა ერისთავის ასულს. ორშიმო მოიყუდა მდაბიურად და მოსვა.

იცინოდა, უხაროდა ახალგაზრდა მეფეს, ჭაშნაგირისა და მელვინეთა დაუსწრებლად რომ შეექცეოდა სურნელოვან ღვინოს.

გიორგი მეფის წრეს გადასული ნადიმობისაგან დაშინებული ჭყონდიდელი სიყრმიდანვე უჩიჩინებდა დავითს: ღვინოს ერიდეო, იცოდე, ტახტზე ახვალ თუ არა, სავსებით აღკვეთეო ღვინის სმა.

ვინ იცის, რამდენი მამაცი მეფე და გონიერი ვაზირი წაუხდენია სმას, რადგან ღვინოაო ყოველგვარი საცთურის მბადი.

მხოლოდ დღეს, ნადიმის დროს გადაუხვია დავითმა შეგონებას თავის მზრდელისას პირველად.

---

[1]) ორშიმოს იმერეთში უწოდებენ ქვევრიდან ღვინოს ამოსაღებ ჭურჭელს, მწარე გოგრისაგან გაკეთებულს.

ახლაც იჯდა თავის სასურველის გვერდით, გლეხურად სვამდა ორშიმოთი ღვინოს და უხაროდა ბალღივით, უკვე მეფე რომ იყო და ვერაფერს ალკრძალავდნენ ამიერიდან მას.

ხელი მოულაციცა დედისიმედს ხელზე და ეუბნება ლაღობით:

„შენ იცი, სულო, მე ხშირად მინატრია: უბრალო მდაბიური ვიყვე, ასეთი მარანი მქონდეს ლელვიანში და პააატარა, პატარა ვენახი, მზვარიან კორდზე შეფენილი, ვმუშაკობდე შენთვის, შენთვის ვიზოგავდე სთველს“.

დედისიმედს გაეღიმა.

ეკითხება:

„მარტოოდენ ვენახი?“

„არა, გეხუმრები, სულო, თორემ რას ვაქნევ ვენახს, შენ ხარ ჩემი ვენახი ნაყოფსავსე, ლხენის ბალნარი“.

კვლავ მოსვა ღვინო და ახლა იგრძნო, ესოდენ მცირე ორშიმო ჯერაც არ გამოეცალა, მაგრამ თრობა ეკიდებოდა რატომღაც უკვე.

„შენთვის სათქმელი სიტყვები იდუმალ ჰხარობდნენ ჩემს სულში, როგორც ყვავილნი ვაზისა. რადგან შენ ხარ ჩემი ვენახი, სულო. ეს შენ იყავი მტილი დახშული, წყარო დაბეჭდული ჩემი“.

დედისიმედს ეცნაურა ეს სიტყვები, მახარაისაგან განაგონი კლდეკარში.

„ამიერიდან მე ვარ ამ ვენახის პატრონი და სვებედნიერი მეზვრე“.

ეს უთხრა დავითმა და აკოცა ლოყაზე ქალწულს. მთვარის შუქზე მას აღარ ეტყობოდა ფერი ატმისა, რომელიც ეგზომ ოსტატურად გამოჰყავდათ თეთრ პორცელანზე ირანელ ოსტატებს.

იჯდა დედისიმედი, მშვიდად უღიმოდა ვაჟს.

დავითი წამოდგა, ორშიმოს ხელი წამოავლო და ლელვიანში შევიდა.

ქალი შეკრთა, ღვინო არ მოიტანოსო კვლავ.

როცა იგი ხელცალიერი გამობრუნდა, დედისიმედმა შესჩივლა, მხოლოდ ახლა გაიქცაო ის ლანდი ლელვიანიდან ხოხვით.

სამზერად გამოგზავნილი იყოვო უთუოდ ვიღაცა.

„ამიერიდან ვერას დაგვაკლებენ მზირნი“, ეს უთხრა ჭაბუკმა ათრთოლებულს, ხელახლა აკოცა და მიიკრა მკერდზე.

როცა დედისიმედი ხელიდან გაუსხლტა გაშმაგებულ ხვევნას ვაჟისას, მან იგრძნო: ალმასების მანიაკი გაწყდა. ალმასები კალთაში ჩაუცვივდა, მიწაზე გაიბნა ზოგიც.

დავითი შეწუხდა: მიწაზე დაიჩოქა ცალის მუხლითა და აკრიფა თვლები.

როცა კვლავ აანცვეს და დაითვალეს, ოცდათორმეტი აღმოჩნდა.

„არაფერია, შენი ჭირი წაუღია ყველა ალმასს ამ ქვეყანაზე“.

სთქვა ქალმა.

დავითმა გაიხარა ამის გამგონემ.

„ეს ვერ გამიგია, მეფევ ბატონო, ოღონდ, — ამბობდა დედისიმედი, — რად შეურჩევიათ მაინცდამაინც ოცდაცამეტი ალმასი ამ მანიაკში“?

„ეგ განგებაა შერჩეული, სულო, ქრისტემ ხომ ოცდაცამეტი წელი დაჰყო მიწაზე“.

ქალი დადუმდა.

ელვა მთებს გადაღმა.

ფრთხილად მოავლო ნიკაპთან ჭაბუკმა ქალს ხელი, მერმე მიიზიდა და დიდხანს სვამდა თავის ვენახის სურნელოვან ღვინოს.

ვნებისაგან გონებამიხდილთ ესმოდათ, თუ როგორ ეცემოდნენ ვაშლები მიწაზე.

ბოლოს გამოერკვა ქალი, თავი გაითავისუფლა. მცირე ხანს გაჩერებული იჯდა და დასჩერებოდა ნიადაგს.

ლელვის ფოთლებს ქარი ატოკებდა ოდნავ, მათი ნაჩრდილი ფოფინებდა მიწაზე, როგორც ათასი ბანჯგვლიანი თათი რომელიღაც ზღაპრული მხეცისა.

ასე ეგონა ქალწულს: მიწა ტორტმანობსო მის ფერხთით.

ცისკიდურზე ელავდა ხანგამოშვებით.

როცა ირმის ნახტომი გადავიდა ცაზე და საყვირის ცემა მოუხშირეს მეცხოვნეთა, ცას ახედა ვაჟმა:

უკვე იისფერი ღრუბლები გარს მოსდგომოდნენ მთვარეს.

ხომლის მთიდან მოდიოდა ნაგვიანევი ქუხილის ხმა.

გაიელვებდა, მოიჭრებოდა მთების ზუჩიანი ნაჩრდილები ცარგვალის კალთებზე, ლელვიანში დაივანებდა სიჩუმე და სიღამე კვლავ.

მაინც სჩივოდა დედისიმედი: ვიღაც დადისო ჩვენს მახლობლად ხილნარში.

დავითი წამოდგა, მკლავში ხელი წაავლო თავის საცოლეს და ნაბიჯარეული გამოვიდა ლელვიანიდან, ვით მარნიდან მომავალი ღმერთი ბახუსი, როშელსაც ლელვის გამომგონსაც უწოდებდნენ ძველი ბერძნები.

*
* *

უკვე ჟინჟლავდა ოდნავ, ლელვის ფურცლოვანზე საამურად ტკაპუნებდნენ წვეთები.

უქუდოდ მიმავალ დავითს უხაროდა წვიმის წვეთების შხაპუნი სახეზე. უხმოდ მიჰყვებოდა თავის სასურველს, ნატრობდა: აროდეს მოთავებულიყო ეს გზა.

მოდიოდნენ მთვლემარე ბაღში, კანტი-კუნტად ეცემოდნენ ვაშლები ბნელში. ზღარბები ფაჩუნებდნენ დაცვენილ ფოთლებში იდუმალ.

თუთების ტალავერს ქვეშ არავინ დაუხვდათ.

ლეონ მეფისეულ სასახლის კიბეს რო მიაღწიეს, დედისიმედი წინ გაუშვა დავითმა. კედლებზე დაკიდული მაშხალები ოდნავ ბჟუტავდნენ, ორი მესაწოლე ბერი შესავალთან ყვინთავდა.

ერთბაშად სიჩუმე დაარღვია დეზების წკარუნმა. კიბის უკანასკნელ ხარისხამდის მიღწეულ ქალს თოროსანის ლანდი შეეხეჩა. შეკრთა, დავითისკენ გამობრუნება დააპირა, რატის ხმა შემოესმა ანაზდად:

„სად იყავი, ამდენხანს, დიაცო?“

დავითი წამოეწია ქალს.

შეიცნო მეფე, შეკრთა და უკუდგა მდუმარე რატი.

## XXI

## „ნურავინ გიყვარან!“

ალმასების მანიაკის დედისიმედისადმი მირთმევა მთელ სასახლეს მოსდვეს მემაშხალეთა და მეხილეთა. აღშფოთებული იყვნენ რუსუდანის თანამდგომნი, მაგრამ ვერავინ ბედავდა დედოფლისათვის ემცნოთ იგი. კოზმან ბერი ცას ეწია სიხარულისაგან, მახარაის შეეთათბირა, მახარაი უარზე იდგა: მე ვერ ვეტყვიო ასეთ რამეს რუსუდანს.

ორი დღე შეიცადა და როცა თუთაი ჩამოვიდა სოხასტენიდან, მოჩვენებითი იდუმალობით მას გაანდო ყოველივე ბერმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანაც ურჩევდა: შენ ამცნეო ეს ამბავი დედოფალს.

თუთაი შეკრთა, გაოგნებული მიაშტერდა ჭრუტა თვალებს ბერისას, მოშაინური სიხარულის ნატამალი დაიჭირა ცერცვისფერ თვალების უსიამო ციმციმში.

თუ აგრე გეხალისება, შენ თავათ ამცნეო.

მოსაკვეთი უნდა მოიკვეთოსო!

გაიფიქრა ბერმა. მერმე ის იყო, ხუთშაბათს, მწუხრის ფსალმუნის შემდეგ დაიმარტოხელა დედოფალი და ყოველივე უამბო წვრილად.

რუსუდანი მშვიდად, აუმღვრეველად უსმენდა ნათხრობს. ერთბაშად გაფითრდა, მუხლი მოეჭრა და მოკვეთილივით დაეცა ორხოვის საფენზე.

კოზმან ბერი გაიქცა, სეფე ქალები შეეყარა და მკურნალი მიჰგვარა გულშემოყრილს.

ის ღამე ლოცვითა და ტირილით გაათია რუსუდან დედოფალმა, ხოლო უთენია კოზმან ბერი წარგზავნა და ქუთათელი ახმობინა.

მთავარეპისკოპოსი გამალებული თვალს ადევნებდა ამას ყოველივეს და როცა რუსუდანმა თავისი მტკიცე სურვილი ამცნო სოხასტენის დედათა მონასტერში უბრალო მორჩილად აღკვეცისა, გაეხარდა: უჩემოდ მოგვარდაო საქმე.

განგებ მოიღუშა, თავისი მეჩხერი წამწამები დააპარპალა, ცალი ხელით მოფოცხა ზედ ნიკაპის არეში შეთხელებული, უსიამოდ მწითური წვერი, თითქმის გულგრილად ჩაიბუტბუტა:

„იყავნ ნება უფლისა, დედოფალო ბატონო“, და ჯვარი გადასახა რუსუდანს.

ეს მოხდა პარასკევს.

დიდად დააღონა ამ ამბავმა რუსუდანის თანამდგომნი ქუთათისის სასახლეში.

ელენე დედოფალმა ლეონისეულ სასახლეში სიარული აღიკვეთა. მთელი ღამე სტიროდა და ლოცულობდა. საერთოდ უჯიათი გიორგი მეფეც შეაშფოთა ამ ამბავმა.

შაბათს დილით მარიამ დედოფალმა აიყოლია ცხენოსანთა დიდი ამალა, დავითი, ნიანია, ლიპარიტ ერისთავი, ცხუმის ერისთავი, გვარამ ბეჭისციხის პატრონი, ახალგაზრდა ერისთავები და სეფე ქალები, დედისიმედი, სამივე ქალი გვარამ ერისთავისა და სათაფლიას წაიყვანა თეთრი ფუტკრების სანახავად ვითომდაც.

დაცალიერებულ სასახლეში ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. ბაგრატოვანთა სასახლის კიბეებზე ისხდნენ თალხით მოსილი ლაკლაკაი და შიმუნვარნი რუსუდანისა, გულდამდულრულნი სტიროდნენ.

ველარც მახარაიმ გაუძლო ამ ამბავის მზერას. მან მესათხევლენი აიყოლია და რიონში სათევზაოდ წავიდა.

შაბათ დილას, როცა რუსუდან დედოფალი სასახლიდან გამოიყვანეს ქუთათელმა და თუთაიმ უამრავი ბერ-მონაზვნის თანხლებით, ატირებული ელენე მიეჭრა, მკერდზე მიიკრა და თვალები დაუკოცნა რძალყოფილს.

თავათაც შეაკაზმინა ჯორი და სოხასტენს თან წაჰყვა ჯორებზე აღმხედრებულ ბერ-მონაზვნებს.

მოხუცი დიაცები ტირილით აცილებდნენ შავოსანთა პროცესიას. როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლებს მიეახლებოდნენ, ძელსა ჰკრავდნენ ეკლესიებში, გულმტკივნეული ხალხი თავმოდრეკილად უხვდებოდა გზა და გზა მონასტერში მიმავალ დედოფალს.

კვირა დილით უცნაური ნისლი დაეცა წყალწითელის ხევს.

უზარმაზარ ნაძვებს ბანჯგვლიანი წვეროკინები-ღა უჩანდათ შეტბორებულ ნისლის ზღვიდან.

სოხასტენის მონასტრის კიბეებზე ოციოდე შავოსანი დედაკაცი შეკუჟულიყო.

თქორავდა. უსიამო ნიავი ჰქროდა.

ზედ კარიბჭესთან იჯდა ელენე დედოფალი ძიროს დაფენილ ნოხზე, მარჯვენა ხელი რუსუდანის მხარზე მოეკვლო, ზედ იხუტებდა დამწუხრებულ დედოფალს ისე როგორც დედა გულაჩვილებულ ქალს. უწინამოდ იყო დედოფალი ელენე, ჭალარა მოუჩანდა შავი რიდიდან უცნაურად სახეარეულს. უფრო მხნედ იყო რუსუდანი, იგი დაემშვიდებინა წინა ღამის ლოცვას. ზედ ეტყობოდა: შერიგებოდა უკვე თავის ხვედრს.

„ერთადერთი დარდი თან მიმყვება, დედოფალო ბატონო, ჩემი დემეტრეს დარდი, ვეღარც დედობა გამოვიჩინე ჯეროვანი, მარტო დავტოვე საყვარელი პირმშო. გევედრები, დედოფალო ბატონო, შენ გაუწიე მას ჩემს მაგიერად დედობა. გული მტკივა, უკანასკნელად რომ ვერ ვნახე ყრმა, მაგრამ მე აღარ შემეძლო სასახლეში დარჩენა“.

ესა სთქვა ხმადაბლა რუსუდანმა და ცრემლებმა იწვიმეს ელენეს თვალთაგან.

„მე შევევედრები ძისა შენისათვის, დედოფალო ბატონო, უფალს, — განაგრძო რუსუდანმა, — იგი უბრალოა ჩემს მიმართ. უდიდესი ჩემი შეცდომა ეს იყო: თავიდანვე უნდა დავსდგომოდი ამ გზას. როცა ჩემი ოჯახი გაცამტვერდა, ჩემი ძმები კილიკიაში გადაიხვეწნენ, რაღა მინდოდა ამ ცხოვრებაში?!“

თავი დახარა, თვალზე მომდგარი ცრემლი მოიხოცა შავი რიდითა, უფრო მჭიდროდ მიეკრა ელენეს მკერდზე, ძარღვიანი, ცვილისფერი ხელები მოუფათურა უმწეოდ და დასძინა:

„მე ვილოცავ დავითისათვის, დედოფალო ბატონო, რადგან მას არ მიუძღვის ჩემს წინაშე ბრალი“...

დავითის ხსენებაზე უარესად აუჩვილდა ელენეს გული.

„გევედრები, რუსუდანო, შვილო, აუგად არ ახსენო ჩემი ოჯახი, შეავედრებდე ჭაბუკ მეფეს ღვთისმშობელს, მარიამს“.

უკვე ძელსა ჰკრეს მონასტერში.

სენაკებიდან გამოსული მონაზვნები შემოკრბენ.

კარიბჭესთან დასდეს სამონაზვნო სამოსი. ჯვალოს ჩოხა, საბეჭური, თავსაბურავი კუნკული და სანდლები.

მონასტრიდან გამოვიდა თუთაი, მოწიწებით მიეახლა რუსუდანს, თაყვანისცა უკანასკნელად. თავისი გამხმარი, გრძელი ხელი წაავლო დედოფალყოფილს, ფეხშიშველი და თავშიშველი დააჩოქა კარიბჭის ზღურბლთან.

ლიტურგია დაიწყო.

ხორალი გალობდა „წიაღისა მამეულსა“.

ორი მონაზონი მიეახლა რუსუდანს, მხრებში ამოუდგა და საკურთხეველის წინ დააჩოქეს.

ბისონის ომფორით შემოსილი, სავსებით ფერგამკრთალი კათოლიკოსი

ევსტრატი გამოვიდა საკურთხევლიდან, თავზე წამოადგა რუსუდანს და ღაღადჰყო:

„განახვენ გულისა ყურნი, დაო რუსუდან, და ისმინე ხმა ეკლესიისა:

აღიღე უღელი ჩემი შენზედა და ისწავე, რამეთუ მშვიდვარ და დაბალ გულითა, და ჰპოვო განსვენება სულსა შენსა“.

კათოლიკოსი საკურთხეველში მიბრუნდა კმევით და მონასტრის წინამძღვარი თუთაი მიეახლა დედოფალყოფილს.

დაიწყო ჩვეულებრივი კითხვა-მიგება:

**თუთაი:** — „რაისთვის მოსულხარ, დაო, წმინდათა ამათ კრებულთა?“

**რუსუდანი:** — „მნებავს განშორება სოფლისაგან, პატიოსანო დედაო“.

**თუთაი:** — „ჭირისა რომლისგანმე, გინა ძალითა?“

**რუსუდანი:** — „არა, პატიოსანო დედაო“.

**თუთაი:** — „დაიცავა ქალწულებსა შენსა ყოვლითა გონიერებითა და სასოებითა?“

**რუსუდანი:** — „ჰე, ღვთისა ძალითა, პატიოსანო დედაო!“

ახლა მთავარეპისკოპოსი ქუთათელი გამოვიდა საკურთხევლიდან, თავზე წამოადგა დაჩოქილს და თავისი როხროხა სასტიკი ხმით ღაღადჰყო:

„მღვიძარებასა შინა ნუ მცონარი, საცთურთა შინა ნუ სულმოკლე, მარხვასა შინა ნუ უსასო, უძლურებასა შინა ნუ მრისხანე.

შვილო, უკეთუ ერქვანსა ხელი დასდევ და იწყე სვლად გზასა მას, ნუღარმცა უკუღმართ ხედავ, ნურცა ვის პატივსცემ უფროს უფლისა, ნუმცა მამასა, ნუმცა დედასა, ნუმცა ქმარსა, ნუმცა ძმასა, უარჰყავ თავი თვისი და აღიღე ჯვარი.

ნურავინ გიყვარან!“

უკანასკნელმა სიტყვებმა გველცემულივით გააფითრა რუსუდანი. მხრებზე ჯადავლებული ჯვალოს თავსაფარი მოიშველია და სახეზე აიფარა, რადგან დემეტრე უფლისწული მოაგონდა კვლავ, რომელიც დედამ მარტოკა დასტოვა იმ ცხოვრებაში, ხოლო მამა დღე დღეზე ახალ ოჯახს უნდა მოჰკიდებოდა.

შავწვერა, გაჩეჩილი, ახმახი მღვდელი გამოვიდა საკურთხევლიდან, შავი ანაფორა ეცვა ხუცესს, თეთრი ოლარი ეკიდა მხრებზე.

მიუახლოვდა მუხლმოდრეკილ რუსუდანს, უკმეხი ხმით ჩაიბუბუნა:

„მიიღე და დამიბრუნე“.

ეს უთხრა და მაკრატელი დაუდო წინ.

აცახცახებული ხელით აიღო მაკრატელი რუსუდანმა სამჯერ, სამგზისვე დაუბრუნა იგი შავოსანს.

დაიხარა ხუცესი და ჯვარედინად მოჰკვეცა რუსუდანს არახშირი თმები.

ორი მონაზონი ეახლა დედოფალყოფილს, ფეხზე სანდლები ჩააცვეს, თავზე კუნკული დაჰბურეს, ტანზე ჩააცვეს უხეში, მონაზვნური ჩოხა ჯვალოსი, მხარზე საბეჭურები გადაჰკიდეს.

„ნურავინ გიყვარან!“

ეს სიტყვები ჯერ კიდევ ხშუოდნენ შემონაზვნებულის გულში.

მონასტრის ბნელ კუთხეში ათიოდე შავოსანი დიაცი აგურის იატაკზე პირქვე დამხობილი მეტანიობდა. ერთი მათგანი გულამომჯდარი ქვითინებდა.

რუსუდანმა შეიცნო ელენე დედოფლის ხმა, მაგრამ უკან არ მოუხედავს, რადგან მას უკვე აღარ ჰქონდა ამ სოფლიური გოდებისათვის ყურის მიგდებისნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წუთში მოეჩვენა: მრისხანე ხმა ჯერ კიდევ ბუბუნებდა სოხასტენის მონასტრის თაღებს ქვეშ:

„ნურავინ გიყვარან!“

## XXII

## ოცდამეცამეტე ალმასი

რუსუდან დედოფლის მონაზვნად აღკვეცამ უგუნებობა დაჰბადა სასახლეში. სათაფლიიდან მობრუნებულს მახარაიმ უამბო ყოველივე დავითს. იგიც დასძინა: უფლისწული დემეტრე ჩამოიყვანაო დედამძუძემ ოვსეთიდან.

რუსუდანის თანამდგომნი დვრტვინავენ. მხოლოდ ერთი დღე დააგვიანდათ, თორემ უთუოდ მოუსწრებდაო სოხასტენში მიმავალ დედას.

დავითი შესძრა ამ ამბავმა. შუბლი შეიჭმუხვნა და დადუმდა. ინატრა: გეგუთს წავსულიყავიო ნეტა!

დედის განრისხებული სახე თვალწინ დაუდგა მყისვე. გადასწყვიტა: მორიდებოდა მასთან შეხვედრას იმ დღეებში როგორმე. გვერდით მომავალ ნიანიას ეუბნება: ხვალ უთენია გეგუთს უნდა წავიდეთო, ცხენები მზად ჰყავდესო მერემეთუხუცესს.

სასახლის ტალანში ოდნავ ბნელოდა, სადედო დარბაზის ღია კარებთან ორი მესაწოლე ბერი დამჯდარიყო, მეფის დანახვაზე ზეწამოიჭრნენ ისინი.

ნაბიჯს აუჩქარა დავითმა, მაინც თვალი მოჰკრა: დაბალ საკარცხლულზე იჯდა თმაგაშლილი დედა, უალერსებდა პატარა დემეტრეს.

თორის გახდაც ვერ მოასწრო თავის დარბაზში შესულმა დავითმა და მსახურთუხუცესი შემოვიდა.

დედოფალი ელენე სთხოვსო მობრძანებას მეფეს.

მოახსენა მუცელმოდრეკით.

სამიოდე ბროლის სასანთლე ენთო სადედოში.

დავითის დანახვაზე წამოდგა ელენე, ხელში აიყვანა ჩვილი და ცრემლმორეულმა უჩურჩულა: აკოცეო მამას.

პაწია ხელების მოცაცუნება შეიცნო ლოყაზე დავითმა, გამოართვა ბალღი, თავათ აკოცა და დაუბრუნა დედას.

„მე ჩამაბარა უფლისწული რუსუდანმა ბედშავმა, შვილო“.

სთქვა და ცრემლებმა იწვიმეს მის ლაწვებზე ანაზდად.

„ახლა ამას გევედრები დედაშვილობას, ორი რამ შეუსრულო შენს უბედურ დედას“...

თავი ჩაჰქინდრა გულამღვრეულმა მეფემ, რა გნებავსო, დედი?

„ნულარ წარვგზავნით ოვსეთში ყრმას. მე გავუწევ ამიერიდან დედობას მას“.

მეფის დუმილი თანხმობად მიიღო დედამ, ბალღი მკერდზე მიიკრა და საკარცხლულზე დაეშვა.

„კიდევ რაი გნებავს, დედავ ბატონო, ჩემგან?“

ეუბნება თავმოდრეკილად დავითი.

„შენ თავათ ჰხედავ, შვილო, ეგზომ გაუგონარი სიმძიმილი თავზე დაატყდა შენს მშობლებს. მამა შენი დაზაფრა ამ ამბავმა, ლოგინად ჩავარდა მოხუცი, მე ხომ მხედავ, თუ როგორ გამითეთრდა ამ ღამეებში თავი. შენ უბრალო ხარ ამ საქმეში, შვილო, რუსუდანმაც დამიმოწმა ეგ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითმა დახედა უმანდილო თავს და შენიშნა, მართლაც სავსებით გათეთრებოდა დამწუხრებულ დედას თმები.

ვაჟი სდუმდა და ელენემ დასძინა:

„მარიამ დედოფალმა არია ჩემი ოჯახი, შვილო, შენც კარგად იცი, სამეძავო სახლი იყო ბერძენთა კეისრების მეუღლეთა გვინიკეა მუდამჟამს. პირწავარდნილი მეძავი იყო დედოფალი თეოდორა, ჰიპოდრომისა და ცირკის მეჯინიბეებს ჰყვარობდა თურმე, სიყვარულის ბანგით აჯადოვებდა ვაჟკაცებს. საქვეყნოდ ცნობილია დედოფალ ზოიას მრუშობის ამბები. არა ნაკლებ სამარცხვინო ცხოვრებას ეწეოდნენ დედოფლები თეოფანო და ევდოკია, რომანოზ დიოგენის მეუღლე.

ორი კეისარი მონასტერში დასტოვა შემონაზონებული მამიდაშენმა მარიამ დედოფალმა და, როგორც ამბობენ, ახლა კეისარი ალექსი კომნინი აპირებსო მისი მეოხებით ირინესთან გაყრას. მარიამ დედოფალმა შებღალა ჩემი ოჯახის სიწმინდე, შვილო“.

დავითს არ იამა თავისი მამიდის ეგზომ გულარძნილ დედოფალთა შორის ხსენება, თავმოდრეკილად შეჰკადრა დედას:

„მაინც რაი გნებავს, დედავ ბატონო, ჩემგან?“

„შენ უკვე ყრმა აღარა ხარ, შვილო, ოცი წელი შეგისრულდება მალე. გირჩევ სხვათა თათბირს ნუ აჰყვები განუკითხავად, ამიერიდან მაინც.

შენ ვერ გიბედავენ და მთელი სასახლე დღენიადაგ ჭორაობს“...

აქ შესდგა დედოფალი ელენე, დაუყვავა ატირებულ უფლისწულს.

„მაინც რის გამო?“

შეეკითხა დავითი.

„სიძვის დიაცი ჰყავსო სასახლეში მეფეს“.

ღაწვისთავები აელეწა დავითს, მაინც შესძლო გულფიცხობის დაოკება და მშვიდად შეაგება დედოფალს:

„„ვის გულისხმობენ, დედავ ბატონო, ნეტავ?“

მცირე ხნის დუმილის შემდეგ ზეწამოდგა დედოფალი ელენე. თითქმის ჩურჩულით მოისმა პასუხი:

„ლიპარიტ ერისთავის ასულს, მე არ შემიძლია მისი სახელის ხსენება, შვილო“.

„მომიტევე, დედავ ბატონო... მაგრამ იგი სიძვის დიაცი არ გახლავთ, არამედ... სასძლოა ჩემი“.

„სასძლოა შენი?“

ესა სთქვა დედოფალმა და საკარცხლულზე ჩაიკეცა ერთბაშად. მცირე ხანა ასე იჯდა გაოგნებული, მერმე ხელის გულები შემოჰკრა ურთიერთს. მესაწოლე ბერები შემოვიდნენ — უბრძანა დედოფალმა, ძიძას მიჰგვარეთო ბალღი.

ყელიდან შავი კრიალოსანი მოიხსნა ერთმა, ხელში მისცა უფლისწულს და გაიყვანეს ჩვილი.

კვლავ წამოდგა დედოფალი ელენე, შუბლშეჭმუხვნილმა შეაგება დავითს:

„უკეთუ იგი საცოლეა შენი, დანიშნულიც გეყოლება, ალბათ, და თუ ნიშნობა უჩვენოდ მოხდა, ეგეც უნდა გვცოდნოდა წესისამებრ მე და მამაშენს, მეფეს გიორგის, არა?“

დავითს არაოდეს უნახავს ასე გულაღრენილად დედა.

შეკრთა.

თავი დაჰხარა და მიუგო:

„ნიშნობა ჯერ არ ყოფილა, დედავ ბატონო, მაგრამ ეს იყო, მამიდა მარიამმა ნადიმზე მიუბოძა ალმასების მანიაკი ერისთავის ასულს“.

„რამდენი ალმასი იყო მერმე იმ მანიაკში თუ იცი?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითი არ მოელოდა ამგვარ შეკითხვას.

გაოცდა: რა შუაშიაო ალმასების რაოდენობა აქ, მაინც მიუგო მიამიტად დედას:

ოცდაცამეტიო.

ელენემ თავი დახარა, იატაკს დაჰხედა და სთქვა:

„ჰმ... ოცდაცამეტი, არა? მაგრამ ასე ამბობენ ერთი მათგანი უკვე დაუკარგავსო ერისთავის ასულს.

მარიამ დედოფალმა მთელი სასახლე შესძრა. ამაოდ ეძებენ მეოცდაცამეტეს ახლაც“...

ეს უთხრა და თვალი თვალში გაუყარა დედოფალმა ვაჟს.

დავითმა ველარ გაუძლო სიმძაფრეს მისი მზერისას და დახარა თავი.

„აბა, მე ერთ რამეს გაგანდობ და ნურავის გაუმხელ, იცოდე, ამ ამბავს. გაღთხოვარი ქალია და თავი მოეჭრება, ცოდვაა მაინც“..

დავითი გაოცდა. თმენადაკარგული შესცქეროდა თვალებში დედას: რა უნდა მამცნოსო ეგზომ იდუმალი ამბავი ნეტავ?

„მე დედა ვარ შენი და ამ ოჯახის პატრონი და ბუნებრივია თვალყურს ვადევნებდე ზნეობის საქმეს ამ სასახლეში. კუროპალატისა მელიტას გულარძნილობა სხვათაც გადასდებია, როგორც სჩანს.

მე დავეუბრე მამიდაშენს მარიამს, კუროპალატისა მელიტას გამო. სათაფლიას ამბები მთელმა ქვეყანამ გაიგო. ყოველ დღე მპირდებოდა დღესხვალ წარვგზავნიო კონსტანტინოპოლს.

ჯერ ასე ამბობდა: ბიზანტიელ ეპისკოპოზებს თან გავაყოლებო, ისინი წავიდნენ, მაინც აქ დარჩა მელიტა. ახლა ამბობს, გრიგოლ ბაკურიანს წაჰყვებაო ხუფთას.

მელიტა კვლავინდებურად განაგრძობდა ახალგაზრდა ერისთავებთან ლელვიანში გვიან სეირნობას. იმ ღამეს მესაწოლე ბერს ამბავი მოუტანა მეღვინე ხელაისძეს ქვრივმა: ლელვიანში ვნახეო ვილაც სეფე ქალი და თოროსანი რაინდი. მესაწოლე ბერი წარვგზავნე, მე ავად ვიყავი იმ ღამეს, შენ გეგუთს აპირებდი ვგონებ წასვლას. სმენას არ დავუჯერე ჩემსას. რაინდი ვერ უცვნია ბერს, ხოლო დიაცი, როგორ გგონია, ვინ აღმოჩნდა?...“

დედოფალი შესდგა, ხოლო დავითი მოიღუშა ერთბაშად.

„ლიპარიტ ერისთავის ასული“.

მიახალა ელენემ ვაჟს.

„ალერსის დროს ალმასების მანიაკი გასწყვეტია ერისთავის ასულს და ერთი მათგანი ბერს უპოვნია გათენებისას, მუნვე“.

დასძინა ელენემ.

ყურები გაუწითლდა დავითს ამის გამგონეს და იკითხა თავმოდრეკილად:

მერმე სად არისო ის ალმასი მეოცდაცამეტე?

„მე მაქვს იგი“, სთქვა ელენემ და კედლის კარადასთან მივიდა, გამოიღო პატიოსანი თვალი, გაუწოდა მეფეს და უთხრა:

„იცნობ შენ ამ ალმასს?“

თანაც მომნუსხველ თვალებს არ აშორებდა შვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითს პასუხის მიგება ეწადა, მაგრამ სითამამემ უღალატა და დადუმდა, ხოლო ელენემ განაგრძო:

„ახლა ამასა გთხოვ, შვილო, დაუყოვნებლივ გააძევო ლიპარიტის ქალი ჩემი ოჯახიდან, თორემ იგი და კუროპალატისა მელიტა შემირყვნიან იცოდე ოჯახს. შეშფოთებული არიან ლიპარიტი, კატაი და რატიცა. მე მათ წარვუდგინე ჩემი მესაწოლე და ეგ ალმასიცა. რატიმ დაამოწმა: მე ვნახეო გათენებისას ლეონ მეფის სასახლეში, თოროსან რაინდთან ერთად მიბრუნებული, მაგრამ არ უთქვამს, თუ ვინ იყო ეგ ვაჟი“.

დავითს უმძიმდა ამ ამბავის დედისთვის გამხელა, მაგრამ რა შენიშნა, დედისიმედს გაუტყდებაო სამუდამოდ სახელი, მხნეობა მოიკრიფა და თავჩაქინდრული ეუბნება დედას:

„აბა მე მოგახსენებ, დედავ ბატონო, მართალს. მე გახლდი ის თოროსანი რაინდი და ალმასების მანიაკი მე გავუწყვიტე ერისთავის ასულს“.

ელენე დედოფალს მუხლი მოეკვეთა. თვალებში აკოცა შვილს და ეუბნება:

„თუ ეგ მართლაც ასეა, ეს სათხოვარი მაინც შემისრულე, შვილო. ცოლის შემონაზვნების შემდეგ ახალი ოჯახის მოკიდება ნომოკანონითაც აღკვეთილი აქვს ყოველ ქრისტიანს. ნიშნობა ნუ შესდგება ამ წელს, გევედრება უბედური დედა“.

დავითმა თანხმობა მისცა, აკოცა ლოყაზე დედას და პირგამგუნებული დარბაზიდან გავიდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლადო ასათიანი

# რადგან ბელადი წინ მიგვიძღვება

დღეს, როცა მტრებმა შემოარღვიეს
ჩვენი საზღვრები ბილწი ხელებით,
როცა აკვნებსაც უშენენ ტყვიებს
კაცობრიობის სისხლისმსმელები,
როცა კრონშტადტის მიუვალ ყურეს
მტრის მუხანათი თვალი დაჰყურებს,
როცა ულრენენ მშობლიურ მოსკოვს
და სურთ საბჭოთა ქვეყანა მოსპონ,
უფრო მძაფრდება ჩემი სიმღერა,
ძლიერდება და რისხვით ივსება
და გამარჯვება ურყევად მჯერა,
რადგან ბელადი
**წინ მიგვიძღვება.**

დღეს, როცა მტერი უმიზნებს ლახვარს
ჩემს საქართველოს, ჩემს ახალ სახლ-კარს,
ჩემს კედელ-ყურეს — ნოხს და ხის ჩრდილებს,
პურის ყანებს და კოხტა წისქვილებს,
ჩემს სათაყვანოს — თბილისს და მოსკოვს,
და სურს საბჭოთა ქვეყანა მოსპოს, —
უფრო მძაფრდება ჩემი სიმღერა,
ძლიერდება და რისხვით ივსება
და გამარჯვება ურყევად მჯერა,
რადგან ბელადი
**წინ მიგვიძღვება.**

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ᲘᲝᲡᲔᲑ ᲜᲝᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ

*
* *

არსად წარწერა, ფერგადასული,
არსად ყვავილთა ჩუმი შრიალი,
აქ განისვენებს ერთი ასული
სახე თეთრი და ქერათმიანი.

როცა უხვევდა დაჭრილს იარას,
პატარა ტყვიამ არ შეიცოდა,
მარტო დაჭრილის მოვლა კი არა
შაშხანის სროლაც მარჯვედ იცოდა,

მაგრამ საფლავის ბინდმა დანისლა
სამშობლოსათვის დაუზარელი,
თან გაჰყვა ტრფობა მშობელ მხარისა
და ერთი გმირი პარტიზანელის.

როცა დადგება ღამე ტიალი,
ისმის ჩეხვა და ტყვიის ქარბუქი,
ტყიდან წამოვა ნაბდის ფრიალით
ხშალშემართული ერთი ჭაბუკი.

მივა, საფლავის მიწას აკოცებს,
ეტყვის მძინარეს სახედახრილი:
დღეს მხოლოდ ათი მტერი დავხოცე,
წვალ უფრო გასჭრის ჩემი მახვილი.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარიამ გარიყული

# შეგთხვევა

პატარა ქალაქში მოძრაობა შემწყდარა, — სძინავთ თუ სადღაც წასულან. ქუჩები ცარიელია და შენობები მდუმარედ დგანან. ბნელა, წვიმს.

შორიდან ყრუ გრუხუნი მოისმის, ყუმბარა სკდება, მიწა ზანზარებს და ადამიანებს ჩაყლაპვას უქადის.

ხიშტიანმა გუშაგებმა ავტო შეაჩერეს, მანქანის კარი გაიღო, სანიტარმა თავი გამოჰყო და პაროლი უთხრა.

— საბუთები? — მოითხოვა მეორე გუშაგმა და ახლოს მიუნათა ჯიბის ლურჯი სანათი.

— გეთაყვა, ნუ გვაჩერებთ, ყოველი წუთი სიცოცხლედ ღირს, — სთქვა ვილაცამ მანქანაში.

— გაიარეთ! — მისცეს გზა.

გუშაგმა თავი გაიქნია და რაღაც უთხრა ამხანაგს.

— ჰო, ცუდი ღამეა. მტრისთვის ხელსაყრელია.

— ნუ გედარდება, არც ჩვენებს სძინავთ... ჩუ! რაღაც მოდის.

— არა, წასული ავტოს მინელებული ხმაა, ვერ ატყობ, საიდან ისმის?

— ვატყობ... რა საძაგელი ღამეა!

— ჰო, წვიმს, სულ გამატანა...

— არა უშავს-რა, ჩქარა გამოგვცვლიან, კარავში გაიშრობ.

— რა დრო იქნება?

— რას დაინახავ?

— შეხედე, დაიწყეს... — მიუთითა მაღლა.

პროჟექტორების სხივებმა იწყეს თამაში. ამ სინათლეზე ნათლად გამოჩნდა, როგორი თქეშით მოდიოდა წვიმა.

— როგორ წვიმს...

— გესმის, სკდება?

— მესმის, ჩვენები არიან.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ მახლობელი მდინარის შხუილი ისმის.

— გაჩუმდნენ.

— ალბათ, შეუტიეს ჩვენებმა, თუ ეხლ... — უცბათ შესწყვიტა ლაპარაკი, სიბნელეს დააცქერდა: — ეი, ვინ მოდის? — შეუყვირა.

— სადარაჯოს უფროსი ეფრემოვი, — შორიდანვე გასცა პასუხი მოსულმა.

სამნი მოვიდნენ, საგუშაგო რაზმის უფროსმა შესცვალა გუშაგები.

---

ჩაბნელებული ქალაქი, საცა საექიმო პუნქტია მოწყობილი, ფრონტიდან სამოცი კილომეტრის მანძილზე მდებარეობს. მოძრავ ლაზარეთიდან, პირველი დახმარების შემდეგ, აქ მოჰყავთ დაჭრილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელ დარბაზში განდაგან ჩარიგებულ საწოლებს მკრთალი, ინფექციი შუქი ადგებოდა.

ფანჯრები შავი ქაღალდით არის დანიღბული. მორიგე ექიმ-ექთანი ფეხისწვერებზე დადის პალატაში, ათვალიერებს ავადმყოფებს. ამას თავზე ხელს დაუსვამს, იმას ყინულს გაუსწორებს, სხვას მაჯას გაუსინჯავს. ერთს სძინავს, მეორე შფოთავს. აქა-იქ ისმის თავდაჭერილი კვნესაც. მომვლელი თანაბრად ეზიარებს მათ სატკივარს. უნდა როგორმე ყველას შეუმსუბუქოს ტანჯვა.

მთავარი ექიმის კაბინეტში ცხელა, ჰაერი დახშულია, დიდი ლამფა ახურებს იქაურობას. ფანჯრები აქაც დანიღბულია.

ორნი არიან ოთახში. პირველი რანგის ექიმი, ზორბა ვაუკაცი, მაგიდასთან დგას, აცვია თეთრი შარვალი და უსახელო პერანგი. ცალი ფეხი სკამზე დაუდგამს. მარცხენა ხელში ჩიბუხი უჭირავს, მარჯვენა წინ გაშლილ რუკაზე დაუდვია. ძარღვიანი შუბლი, სწორი ცხვირი და გამოკვეთილი ნიკაპი ხასიათის სიმტკიცეს აძლევს მის სახეს. ჩაჰყურებს რუქას, ჩაჰკირკიტებს ყოველ ხაზს. მის პირდაპირ ტყავის სავარძელში გადაწოლილი თეთრ-ხალათიანი მეორე რანგის ექიმი გაფაციცებით შეჰყურებს და თვალს ადევნებს უფროსის სახის ნაკვთთა მოძრაობას.

მთავარმა ექიმმა რაღაცას მიაგნო. გამოხსნა ამოცანა. ჩიბუხი ხელიდან დაადგდო და სალოკი თითი ერთ წერტილს დაადო.

— არკადი ნიკოლაევიჩ, ხედავთ? აი, აქ არის ახლა მტერი.

ახალგაზრდა ექიმი ადგილიდან წამოდგა, მაგიდაზე გადიხარა, რუკას დახედა და შემდეგ უფროსს მიაჩერდა,—კითხვითი ნიშანი ალიბეჭდა მის სახეზე.

— ეს ადგილები ჩემთვის სულ ნაცნობია, — მოხაზა თითით რუქაზე. — პირველი იმპერიალისტური ომის დროს ხელდადებით მომივლია. მოძრავ ლაზარეთში ვმუშაობდი. მეოთხე კურსი სახელდახელოდ დაგვამთავრებინეს და პირდაპირ ფრონტზე გაგვისტუმრეს. ეჰ, ყმაწვილი ვიყავ მაშინ, სანიტრებთან ერთად გავიჭრებოდით ველზე დაჭრილების ასაკრეფად...

— დავით ლაზარიჩ, როგორი პირობები გქონდათ მაშინ? — შეეკითხა არკადი და ამოწეულ ლამფას პატრუქი დაუწია.

— რა მხრით? თუ მეკითხები მეცნიერულის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ახლა წინა ვართ, სადა გვქონდა ამდენი მომზადება ან ამდენი გამოცდილება? სისხლის გადასხმის თეორია სულაც არ იყო...

— ჰო, მართლა, დავით ლაზარიჩ, სისხლის მიღება იგვიანებს, პირველი ჯგუფი თითქმის სულ არა გვაქვს.

— გზაშია, ალბათ, მოატანს საცაა. — მიუგო დავითმა და შეწყვეტილი ლაპარაკი განაგრძო: — ჰო, მეკითხებოდი, პირობებიო... ეს ასე იყო, ხოლო რაც შეეხება ტექნიკურ მხარეს... — თავი გაიქნია, შეჩერდა, გონების თვალი მოავლო წარსულს.

— როგორ?

— როგორ? მაშინ წითელი ჯვარი დაზღვეული იყო თავდასხმისაგან. მტერი მას ტყვიას არ დაუშენდა. ერთი-ორი შემთხვევა მოხდა, ლაზარეთს ესროლეს. იმ ამბავმა ევროპა ააყვირა: საერთო კანონი დაარღვია გერმანიამ. ერთი მედიცინის დაც რომ გამოჩენილიყო ველზე დაჭრილების ასაკრეფად, არ ესროდნენ. დღეს კი, ეშმაკმა იცის მათი თავი, რას სჩადიან! წარსული საუკუნე-

ების ბარბაროსობა დაჩრდილა ჰიტლერის ბარბაროსობამ... — ლაპარაკი შეწყვიტა, ყური მიაპყრო ძალიან შორიდან მომავალ გრუხუნს. — გესმით?

— როგორ არ მესმის...

— არც დღეა და არც ღამე მაგათთვის... ჰო, იმას ვამბობდი: ეს მტერი ახლა აქ არის. ხედავთ?—და უჩვენა ერთ ხაზზე. — თუ ჩვენებმა აქ ხაზი გაარღვიეს, ნაწილი ზურგში მოექცევა მოწინააღმდეგეს და იქიდანაც დაარტყავს. ტომარაში მომწყვდეული მტერი განადგურდება.

— თუ ვერ გაარღვიეს? —შეეკითხა არკადი.

დავითმა მხრები აიწია:

— არა, უსათუოდ გაარღვევენ. ამ ადგილებში ყოველთვის მარცხდებოდა მტერი, მით უმეტეს დღეს დამარცხდება... ეჰ, ვნანობ, რატომ ექიმი გამოვედი და არა მეომარი!—დაჰკრა ხელი მაგიდას.

არკადი შეკრთა და უკან დაიწია.

— რამ შეგაშინა, შე კაცო, ყუმბარა ხომ არ გახეთქილა?— ღიმილით უთხრა.—არა, მართალს გეუბნები. გული იქითკენ მიმიწევს, იქ მეტს გავაკეთებდი. უშიშარი ვარ და განსაცდელში სწრაფად მუშაობს ჩემი გონება, ათას გამოსავალს ვიპოვნი... კიდევ... თუ იქ ვყოფილიყავ... იქნებ ჩემს ბიჭსაც შევყროდი სადმე, — სთქვა გულდაწყვეტით და თვალებში სევდამ გაურბინა.

ახალგაზრდა ექიმმა თანაგრძნობით შეხედა.

— დავით ლაზარიჩ, დიდიხანია არა გაქვთ ვაჟისაგან ამბავი?

— ცოლმა მაცნობა, მეხუთე დღეს მიეღო დეპეშა, მერე აღარა ვიცი-რა...

არკადი შეეცადა განეფანტა დარდი უფროსი ექიმის სახიდან და შეეკითხა:

— მაშ ძალიან გინდოდათ უშუალოდ მიგეღოთ ბრძოლაში მონაწილეობა?

— ძალიან... — მუშტი მომუჭა, რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს კარი გაიღო და მედიცინის უფროსმა დამ შემოჰყო თავი:

— დავით ლაზარიჩ, დაჭრილები მოიყვანეს, — მოახსენა და გაბრუნდა.

ახალგაზრდა ექიმი სწრაფად წამოდგა და კარებისაკენ გაემართა. მთავარი ექიმი იმავე მდგომარეობაში დარჩა, მერე თანდათან გაშალა მომუჭნული მუშტი, ჩიბუხი აიღო და კვლავ რუქას მიუბრუნდა. დავითმა იცის, რომ მისი მოადგილე ყველაფერს გააკეთებს: ავადმყოფებს გასინჯავს, მსუბუქ ჭრილობებს მოუვლის და ყველას ადგილს მიუჩენს. თუ რთული რამე იქნება, მაშინ მიუხმობს მთავარ ექიმს.

დავითი ღრმად განიცდის ომის დღეებს; „დაჭრილები მოიყვანესო“, რომ მოახსენებენ, მოთმინება აღარა ჰყოფნის, უნდა რაც შეიძლება ჩქარა დახედოს ავადმყოფებს, მაგრამ თავს იკავებს, პირად შიშს არ ამჟღავნებს, სამაგიეროდ ყალიონს ისე აბოლებს, როგორც ორთქლმავლის მილს მემანქანე. თამბაქოს კვამლში ეხვევა და უნდა გონების თვალიდან მოიშოროს საყვარელი არჩილის სახე, რომელიც ვითომ სისხლში მოსვრილი დაუდეს წინ. „ოჰ!“ — ამოიოხრებს, თავს გაიქნევს და შემაძრწუნებელ ფიქრებს გაჰფანტავს. მიიხმობენ ავადმყოფთან, მივა, იმუშავებს თავაუღებლივ, ლომივით იბრძოლებს, გაჰკვეთს, გასჭრის, გაჰკერავს, მორჩება საქმეს და დაბრუნდება კაბინეტში. ასე მიდის დღეები და ამ მღელვარებაში ჩამოხმა ძვალმსხვილი ვაჟკაცი.

— დავით ლაზარიჩ, მობრძანდით, — მოახსენა მედიცინის დამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითი ადგა, თეთრი ხალათი ჩაიცვა, შეეერცხლილ გრუზა თმაზე საექიმო თეთრი ტილოს ქუდი ჩამოიცვა და გაჰყვა დას.

— რამდენია?

— სამი. ერთს არა უშავს-რა, ორის მდგომარეობა კი საშიშია, — ეუბნება და და გვერდით მისდევს.

საოპერაციო ოთახის კარებთან საველე მედიცინის და შეხვდა. ქალს ხალათი ტალახითა აქვს მოსვრილი. ვაუკაცურ გულ-მკერდს საპატიო ნიშნის ორდენი უმშვენებს. წინ გაუჩერდა დავითს და მხედრული სალამი მისცა.

დავითს არ უყვარს, როცა ოპერაციის წინ ვინმე ფეხებში ებლანდება. უნდოდა გზა აექცია, მაგრამ ქალმა დაასწრო:

—ამხანაგო უფროსო ექიმო! გთხოვთ ნება დამრთოთ დავესწრო ოპერაციას.

დავითი შედგა, შეხედა ქალს, უკმაყოფილო სიტყვა პირზე შეაშრა და თითქმის მოკრძალებით უთხრა:

— ამხანაგო დავ, თქვენ ხომ იცით, უცხო პირის საოპერაციოში შეშვება არ შეიძლება.

— ამხანაგო ექიმო, უცხო არა ვარ, ერთი მათგანი ხუთი კილომეტრის მანძილზე მტრისავე მოტოციკლეტით გამოვიტაცე. მოკვდებოდა... გთხოვთ დამრთოთ ნება, მე მხოლოდ მის ოპერაციას დავესწრები, — სთქვა და მაგრად მოკუმა ტუჩები, რათა მწუხარება დაეფარა.

— თქვენი საგუშაგო? — შეეკითხა ექიმი ოდნავ წარბშეხრით.

— ამხანაგს დავუტოვე. დილით გავბრუნდები.

დავითს გულში პატივისცემა აღეძრა ამ ვაუკაც და საქმით გატაცებულ ქალისადმი. უცბად დაუთმო.

— მოართვით ხალათი!—მიუბრუნდა უფროს დას და წავიდა ქირურგიულში. შესვლისთანავე ხელის ბანას შეუდგა.

არკადი მიუახლოვდა. წეღანდელი ამხანაგური იერი აღარ არის. უფროსის წინ თანაშემწე წარსდგა.

— ჰა? — ჩვეულებრივად შეეკითხა დავითი.

— ვფიქრობ, ერთს ფეხის მოკვეთა დასჭირდება. მუხლი აქვს დაჩეჩქვილი.

— მეორეს?

— მუცლის ქვედა არე სტანჯავს. ვფიქრობ, მთავარი ნაწლავია გახეული.

— პირს აღებინებს?

— დიახ.

— შემოიყვანეთ!

შემოაგორეს მაღალ ბორბლებზე დადებული საკაცე. დაჭრილი სადოსტაქარო მაგიდაზე დააწვინეს.

დავითი მივიდა, ჯერ დახედა ავადმყოფს, მერე გულდასმით გასინჯა.

— მართალი ხართ,—უთხრა თანაშემწეს. ისევ მივიდა ხელსაბანთან და ხუთ წუთს კიდევ იბანდა ხელებს. — ადგილობრივი ანესტეზია, — სთქვა და უფროსი დის მიერ მიწოდებულ ხელთათმანებში გაუყარა ხელი.

ავადმყოფს მუცლის არეში გაუკეთეს ნემსი. ტკივილების გამაყრუებელი წამალი მისცეს.

დავითი ავადმყოფთან მივიდა.

— სკალპელი!

უფროსმა დამ დანა მიაწოდა. ქირურგმა იოდით გაწმენდილ ადგილზე გაჰკვეთა რბილი ქსოვილი, სისხლმა გამოყონა.

— ფირფიტი!

დამ სტერილიზებული დოლბანდის ფირფიტი მიაგება. ექიმმა სისხლი მოსწმინდა და საქმე განაგრძო: ჭრილობას სიგრძე-სიღრმეს ვძლევდა. სისხლში მოსვრილი თეთრი ფირფიტები თოვლის ფანტელებივით სცვივა ძირს დადგმულ თასში.

— პინცეტი!

დამ მიაგება საქირურგო მაშაკი. ქირურგმა ფრთხილად ამოსწია ნაწლავები, მუცელზე დაალაგა ავადმყოფს და შეუდგა დაზიანებული ადგილის ძებნას.

— ეს არა, არც ეს... არც ეს... აა, სად ყოფილა! — ერთმანეთში გადახლართული ნაწლავები ფრთხილად გადააბრუნა და ნელა, სულის შეოკებით გამოჰყო გახეული ნაწლავი. დამ მიაწოდა ცხვრის ნაწლავისაგან გაკეთებული ძაფი, დავითმა ერთიმეორეს გადააკერა ნაწლავი, გაასუფთავა, ნაწლავები კვლავ მუცლის ღრუში ჩასდო და ჭრილობა ყრუდ დახურა. ოპერაციამ საათსა და ოც წუთს გასტანა. ყველა დაიღალა. დაიღალა დავითიც. ხელთათმანები გაიხადა, ოფლი მოიწმინდა, — უნდა სული მოითქვას, კიდევ მოელის ოპერაცია. გვერდით, პატარა ოთახში გავიდა, ოდნავ ჩაიმუხლა, პაპიროსი ნახევრამდის მოსწია და კვლავ საოპერაციოში გავიდა. მეორე დაჭრილიც მოეყვანათ, გული წასვლოდა.

საველე დამ მოახსენა: ხშირად ჰკარგავს გონებასო.

— ბევრი სისხლი აქვს დაკარგული, ექიმო, და ამ მდგომარეობიდან გამოყვანა ესაჭიროება, — უთხრა გაუბედავად.

„მეტიჩარაა!“ — გაიფიქრა დავითმა დაზე და შუბლის კოპები შეყარა.

— მაჯა როგორი აქვს? — ჰკითხა არკადის.

— ძალიან სუსტი, ძლივს ისმის.

— სისხლი მიეცით!

— წეღან მოგახსენეთ, მესამე და მეოთხე ჯგუფი გვაქვს მხოლოდ.

— ამხანაგო უფროსო ექიმო! დაჭრილი პირველ ჯგუფს ეკუთვნის, ჩემი სისხლიც პირველისაა, აიღეთ, მივსცემ. — უთხრა მომყოლმა დამ და დავიფს თვალებში შეხედა.

ახლა ყველამ მიაქცია ქალს ყურადღება.

— თქვენ ხვალ მძიმე სამუშაო მოგელით და არ შეიძლება, — უთხრა დავითმა.

— ბევრი მაქვს სისხლი, ექიმო!

— არ შე-იძ-ლე-ბა!.. — ნაწყვეტ-ნაწყვეტად უთხრა. ცოტა მკაცრად მოუვიდა და შეასწორა: — დაჭრილი ნაცნობია თქვენი?

— დიახ, ვიცნობდი!

— ვინ არის?

— მფრინავია.

დავითს თითქოს ცხელი წყალი გადაასხესო, მთელი ტანი აეწვა. ჰაერი ღრმად შეისუნთქა.

— მფრინავი? — იკითხა, ხელთათმანებში ხელები გაუყარა და ახლოს მივიდა დაჭრილთან.

ავადმყოფს დატანჯული სახე ჰქონდა. დავითი დაიხარა, დააკვირდა.

— უუუ! — რაღაც საზარელი ღმუილი აღმოხდა გულიდან და უკან დაიხია. შენათვისები მოქმედებით ხელთათმანი აარიდა რისიმე შეხებას. მკლავი მოიმარჯვა, თავით ზედ დაეყრდნო და გაყრუვდა. ცეცხლის რგოლები შე-

მოესალტა ტანზე და დაატყვევა. მაგრამ წუთიერი იყო ეს თავდავიწყება. სამხედრო ქირურგი მყის მოვიდა გონს, თავი აიღო და დაიძახა:

— მოსწიეთ მეორე მაგიდა! ჩქარა! ჩემი სისხლი მიეცეთ დაჭრილსა!

იქ მყოფთ ერთმანეთს გადახედეს — რა იყო, რა მოხდაო. მართალია, გაჭირვების დროს ექიმს მრავალჯერ მიუმართავს ამ საშუალებისათვის, მაგრამ რამ ააღელვა ასე მუდამ დინჯი და აუჩქარებელი დავითი, გაიფიქრა ყველამ.

პირველს მეორე საოპერაციო მაგიდა მიადგეს.

— ჯგუფი? — კვლავ გაუბედავად იკითხა საველე დამ. შიში და მოკრძალება ისმოდა მის ხმაში.

დავითის სულს ესალბუნა ეს კილო, გულში რაღაც გადუტრიალდა.

— პირველი ჯგუფისა ვარ, ყველასათვის მარგი, — დაიმედებით გასცა პასუხი. ხელთათმანები დას დაუბრუნა, სახელო დაიმკლავა და თავისუფალ მაგიდაზე წამოწვა.

სადოსტაქროში ყველანი ამოძრავდნენ, ორივე მკლავს ლახტი გადაუჭირეს, ორივე გასწმინდეს და შპრიცი დაადეს. სისხლის გადამღებმა აპარატმა ორი კაცი გადააბა ერთმანეთს, — ერთის ვენიდან მეორეში საღი სისხლი გადადიოდა.

— კმარა! ხუთასი გრამი იქნება, — სთქვა არკადიმ. მსხვილნემსიანი შპრიცები ერთსა და იმავე დროს ააძვრეს ორივე მკლავს. ნაჩხვლეტ ადგილს მარლა შემოახვიეს, და დავითი წამოდგა.

— ახლა? — შეეკითხა არკადი.

— სამი წუთი შესვენება! — ისევ დაიბანა ხელები, ხალათზე ხალათი ჩაიცვა, ავადმყოფთან მივიდა, გასინჯა. მუხლი მთლად დაჩეჩქვილი ჰქონდა. არაფრით აღარ შეხორცდებოდა. ორგანიზმის მოწამვლა იწყებოდა.

სახე ქვასავით გაუხდა დავითს. ხელები დას გაუშვირა, ხელთათმანი გახადეს და მესამე წყება ჩამოაცვეს. თავის გაქნევით ანიშნა, — ნიღაბიც გამოუცვალეს.

— ნარკოზი! — სთქვა დავითმა.

დაჭრილს ნიღაბი დაახურეს, ზედ ნოვოკაინი დაასხეს. ავადმყოფს ცხვირი დააცემინა. ტკივილი იგრძნო, უნდა დაიკრუნჩხოს, ხელ-ფეხი დაუკავეს.

— ერთი, ორი, სამი! — ითვლის და ავადმყოფის მაგივრად.

დაეძინა.

ხელსაწყოს მაგიდას მიუმატეს ხერხი, დიდი დანა და ჩაქუჩი. რაც დასჭირდება ქირურგს, იმას იხმარს.

დავითს ცალი თვალი გვერდზე გაექცა, — უნდა სახეზე შეხედოს, უნდა ერთხელ შეავლოს თვალი. მაგრამ თავს ძალა დაატანა და არ გაიხედა. კვლავ ღრმად შეისუნთქა ჰაერი, ქვედა ტუჩს კბილი დააჭირა და რბილ ადგილს დანა დაუსვა. სისხლმა სჩქეფა. ააშრეს ფირფიტებით. ქირურგი თავის საქმეს განაგრძობს.

ყველა ატყობს, რომ დავითი არაჩვეულებრივად ჩქარობს, ნერვიულობს, თავს ძალას ატანს... შიშით გადახედავენ ხოლმე დები ერთმანეთს.

პირიქით, არკადის თითქოს დავითის წინანდელი სიდინჯე გადაედო, ავტომატივით მოქმედებს.

მიაგება დავითს ხელში ხერხი. დავითმა ერთი დახედა ფოლადის კბილებს,

გამიწევენ თუ არა სამსახურსო და გაუსვა. ძვალი აწივლდა. დავითს ხერხემალში რაღაცამ დაჰკრა, დააზრიალა და მოშალა კაცი. სახე გაუთეთრდა, თვალები გაუფართოვდა... გათავდა, გადახერხა მარჯვენა ფეხი. აბა ვეღარ იფრენს მისი არჩილი, ვეღარც ირბენს. არა ჩივის ამას დავითი, ოლონდ ცოცხალი დაურჩეს.

— სპირტში! — უთხრა დას ყრუდ და ფეხი მიაწოდა.

მუშაობა არ შეუწყვეტია. ბარკლის ყველა ვენას სათითაოდ გადაუჭირა კედგუტის ძაფი, შესწყვიტა სისხლის დენა. ოფლიანი შუბლი მახლობლად მდგომ დას მიუშვირა, — მოსწმინდეს დოლბანდით.

— გააღვიძეთ! — სთქვა. ხელთათმანები აუზში ჩაჰყარა, ხალათი კალათზე მიაგდო, კარებს ზურგით მიეყრდნო. უყურა, როგორ გადააწვინეს საკაცეზე... საშინელი სისუსტე იგრძნო, გატრიალდა და ბარბაცით წავიდა კაბინეტისაკენ. გზაზე ფეხისხმა შეესმა, მიიხედა, არკადი მისდევდა უკან. დავითმა ხელები აუქნია.

— გეთაყვა, გთხოვ, იქ იყავ, ნუ მოშორდები!

არკადი გაბრუნდა. დავითი კაბინეტში შევიდა, ძლივს მიატანა სკამამდე, ჩამოჯდა, თავი მაგიდაზე დააყრდნო და აქვითინდა. უნდოდა ტირილი შეემაგრებინა, მაგრამ ვერ ახერხებდა. განიერი ბეჭები ვერხვის ფოთოლივით უთრთოდა. მაინც დასძლია მწუხარება, წყლის სურას გადაწვდა, ხელის კანკალით ჭიქაში ჩაისხა წყალი, მაგრამ დალევა ვერ მოახერხა. დივანზე გადაჯდა. ახლა ყალიონს დასწვდა, მაგრამ ვერც ის აიღო, — თავი გულზე დაეკიდა და ჩაეძინა.

---

მთვლემარე დავითს ჩაესიზმრა: წელან მოჭრილი ფეხი ხელში ეჭირა. უეცრად გაუვარდა, შეკრთა და გამოეღვიძა. სახეზე ხელი მოისვა, გამოერკვა, ოცი წუთის ძილს ძალა მოემატებინა, გამაგრებულიყო. წამოდგა. საჩქაროდ შეისხა პირზე წყალი. ახალი ხალათი ჩაიცვა და ჩქარის ნაბიჯით გასწია. საერთო პალატა გაიარა. ნელა, ფეხაკრეფით მიდიოდა. ერიდებოდა ავადმყოფების შეწუხება. მედიცინის მორიგე დას ჰკითხა: სად დააწვინეთ, ნაწლავი რომ ამოვჭერითო. მორიგე და გაჰყვა. ცალკე ოთახში მწოლარესთან არკადი იჯდა და გაზეთს ათვალიერებდა. დავითის შესვლაზე წამოდგა.

— მშვიდად სძინავს... მასთან ეხლა ვიყავი. იმასაც სძინავს.

დავითმა თავი დაუქნია და წავიდა, შევიდა, საცა არჩილი იწვა. ლოგინთან საველე და იჯდა. ხელში ავადმყოფის მაჯა ეჭირა. ექიმის შესვლაზე წამოდგა. დავითმა მაჯა ჩამოართვა.

— როგორ გრძნობს თავს?

— ბოდავს!

— ტემპერატურა?

— უმატებს...

ავადმყოფი პირს აცმაცუნებდა. რაღაც უნდა ეთქვა, სიცხეს ტუჩები გაეფიცხებინა.

დავითმა თავზე ხელი დაადო, თვალები მოხუჭა და თავისთვის რაღაც ჩაჩურჩულა.

— თუ შეიძლება ყინული უბრძანეთ.

ქალი მაშინვე გავიდა ოთახიდან.

დავითი სწრაფად დასწვდა, დაუკოცნა სახე, თმა, ხელები. ფეხისუნმა რომ გაიგონა, წელში გასწორდა.

— მადლობელი ვარ თქვენი. პირდაპირ თქვენ იხსენით... — მიმართა ქალს.

— მე რა? — შეიშმუშნა დამ მხრები.

— არა, არა.. თქვენმა სიგმირემ იხსნა, თორემ სადღაც ჩამიკვდებოდა.

ქალმა გაკვირვებით შეხედა.

— თქვენი თავდადების წყალობით...

— ჩვენი მოვალეობაა, — უპასუხა დამ, სახეზე წამოწითლდა და თავი დახარა.

დავითმა განსაკუთრებული სინაზით შეხედა და ნათესაური სიახლოვე იგრძნო ქალისადმი.

— თქვენი სახელი?

— გალინა ოსტროვა!

დავითი აღარ მოშორებია დაჭრილის საწოლს. როდესაც გათენდა, ფანჯრები გააღეს. წუხანდელ თქეშს გადეღო და ზაფხულის კაშკაშა მზე დაქათქათებდა ქვეყანას. ოთახში შემოჭრილი სინათლე თავზე დაადგა არჩილს. მზემ თვალი გაახელინა. ჯერ მედიცინის დას შეხედა, ვერ იცნო, თითქოს კიდეც გაუკვირდა — სადა ვარო, მერე ექიმს გადახედა და ხანგრძლივად დააშტერა თვალი. დავითმა გაუღიმა და ამ ღიმილში მთელი თავისი ბედნიერება გამოხატა. თითებზე ოდნავ ხელი მოუჭირა და თავის გაქნევით აგრძნობინა — წყნარად იყავიო.

— მამა! — ჩაიჩურჩულა არჩილმა და წამოწევა დააპირა.

დავითმა ხელი მიაშველა, თავი ნელა დაადებინა ბალიშზე.

— მამა! — კიდევ ძლივს გასაგონად დაიჩურჩულა არჩილმა და თვალები დახუჭა.

— ჩემო ბიჭიკო, ჩემო საყვარელო შვილო!... — დაემხო დავითი და ხელზე აკოცა.

გალინას ფართოდ გაეღო თვალები და გაოცებული მისჩერებოდა მათ.

— ჩემი ვაჟია!

— ვაჟი?!

— დიახ, ვაჟი. შემთხვევამ შეგყარათ თქვენ; ჩვენ ამას ბედს ვეძახით, — უთხრა, ცალი ხელი შვილის თავზე ედვა, მეორე ხელი მადლობის ნიშნად მედიცინის დას გაუწოდა და გაუღიმა.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**კლიმენტი გოგიავა**

# ღრუბლებში

## I

### ეჯვი

მოდის, მოშხუის ტალღათა მთელი ჯარი და ნაპირს დაჯახებული წყლის წვეთები ეშხეფებიან მიდამოებს... დღეს კარგი ამინდია, მობანავეთა ფერადი ქოლგები, სოკოებივით გამრავლებულნი, ჩასცქერიან მიწას.

თინა გვილავას უკვე უბანავნია. ახლა ზღვას მოშორებული ბუჩქს მისდგომია და ჩაშაქრულ მაყვალს ჰკრეფს. იქვე ახლო მდგომი ამხანაგი ქოლგის ქვეშიდან ულიმის და დამცინავად ეუბნება:

— გადაყევი მაყვლის კრეფას, თითები არ დაიჩხვლიტო, ისიც გეყოფა, რომ გული... აჰა, ვახსენე და აი კიდევაც მოგრიალდა, — ქალმა ცას შეხედა, მაგრამ მზემ თვალები აუბრჭყვიალა და ისევ ქოლგას შეაფარა თავი. ცაზე ჯერ ერთი თვითმფრინავი გამოჩნდა, შემდეგ მრავალი. მათი ჩრდილები ქვიშასა და ზღვაზე ისე დარბოდნენ, თითქოს ერთმანეთს დასაჭერად დასდევენო.

თინამ მაღლა აიხედა.

— თინა, ცაში რა დაგრჩენია? იმას, შენი არ იყოს, მაყვალი ძალიან უყვარს, თუმცა შენსავით არ იცის, რამდენი ვიტამინია მასში. მაგრამ შენს დაკრეფილს, ხომ იცი, როგორ მიირთმევს. ჰო-და, მეც წამოგეშველები და ვკრიფოთ და ვკრიფოთ მაყვალი. — ამ სიტყვებზე ქალმა ქოლგა განზე გადასდო და ბუჩქებში შევიდა. — აბა, თინა, თითები არ დაიჩხვლიტო. ისიც კმარა, რომ გული...

— კარგი, თუ და ხარ, გადაჭარბებული არაფერი არ ვარგა! — გაჯავრდა თინა და ზურგი შეაქცია ამხანაგს.

— თინიკო, ახლა რომ ზურგი შემომაქციე, როცა გათხოვდები, ალბათ, სულაც არ შემომხედავ.

თინას გაეცინა და ისევ მიუბრუნდა ამხანაგს, რომელმაც გულდაწყვეტით უთხრა:

— კარგი, რადგან გეწყინა, აწი არაფერს აღარ გეტყვი, ვკრიფოთ და ვკრიფოთ მაყვალი...

თინა მსხვილსა და შავ მაყვალს ჰკრეფდა და მაყვლებივითვე შავი თვალებით ხშირ-ხშირად აიხედავდა ხოლმე მაღლა. წარბებიც შავი ჰქონდა, მათ ქვეშ მოციმციმე თვალები სიყვარულის ცეცხლს აფრქვევდნენ. ამ ცეცხლის ნაპერწკლებით ეწვოდა გული და ამჟამად სახესაც მისი ნათელი გადაჰფენოდა.

— წავიდეთ, თინა, გვეყოფა ამდენი მაყვალი.

— წავიდეთ.

და თინამ ერთხელ კიდევ აიხედა ზევით, სადაც თვითმფრინავები დანავარდობდნენ.

— არა, რად უნდა წავიდეთ, საცაა ჩამოეშვებიან... რად გვინდა ამდენი მაყვალი, დავისვენოთ.

ბუჩქს მოფარებულნი მწვანეზე დასხდნენ.

*
* *

თინა გვილავამ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი ფრიადზე დაამთავრა. თავისი წარმატებით გამოწვეული სიხარულის ცეცხლთან ერთად მას სიყვარულის ტრფიალიც მოედო გულზე და უფრო ამაღლდა და აიწია ცხოვრებაში. იგი ასპირანტად დარჩა, ხოლო წელს, ზაფხულს, თავისი სამშობლო ქალაქის საავადმყოფოში გაგზავნეს ექიმად.

როცა პალატას შემოივლიდა, თუ მშვიდობა იყო და ვინმეს ამ ქვეყნის გამოსალმება არ მოელოდა, დამშვიდებული და გულსავსე შევიდოდა თავის კაბინეტში და ოცნებათა მორევში ისე შეცურდებოდა, რომ ვერც კი გრძნობდა, როგორ აწვებოდა ფანჯარას ღამე და ძილი იყო საჭირო.

თინას ოცნება შორს მიდიოდა და გავლილ მანძილზე სილამაზის შუქსა ჰფენდა. ამ სილამაზეს იგი ძალიან განიცდიდა.

ახლაც ამ ბუჩქის ძირას, ამხანაგის გვერდით, იგი მარცვალ-მარცვალ იდებდა პირში მაყვალს და თან ოცნებობდა. მისი გამხიარულებული ამხანაგი კი მაყვლის ბუჩქიდან თეთრი ღრუბლის რომელიღაც ნაფლეთს შესცქეროდა.

თითქოს თვითმფრინავებს ღრუბლები დაუგლეჯიათ და ნაფლეთები ცვივაო, ისე წამოვიდნენ პარაშუტისტები ციდან, და მობანავეებიც აიშალნენ. სასწრაფოდ ტანთ ჩაიცვეს. ზოგმა სახეზე ხელის მოჩრდილებით, ზოგმაც თვალების მოჭუტვით ახედა მოქანავე პარაშუტისტებს. „აქ დაეცემა“, „არა, იქ“, — იძახდნენ მოუთმენლად და თან ნაპირიდან მინდვრისაკენ მიიჩქაროდნენ.

თინა ადგილიდან არ იძროდა, ხოლო მისი ამხანაგი ქალებს წინ გადაუდგა:

— შინ არ მოდიხართ? — უთხრა მათ. — აქ რა დაგრჩენიათ? პარაშუტისტები უთქვენოდაც დაეშვებიან.

— ჰო, მართლა, წავიდეთ, ქალებო, საცაა მზე ჩავა და მერე გზა გაგვიძნელდება.

— საინტერესოა, ვნახოთ, როგორ დაეშვებიან! — სთქვა ერთმა და თინასთან მიირბინა. — თინიკო, რას შემძვრალხარ მაგ ბუჩქში? ადე, ნახე!

ამ დროს მათ ახლოს პარაშუტისტი დაეშვა, მაშინვე დაიძახა:

— თინა!

მას ჯერ კიდევ ხასხასა აბრეშუმის ქოლგა ზევით ეწეოდა. როცა ქოლგა საიმედოდ დაკეცა, თინას მიუახლოვდა და მოკრძალებული ღიმილით მიესალმა.

თინას ამხანაგმა აქ თავისი თავი ზედმეტად ჩასთვალა და ქალებისაკენ გაეშურა.

ზღვა ისევ აშხუილებდა ტალღებს, ხოლო მის ნაპირზე ქოლგებივით ჩამწკრივებულ ბუჩქებს ნიავი საზეიმოდ აშრიალებდა.

რაზმის უფროსის დაძახილზე პარაშუტისტებმა ერთ ადგილას მრიყარეს თავი და შემდეგ წესისამებრ ორ მწკრივად დადგნენ.

მარტოდ დარჩენილმა თინამ ზღვას გადახედა, თითქოს გამოსამშვიდობებელი სიტყვა უნდა უთხრასო, მერე შინისაკენ წავიდა. მაგრამ მალე მას ის პარაშუტისტი დაეწია, — ზურგიდან მიეპარა და თვალებზე ხელი ააფარა.

— ვანო, გეყოფა! — ღიმილით უთხრა ქალმა და ვაჟის ხელებისაგან თავი გაინთავისუფლა.

ისინი უკვე დიდ ქუჩაზე გავიდნენ. ქუჩის ორივე ნაპირას ჩამწკრივებულ ევკალიპტებს ქარი ისე აქანავებდა, თითქოს სადღაც მიერეკებაო.

თინა უგუნებოდ არ იყო, მაგრამ რატომღაც სითამამე დაჰკარგოდა, საუბრის გაბმას ვერ ახერხებდა... ვანო კი განსაკუთრებულ ენამახვილობას გრძნობდა დღეს. ისინი მხრებით მიჰკვროდნენ ერთმანეთს. როგორც ბავშვები, ისე ტკბებოდნენ.

— მაშ ასე, შენ გინდა მაინცა და მაინც ასპირანტურა დამთავრებულმა იქორწინო? რა ვქნა, გეთანხმები... იქნებ ასე სჯობია.

— დიაღ, სჯობია. ოჯახს თავისუფლება უნდა. ახლა ვმსახურობ, ვსწავლობ, წიგნებს ჩავკირკიტებ, მოცლა, მოცლა არა მაქვს. რამდენიმე თვეა დამრჩენია. დისერტაციას რომ დავიცავ, მერე მოვიცლი სიყვარულისთვისაც და შენთვისაც... ჰო, მართლა, მითხრეს, რომ შენ თურმე მფრინავ ქალებში ერთობი...

— არაფერიც... კარგად ვერ გაგიგია.

— თავს ნუ იკატუნებ, ყველაფერი კარგად ვიცი, — უპასუხა დაღონებულმა თინამ...

— ყველაფერი თუ იცი, ისიც გეცოდინება, რომ ჩვენი მფრინავი ქალები მეტად საინტერესონი და თავისებურნი არიან.

— მეტად საინტერესონი, მეტად თავისებურნი... რატომ? ყველა ადამიანი თავის-თავად საინტერესოა, მაგრამ გააჩნია — ვინ როგორ და ვინ ვისთვის.

თინას ხმაში ჟღერდა რაღაც სიცივე და სიმკაცრე, რომელიც ეჭვით იყო გამოწვეული. მან მარჯვენა ხელი, ვანოს რომ მოკრძალებით ეკავა ხელში, გაინთავისუფლა და თუმცა ძალიან დაწყობილი ჰქონდა თმა, მაინც გადაისვა ხელი, გაისწორა და ცოტა აუჩქარა ნაბიჯს, რითაც აშკარად აგრძნობინა ვაჟს თავისი უკმაყოფილება.

ისინი ბაღს მიადგნენ. დღე თანდათან ჰკარგავდა თავის ფერს და ღამე მკვიდრდებოდა. ვაჟმა დაღლილობა მოიმიზეზა და ქალს სთხოვა, ცოტა ხნით ბაღში შევიდეთო.

— არა, შინ მეჩქარება, პირი უნდა დავიბანო, მარილიან წყლისაგან მეწვის. თანაც რა დროს ბაღია? ღამდება!

თინას უკანასკნელი სიტყვა ელექტრონის შუქმა შეაწყვეტინა. ბაღი განათდა და მათ წინ ამართული მაგნოლიის ხის ტოტზე ჩაძინებული ჩიტი შეფრთხიალდა. ვანო პირველი შევიდა ბაღში და კარების იქიდან გამოსძახა ქალს:

— შემობრძანდით, დღეს ბაღში შესვლა უფასოა.

უცებ სასულე ორკესტრმაც გამომწვევად დაიგუგუნა და თინა ნელა, უგულოდ შევიდა ბაღში, და იმის დასამტკიცებლად, რომ ზღვის მარილიან წყლისაგან სახე ეწვოდა, ლოყებზე ორივე ხელი მიითათუნა და მეწვისო, დაუმატა.

ისინი პალმის ქვეშ მოქსოვილ სკამში ჩასხდნენ. ელექტრონის შუქზე პალმის ფოთლების ჩრდილი მიწაზე სამათხოვროდ გაშვერილი ხელივით კანკალებდა. მათ წინ ამაღლებულ ადგილზე სჩქეფდა შადრევანი, ... ბუზის ირგვლივ ნაირნაირ ყვავილებს წყლის შხუილი აქანავებდა. ... ნაძალადევი მოძრაობით საამო სურნელი იფრქვევოდა ირგვლივ.

ბაღში დასეირნობდნენ. შადრევნის გვერდით ელექტრონით გავარვარებულ მოედანზე სასულე ორკესტრი უკრავდა, რომელსაც გულდასმით უსმენდნენ ყვავილებთან მდგომი ახალგაზრდები, ყვავილებივითვე რომ უღვივოდათ სახე. შესწყდებოდა მუსიკის ხმა თუ არა, თითქოს ფოთლებს უეცარმა ქარმა დაუქროლაო, ისე აშრიალდებოდნენ გოგო-ბიჭები.

მოედნის წინ და შადრევნის ირგვლივ შეჯგუფებულ მოსეირნეებიდან ვიღაცამ, უეჭველად თამამმა და მხიარულმა მამაკაცმა, თავისი ბოხი ხმით დაიძახა:

— ვალსი, ვალსი!

და იმ წამსვე ორკესტრმა ვალსი დაუკრა. მოსეირნეებმა მიიწ-მოიწიეს და დიდი წრე შემოფარგლეს. თითო-თითოდ გამოვიდნენ მამაკაცები, შემდეგ ქალები. ჯერ მორცხვად დაიწყეს, მაგრამ თანდათან გათამამდნენ, აენთნენ, და ცეკვა გახურდა. ხან დინჯად და ხან თავბრუდამხვევად ტრიალებდნენ მხიარული წყვილები.

მათმა მხიარულებამ თინა და ვანოც აღაგზნო და ისინიც შეუერთდნენ მოთამაშეებს.

წრის რამდენჯერმე შემოვლის შემდეგ თინას წინანდელმა ეჭვმა გაურბინა გულში და თუმცა ხუმრობის კილოთი, მაგრამ მაინც დამცინავად უთხრა ვანოს:

— მფრინავ ქალებთან უკეთ იცეკვებდი, არა?

— ამდენს ვტრიალებთ ამ სუფთა ჰაერზე და ეჭვი მაინც არ გაგეფანტა?

— ეჭვი კი არ მალაპარაკებს ამას, არამედ... ჰო კარგი, კარგი, ხელი გამიშვი, გვეყოფა, თავბრუ დამესხა.

ისინი წრეში ჩადგნენ, რომ სხვების ცეკვისათვის ეყურებინათ. წრეში მდგომთა შორის ვანოს ის უპირატესობა ჰქონდა, რომ იგი ყველაზე მაღალი იყო და ზევიდან დაჰყურებდა მოცეკვავეთ. მათ შორის შენიშნა მფრინავი ქალი გერსამია, რომელიც ორ წელიწადზე მეტია არ უნახავს და მოინდომა დაეძახნა მისთვის, მაგრამ თინასი მოერიდა, ვაი თუ სხვანაირად ჩამომართვასო. ამ ფიქრებში იყო გართული, როცა საცეკვაო მოედნიდან გამოქცეული გერსამია პირდაპირ კისერზე ჩამოეკიდა ვანოს.

— ვალოდია, არა გრცხვენია, ორი კვირაა აქა ვარ და ერთხელაც არ მინახულე?! ასე უნდა მეგობრობა, ამხანაგობა?!

გერსამია როგორც ჰაერში, ისე ამხანაგებში ძალზე თამამი იყო, მეტადრე მფრინავებთან, რომლებსაც (ქალებსაც და ვაჟებსაც) „ჰაერის ძმებს“ ეძახდა. ის და ვანო ოთხ წელიწადს სწავლობდნენ ერთად და ახლა მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა ორი წლის უნახავ ამხანაგს შეხვდა...

— კი, მაგრამ, რამ ჩამოგაფრინა ასე მოულოდნელად?

— შვებულებაში ვარ, მშობლებთან ჩამოვედი.

— გაიცანი, ჩვენი ექიმია.

თინამ უგულოდ გაუწოდა ხელი გერსამიას და განრისხებული თვალებით თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა იგი.

გერსამიას შავ აბრეშუმის კაბაზე თეთრი ტილოს ხალათი ეცვა. ბრეკვიალა ღილებით და სამხედრო ქამრით. სამი ოთხკუთხედი წითლად უბრწყინავდა საყელოზე. ლურჯი ბერეტიდან, რომელზედაც ხუთქიმიანი ვარსკვლავი ეკერა, ცეკვის დროს გადმოყრილი კულულები შუბლზე ეყარა. [illegible] შავი და მჯიღა თვალები სიხარულის ცეცხლს ანთებდნენ (ამხანაგები ხშირად ეხუმრებოდნენ: ღამით თვითმფრინავზე შუქი რად გინდა, თვალებით ცას კი არა, ქვესკნელსაც გაანათებო). მაგრამ თინას ასე ცივად მოპყრობა არ ეჭაშნიკა და, როგორც საერთოდ იცოდა, ტუჩები სხვანაირად მოღრიცა და დამცინავად ჩაუკრა თვალი ვანოს. ამით ვანომ ყველაფერი გაიგო, მაგრამ ვერაფერი სთქვა, გარდა იმისა, რომ გერსამიას შეესიტყვა:

— ისევ ის თვალები, ქვესკნელსაც რომ ანათებენ, ისევ ის სიანცე... სრულებით არ გამოცვლილხარ.

მათთან მოხუცი ქალი მივიდა. გერსამიას დედა იყო. მან ქალიშვილს უთხრა:

— აქა ხარ... მე-კი რამდენი ხანია დაგეძებ. წავიდეთ შინ!

— ჯერ ესენი გაიცანი.

— უი, ვანო, შენ კი რა გითხრა, შვილო! რატომ ერთხელაც არ გვინახულე?—უსაყვედურა მოხუცმა, ხოლო გამომშვიდობებისას ღიმილით უთხრა:

— ორივემ პატივი მეცით, სადილად მობრძანდით ხვალ.

— მშვიდობით, გელოდებით! — დაუმატა ნინომაც.

დედა და შვილი წავიდნენ.

— რა ბედნიერი დედაა, ასეთი კარგი შვილი ჰყავს, — ძალაუნებურად წამოსცდა ვანოს.

— გული ნუ გწყდება, შენც ბედნიერი ხარ, სამკაულივით რომ ჩამოგეკიდა კისერზე შენი მფრინავი ქალი... მშვიდობით!

თინა გვილავაც წავიდა.

## II

## დასჯრეს

ზღვაურის წამოქროლებაზე მანდარინის ხეები, თითქოს სიხარულმა მოიცვესო, აშრიალდნენ. ნაყოფით დაყურსული ტოტები რომ შეირხნენ, ჰაერში სასიამოვნო სურნელი დატრიალდა.

ვანო ბილიკზე მიდიოდა. მხარზე გადადებული თოფი მთვარის შუქზე ელავდა. იგი მხიარული იყო. სამოქალაქო ავიაციის უფროსმა ჯიბის საათით დააჯილდოვა.

ახლა ხალათის ჯიბეში უდევს საათი, რომელიც ისე რაკრაკებს, თითქოს მარჯვენა მკერდშიც გული გამობმოდეს. მიდის ვანო და ეს ღამე მის ირგვლივ დღესავით ელვარებს. ვარსკვლავებიც დაკოდილი ნადირის თვალებივით ანათებენ და როცა ღრუბლები გადაეფარებათ, უცებ უჩინარდებიან.

მიდიან, მიდიან ღრუბლები და ზღვის მოკრიალებულ ზედაპირზე ჩრდილების აბლაბუდებს ჰქარგავენ.

ეს კოლმეურნეობის ბაღია, პირდაპირ ზღვას რომ უერთდება; მანდარინისა და ლიმონის დახუნძული ხეები თითქოს ტალღებს გაურბიანო, ისე არიან გადმოხრილები. ვანო დღისით აქ რამდენჯერმე ყოფილა, მაგრამ ეს ბაღი ისე მშვენიერი არასოდეს არ სჩვენებია, როგორც ახლა, ამ ღამით, როცა მის

ბილიკებს დასვენებული მიჰყვება და ოცნებობს. ვანოს უყვარს ეს ბალი, ეს მიდამო, ეს მიწა, რომელიც მისი წინაპრების ოფლითა და სისხლით არის გაპოხილი. ამ მიწას, რომელიც წინათ პახვალა დიდიას ეკუთვნოდა, ეხლა მისმა მთელი თავისი ჯანი და ღონე შეალია, მაგრამ რა მერე: ~~ეხლა ~~ ~~ბატონ~~ ~~ებ~~-მა დააპატიმრეს და ქალაქგარეთ იმ ბოძს მიახვრიტეს, რომელზედაც მან წინადღეს პროკლამაცია გააკრა.

ვანო მაშინ პატარა იყო. როცა გაუბედურებული დედა კედელს თავს ურტყამდა, იგი იცინოდა, მაგრამ როცა გასისხლიანებული მამა სახლში შეიტანეს, თვითონაც ალრიალდა და გული დაეთუთქა. ამ მოგონებამ შავად გაიელვა, და ვანოს გულის რომელიღაც ძარღვი მწარედ შეუტოკდა.

ვანო უკვე მწვანე მთას მიუახლოვდა. თითქოს ზღვის ამოზნექილი მკერდიაო, ისე დგას მწვანე მთა და შრიალებს. ქვეშ ღრმა ხევია, რომლის უფსკრულში უღონო წყარო მირაკრაკებს. აქ საუკეთესო სანადირო ადგილია, წყაროზე ჯიხვები მოდიან.

შორს თოფი გავარდა და ხევმა ისე დაიგრუხუნა, რომ ყმაწვილი კაცი შეკრთა.

— ვინ გაისროლა: მესაზღვრემ თუ მონადირემ?!

გაიფიქრა ვანომ და დაუყურადა. მალე დარწმუნდა, რომ მონადირე იყო, და „მგლის ბილიკის“ ბოლოს ნაძვის ქვეშ მოიკალათა.

— ჯიხვი აქ გამოივლის!

მაღლობიდან მთვარის შუქზე გარკვევით მოსჩანდა საზღვრის ზოლებიანი ბოძი. ბოძთან მამაცი მესაზღვრე იდგა და ყოველი ბუჩქისა და საგნის გულში იხედებოდა.

ვანო ზარიძე ახალგაზრდა იყო. მას აქებდნენ, როგორც გამოჩენილ მფრინავ-პარაშუტისტს და არა როგორც კარგ მონადირეს. ორლულიანი თოფი შარშან იყიდა, მაგრამ მას შემდეგ ორჯერაც არ დაუცლია.

ამ დილით ბაბუა გაბრიელი დანას ლესავდა. სალეს ქვიდან ჟანგიანი წყალი წვეთწვეთად ჩამოდიოდა. ეს რომ ვანომ დაინახა, ბაბუას სიცილით უთხრა:

— ჰე, რა ცუდია სიბერე, თუმცა ახალგაზრდა ვარო, იძახი, მაგრამ ხმალი რომ დაგჟანგებია!

მოხუცს არ ესიამოვნა შვილიშვილის დამცინავი სიტყვები და გაჯავრებით მიაყარა:

— ჩემს ხმალს ვინ ჩივა, როცა შენი თოფის ჟანგის სუნმა შეგვაწუხა.

ვანო სანადიროდ ემზადებოდა. ამ სიტყვებზე გულიანად გაეცინა და მოხუცს უთხრა:

— ალიონზე თუ ჯიხვი არ მოვიტანე, შენი ხმალი და ჩემი კისერი.

— ძალიან კარგი, ბარკალი თინას გავუგზავნოთ... რას იტყვი, ჭკუაში დაგიჯდა? რა კარგია ახალგაზრდობა, მეც შენსავით ვხტოდი, მაგრამ ახლა...— და ამ სიტყვებზე მოხუცმა დანა შეატრიალა და ჩაიბუტბუტა:

— ჟანგი...

თინას გახსენებამ ვანო სიხარულის ცეცხლით აღანთო და არც კი დაფიქრებულა, ისე გადასწყვიტა: მოდი, სახლში გავუვლი, ამდენხანს ჯავრი გადაუვიდოდა და შემირიგდებაო. ალაგედან გადავიდა, ქვეითა ქუჩას გაჰყვა და თინას სახლის ჭიშკარს მიადგა.

თინამ ვანოს მხარზე მოელვარე თოფი რომ დაინახა, გაკვირვებულმა ჰკითხა:

— რა იყო, ჭო, ჩემთან საომრად ხომ არ ეპირები!

— დიაღ, საომრად! — და ვანომ ქალს ხელზე ხელი მოუჭირა. — არა, ჭირიმე, ახლა სანადიროდ მივდივარ.

— მერე მარტო?

— რა მიჭირს! არავინ წამომყვა, სახლში ტყუილად ჯდომას ტყეში ტყუილად ხეტიალი ვარჩიე.

— ნანადირევი იმასაც გაუნაწილე, რაც უნდა იყოს ძველი მეგობარია. უი მართლა, გუშინ სადილზე ხომ კარგი დრო გაატარე?!

— თქვენ გელოდებოდნენ, რატომ არ მოდით?

— მეშინოდა, ხელი არ შემეშალა.

— რა მოგვიდა, თინა, ყველაფერს საზღვარი აქვს. დამალრჩო ამდენმა ეჭვმა, ამდენმა საყვედურმა. რა არის მართლა და მართლა!

— გულზე დაგეცა? მშვიდობით...

თინა შინისკენ გაიქცა. სანამ იგი სახლში შევიდოდა, ვანო ჭიშკართან იდგა. მხარზე თოფი უბრწყინავდა, შუბლი მოლუშოდა და გულს სიბრაზე დაუფლებოდა. იდგა გაუნძრევლად. შემდეგ ჭაობს ნაპირნაპირ გაჰყვა და ტყეში შევიდა.

და ახლა ვანო ზარიძე შუაგულ ტყეშია. საზღვრიდან არც ისე შორს.

ამ არე-მარეში ორი ქვეყნის ქარი ჰქრის.

მონადირეს გული ჩახმახივით აქვს მომართული.

„ჯიხვს შიგ შუბლში უნდა მოვარტყა, თორემ თუ დაიჭრა, გაიქცევა, შეიძლება კლდეზე გადაიჩეხოს და შემდეგ ვინ მიუდგება!“

ხმელ ფოთლებში რაღაცამ გაიშრიალა, და უზარმაზარი ხის მახლობლად, სიბნელეში, ადამიანის სილუეტი გამოიკვეთა. იგი წელმოწყვეტილივით ხოხვით მოდიოდა, მოფოფხავდა, თითქოს ვანოს ეპარებაო. ხანდახან თავს მაღლა ასწევდა და მიმოიხედავდა... ახლოს იყო, სულ ახლოს... ადამიანი! — გაიფიქრა მონადირემ და კარგად რომ დააკვირდა, ისე მოეჩვენა, თითქოს ბუჩქებიც კი გაურბოდნენ იმას.

— არ გაინძრე! — დაიქუხა ვანომ და იმავე წუთს ფოცხვერივით გადახტა. უცნობმა თავის აწევაც კი ვერ მოასწრო. მიწას დაეკრა, მაგრამ ვანოს მაგარი ხელი რომ ზურგზე იგრძნო, დაიბურტყუნა:

— რად დამლუპე, ამხანაგო, რა გაყვირებდა: ჯიხვი დამიფრთხე! აწი ეშმაკიც ვერ მონახავს.

ამ სიტყვებზე წამოდგა, თოფი ძირს დასტოვა, მაგრამ ხელი ჯიბისაკენ გააცოცა.

— ხელები მაღლა!

ისე დასჭყივლა ვანომ, რომ ხევმაც გაიმეორა, და უცნობის ორი ხელი მაღლა აიმართა.

— წინ გასწი!

— რას მერჩი, ამხანაგო? მე ა... სოფლიდან ვარ, ალმასკომში ვმუშაობ, არა გჯერა? საბუთები მაქვს!

ბუტბუტებდა უცნობი და რამდენ ნაბიჯს გადადგამდა, იმდენს ამოიხვნეშებდა.

— არა მჯერა, რომ შენ აქაური იყო! — მტკიცედ მიუგო ვანომ.

უცნობი რაღაცნაირად დაიღმიჭა.

— ჩემი ხნის კაცს სიმართლე კი არა, სიზმარიც დაეჯერება, შვილო... ვინა ხარ? ღვთის გულისათვის, გამანებე თავი. ფული გინდა, წაიღე... ბევრ ფულს მოგცემ, ახალგაზრდა კაცი ხარ, გამოგადგება, ცხოვრებაში გზას გაიკვლევ. გლეხი ხარ, ცოლშვილი გყავს, ვიცი, ჰა, ფული, ოჯახი მოაწყე!..

— ცხოვრებაში დიდი ხანია გზა გაკვლეული მაქვს. ფულით ვერ მომისყიდი. გასწი პირდაპირ!

— ჰე, შვილო, შენ თუ გგონია, რომ საქმეს აკეთებ! რა გაიძულებს, რომ დამღუპო!

— ის, რომ მიყვარს ჩემი ქვეყანა.

ვანოს სიტყვებში ფოლადი ჟღერდა. მან თავისი თოფის ტუჩი ზურგზე მიაბჯინა უცნობს და თან მიაყოლა:

— არ გაინძრე, თორემ გესვრი!

ვანოს ხელყუმბარის გრიალი მეხივით დაატყდა თავს და მარჯვენა ფეხში რაღაც ცხელი იგრძნო. მესაზღვრეები წამსვე იქ გაჩნდნენ, უცნობი წინ წაიგდეს, ხოლო მონადირეს დაჭრილი ფეხი შეუხვიეს. ტყვია სწორედ მუხლის ზემოთ, რბილში ჰქონდა მორტყმული.

— არაფერია, — ჩაილაპარაკა ლეიტენანტმა და სანამ ვანოს ექიმთან მიიყვანდნენ, ჭრილობა შეუხვიეს.

— არაფერია! — მწარედ ჩაიბუტბუტა ვანომ.

ზიზღით შეხედა საზღვრის გადმომლახველს, შემდეგ ლეიტენანტს გაუსწორა თვალები. ენით არა, მაგრამ გულით კი უთხრა: შენთვის არაფერია, მაგრამ ერთი მეც მკითხე...

ტკივილმა გული შეუკუმშა. არც კი უგრძვნია, როგორ დასდეს საკაცეზე.

## III

## ოქროს ხელი

საავადმყოფო ზღვას დაჰყურებს და მისი ფანჯრიდან ოცნებათა აღმძვრელი ლილისფერი ჰორიზონტი იშლება.

თინა კაბინეტის სარკმლის რაფაზე ჩამომჯდარა და, დასავლეთის ქარისაგან დამფრთხალი ზღვის მოძრაობით მოხიბლული, თვალების ლულვით გაჰყურებს უზარმაზარ გემს, რომელიც ტალღების ჯარს მედგრად მიარღვევს და ნავსადგურისაკენ მიიწევს.

გემის ირგვლივ აქაფებულ წყალში შავად ლივლივებენ დელფინები. ისინი ზეიმით მისდევენ გემს და ხანდახან ჰკივიან და ჭყვირიან, თითქოს მახვილი ჩასცესო.

აგერ მოფარფატებს აფრაგაშლილი ნავი. გემის მიერ უკუგდებულმა ტალღამ იგი ძალზე შეატოკა, გადაზნიქა და მენავეს რომ ნიჩბები მარდად არ მოესვა — გადაბრუნდებოდა.

თინამ, გემს რომ ამაყად გაჰყურებდა, დაცინვით შეაჩერა თვალები ნავზე და მის უმწეობაზე კიდევაც გაეღიმა.

დარაჯმა ახალი გაზეთები შეიტანა, ერთი თინას მიაწოდა, და კაბინეტიდან ფეხაკრეფით გავიდა. ამ დროს ექიმებიც შევიდნენ და ახალი ამბებით დაინტერესებულებმა გაზეთები დაიტაცეს.

— ფინეთი არ ისვენებს, — ჩაილაპარაკა თავისთვის თინამ და „საკდესის“

ინფორმაცია ბოლომდე ჩაიკითხა. შემდეგ ცივად გაიღიმა და ფანჯრიდან რომ გაიხედა, ის უზარმაზარი გემი უკვე ნავსადგურში შესულიყო და ექაურობას ზევიდან დაჰყურებდა.

ბიბლიოთეკა

მეთევზეთა უბნისაკენ მიმავალი ნავი კი წერტილივით მოსჩანდა. თინამ ახლა უფრო გაიღიმა, გაზეთს დახედა და ამხანაგებს სიცილით უთხრა:

— ბატონებო, ახალი ამბავი: ფინელებს ჩვენებისთვის სროლა აუტეხნიათ!—ამ სიტყვებზე თვალწინ წარმოუდგა მედგარი გემი და ის მოფარფატე ნავი, რომელსაც ტალღის ყოველი დაჯახება დაღუპვას ემუქრებოდა.

— ეგ არაფერია, — ჩაიხითხითა მოხუცმა ექიმმა და პროფესორს მიუბრუნდა:

— ივან პეტროვიჩ, ამას ვითომ ომის სუნი უდის? ჰე, მეტი არ შეგეშამოს ჭირმა!

— მაგაზე სრულებითაც არ ვფიქრობ. ჰო, მართლა, თინა, ვიღაც დაჭრილი მფრინავი მოიყვანეს, შენ გკითხულობს. მადლია, მიხედეთ, მეორე პალატაშია.

— ვინ მფრინავია ნეტავი?! — გაიკვირვა თინამ და ფანჯრის რაფიდან ჩამოხტა.

— ჩვენი ვანო ზარიძეა, საზღვარზე დაუჭრიათ, სანადიროდ რომ ყოფილა თურმე! — უპასუხა ერთმა ახალგაზრდა ექიმმა და თანაც ქალს მიაჩერდა, უნდოდა გაეგო, როგორ იმოქმედებდა მასზე ეს ამბავი.

— ვანო?!

ცივად მოსწყდა თინა ადგილიდან. იმ წუთებში ასეთი აზრიც კი დაებადა: ალბათ, ხიფათი იმიტომ შეემთხვა, მე რომ ვაწყენინეო, და შეშინებულმა კარები მიიჯახუნა. ახალგაზრდა ექიმმა მაცდურად გააყოლა თვალები და პროფესორს მიჰმართა:

— ის მფრინავი თინას სატრფოა, ალბათ.

— ეგ ჩვენი საქმე არ არის! — მოუჭრა პროფესორმა და თითქოს იმით შეშინებულმა, რომ სხვა რამეც არ მკითხოსო, გაზეთი აიფარა სახეზე.

თინამ გულდასმით გასინჯა ვანოს ჭრილობა და თავზე ხელის გადასმით მიუალერსა.

— ბედი გქონია, გადარჩენილხარ...

— ტკივილი მაწუხებს, თუ შეგიძლია, ილონე რაიმე.

პროფესორის დახმარებით თინამ წამლები წასცხო ფეხზე, შემდეგ ნემსიც გაუკეთა და დაჭრილს გულის წამლები ტკივილები დაუამა.

რაკი შვება იგრძნო, ვანო ლაპარაკის გუნებაზე მოვიდა. თინაც გამხიარულდა და წინანდელი სიბრაზე გაუქარწყლდა. უცებ გადასწყვიტა, ყველაფერი ეპატივებინა ვანოსთვის, მაგრამ გერსამია წარმოუდგა თვალწინ და გული ისევ ეჭვით დაეთუთქა.

— თუ შეიძლება ახალი გაზეთი მომიტანე!

თინა გაზეთის მოსატანად რომ წავიდა, ვანომ იმედიანი თვალები გააყოლა და თავისთვის გაიფიქრა: მალამო ხელი ჰქონია, ტკივილები უცებ გამიქრო.

თინამ გაზეთი შეიტანა, პროფესორმა არ ნახოს, თორემ აგვიკლებსო, უთხრა ავადმყოფს და თავთან დაუჯდა. ვანომ გაშლილი გაზეთი თვალებთან მიიტანა. თინა, ერთი თვალით გაზეთს რომ უყურებდა, მეორეთი ვაჟის ფერმკრთალ სახეს დასცქეროდა.

ფანჯარასთან კვიპაროსის ხეს ნიავი რომ შეაქანებდა, ვანოს სახეზე ხის

ჩრდილი გადაურბენდა. თინაც ფიქრებში წასულიყო, გაჩუმებულიყო, ვაჟის გულისფეთქვას უგდებდა ყურს და თანაც საკუთარი გულიც არ ასვენებდა.

...რაღა მაინცა და მაინც ნადირობა ამოიჩემა! ანდა იქ საზღვრის გადამლახველი რამ შეახვედრა? ბედია ყველაფერი. თინა ფიქრებში შეცურდა. მეც ხომ უბედური ვარ და ისაა. არა, მართლა რა არის ადამიანის ცხოვრება? რაღა მფრინავს გადავაწყდი, რომელსაც არც მიწაზე უდგას ფეხი და არც ცაზე უკიდია ხელი. დღეს დასჭრეს, ხვალ შეიძლება ამ ქვეყანას გამოასალმონ... ხომ მომიკვდა მერე გული... და ამ ფიქრებში თინამ ისე ამოიხვნეშა, რომ ვანოს ხელში გაზეთი შეშრიალდა.

ვანომ გაზეთი განზე გადასდო და მოღიმარე თვალები შეაფრქვია ქალს.

— რა პატარა სახელმწიფოა და რამხელა გული ჰქონია!.. — დააყოლა მან და შემდეგ თინას შეხედა თვალებში. — არ შემიძლია აქ. წამლების სუნმა გული შემიღონა. თუ ღმერთი გწამთ, ამ კვირაში გამომწერეთ.

— რატომ? ჯერ ადრეა.

— იმიტომ რომ სუფთა ჰაერს ჩავისუნთქავ, ამოვიღრჩვი ამ ოთხ კედელში.

— ვიცი, ჩემთან სული გეხუთება! — ამოიხვნეშა თინამ.

— ისევ ეჭვები! — და ვანომ ხელი მკლავზე მოუჭირა ქალს, თავისკენ მიიზიდა და ლოყაზე აკოცა.

— ეგ არაფერია! — ცივად უთხრა თინამ, — კოცნა ფარისევლებმაც იციან. შენ ეს მითხარი, რატომ არ გინდა აქ იყო, ჩემთან, ჩემს გვერდით.

ამ დროს ზარმა გაიწკარუნა და მოწყალების და ოთახში შემოუძღვა გერსამიას.

— უი, თინა, აქ ბრძანდებით?! რა ხანია პროფესორი დაგეძებთ! — უთხრა მან.

— გამარჯობა, მეგობარო, — წამოიძახა გერსამიამ და ვანოს შუბლზე აკოცა. თინა აიმღვრა, განრისხდა და კარები ისე მაგრა მიიჯახუნა, რომ კედელი შეაზანზარა.

— თინა, თინა! — დაუძახა ვანომ, მაგრამ გვიან იყო.

— ჩვენი ექიმი ბრაზიანია, იუკადრისა პროფესორი რომ ეძახის, — ჩაიჩიფჩიფა მოწყალების დამ და გავიდა.

— ვანო, ხომ კარგადა ხარ? ნემსის ოდენა ტყვიამ როგორ დაგაგდო, შეკაცო, არა გრცხვენია!

— არაფერიც, ძალიან კარგად ვარ.

— ექიმები რას ამბობენ?

— ხვალ ან ზეგ გამომწერენ.

— თინა?

— თინა ახლა შენ დამიფრთხე... იგი წინააღმდეგია ჩემი გამოწერისა, გამოშუშდიო.

— რასაკვირველია, წინააღმდეგი იქნება: აბა, მომხრე ხომ არ იქნება. რას ერჩით, თინას უნდა, მასთან იყო. მაშ, შენ კარგადა ხარ?

— რატომ ჩამაცივდი ასე?

— აი რატომ, — და გერსამიამ ჯიბიდან ოთხად გაკეცილი ქაღალდი ამოიღო. — რაზმში გიწვევენ, ერთად წავიდეთ. მეც გამითავდა შვებულება. უი, მართლა, გივი მოვარდა ამ დილით ჩემთან. მან მომიტანა ეს დეპეშა. აი მისი წერილიც, — გერსამიამ დაჭმუჭნული ქაღალდი გადასცა ვანოს და თანაც დაუმატა: — რა კარგი ძამიკო გყავს, ნამდვილი გმირი ვამოვა.

წერილში გივი თავისი ბავშვური ხელით სწერდა: „გუშინ ლენინგრადიდან მივიღეთ დეპეშა, რომელიც დედამ გადამალა. მაგრამ ვიფიქრე, ეგრე არ ივარგებს მეთქი და გიგზავნი შენ. ვიცი, კარგადა ხარ. დედამ[illegible] გაგზავნა, დეპეშა რომ მოვპარე, თორემ მცემს, ხომ იცი მისი ამბავი“.

— რა დაწყობილად დაუწერია, ყოჩაღ, ბიჭო! — ღიმილით წარმოსთქვა ვანო და წერილი დეპეშასთან ერთად ბალიშის ქვეშ ამოსდო.

— მაშ მივდივართ, არა?

ვანო ზარიძის და ნინო გერსამიას ერთად ყოფნა თინას მოსვენებას არ აძლევდა. იგი პროფესორთან არც კი შესულა. დერეფანში გულაცახცახებული დადიოდა და თუ ვინმე არ უყურებდა, თითქოს ავადმყოფს სინჯავსო, კარებს ისე მიადებდა ყურს. კარი თხელი იყო და მართლაც შეიძლებოდა ლაპარაკის გაგონება. ესეც რომ არ ყოფილიყო, იგი მოწყალების დას ოდნავ ღია დაეტოვებინა და თინას მათი ლაპარაკიდან არაფერი გამოჰპარვია. ამ ლაპარაკიდან მან ვერაფერი ისეთი ვერ გაიგო, რაც მის სიყვარულს შებღალავდა. ცოტათი დამშვიდდა. ბოლოს, გულმაც არ მოუთმინა.

— უი, რანაირია ეს ჩვენი პროფესორი! — ოთახში შესვლისთანავე ჩაილაპარაკა მან და შემდეგ გერსამიას შეესიტყვა. — ხომ არ მოგწყინდათ?

— არა!

ეშმაკურად მიუგო გერსამიამ და ცალი თვალი ვანოს ჩაუკრა. ეს თინამაც შენიშნა და წამოენთო.

მესამე დღეს ვანო მართლაც გამოსწერეს საავადმყოფოდან. და ახლა იგი ზღვისპირა ქუჩას მიჰყვებოდა ჩაფიქრებული. ნატყვიარი ფეხი სრულებით არა სტკიოდა, მაგრამ მისი მოძრაობა მაინც აკრთობდა. ნელა მიაბიჯებდა და ხარბად ისუნთქავდა ზღვის მსუბუქ ჰაერს. გვერდით დედა მიჰყვებოდა, მაღალი, ხმელხმელი და მთლად გაჭალარავებული. იგი გახარებული იყო, ხიფათს გადარჩენილი შვილი რომ გამოიყვანა საავადმყოფოდან.

— მადლობა ღმერთს, შვილო, ბედი გქონია, თორემ ის ბრმა ტყვია თვალებს დამიბნელებდა.

ვანო მეცხრე შვილი იყო, ყველაზე თვინიერი, ოჯახის მოსიყვარულე და დედასაც ყველაზე მეტად უყვარდა. მაგრამ მფრინავი რომ იყო, ეს აფიქრებდა, აღონებდა და სულ ამას ეუბნებოდა შვილს: მიწაზე დაეტიეო, გენაცვალე, მიწაზე, და ახლაც ეს განუმეორა.

ისინი უკვე ეზოს მიადგნენ, რომლის შუაგულშიც ფიცრული კოლხიდური ოდა იდგა. ვანოს ეზოში შესვლისთანავე მიეგება გივი და გიშერა. გივი გადაეხვია ძმას, ხოლო გიშერა წკმუტუნით ფეხებში ჩაუვარდა და შარვლის ტოტები დაულოკა.

ვანო თავის პატარა ოთახშია. იგი დედას საგანგებოდ დაესუფთავებინა, მაგრამ თვითმფრინავის მოდელებისა და ათასგვარი ნახაზებისათვის რომ ადგილი გამოეცვალა, ეს არ ეჭაშნიკა მფრინავს. ვანო ისევ შეუდგა მათ დალაგებას თავ-თავის ადგილას, ყოველ ნივთს თავისი ძველი გზა-კვალი მიუჩინა.

კედლიდან ჩკალოვის, გრიზოდუბოვას და სხვა გმირთა სახეები უღიმოდნენ, ამხნევებდნენ და მოუწოდებდნენ.

გარეთ შუადღის მზეს აღტაცებაში მოჰყავდა მანდარინის, ლიმონისა და გრეიფრუტის ნერგები, ჩამუქებულ ნაყოფს დასამწიფებლად აღვივებდა და ზრდიდა. მზემ ალისფერი ენა ვანოს ოთახშიც შეჰყო და რუკებით დაფარული კედლები ააფერადა.

ფანჯარა ღია იყო. ვანოს მზე ეამა და კარები გააღო. ახლა უფრო მეტად ითქრიალეს სხივებმა და თვითმფრინავის მოდელები ააბრჭყვიალეს. როგორც ბავშვი, ისე უცქეროდა მათ და ტკბებოდა. მზის სხივებში გახვეულმა ნატყვიარი ფეხი მაგიდაზე შესდგა და შარვლის ტოტი აიკაპიწა. ნაჭრილობევზე ტყავი წითლად შეჭმუჭნულიყო. ვანო დიდხანს უყურებდა ჭრილობას. მას არ ასვენებდა ფიქრი იმაზე, ფეხი რომ გაჰფუჭებოდა, მაშინ რად ეღირებოდა მისი სიცოცხლე? ვერც ცაზე ინავარდებდა და ვერც მიწაზე შესძლებდა სიარულს.

მტერი? ღვარძლიანად გაივლო გულში, ჭრილობა შეიხვია და დერეფანში გავიდა.

— მომკლავდა, ჩემმა მზემ, მომკლავდა! — წაიბუტბუტა ვანომ და უცებ თვალწინ წარმოუდგა საზღვრის გადამლახველი. მან გულში დამიზნებული ტყვია ფეხში მოახვედრა. სულელი, სროლა არ სცოდნია.

კიბეებზე ბაბუა გაბრიელი ამოფრატუნდა და შვილიშვილს ჩაწითლებული თვალებით მიუალერსა.

— ბაბუ, შენი ნადირობა აწი არ გამაგონო! სიბერეში ცრემლით ნუ დამიბრმავებ თვალებს. არც ის გეწყინოს, თოფი რომ ხეზე მივამტვრიე... ახლანდელი ახალგაზრდები რა მონადირეები ხართ! ტყეში კი არა, თემშარაზე ძლივს დადიხართ. აჰავაი, მარჯა! მონადირეები ჩვენ ვიყავით, მაგრამ აღარა ვართ, სიბერემ თავისი გაიტანა.

— კი, მარა, ბაბუ, თოფმა რა დაგიშავა? — ღიმილით შეეკითხა ვანო.

— გადავირიე, შვილო! თოფი რომ არ გქონოდა, სანადიროდ რა ეშმაკი წაგიყვანდა და ის ოხერი ხიფათიც აგცდებოდა.

გივი ჭიშკრიდან ხტუნვა-ხტუნვით წამოვიდა. მას გადატეხილი თოფი კანაფით შეეკრა, გაემაგრებინა და მხარზე გადაეკიდა. ბავშვური სიანცით ძმასთან მივიდა, თოფი უჩვენა და ბაბუა დააბეზღა.

— აი როგორ გადაგიმტვრია! — გაუღიმა ძმას, ახლა მაინც ჩემიაო და ოთახში შეირბინა.

ბაბუა გაბრიელი თავისივე ჩიბუხის კვამლში გახვეულიყო და მოხუცის ხარბი თვალებით შეჰყურებდა ვანოს.

— შენისთანა ახალგაზრდა ვიყო, მერე მე მკითხე, როგორ უნდა ნადირობა! შე კაი კაცო, ჯიხვი რაა? იმდენს დავხოცავ, რომ ცხრა უღელმა ხარმა ვერ ზიდოს.

ვანოს გაეცინა მოხუცის სიტყვებზე და დაყვავებით წარმოსთქვა:

— ვიცი, ბაბუ, შენს დროს ჯიხვი იმდენი იყო, ხელითაც დაიჭერდა მარჯვე კაცი.

— მა რა გგონია, შვილო! — გახალისდა გაბრიელი და მოჰყვა, თუ როგორ მიეპარა ერთხელ იგი ჯიხვს, დაიჭირა და თავის საცოლეს მიართვა. ეს ამბავი ვანოს მრავალჯერ ჰქონდა გაგონილი. ვიდრე გაბრიელი მეორე თავგადასავლის მოყოლას დაიწყებდა, ვანო დედასთან შევიდა, ისადილა და მზე რომ დედამიწას გაუსწორდა, კლუბში წავიდა.

ზღვისპირა ქალაქის ქუჩას გამვლელ-გამომვლელთა ხმაური ავსებდა. ვანო ჩქარა მიდიოდა, ქუჩაში ზანტი სიარული საერთოდ არ უყვარდა და მით უმეტეს ახლა, როცა დიდი ხნის უნახავ კლუბისკენ გული მიუწევდა. ერთმა მოხუცმა ქალმა პენსნეს სწორებით შორიდან გაუღიმა, შემდეგ მიუახლოვდა და თბილად მიესალმა.

— უი, შვილო, დამიდგეს თვალები! როგორა ხარ? ხომ არ კოჭლობ?

— არა!

— კიდევ კარგი, მადლობა ღმერთს, მაგრამ როგორ მოხდა, მაინც ქალიან მიკვირს.

მასწავლებელი იყო, ისიც ქალი და ხომ არ აწყენინებდა. ვანო იძულებული გახდა თავიდან მოჰყოლოდა ყველაფერს.

— უი, მომიკვდეს თავი! ერთი ვერ გინახულე. მაგრამ მოცლა არა მაქვს, შვილო, და რა ვქნა!

მასწავლებელი გამოემშვიდობა. ცოტა შვება იგრძნო თუ არა, ახლა ქალაქკომის მდივანი შეეჩეხა და ხელახლა მოჰყვა ამ უსიამოვნო თავგადასავალს, ხოლო ესეც რომ გაისტუმრა, ახლა პიონერთა კლუბის გამგემ შეაჩერა შუა ქუჩაში.

— მარტო გმირობა არ კმარა. იგი სხვებსაც უნდა მოუთხრო, გაუზიარო. ხვალ სრულ რვა საათზე პიონერთა შეკრება მაქვს, შენი საუბარი დგას დღის წესრიგში. არ დაიგვიანო, თუ ძმა ხარ, ხომ იცი, ბავშვები როგორი ინტერესით მოელიან ამ ამბავს.

კლუბის გამგე ძლივს მოიშორა ვანომ. საზღვარზე მისი დაჭრის ამბავი ყველას გაეგო და ნაცნობ-მეგობრებმა თავი მოაბეზრეს. ძლივს მიაღწია კლუბს. მის კარებთან დაბარებულივით ნინო გერსამია დაუხვდა.

საღამოს მივდივარ ლენინგრადს, გამაცილეო, — სთხოვა ქალმა.

— დიდი სიამოვნებით გაგაცილებ, მაგრამ ერთი-ორი დღე დაგეცადა, ერთად ვიმგზავრებდით, — უთხრა ვანომ და ეზოში შეჯგუფებულ ბიჭებს შეერია.

— ვანო, ვანო! — წამოიძახეს მომავალმა მფრინავებმა და თავიანთ მოამაგეს მშვიდობიანად გადარჩენა მიულოცეს.

*

* *

თბილმა ზღვისპირა საღამომ ცა ვარდისფრად დახატა. ულონო მზემ ერთი კიდევ გადახედა ჭაობებს, გაანათა და შემდეგ ზღვაში ჩაიყურყუმალავა. ზღვიდან დაძრულმა ბინდმა თავისი მუქი მანდილი მოხვია მიდამოს. დაღამდა. ელნათურებმა სიხარულით გაუღიმეს ქალაქს და ქუჩებს თავისი მადლი მოჰფინეს.

ვანო კლუბიდან პირდაპირ ნინო გერსამიას სახლში მივიდა.

— კედელს ნახშირი, — დაუხვდა კარებში ნინოს დედა, — როგორ მოხდა, რომ გაგახსენდით!

— როგორ გაბედე, როგორ მოხვედი? — გაეხუმრა ნინო. — თინასი არ გეშინია?

— კარგი ერთი... არ დაგაგვიანდეს.

ნინო გერსამია მზად იყო. ტყავის პალტო ხელში ეჭირა. მფრინავის ტანისამოსში იგი უფრო სანდომიანად გამოიყურებოდა.

ნინოს დედამ ცხელი ხაჭაპური გამოუტანა ვანოს და ღვინით სავსე ჭიქაც მიაწოდა.

— ალავერდი ვარ შენთან, გზა დაულოცე ნინოს!

ვანომ გულში გაივლო, რა ყოჩაღი მოხუცია, და ჭიქა ჩამოართვა. უნდოდა ორიოდე სიტყვა ეთქვა, მაგრამ ოთახში გერსამიას ამხანაგები შემოვიდნენ და ახლა უფრო ფართოდ გაიშლებოდა სუფრა, მასპინძელი რომ არ აჩქარებულიყო.

— რატომ დაიგვიანეთ? ახლა ქეიფის დრო აღარ არის. წავიდეთ, თორემ მატარებელი არ დამელოდება.

თითო-თითო სასმისის დალევა მაინც ყველამ მოასწრო და ქუჩაში რომ გამოვიდნენ, ვანომ ხელი მკლავში გაუყარა ნინო გერსამიას, — ამ დღეებში მეც ჩამოვალო ლენინგრადს, უთხრა მან მეგობრულად.

— მაშინვე ჩემთან მოდი, თუ შინ ვერ მნახო, შტაბში ვიქნები, აუცილებლად.

ისინი ტკბილად, მეგობრულად საუბრობდნენ. მათ წინ ნინოს ნათესავები და ამხანაგები მიდიოდნენ.

სადგურზე თინა დაუხვდათ. თბილისში მიმავალი პროფესორი გაეცილებინა და ახლა თავის ამხანაგ ექიმებში მოსაუბრემ თვალი მოჰკრა თუ არა ვანოს და ნინო გერსამიას, აიმღვრა, გაფითრდა და, ღონემიხდილი, სვეტს მიეყრდნო.

— რა მოგივიდა, თინა? — ეკითხებოდნენ შემკრთალი ექიმები.

ბოლოს, როგორც იყო, დაამშვიდეს და შინ წაიყვანეს. თინა უგრძნობლად ლოგინზე დაემხო და ბალიშებში თავჩარგულმა ამხანაგებს სთხოვა, დამტოვეთო.

ექიმები თითო-თითოდ გაიკრიფნენ. თინა ჯერ ნელა და შემდეგ ხმამაღლა ატირდა. მის სასთუმალთან მჯდომ დედასაც თვალები აუცრემლდა. თინა ცრემლითა და ფიქრებით იმდუღრებოდა. ბოლოს დამწუხრებულმა დედამ ცივი ხელები შეახო, თავისკენ მიაბრუნა და დაუყვავა.

— რა მოგივიდა, შვილო? ასეთი უბედურება რა შეგემთხვა?

— არაფერი, იმან დამწვა გული, რომ ვანო მატყუებს... რად მინდა მისი თავი, ჭირსაც წაუღია! მაგრამ ის მწყინს, რომ აშკარად თვალებს მიხვევს.

— არა, შვილო, არ დაიჯერო, ვანო ეგეთი არ არის. მატყუილებსო, — ამას ნუ იტყვი. ის კი არა, დედამისი რამდენს მეჩიჩინა, ბიჭი ჩქარობს და მალე გავათაოთ საქმეო.

— ჩემი საქმისა მე ვიცი! ამის შემდეგ როგორ უნდა შევხედო მას, ნინო გერსამიას ხელგაყრილი რომ მიჰყვებოდა. თვითონ ქალს რომ გაეყარა ხელი, კიდევ არაფერი, თამამი ქალია, რა გაეწყობა! მაგრამ ვანოს რომ მიჰყავდა ჩაკრული და ქვეყანა უყურებდა, აი ამან ამაღელვა.

ამ სიტყვებზე თინამ ხელი ისევ მიიფარა სახეზე, თითქოს ამით ცრემლი უნდა შეაკავოსო.

## IV

## ოქრი ბოძი

ელნათურებით გაჩაღებული ლენინგრადი თავის თეთრად დანისლულ ღამეს ებრძვის. სახლების სახურავებზე გაყინული თოვლი ხასხასებს. მათზე ხშირ-ხშირად თვითმფრინავების მოძრავი ჩრდილები შავად ისახებიან.

ვანო სასტუმროშია. იგი შელამებისას ჩავიდა ლენინგრადს. შუალამეა. ცივ, გაყინულ და ქალაქის შეხუთულ ცას თვითმფრინავების განუწყვეტელი გუგუნი აზანზარებს. ვანო სარკმელთან მივიდა, ფარდები გადასწია. [illegible] ოთახი სულ ზედა სართულზე აღმოჩნდა და მფრინავმა ხარბ[illegible] ნისლში მოსრიალე თვითმფრინავებს. იგი გატაცებით უყურებდა ცაში ხომალდების ნავარდს და მათ შორის თავისი მანქანის ადგილს დაეძებდა.

— ნეტავი ერთი „შევარდენზე" დამსვა!

ინატრა მან და ამ დროს პირისახეზე პროპელერების მონაბერი ჰაერის სიცივე იგრძნო, ეამა. ერთხანს ცაში ყოფნის სურვილი აღეძრა, მაგრამ ფიქრები მოეძალა, უძილო ღამის დამღალავი ფიქრები, და ფანჯრის რაფაზე ჩამონჯდარმა თავი ულონოდ ჩაჰკიდა.

პირველი, რაც თვალწინ წარმოუდგა — ეს იყო დედის აცრემლებული თვალები. ამ თვალებით გამოაცილა იგი დედამ, როცა ამ ხუთი წლის წინათ საავიაციო სასწავლებელში მიავლინეს.

— შვილო! ჰაერში რა დაგრჩენია, მიწა ცოტაა, ამ ქვეყანაზე ვერ ეტევი? სწავლა თუ გინდა, თბილისში შენზე ნაკლები ბიჭები სწავლობენ! დარჩი აქ, ნუ წახვალ!

ემუდარებოდა თვალცრემლიანი დედა. ვანოს გული ეწვოდა, უნდოდა დედის სურვილს წინ არ გადასდგომოდა, შინ დარჩენილიყო... ბოლოს მფრინავად გახდომის სურვილმა მშობლიური გრძნობა დასძლია. ვისზე ნაკლები ვარო, ფიქრობდა იგი და მიწაზე რომ ფეხი ედგა, გული ცის უსაზღვროობისაკენ მიუწევდა.

ერთი წლის შემდეგ კიდევაც შეცურდა ღრუბლებში. მშობლიურ ქალაქს გუგუნით გადაუქროლა. მაშინ დედა სიხარულის ცრემლმომდგარი თვალებით შეხვდა და გულში ჩაიკრა იგი.

— ჩემო ვანო, ჩემო სანაქებო შვილო!

დედა აღტაცებული იყო, მაგრამ ახლა, ლენინგრადში შვილის გამგზავრების წინ, მას ისევ ჩამოუვარდა რამდენიმე კურცხალი. თვალები ცხვირსახოცით მოიწმინდა, სადგურზე მოფუსფუსე ხალხს გადახედა, რაღაც მოაგონდა, გამხნევდა და თვალებგაბრწყინვებულმა ომახიანად მიმართა შვილს.

— წადი, შვილო, იბრძოლე, მტერი ბოროტია. ხედავ, ტყვია როგორ გაჭამა. კინაღამ თვალები დამეფსო. ბედნიერი ხარ, რომ პირველ ტყვიას გადაურჩი. არ მეშინია, წადი...

ახლა ამ თეთრ ღამეში დედის გაბრწყინვებული თვალები ამხნევებდნენ და თბილი, მშობლიური სიტყვები მოწოდების ცეცხლით ანთებდნენ.

ამ ფიქრებში ნატყვიარი მუხლი თითქოს ასტკივდაო. ტკივილი გულსაც დაეუფლა და ფანჯრიდან ბარბაცით წამოსული იქვე ლოგინზე დაემხო. ოთახში ცხელოდა. ვანომ თვალები ჭერს მიაპყრო. კუთხეში შავი ხოჭო დასანსალებდა. მასაც თავისი ფიქრი არ ასვენებდა, ალბათ, კუთხიდან კუთხეში დაფოფხავდა, რაღაცას დაეძებდა.

ფანჯრიდან სჩანდა მუქი ღრუბლებით დახუნძული ცა. თვითმფრინავებს ნავარდი მიეტოვებინათ და ნებაზე მიშვებული ღრუბლების ქარავნები თავთავიანთ ადგილს დაეძებდნენ ამ ცის უკუნეთში. ვანო ღრუბლებს უყურებდა. ისინი არაფერს არ ეუბნებოდნენ მას. ტანთ გაუხდელს ამ ღრუბლების ცქერაში ჩაეძინა, ჩაეძინა ვაქკაცის მაგარი ძილით. ალბათ, ფიქრი ძილშიც ჩაჰყვა,—ორიოდ საათის შემდეგ გაჯავრებულივით წამოიბურტყუნა:

— 91 წერტილს ცეცხლი! ჰაა, ჰაა, ასე!..

ამასობაში რომელიღაც ქარხნის საყვირის ხმა მოაწყდა ფანჯარას. ვანო წამოხტა. სარკმელს შუქი მისდგომოდა. გათენებულიყო. დიდხანს ეფშვნეტდა თვალებს, შემდეგ საკინძები შეიხსნა, ხალათი გაიხადა, წელზევით გაშიშვლდა და პირსაბანიდან ცივი წყალი მოუშვა, რამდენიმე პეშვი წყალი პირისახეზე შეისხა, გამოფხიზლდა. პირი დაიბანა, სველი ტილოთი მკერდი ისე დაიზილა, თითქოს ფიქრები ჩამოიწმინდაო.

სასადილოში საუზმის წინ ერთი ჭიქა არაყი გადაჰკრა, ჯანზე მოვიდა, მაგრა ისაუზმა და ქურქში შეფუთვნილი შტაბისაკენ გაუდგა გზას. მის ფეხებქვეშ ვაყინული თოვლი ისე ჭრაჭუნებდა, თითქოს ძველ სკამებზე დადისო.

ცაზე ისევ ღრუბლები ირეოდნენ. ახლა უფრო თეთრად სჩანდნენ ისინი და, თითქოს სადღაც აგვიანდებათო, ისე მიიჩქაროდნენ... უმზეო ცა თანდათან გამჭვირვალე ხდებოდა.

ვანო თავის სასწავლებლის წინ შეჩერდა. თვალი შეავლო აგურის კედლებს, ეამა. შიგნიდან თვითმფრინავის ხმაური მოისმოდა. ბიჭები სწავლობენო, გაიფიქრა და მარცხნივ შეუხვია.

ეზოში დიდი მოძრაობა იყო. სილამოყრილ ქვაფენილზე ადამიანები მიდიმოდიოდნენ და თავიანთი ამონასუნთქი ჰაერი სახეზე ეფინებოდათ. თვლებზე ჯაჭვებშემოხვეული ავტომობილები მიჩხაკუნებდნენ...

შტაბის ტროტუარზე მფრინავები ირეოდნენ. ვანო მრავალ მეგობარს შეხვდა. სიხარულით გადაეხვია მათ და შენობაში შევიდა.

— ბიჭოს, ნინო! — წამოიძახა მან კანცელარიაში შესვლისთანავე და ქალისაკენ გაეშურა.

— შეჩერდი!.. თინამ არ დაგინახოს!—გაეხუმრა ნინო და მაგრა ჩამოართვა ხელი. — ნუ გეშინია, ალბათ, ისიც გვინახულებს.

ვანო პირველ საავიაციო დანაყოფში ჩარიცხეს. ნინომ ლურჯზოლიანი ქაღალდი მისცა და უთხრა: თავისუფალი ხარო.

კანცელარიიდან გამოსული ვანო ამხანაგებში გაერია.

— საქართველოდან რა ჩამოგვიტანე! — მიაძახა ერთმა მფრინავმა და ღიმილით ამხანაგებს მიუბრუნდა: — ბიჭებო, გჯერათ, რომ ჩვენი ვალოდია მანდარინს, ფორთოხალს ან ცოტა ღვინოს მაინც არ ჩამოიტანდა? არა, მე არა მჯერა. თქვენ რას იტყვით, ბიჭებო?

— ჭამის მადა ჯერ არ დამკარგვია, თუ რაიმე გამოიმეტა, ყლაპ!.. — დაიქუხა ჩერნოვმა.

— ჰო, ყლაპ, ყლაპ! — ტუჩების რაღაცნაირი მოკუმვით განიმეორეს ბიჭებმა.

— რატომაც არა, ყველაფერი ჩამოვიტანე, თუ მადა გაქვთ... წავიდეთ! — და ვანომ ნაბიჯი გადადგა. მას თავისი სკოლის ოთხი ამხანაგი გაჰყვა.

სასტუმროს ოთახი დალაგებული დაუხვდათ. ბეწვიანი პალტოები გაიხადეს, სარკესთან ხალათები გაისწორეს. ვანომ ერთი ჩემოდანი გახსნა და ოთახს მანდარინის სურნელება მოეფინა. მადაზე მოსული მფრინავები მანდარინებს დაეწაფნენ.

— მოიცათ, ხილი ჯერ ნაადრევია, რქაწითელი გავსინჯოთ! — მიმართა ვანომ ამხანაგებს და მაგიდის ქვემოდან ტიკჭორა გამოაცოცა.

— აი ყოჩაღ ვანო! შენზე ახია, ძმაო, პოლკოვნიკობა! — ამ სიტყვებზე ზამკოვმა ზარს ხელი დააჭირა. სასტუმროს მსახური შემოვიდა.

— შეგიძლიანთ ქართული მწვადები მოგვიტანოთ?

— რატომაც არა!

— აბა, ხუთი მწვადი, ჩქარა! აჰა, ეს მანდარინებიც, პირე, ჩაიტაბალუნე, ნუ გვალოდინებ, გასწი! — მსახურმა ბავშვივით მანდარინები ხელში დაეჭირა და დერეფანში გავარდა.

მალე მწვადის სუნი მთელ ოთახს მოედო. მფრინავები მაგიდას მოუსხდნენ. ნამდვილი, ჩვენებური მცვრიანი მწვადიაო, სთქვა ვანომ და სასმისი აიღო. მანდარინებს რომ გახედა, თვალწინ დედის დაღვრემილი სახე წარმოუდგა. ძალზე ამოიხვნეშა და დაიწყო:

— ბიჭებო, არ შემიძლია აქ ახლა დედაჩემის სიტყვები არ მოვიგონო. იგი გატანჯული ქალია და მწარედ იცის ლაპარაკი.

— მოიცა, ვანო, შეაჩერე პროპელერი! — წამოიძახა ზამკოვმა და ჭიქით ხელში წამოდგა. — ეს დედაშენს გაუმარჯოს! ეტყობა, კეთილი ქალია, ასე მეფურად რომ გამოგისტუმრა. ესეც რომ არ იყოს, მეგობარი მეგობარია, მაგრამ დედა სულ სხვაა, ძმაო. მოკლედ, დედაშენს გაუმარჯოს! იცოცხლოს, ძმაო, იმდენ ხანს იცოცხლოს, სანამ შენს შვილისშვილის შვილს დააქორწინებდეს... მიკვირს, როგორ გამიგრძელდა სადღეგრძელო, რუსებმა ხომ მოკლეთ ვიცით: ვიყოთ კარგად, ვიყოთ მაგრად!

მფრინავებმა სასმისები ასწიეს და ერთმანეთს მიუჭახუნეს თუ არა, ვანომ შეაჩერა ისინი.

— არ დალიოთ, რაღაც მომაგონდა! — ვანომ ახლა მეორე ჩემოდანი გახსნა და პატარა, ოჯახური ყანწი ამოიღო.

— ჰაი, ჰაი, ახლა კი დაამტკიცე, რომ ნამდვილი ქართველი ხარ! — უთხრა ზამკოვმა და ყანწი გამოართვა, როგორც სასყიდელი ნივთი, ისე შეათვალიერა. სხვებსაც ძალიან მოეწონათ. შეავსეს, დალიეს და ეშხზე მოვიდნენ.

— არა, ძმაო, — მიმართა ზამკოვმა ვანოს და სავსე ყანწი მიაწოდა: — ძირს ჭიქები! ამას რა სჯობია! — მართლაც, ჭიქები გადასდგეს და ვანომ ყანწით ხელში განაგრძო სადღეგრძელო.

— ადამიანი დაიბადება და ტირის. რაიმე სასიხარულო შეხვდება თუ არა, თვალები მაშინვე აუცრემლდება. მწუხარებაშიც ხომ ტირის და ტირის. როცა კვდება, მაშინაც ტირის... მაგრამ, ვინა სთქვა, ადამიანი მწუხარების შვილიაო? არა, ადამიანი სიხარულის შვილია. ტირილს სიხარული ახლავს. ისინი ერთმანეთს ცვლიან. მაგრამ ახლა სიხარულმა სამუდამოდ შესცვალა ტირილი. ახლა დედაჩემი არ ტირის! ვიცი, თქვენი დედებიც არა სტირიან. წინათ დედა რომ შვილს ჯარში ჰგზავნიდა, იმდუღრებოდა, ტიროდა მთელი სოფელი. მაგრამ ახლა დედამ და მეზობლებმა ყვავილებით გამომაცილეს. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენი სამშობლოს ყველა მოქალაქემ იცის, — წითელარმიელის თითო ტყვიამ თავისუფლების თითო მტერი უნდა მოჰკლას... მეგობრებო, ჩვენ შეგვაერთეს ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებმა. ჩვენ ჩვენი ქვეყნის დამცველები ვართ.. ჩვენი იმედია დიდი სტალინი, ჩვენი მამა და სიხარული... სტალინისათვის, ამხანაგებო! სანამ დედამიწა მოსავალს იძლევა და ცა ვარსკვლავებით დაგვციმციმებს, ჩვენი სტალინი იყოს ჯანმრთელად, ყველა ჯურის მტერმა გაიგოს ჩვენი ტყვიების გემო!

მფრინავებმა გამოსცალეს რქაწითლით სავსე ყანწები. სწორედ ამ დროს კარი ვიღაცამ დააკაკუნა. შემოვიდნენ ნინო გერსამია და კატუშა ორლოვა.

ზამკოვმა მაშინვე ლიმილით შეაგება:

— ღვინის სუნი ხომ არ გეცათ?

— არა, ამათ მანდარინების სუნი ეცემოდათ! — გაიხუმრა ვანომ, შეიპატიჟა ქალები და განაგრძო სადღეგრძელო.

— შენ გაგიმარჯოს, ჟორკა, ერთი წლის უნახავს დღეს რომ შეგხვდი. გული გამინათე. ჩვენი ქართული სადღეგრძელოსი არ იყოს, იმდენხანს იცოცხლე, სანამ კუი კურდღელს მიეწეოდეს და კაპუეტი კოლასა. იმ დროს მოგასწროს, როცა ვირი ჯამბაზობას დაიწყებს, დათვი ხაბაზობას, აქლემი დალაქობას, ჯორი ნალბანდობას, ცხენი ხარატობას, როცა პეპელა ტოლმასა სჭამდეს, მგელი გუთნითა ხნავდეს, ჭიანჭველა ხმალს შემოიკრავდეს და საომრად მიდიოდეს. ღმერთმა გამოგიყვანოს თვალადი, ტანადი, პურადი, გულადი, ღმერთმა სახლი აგიმსოთ შვილებითა, საბძელი შვილიშვილებითა. თქვენი მტერი დაამარცხოს, ეზიდებოდეს ვირითა.

ვანო რომ ამ სიტყვებს ქართულად ამბობდა, ნინო კისკისებდა. მისი შემყურე სხვებიც იცინოდნენ, თუმცა ამ სადღეგრძელოსი არა ესმოდათ რა. ნინომ თამადის ეს სიტყვები რუსულად გადათარგმნა, და მფრინავებმა ბევრი იხარხარეს.

ბვიან დაიშალნენ. რქაწითელი მაგრა მოჰკიდებოდათ.

*

* *

ორი ზოლებიანი ბოძი, როგორც ორი ადამიანი, ერთმანეთს პირდაპირ შესცქერის. მათ წელთა ქარავანი ახალ-ახალ თოვლს აყრის, ახალ-ახალი ქარი დასტრიალებს თავს, მაგრამ ბოძები გაქვავებულან და ამ თეთრი მინდვრის ფონზე მათი ზოლები შავად გამოკრთიან.

ერთ, უფრო მაღალ ბოძზე, თითქოს მოპირული ნამგლებიაო, ისე აღმართულა წარწერა: „СССР“ და, მოპირდაპირესაგან განდგომილი, თავისთვის დგას, თავისი ქვეყნის ქარებით გარშემორტყმული.

„სუომი“—შავად გამოსახულია მეორე ბოძზე, რომელსაც ტანი ისე აუზიდნია, თითქოს ცის შეწვდენას ლამობსო, მაგრამ ძალა რომ არა ჰყოფნის, თავისი მდგომარეობით გაბრაზებული, მიწას ჩასცქერის, რომლიდანაც მის საამებლად თოვლი თეთრად შემოსცინის.

ამ ბოძის იქით ამართულია ცას-მწვდენი კოშკი, რომლის თავზე მიწიდან მოწყვეტილივით სდგას ადამიანი და გაყინულ სივრცეში ხან დურბინდით, ხან თვალების უბრალო ჭუტვით და ხანაც ხელების ფათურით რაღაცას დაეძებს. ეს გაფაციცებული მზვერავი უცებ შეხტა, შუბლზე ხელი იტაცა, ტელეფონს მიჰვარდა.

— ენ იუმმერია, ენ იუმმერია! რა ამბავია! მოდიან, ეგრე გვხვდება ჩვენ... მაშ, რა გეგონათ! აი, შეაჩერეთ ეხლა!

ღრიალებდა იგი, მაგრამ როცა თვითმფრინავებმა თავზე გადაუქროლეს და ტანკების ჯარიდან ერთმა „სუომ“ წარწერილი ბოძი ქვეშ მოიგდო, გუშაგმა სროლაც ვერ მოასწრო და კოშკიდან ძირს გადმოვარდა. თოვლში რბილად დაეცა. ფოფხვით მივიდა ტყვიამფრქვევთან და ისეთი გაბმული სროლა ასტეხა, ეს ტანკები ფანერისა რომ ყოფილიყვნენ, მართლაც შეაჩერებდა. ერთი ტანკი, მუსიკის მწყობრ ხმაზე რომ მოდიოდა, კოშკს დაეჯახა და გუშაგი თავისი ტყვიამფრქვევიანად ჩააჩუმა.

მოდიან გუგუნით, გრიალით. მოდიან ტანკების კოლონები, და გალხობილ მიწაზე ღია სასაფლაოებივით ორმოებს აჩენენ. მოდიან, მწყობრად, თუხთუხით და რაღაცნაირი შიშინით, და თეთრად მოხასხასე თოვლს ერთბაშად აშავებენ, მიწაში თქვლეფავენ, ტალახის ტბორებს აყენებენ. ზოგან მინდორს ტკეპნიან და ხეებსა და ბუჩქებს მიწაზე ასწორებენ. უზარმაზარი, გაყინული ხეები ლაწა-ლუწით ეცემიან ტოტების მტვრევით და შემდეგ ამ ფოლადის გოლიათის ბორბლებში ნაფოტებად იქცევიან.

თვითმფრინავთა ესკადრილიამ ცაში გაიშხუილა. ყინვის ღრუბლებში გაძვრა და—ჰმ!—ვანოს გაეცინა, როცა ქვემოთ დაინახა, თეთრი, მოძრავი მინდორი როგორ სწრაფად მისდევდა ტანკებს.

— დახე, ზამკოვ, თეთრხალათიანი ექიმები მირბიან, ალბათ ავადმყოფებს ძალიან უჭირთ.

— უკანასკნელ დღეში არიან! — მიუგო შტურმანმა და ერთხელ კიდევ დახედა ქვეითა ჯარს, რომლის მწკრივები აქაფებული მდინარესავით თეთრად მიედინებოდნენ.

გამოჩნდა დათოვლილი გზა. იგი სწორად მიემართებოდა ამ თეთრ მინდვრისა და ჭაობების პირად. ამ გზას, თითქოს არც კი შეუმჩნევიათო, ისე აუარეს ჯარისკაცებმა გვერდი და დაცემულ ველს გაჰყვნენ. მაგრამ უცებ მავთულხლართებმა შეაჩერა ისინი. ობობის ქსელზე უფრო მჭიდროდ მოქსოვილი მჩხვლეტავი მავთულების მთელი ბადეები გაიშალა მათ წინ. წითელარმიელებმა უკან დაიხიეს. მოვარდა უზარმაზარი ტანკი და ამ ღობის პირველ შეხებისთანავე ჯოჯოხეთურად იგრიალეს ნაღმებმა. მავთულხლართები ჰაერში ავარდნენ.

ფოლადის გოლიათი მედგრად მიიწევდა წინ. აფეთქების შავი კვამლი ზევით მიიკლაკნებოდა და დედამიწის ამბავი ცაში მიჰქონდა.

უკან, საზღვართან, ყინვით მოზიმზიმე მინდვრისა და ტანკების შავ ნაკვალევის ფონზე თეთრად ამოდიოდა სუსტი ბოლი და რამდენიმე მეტრის შემდეგ იკარგებოდა. იწვოდა მოთხრილი ბოძი, რომელიც ამ ათიოდე წუთის წინ „სუომს“ შავად ალივლივებდა და მის პირდაპირ წარწერილ „СССР“-ს მტრულად შეჰყურებდა.

ხოლო ის ბოძი, რომელზედაც „СССР“ იყო წარწერილი, როგორც სამშვიდობოდ ამართული ხელი, იდგა თავისთვის, მაგარი და დღეგრძელი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კ. ოსიპოვი

# დივიზიის უფროსი კიკვიძე

V. [1])

მარტოდ დარჩენილმა ალექსიმ ქუდი კეფაზე მოიგდო და გაბმით დაუსტვინა.

— ესეც საქმეები. მაშ, ველარ დავუკრავ, ალიოშა, შესვენების დროს გარმონს.

— რატომ ვითომ? — ჰკითხა გუშაგმა და ბაქანის ბოლოსკენ გაიხედა, სადაც წითელარმიელთა ჯგუფი სიცილ-ხარხარით მოჭყვირალ გოჭს მოათრევდა. — ქუდი სად გაიხვრიტე? — გუშაგმა ალექსის ქუდის მრგვალ ნახვრეტზე მიუთითა.

— გუშინწინ... დაზვერვაზე, — განგებ გულგრილად მიუგდო სიტყვა ალიოშამ, თუმცა სულის სიღრმეში ამ ნახვრეტით მეტად ამაყობდა.

გუშაგს აღარა უთქვამს რა, ალექსი ერთხანს შედგა, დაუსტვინა, საქმიანად მიმოიხედა.

— თეთრებს მაინც გვარიანი სიმდიდრე მიმოუკარგავთ. ჩვენი მნე, ამხანაგი რიჟოვი, უნდა მოვძებნოთ, თორემ დაიტაცებენ.

თოფი მხარზე გადაიკიდა, ხელები ჯიბეში ჩაიწყო და ლიანდაგს გაჰყვა საბარგო ვაგონების გასწვრივ. დიდი ხანია ეს ვაგონები აღარ უხმარიათ. ზოგ მათგანში ხელით ნაკეთები უშნო ავეჯი იდგა, თოკებზე აშმორებული ფეხსახვევები ეკიდა. აქა-იქ, ბორბლებს შორის, უხვად ამოსულიყო მწვანე ბალახი.

— მოსწყინდათ, ალბათ, დგომა, — სთქვა ალიოშამ, — არა უშავს-რა, მოგიხდება ჯერ კიდევ მგზავრობა.

ყველაფერი, რაც გარს ერტყა, მახლობლად მიაჩნდა. მოკამკამე დღე, ფრინველები, თავს რომ დასტრიალებენ, სუფთა ჰაერი, — ყოველივე ეს როგორღაც ექსოვებოდა გამარჯვების აზრს, იმ სასიხარულო შეგნებას, რომ რამდენიმე საათი სასტიკ ბრძოლაში გაატარა, ორი კაზაკი სიცოცხლეს გამოასალმა, თვით კი უვნებელი დარჩა.

— ეხ, калина-малина мая... — გააბა ხმადაბლა სიმღერა და სიამოვნებით გაუსვა ფეხები ხავერდოვან ბალახს.

— ძია, ძია, — დაიწრიპინა ვიღაცამ მის თავზე.

ალექსიმ გაკვირვებით ასწია თავი. მაღალ რცხილაზე ფეხშიშველა ბიჭი შემჯდარიყო და თითით ჩუმად ეძახდა.

— მანდ რას აკეთებ, ბიჭო?

— მე, ძია, ვუცქერი, როგორ მოდის ჯარი. დიდძალი ჯარია...

---

[1]) დასაწყისი იხ. „მნათობი", № 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხომ არ გადაირიე... რა ჯარი?

— ამოდი აქ... აქედან სჩანს.

ალექსი მარდად აცოცდა ხეზე. შორს, კაშკაშა დღისინათლეში, მტვრის უზარმაზარი ღრუბელი ირწეოდა.

ალიოშამ ხორკლიან ტოტს ხელი მაგრად დასჭიდა და გაიხედა. გასცქეროდა იმ დრომდე, სანამ მის ნახევრად დაბრმავებულ თვალებში მწვანე ნაპერწკლები არ აკიაფდნენ.

— ქვეითი ჯარი მოდის... — ბუტბუტებდა იგი. — აგერ ცხენოსნებიც! კვამლიც ადის, ალბათ, ჯავშნიანი მატარებელია. ჩვენი მზვერავები სადღა არიან, რას ფიქრობენ?

სწრაფად ჩამოხტა და სირბილით გაეშურა. „მზვერავები უნდა მოვძებნო, შევამოწმო, აცნობეს თუ არა შტაბს, კარგად დავათვალიერო“.

— წადი აქედან, ბიჭიკო, — დაუძახა მან სირბილით მიმავალმა, — აქ მოგკლავენ.

— არა, ძია, არ მომკლავენ. — მოესმა ბიჭის წრიპინა ხმა.

ნახევარი ვერსი რომ გაირბინა, ალიოშას ხმები და სიცილი მოესმა. გვერდზე გაუხვია და გაშეშდა: მიწაყრილის ძირში სამი წვერიანი წითელარმიელი ჩრდილში მიმჯდარიყო და ახალ კიტრებს შეექცეოდა. შაშხანები ერთმანეთზე მიეყუდებინათ. ერთ ხიშტზე საველე დურბინდი ეკიდა.

— ძმებო! რას აკეთებთ მანდ? — სასოწარკვეთილებით წამოიძახა ალიოშამ.—დასახვრეტი ხართ! აგერ თეთრები მოდიან.

— რას ღრიალებ? — დაცინვით გამოეხმაურა ერთი. — რომელი თეთრები? მოდი, დაჯექ, კიტრს შეექეც.

ალექსიმ უფრო მაგრად ჩასჭიდა ხელი შაშხანის ლულას. ბრაზი აღჩობდა.

— დურბინდი რატომ მოგცეს, თქვე ძაღლიშვილებო?—წამოიძახა გააფთრებულმა. — ყვავების დასათვლელად? შაშხანები რატომ მოგცეს, არამზადებო? ახლავე გაიქეც შენ სადგურში, — მიმართა იმას, რომელმაც კიტრი შესთავაზა, — უთხარი, კაზაკები იერიშით მოდიან-თქო. გზაზე საგუშაგოებსაც შეატყობინე. თქვენ კი ჩემთან წამოდით, თეთრებს ცოტა მივუახლოვდეთ, დავათვალიეროთ.

წითელარმიელები ისევ არხეინად ისხდნენ და ადგილიდან არ იძროდნენ.

— ძნელია სიცხეში სირბილი, — დაცინვით უპასუხა პირველმა, — კაზაკები კი მალე ვერ მოვლენ.

— თქვენ თავათ კაზაკები ხომ არა ხართ? — სთქვა ალიოშამ. მოულოდნელმა აზრმა გაუელვა: იმ დღეებში მეზობელ მირონოვის დივიზიიდან ნახევარი ესკადრონი გადმოიყვანეს მზვერავთა გასაძლიერებლად. მირონოვის დივიზია თითქმის მთლად კაზაკებისაგან შესდგებოდა. მირონოველები ხშირად გარბოდნენ კრასნოვთან.

ალიოშამ ერთი ნაბიჯით დაიხია, ჩახმახი ააჩხაკუნა და ბრძანებით დაუყვირა:

— წამოდექით! იარაღს ხელი არ ახლოთ. რკინიგზისკენ იარეთ!

წითელარმიელებმა ერთმანეთს გადახედეს, ჩუმად, უხალისოდ წამოდგნენ.

— რა ამბავია, ამხანაგო? — აწუწუნდა ერთი. — დეზერტირები ხომ არა ვართ, უიარაღოდ წაყვანას რომ გვიპირებ. დურბინდის აღების ნება მაინც მოგვეცი. ბატალიონის უფროსმა გვიბრძანა, უსათუოდ დავუბრუნოთ.

— კარგი, ბინოკლი აიღე.

წითელარმიელმა ნაბიჯი წარსდგა, მერე ერთბაშად ისკუპა და მთელის სიმძიმით ალიოშას დაეცა. ალიოშა შეტორტმანდა, მაგრამ ფეხზე შეიკავა. ვიდრე მოისაზრებდა რამეს, ინსტიქტმა უკარნახა საჭირო [illegible] ხელები აიქნია და მტერს ზურგში ხიშტი ჩასცა. მაგრამ იმ წამსვე იგრძნო, როგორ დაეცა თავზე რაღაც მძიმე. ირგვლივ ყველაფერი შეტრიალდა, წყვდიადში გაეხვია, და ალიოშა ძირს დაეშვა, მიექანებოდა სადღაც ქვევით, მაგრამ ფსკერისთვის მაინც ვერ მიეღწია.

„რა ღრმაა, სად არის ფსკერი?“ — გაიფიქრა მან და იმავე წუთს ახალი სიმძიმე, წინანდელზე უფრო დიდი სიმძიმე დაეცა, აუტანელმა ტკივილმა დაუარა მთელ ტანში. ეს ტკივილი უკანასკნელი იყო, რაც მან შეიცნო.

## VI

ტყვეების დაკითხვისას კიკვიძემ თითქმის ვერაფერი ვერ გამოარკვია, რადგან თეთრების შტაბის ოფიცრები ყოველგვარ ჩვენებაზე უარს აცხადებდნენ. დაკითხვიდან დაბრუნებული კიკვიძე გაქცეულ სადგურის უფროსის კაბინეტში მოეწყო. ამხანაგებმა როგორც იყო დაიყოლიეს — ცოტახანს მიწოლილიყო და დაესვენა.

— სამი საათის შემდეგ გამაღვიძებ, — მეხუთედ განუმეორა მან მედვედოვსკის და ჩექმები გაიხადა. მთელ ტანში უკვე დაუარა ძილის სასიამო მოთენთილობამ.

— გაგაღვიძებ, დარწმუნებული იყავ. სიზმარში ფაფა თუ ნახო, უსათუოდ შესჭამე, თორემ ვერ მოასწრებ, — სიცილით ეუბნებოდა მედვედოვსკი.

კიკვიძე ნეტარების ღიმილით გაიჭიმა ტახტზე, ხელი ბავშვივით ლოყის ქვეშ ამოიდო და მაშინვე წყნარ და ღრმა ძილს მიეცა.

— ვასილ ისიდორიჩ, — ფანჯარასთან აღრიალდა ვიღაც, — რატომ საზიდებს არ მაძლევენ? რით მოვიტანო კაზაკების ავლა-დიდება?

მედვედოვსკიმ შეშლილის სახით გამოიხედა.

— რიეოვ, თუ კრინტი კიდევ დაგიძრავს, იცოდე, თავს წაგაცლი. დივიზიის უფროსი დასაძინებლად დაწვა. საზიდების საქმეს კი უიმისოდაც მოვაგვარებთ.

იგი, ფეხის ცერებზე შემდგარი, ოთახიდან გავიდა და კარი ფრთხილად გაიხურა.

კიკვიძეს ფხიზლად ეძინა, იმ ადამიანის ძილით, რომელიც ყოველგვარი მოულოდნელობისათვის მზად არის.

ღია ფანჯრიდან დიდი ბუზი შეფრინდა და ოთახში ხმამაღალი ბზუილი გაბა. კიკვიძეს ბზუილი ჩაესმა, თვალი გაახილა, შეინძრა, მერე ისევ მშვიდად ჩაიძინა. მაგრამ აი ყურში კვლავ ჩაესმა ბზუილი, იგი თანდათან მატულობდა, მომაბეზრებელი ხდებოდა, და უეცრად ტყვიამფრქვევის ნაცნობ კაკანად გადაიქცა.

— ფუი, დასწყევლოს ეშმაკმა, ძილშიაც არ მასვენებს, — შეიგინა კიკვიძემ, გულიანად დაამთქნარა და ფეხები იატაკზე დაუშვა.

ოთახი იგივე იყო, ოღონდ კუთხეებში ჩრდილები გაწოლილიყვნენ. ყველაფერი სიცხადე იყო, მით უფრო გაკვირვებას იწვევდა მკაფიო საბრძოლო ყიჟინა, რომელიც მის ყურს ესმოდა. კიკვიძემ ჩექმები ჩაიცვა და ქუჩაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავარდა. მისკენ ჩაუქ კაზაკურ ცხენს მოაგელვებდა გაფითრებული მედვედოვსკი.

— თეთრები! — ქშენით წამოიყვირა მან და დამნაშავესავით შეხედა თვალებში დივიზიის უფროსს. — ჭალიდან გამოვიდნენ. ვერ გავიგეთ. სამი მხრიდან მოდიან.

კიკვიძეს სახე დაელმიჭა.

— აი რა ყოფილა! — სთქვა მან და მედვედოვსკიმ კიკვიძის თვალებში შეუპოვარი სიმტკიცე დაინახა, რასაც ასე კარგად იცნობდა იგი.

— ვინც ვერ გაიგო, იმაზე შემდეგ ვილაპარაკებთ... მაგრამ სამწუხარო ის არის, რა ნამუსით დავიხიოთ იმ გზით, რომელზედაც დილით ოთხასი მებრძოლი დავაწვინეთ? ისინი ხომ საფლავებიდან წამოდგებიან!

იგი დაჩუმდა, წარბები შეიჭმუხნა და ასე იდგა. ეტყობოდა, შექმნილ მდგომარეობაზე ფიქრობდა. ირგვლივ უკვე ტყვიები ზუზუნებდნენ. წითელარმიელებს, რომლებიც ახლო-მახლო გარბოდნენ, შეშფოთებული, შეშინებული სახეები ჰქონდათ.

— ალექსიკოვო უნდა მივატოვოთ, — ოდნავ აკანკალებული ხმით სთქვა კიკვიძემ, — თორემ აქ თაგვივით გამოგვამწყვდევენ კაზაკები. მაგრამ შორს არ წავალთ. შლაგბაუმთან რომ ბორცვებია, ბიჭებს იქ მოუყარე თავი, ტყვიამფრქვევებიც იქ შეჰკრიბე. გამოვარკვიოთ, რა გავაკეთოთ და როგორ... იქნება, ეს მოჩვენებითი იერიშია, ჩვენს შესაშინებლად... ხოლო თუ დიდი ძალებია, უნდა გავმაგრდეთ, ვიდრე მოგვეშველებოდნენ.

თხუთმეტი წუთის შემდეგ იგი ტყვიამფრქვევთან იწვა და ჩვეულებისამებრ სავსებით მშვიდად ხმამაღლა უხსნიდა მეზობელ ტყვიამფრქვეველებს.

— ახლა იერიშს მოიტანენ... დაბინდებამდე ორი საათი დარჩა. ცხადია, თეთრები შეეცდებიან შეგვმუსრონ და თუ შესძლეს, აგვკუწავენ კიდეც. მაგრამ არც ჩვენ დავაკლებთ. ჩემს ბრძანებას ელოდე, მიზანი კარგად გასინჯე, მაშინ კი დაუზარებლად ააკაკანე.

— ვასილ ისიდორიჩ, — მიუახლოვდა ერთერთი ნაწილის მეთაური, — საქმე ისეა, რომ...

— რაო, კიდევ მოხდა რამე? რას იზლაზნები?

— აი რა. თეთრები რომ დაგვესხნენ, ტყვე ოფიცრების ვაგონიდან გამოყვანას შევუდექით. ისინი კი არ გამოდიოდნენ, იმუქრებოდნენ. კაზაკები უკვე უკანიდან გვეპარებოდნენ. უნდა გაგვესწრო. ჰო-და, მეც ვიფიქრე: ხომ ვერ დავტოვებთ-მეთქი იმათ, რომ კვლავ აგვკუწონ. ავდექი და დავხვრიტეთ... ასეთი ამბავი მოხდა.

— რას იზამ, რაკი სხვა გზა არ იყო, სწორად მოქცეულხართ. მათ თავიანთი რეზერვების იერიშის იმედი ჰქონდათ.

მან მძიმედ ამოიოხრა: ეჰ, სამხედრო ხელმძღვანელს რომ ძალები არ დაექსაქსა, განა ახლა ამ ბორცვზე იქნებოდა?

— მოდიან! მოდიან! — აჩურჩულდნენ ტყვიამფრქვეველები.

წინ თეთრების ქვეითი ჯარის რამდენიმე რკალი გამოჩნდა.

— კარგად მოდიან, — მოიწონა კიკვიძემ, — ეტყობა გამოცდილი მეომრები არიან. მაინც, წამოსვლა ერთია და მოსვლა მეორე. მიზანი გასინჯეთ! ცეცხლი!

თეთრების ორი იერიში ტყვიამფრქვევებით მოიგერიეს. კაზაკების არტილერიამ კანტი-კუნტი სროლა ასტეხა, ცდილობდა წითლების ტყვიამფრქვე-

ვების ადგილ-მდებარეობის გაგებას. როდესაც ჭურვები თითქმის გვერდით ეცემოდნენ, კიკვიძემ ტყვიამფრქვევები ასორმოცდაათი მეტრით დაშორა იმ ადგილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე ჩადიოდა. „ერთი საათი კიდევ, — ფიქრობდა კიკვიძე, — ღამე ვეღარ წამოვლენ“.

მარცხენა ფრთაზე უწესრიგო სროლა გაისმა. გაზაკების დიდი რაზმი ხევ-ხევ მიიწევდა, ბორცვს მოადგა და ახლა ყიჟინით ზურგიდან უვლიდა ტყვიამფრქვეველებს.

— შემოგვიარეს, გზა გადაგვიჭრეს, — დაიყვირა ვიღაცამ და გზისპირა ჩირგვისაკენ მოჰკურცხლა.

კიკვიძემ თითქმის დაუმიზნებლად დაახალა მას რევოლვერი. გაქცეული წაიქცა და ხელები არაბუნებრივად გაშხლართა.

— ვისაც სიცოცხლე მოსძულდა, დაე სცადოს გაქცევა! — ბრაზით შეჰყვირა კიკვიძემ. — კაზაკებმა კი ნაადრევად შესძახეს „ურა“. ჩვენ ჯერ კიდევ ავუწვავთ ზურგს.

დივიზიის უფროსმა ორი ნახტომი გააკეთა და იმ მანქანასთან გაჩნდა, რომლითაც დილით დაჰქროდა.

— მიდი, პეტია! — მიაძახა მან შოფერს, ტყვიამფრქვევში ახალი ლენტი შესდო და ერთი წუთის შემდეგ სეტყვასავით დაუშინა ტყვია გაშტერებულ კაზაკებს. მას ცხენოსანთა ასეულის ნარჩენები მიეშველნენ, მერე — ქვევითი ნაწილების წითელარმიელები, და მცირე ბრძოლის შემდეგ თეთრებმა პირი იბრუნეს.

როგორც კიკვიძე ფიქრობდა, კაზაკებს იერიშზე გადმოსვლა აღარ უცდიათ. მებრძოლები მიწვნენ, შაშხანები გვერდით მოიდვეს. დივიზიის უფროსი მაზარაში გაეხვია და ტყვიამფრქვევის მახლობლად მიწაზე წამოწვა.

ცაზე მტრედისფრად ანათებდა მქრქალი განმარტოებული ვარსკვლავი, რომლის სახელიც მან არ იცოდა.

— ვასილ ისიდორიჩ, — მოესმა ფრთხილი ჩურჩული, — არა გძინავს?

— რა გინდა, ანტონ?

— ალექსი არ გინახავს? იქნებ რამეზე გაჰგზავნე? არსად არა სჩანს.

— მართალს ამბობ, მოხუცო... ალიოშას ადვილად შევნიშნავდით. ბიჭებს გამოჰკითხე.

— გამოვკითხე... — ნაღვლიანად მიუგო ანტონმა, — არ იციან... დაიკარგა ალექსი. ბოდიში, ვასილ ისიდორიჩ!

კიკვიძემ ისევ თავი მისდო ტყავის ჩანთაზე, რომელიც იმ ღამეს ბალიშად ჰქონდა.

— ამხანაგო დივიზიის უფროსო, — გაისმა ხმადაბალი შეძახილი, — ცარიცინიდან სამხედრო ხელმძღვანელი სნესარევი მოვიდა.

კიკვიძე მყისვე წამოხტა. მრავალი ადიუტანტით გარშემორტყმული სნესარევი მოზუზუნე ავტომობილთან დგას, ბუზღუნებს და ვიღაცას უსაყვედურებს უწესრიგობის გამო. კიკვიძე თავს ძალას ატანს, სიმშვიდეს ინარჩუნებს, მოკლე პატაკს აძლევს და სთხოვს სამხედრო ხელმძღვანელს ცალკე მოელაპარაკოს.

— რა არის, რას მეტყვით? — უკმაყოფილოდ იჭმუხნება სნესარევი, როდესაც ისინი მარტონი რჩებიან. — რატომ ვერ შეინარჩუნეთ სადგური ასეთი სუსტი მოწინააღმდეგის წინაშე?

— მოწინააღმდეგე დილით ჩვენზე ორჯერ ძლიერი იყო, ახლა კი ოთხჯერ ძლიერია, — ცივად უპასუხა კიკვიძემ და ტუჩზე მწარედ [illegible]. — მე ვფიქრობ, გულახდილად უნდა ვილაპარაკოთ: რაზმის მდგომარეობა კრიტიკულია. საჭიროა სასწრაფო დახმარება ადამიანებით, საბრძოლო საჭურველით, აგრეთვე ჯავშნიანი მატარებლის ან რამდენიმე ჯავშნოსანის გამოგზავნა მაინც. მაშინ შემიძლიან დაგპირდეთ, რომ ალექსიკოვოს სამუდამოდ შევინარჩუნებთ.

— დიაღ, — გაურკვევლად ბუზღუნებს სნესარევი. — მაგაზე ვიფიქრებ. ყოველ შემთხვევაში პანიკას საფუძველი არა აქვს.

— აქ არავინ პანიკას არ ეძლევა, — უპასუხა კიკვიძემ და ოდნავ ათრთოლებულმა ხმამ მისი აღელვება გამოამჟღავნა. — მაგრამ ძალა აღმართსა ხნავს. ყველაფრიდან სჩანს, რომ ჩემი დივიზიის ძალები დროზე ვერ მომეშველებიან, ამიტომ გთხოვთ, განკარგულება გასცეთ, რათა დაუყოვნებლივ მომაშველონ დამხმარე ძალები სივერსის ან მირონოვის ეშელონებიდან, რომლებიც ახლოს დგანან.

— მოვიფიქრებ, — გაიმეორა სამხედრო ხელმძღვანელმა და ზანტად დაამთქნარა. — ახალგაზრდა მეთაურებს ყოველთვის ჰგონიათ, რომ ყველაზე საშიში უბანი სწორედ ის არის, სადაც ისინი იმყოფებიან. ჰე-ჰე...

კიკვიძეს უნდოდა ეკითხნა, როგორი მდგომარეობა მიაჩნდა სნესარევს საშიშ მდგომარეობად, მაგრამ სამხედრო ხელმძღვანელის უსიამოვნო ჩაცინებამ აგრძნობინა, რომ გენერლებმა ნოსოვიჩმა და სნესარევმა იციან მისი ძტრული განწყობილება მათდამი და ისინიც სამაგიეროს უხდიან.

კიკვიძემ თავი ველარ შეიკავა და ალაპარაკდა, თითქმის აყვირდა ისე, რომ საკუთარ ხმას ვერა სცნობდა:

— ამხანაგო სამხედრო ხელმძღვანელო! თქვენი მოქმედება საქმეს ზიანს აყენებს. ჩემი, როგორც რევოლუციონერის, როლი მე ვიცი და ისევე შევასრულებ, როგორც აქამდე ვასრულებდი, მაგრამ ის ამბავი, რომ თქვენ ყველაფერს ხუმრობაში ატარებთ და ჭკუას ძალას ატანთ, უწმაწურ გინებაზე უარესია.

— გთხოვთ გაჩუმდეთ! — ქედმაღლურად წარმოსთქვა სნესარევმა. — თქვენს საქციელზე სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს თავმჯდომარეს მოვახსენებ.

— მე კი არა, თქვენ გაჩუმდით! — უპასუხა კიკვიძემ და თითქმის გვერდში ამოუდგა. — საშინელებად მიმაჩნია, რომ ბრძანება ათასჯერ იცვლება, ახალი განკარგულებები არევ-დარევას იწვევენ. ამ განკარგულებებს ისე იძლევით, რომ ფაქტიურ სიტუაციას ანგარიშს არ უწევთ. აი თუნდაც ახლა: რეზერვები წამართვით, მაიძულეთ უთანასწორო პირობებში დამეწყო ბრძოლა. მაცნობეს, რომ დასავლეთის ბრიგადა უკვე გამოვიდაო საბრძოლველად, შემდეგ კი გამოირკვა, რომ ბრიგადა ბალაშოვშია. თქვენ ტელეგრაფით მაცნობეთ, რომ პეტროგრადის სამანევრო ბატალიონი ჩემს დივიზიას გადმოეცა, შემდეგ კი იგი არმიის რეზერვში დასტოვეთ...

— კმარა! — თავის მხრივ შეჰყვირა სნესარევმა. — ეს... ეს...

იგი სწრაფად მიტრიალდა და მანქანისაკენ წავიდა. იქ შეკრებილიყო მისი ამალა, რომელიც ყურს უგდებდა მათ ლაპარაკს.

რამდენიმე საათის შემდეგ გამოირკვა, რომ სამხედრო ხელმძღვანელმა არა თუ ძალები არ მიაშველა, არამედ განკარგულებაც კი გასცა უკან გადა-

ეყვანათ მეზობელი დივიზიების ეშელონები, რომლებიც მახლობლად იდგნენ.

...შორეულ ტყიდან მზემ გამოაშუქა. პოზიციებზე ამოძრავდნენ. კიკვიძემ პირველი მუშურ-გლეხური პოლკის მეთაური მატუსოვი გამოიძახა.

— გაიგე, ივან ოსიპიჩ, როგორ დაგვეხმარა სამხედრო ხელმძღვანელი? ვიდრე იქ ნოსოვიჩი შტაბის უფროსია და სნესარევი სამხედრო ხელმძღვანელი, ჩრდილოეთ კავკასიის ოლქიდან ხეირს ნუ მოელი. ცარიცინს მოგიხდება წასვლა, სტალინთან ან ვოროშილოვთან... ახლა კი ჩვენი ნაწილების მოსვლამდე უნდა გამაგრდე. დილით ვერ მოვიდნენ, მაგრამ საღამოსთვის მოვლენ. ცხადია, დღეს ალექსიკოვოს ვერ დავიბრუნებთ. მაგრამ აღარც უკანდახევა შეიძლება.

შემდეგ იმიერ-ამურის ცხენოსანთა მეთაური როგლიკოვი იხმო. მეექვსე იმიერ-ამურის პოლკი დივიზიაში ერთი პირველთაგანი შევიდა და კიკვიძეს ძალიან უყვარდა იგი. საპასუხისმგებლო დაზვერვის დროს მას ყოველთვის თან მიჰყავდა ხოლმე როგლიკოვი, ჩამომავლობით პროლეტარი და გაბედული მებრძოლი. ამჯერადაც მათ ხუთი მხედარი გაიყოლიეს, დასაზვერავად წავიდნენ და მხოლოდ შუადღის წინ დაბრუნდნენ.

შუადღემდე თეთრები საარტილერიო სროლით კმაყოფილდებოდნენ, შემდეგ კი პოზიცია ფრთხილად გადაიარეს და შეტევას შეუდგნენ. წითელარმიელები პირკუშტად ბერტყავდნენ ჩანთებს: ვაზნები უთავდებოდათ.

მოიერიშეებმა წინსვლას მოუჩქარეს.

კაზაკებმა ორჯერ გადალახეს თხელი ცეცხლის ფარდა, მაგრამ ხელჩართულ შეტაკებაში დამხვდურთა თავგანწირულ კვეთებას ვერ გაუმკლავდნენ და ორივეჯერ უკუიქცნენ. შუადღისას თეთრებს ახალი ძალები მოუვიდათ და კიკვიძემ, რომელმაც ასიოდე მებრძოლი კიდევ დაჰკარგა, ნელა დაიწყო უკანდახევა. საღამოთი გამოჩნდნენ მისი დივიზიის ნაწილები, რომლებიც საშველად მოეშურებოდნენ. უკანდახევა შესწყდა. თეთრებმა უკვე ოთხი ათასი კაცი გამოიყვანეს და ორჯერ კიდევ მიიტანეს იერიში, მაგრამ ისინი ორჯერვე უკუაქციეს.

კიკვიძის დივიზია მტკიცედ დამკვიდრდა ფილონოვო-პოვორინოს საომარ უბანში.

## VII

ივლისის დამლევს თეთრი კაზაკების ნაწილებმა მთელ ცარიცინის ფრონტზე დაამთავრეს ახალი შეტევისათვის მზადება. დონის ჯარის სარდლობას ეს გადამწყვეტ შეტევად მიაჩნდა. ემზადებოდნენ, რომ იგი მაქსიმალური დაძაბულობით ჩაეტარებინათ, არავითარ მსხვერპლს არ უნდა მორიდებოდნენ.

პირველად ცარიცინის პოზიციების ჩრდილოეთის უბანს მიეტანენ. ცენტრალურ უბანში, იმ რაიონში, რომელიც ცარიცინს უშუალოდ ეკვროდა, სტალინმა და ვოროშილოვმა ისეთი თავდაცვა მოაწყეს, რომელიც კაზაკთა იერიშებს ნაცარ-ტუტად აქცევდა ხოლმე. აქტიური თავდაცვის ეს გასაოცარი სისტემა მათ შეჰქმნეს ტროცკის დირექტივების საწინააღმდეგოდ, მიუხედავად ამ უკანასკნელის მიერ დაყენებული სამხედრო სპეციალისტების გამცემლობისა და თვალთმაქცობისა.

თეთრები დარწმუნდნენ, რომ ამ თავდაცვის ხაზის გარღვევა მათ ძალ-ღონეს აღემატება. ამიტომ გადასწყვიტეს—ფრთიდან მიეტანათ იერიში. აქ კი სხვა მდგომარეობა იყო. შეტევის დასაწყისში გენერალ ფიცხელაურის ოცდათორმეტიათასიან არმიას უპირისპირდებოდა კიკვიძის დივიზიის სამი ათასი მებრძოლი, სივერსის დივიზიის ორი ათასი და მირონოვის დივიზიის ორათასზე ნაკლები მეომარი. ამას ისიც ემატებოდა, რომ ამ ძალების სარდალს, მეფის ყოფილ გენერალს კნიაგნიცკის უნარი არ შესწევდა ან არა სურდა სტალინის და ვოროშილოვის სარდლობით მებრძოლი ჯარის გამოცდილება გამოეყენებინა. სივერსის, კიკვიძისა და მირონოვის რაზმებს შორის მჭიდრო საბრძოლო კავშირი და ურთიერთმოქმედება არ არსებობდა. ჯარი ან სტანიცებში იდგა ან რკინიგზის სადგურებში. მათ შორის დიდი ინტერვალები არსებობდა. კრასნოვის ცხენოსანი პატრულები წითლების ზურგში დაეხეტებოდნენ და იქ მომქმედ კულაკურ ბანდებს უკავშირდებოდნენ.

თეთრები ცალ-ცალკე ესხმოდნენ ჩვენს რაზმებს: ჯერ სივერსს დაესხნენ, შემდეგ კიკვიძესა და მირონოვს. წითელმა ნაწილებმა ვერ გაუძლეს მრავალრიცხოვან მტერს და უკანდახევა იწყეს. ოცდაექვს ივლისს თეთრმა კაზაკებმა დაიჭირეს ლოგი და არჩედი, რომლებსაც მირონოვის ცხენოსანი ნაწილები იცავდნენ. ორი დღის შემდეგ მათ დაიკავეს პანფილოვო და ბუდარინო, სადაც კიკვიძის ნაწილები იდგნენ.

**მძიმედ იმოქმედა კიკვიძეზე დივიზიის უკანდახევამ.** ესმოდა, რომ ცარიცინის ფრონტის ჩრდილოეთის უბნის ცუდ ორგანიზაციას, რაც უკანდახევის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო, ღრმა ფესვები ჰქონდა. იგი კარგად იცნობდა ბრძოლას, რომელსაც სტალინი აწარმოებდა არა მარტო აშკარა გამცემლების, არამედ უნიჭო და უსიცოცხლო ხელმძღვანელობის წინააღმდეგაც. იგი საშინლად სწუხდა და იტანჯებოდა, რომ მისი დივიზია გაუბედავ, თითქმის უნიჭო და, რაც მთავარია, საეჭვო კაცს სიტინს ემორჩილებოდა და ვოროშილოვის არმიის სასახელო საქმეებში მონაწილეობას არ იღებდა. მაგრამ ამავე დროს ესმოდა, რომ მისი რევოლუციური მოვალეობა იყო აქ დარჩენილიყო, რადგან დარჩენა მით უფრო საჭირო იქნებოდა, რაც უფრო გართულდებოდა მდგომარეობა, რაც უფრო ცუდად იმოქმედებდა არმიის სარდლობა.

თეთრების მიერ ხუტორებსა და სოფლებში ჩაყენებულმა უსასტიკესმა ეგზეკუციებმა აიძულეს უამრავი მუშა და ღარიბი გლეხი საბჭოთა ჯარებს შეერთებოდნენ. სოფლების რუდნიას, აბადუროვოს, კრესტის, ბოლშიე კოპნის მცხოვრებნი ასობით შედიოდნენ კიკვიძის დივიზიაში. მაგრამ ესენი გამოუცდელი და გაუწვრთნელი მეომრები იყვნენ, თითქმის არც ერთ მათგანს იარაღი არა ჰქონდა, ხოლო ზოგიერთმა არ იცოდა მისი ხმარებაც. კარგი შევსება მისცა კიკვიძის ნაწილებს მხოლოდ დაბა ტიტოვკამ, ამ დაბის მოხალისეთაგან მთელი პოლკი ჩამოყალიბდა, რომელიც მამაცურად იბრძოდა დივიზიის რიგებში.

მტერი იერიშს არ ანელებდა. დივიზიის ყველაზე გამოცდილ ნაწილებს კიკვიძე ყველაზე საშიშარ ადგილას ჰგზავნიდა. იგი ხედავდა, რომ ქანცგაწყვეტილი ადამიანები ფეხზე ვეღარ დგებოდნენ, რომ კვლავ აკლდებოდათ სასროლი მასალა — ოცდაათი ქვემეხიდან ნახევარზე მეტი არ მოქმედებდა. კარგად ესმოდა, რომ ასეთი მდგომარეობა შეიძლება დივიზიის დაღუპვით გათავებულიყო. მაგრამ საქმის გამოსწორება არ შეეძლო.

ერთხელ, როცა მეთაურების მოხსენებები მოისმინა და მათი პირქუში, დაღლილობისაგან გაფითრებული სახეები დაინახა, სასოწარკვეთის გამომხატველი დეპეშა გაჰგზავნა: „მტრის მიერ გარშემორტყმული ჩემდამი რწმუნებული დივიზიის ნაწილები სასტიკი ბრძოლის შემდეგ იძულებულ[illegible] ელანისაკენ დაეხიათ. უკანასკნელ ბრძოლებში ათას კაცზე მეტი გამოვიდა მწყობრიდან. ჩემი არაერთგზისი თხოვნის მიუხედავად, ჩვენი დივიზიის შესავსებად მებრძოლებს არ გვაძლევენ. ორი თვეა დივიზია განუწყვეტლივ იბრძვის, ჯარისკაცები გაწამებულნი არიან, ტანისამოსი და ფული არა გვაქვს. დივიზიის გადასარჩენად გთხოვთ გასცეთ განკარგულება გამოგზავნონ ყველაფერი, რაც საჭიროა დივიზიის მოსამარაგებლად და შესავსებად“.

დეპეშას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

ბრძოლა არ ნელდებოდა. დღის იერიშს ღამის იერიში სცვლიდა, პირდაპირ დარტყმას მოსდევდა ცხენოსანი ჯარის მოულოდნელი თავდასხმა ფრთებზე.

როგორღაც დილით დივიზიის უფროსთან მედვედოვსკი შევარდა.

— პოზიციაზე წამოდი! თეთრები უცნაურად იქცევიან...

მთელ ღამეს ორივე მხრიდან არ შეწყვეტილა გაცხოველებული სროლა. მებრძოლთა უმრავლესობამ ისარგებლა ჩამოვარდნილი სიწყნარით და დასაძინებლად მიწვა. სანგრებში უმთავრესად მორიგეობდნენ დივიზიაში ახლად მისული გლეხები. მათი მღელვარე ხმები კიკვიძემ შორიდანვე გაიგონა. ახლოს რომ მივიდა, არაჩვეულებრივი აღტყინება დაინახა. ყველანი ერთად ყვიროდნენ, ერთმანეთის თითქმის არა ესმოდათ-რა.

— წმინდა ხატებს არაფრის გულისათვის არ ვესვრი, — ხმაჩახლეწილი ჰყვიროდა ზორბა ქერა გლეხი.

— ისინი ლოცვით მოდიან, ჩვენ კი... ყოვლად შეუძლებელია, — დაუდასტურა მეორემ.

— რა წმინდანები არიან, თუ თეთრებთან რჩებიან? — უპასუხა ჩოფურა ყმაწვილმა.

— ცრუობ, — არ იშლიდა ქერა, — ისინი ქრისტეს მცნებით მოდიან... სიყვარულით, მაშასადამე.

— სიყვარულით დათვმა ბელი მოახრჩოო, — გაისმა ომახიანი ბანი, რომელშიაც კიკვიძემ ანტონის ხმა იცნო. — სწორედ ასეთ სულელებს აბრიყვებენ ისინი.

„ნეტავ რა შეემთხვათ?“ — შეშფოთებული ფიქრობდა კიკვიძე. პაწია ბორცვი ხელს უშლიდა თვალი მოევლო სანგრების წინ სივრცისათვის. მან ამ ბორცვზე აირბინა და გაოცებული შესდგა.

— ოჰ, დაწყევლილებს რა მოუგონიათ! — აღმოხდა ბოლოს.

იმ მხრიდან, სადაც თეთრები იდგნენ, ბერებისა და ხუცების ბრბო მოემართებოდა. წინ ორი უზარმაზარი პლაკატი მოჰქონდათ, ერთზე ეწერა: „იესოს პოლკი“, მეორეზე დიდი ლურჯი ასოებით — „არა კაც ჰკლა“.

ბერები საკმაოდ მწყობრად მოდიოდნენ და ხმამაღლა გალობდნენ ფსალმუნს. მათ თავზე მოოქროვილი ჯვრები და დროშები ირხეოდნენ.

— ვასილ, შეხე, — მიმართა მედვედოვსკიმ და დურბინდი მიაწოდა. — ანაფორის ქვეშ წაჭრილი თოფები მიუმალავთ. ხუცებს ჩვეულებად აქვთ: ჯვრით თუ არაფერი გამოვა, წკეპლით ან თოფით სცადონ.

კიკვიძე მდუმარედ მიაბიჯებდა. მისი გამოჩენისას მებრძოლებმა ურთიერთს ხელი წაჰკრეს და დაჩუმდნენ.

კიკვიძემ სრული სიჩუმის ჩამოვარდნას დაუცადა და დამცინავი თვალებით განგებ მშვიდად სთქვა:

— რა ვქნათ, ქრისტეს მოძმენო, დავნებდეთ? დავყაროთ თოფები და ტყვიამფრქვევები და ხელზე სამთხვევლად მივიდეთ. ყველამ ერთად კი არა. რიგრიგობით. იქნებ, ხუცებმა გაგვიცხონ კიდეც, რომ ოდესღაც კადეტს ან მემამულეს ვაწყენინეთ. ჰო-და ჩაიხადეთ შარვლები და გაწექით გასაწკეპლავად. არა და, კაზაკები მოგვისწრებენ და მერე გაწკეპლას როდი დაგჯერდებიან...

— ისინი აგვკუწავენ... — დაძაბულ სიჩუმეში გაისმა ანტონის ხმა.

კიკვიძე გვერდით მდგომ ახალგაზრდას მიუბრუნდა.

— დააგდე შაშხანა! — მკაცრად უთხრა მან. — შეგიძლიან წახვიდე! ასეთი მებრძოლი არ მჭირია.

— მე-რა... რაც სხვა, ის მე... — აბუტბუტდა ახალგაზრდა და ორივე ხელი თოფს მოუჭირა.

— როგორ თუ სხვა? — შეჰყვირა კიკვიძემ, — მაშინ ყველანი ეშმაკს წაულიხართ! პარაკლისი გადაიხადეთ და ბატონს ქედი მოუხარეთ. ხოლო ვინც მშრომელი მუშური საქმისათვის იბრძვის, მე გამომყვეს!

კიკვიძეს არც კი მოუხედნია — გაჰყვა ვინმე თუ არა, ისე ამოხტა სანგრიდან და პროცესიისაკენ გაემართა. ანტონი და ხუთიოდე სხვა უკან დაედევნა.

კიკვიძემ ცხადად შენიშნა პირველ რიგში მომავალი მხარბეჭიანი დიაკვნის შიშისაგან გაფითრებული თვალები. ხუცებსა და ბერებს გუნება წაუხდათ, როცა დაინახეს მათკენ სწრაფად მიმავალი გაცოფებული კაცი. გალობა შენელდა, ზოგმა უკან დაიხია და აქამდე მწყობრად მომავალი რიგები არევდარია. იმავე წუთს შუა ბრბოდან სროლა გაისმა და კიკვიძის თავთან რამდენიმე ტყვიამ გაიზუზუნა.

კიკვიძე შეჩერდა და ყუმბარა ამოიღო.

— რაო, არამზადებო, სწერთ „არა კაც ჰკლაო“ და თავათ თქვენ კი ისვრით? — შეჰყვირა მან და ყუმბარა მოიქნია.

მხარბეჭიანმა დიაკონმა პლაკატი გადააგდო და ჩაცუცქდა. მას სხვებმაც მიჰბაძეს და ჯვრები და დროშები გადაჰყარეს. უკანა რიგებიდან ოცდაათამდე კაზაკი გამოვარდა, ხელშემშლელი სამოსი გაიძრო და უწესრიგო სროლა ასტეხა. კიკვიძის უკან აღშფოთებით აყვირდნენ: იქ უკვე მიხვდნენ, რომ კინაღამ ხიფათში ჩავარდნენ, და ყველანი სანგრებიდან ამოვარდნენ, რომ ცრუ და ნამდვილ ბერებს გასწორებოდნენ. მაგრამ ბერებმა მათ არ დაუცადეს: წმინდა ატრიბუტები მიჰყარ-მოჰყარეს, გრძელი ანაფორები აიკეცეს და მოჰკურცხლეს.

— ოი, მამაო, — ხარხარით მიუთითებდა ანტონი ჩამრგვალებულ, მოკლეფეხება მღვდელზე: — როგორ გარბის. აი ეს მესმის!

გაქცეულთ გამაყრუებელი სტვენითა და ყიჟინით აცილებდნენ. კიკვიძემაც კი ღიმილი ვეღარ შეიკავა გაქცეულთა უშნო ფიგურების დანახვაზე.

მაგრამ ყოველთვის ასე საკეთილოდ როდი თავდებოდა საქმე. აგვისტოს დამლევს, როდესაც სტალინმა და ვოროშილოვმა მთავარ ხაზზე თეთრი კაზაკები გაანადგურეს და მთელ ფრონტზე მძლავრი კონტრდარტყმა შეაშზადეს, ჩრდილოეთის უბანი კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდა. კიკვიძის დივი-

ზიის მარცხენა ფრთა დაუცველი აღმოჩნდა, რადგან მეზობლად მდგომმა მირონოვის დივიზიამ ყოველგვარი კავშირი გასწყვიტა მასთან და უკან დაიხია. ამ ცარიელ უბანს თეთრებმა მყისვე ჯარი მიაყარეს და ვიდ. კიროშუტრის სიღრმეზე შეიჭრნენ. ილმენისა და მალიშევის რაიონში კაზაკთა ცხენოსანი პატრულები გამოჩნდნენ. იმავე დროს თეთრების დიდი ძალები გაძლიერებულ აქტივობას იჩენდნენ ტროსტიანკის რაიონში.

ფერმკრთალი, ჩამომხმარი, უძილობისაგან თვალებჩაცვენილი კიკვიძე ცეცხლის ხაზს არა შორდებოდა. იგი მებრძოლებისაგან უკიდურეს დაძაბულობას მოითხოვდა, მოითხოვდა, რომ მათ, რომელთაც მთელი კვირეების განმავლობაში არა სცვლიდნენ, ხშირად ცხელ საჭმელს არ აწვდიდნენ და ვაზნებ-გამოლეული ჩანთები ეკიდათ, მოეგერიებინათ საუცხოოდ შეიარაღებული კაზაკთა ახალ-ახალი პოლკების განუწყვეტელი იერიში. მაგრამ კიკვიძეს ისიც კარგად ესმოდა, რომ თუ დამხმარე ძალები არ მოუსწრებდნენ, ყოველივე ეს ამაო იქნებოდა.

პირველ სექტემბერს სასწრაფო ბარათი მიიღო არმიის სარდლისაგან. იმედი მიეცა, ეგონა ბარათში ცნობა იქნებოდა დამხმარე ძალების გამოგზავნის შესახებ, სასწრაფოდ წერილი გახსნა და... გაფითრებულმა ხელები დაუშვა: უბრძანებდნენ ელანის პოლკი, დივიზიის ერთ-ერთი ყველაზე მედგარი ნაწილი, დაუყოვნებლივ გაეგზავნა არმიის სარდლის განკარგულებაში.

კიკვიძემ მატუსოვი დაიბარა. მატუსოვი განცვიფრებული შეჰყურებდა დივიზიის უფროსს, რომელიც ასეთ მდგომარეობაში ჯერ არასოდეს არ ენახა.

— არმიის შტაბში წადი, — ხრინწიანი ხმით უთხრა კიკვიძემ, — გადაეცი, რომ დივიზია უმაზაროდ, უტანისამოსოდ, უვაზნოდ იბრძვის. გადაეცი, რომ მებრძოლებს ძალ-ღონე გამოელიათ, რომ მარცხენა ფრთა გაშიშვლებულია, რადგან მირონოვის ნაწილებმა პოზიცია მიატოვეს. გადაეცი, — მატუსოვს ანთებული თვალებით გადახედა და წყნარად დაამთავრა, — რომ მდგომარეობის გამოსასწორებლად და მუშათა და გლეხთა რევოლუციის სახელით ვთხოვ ელანის პოლკი ჩემს განკარგულებაში დასტოვონ.

შემოდგომის პირველი ნიშნები გამოჩნდა. მდელოები გადაჭკნა, ბალახი გახმა, შვიტა დატყდა და გადაიხლართა. ტბებზე იხვის გუნდები გაჩნდნენ. შემოდგომის ნათესმა თავი ამოჰყო. მაგრამ ამ ცვლილებას დივიზიაში თითქმის ვერავინ ამჩნევდა. ყველა ერთი აზრით იყო შეპყრობილი: აეტანათ ლითონის სეტყვა, გაეძლოთ მოწინააღმდეგის განუწყვეტელი იერიშებისათვის.

თეთრებმა იარიჟენსკის ცხენოსანი ბრიგადიდან ორიათასი მებრძოლი მოიშველიეს და ცხრა სექტემბერს ტერეშჩანსკის, იაკუშოვისა და სტოეჟევსკის ხუტორებზე შეტევა დაიწყეს. მჭიდროდ მოდიოდნენ, ფართო ფრონტით უტევდნენ. კაზაკთა რევოლუციური პოლკის პირველმა და მეოთხე ასეულებმა, რომელთაც არტილერია ყუმბარებს უშენდა, მტრის ძალების მოწოლას ვერ გაუძლეს და დაიხიეს. კიკვიძემ მათ დასახმარებლად მეორე და მესამე ასეული და ტიტოვის დონის რევოლუციური პოლკი გაჰგზავნა. გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლა. საღამოს ხუთ საათზე თეთრებმა დაიხიეს.

ამ წარმატებამ დივიზიის მდგომარეობა ერთგვარად განამტკიცა. ცუდი ის იყო, რომ მეზობელი რაზმებიდან უწესრიგოდ მოდიოდა ცნობები მათი ოპერაციების შესახებ. კიკვიძე ტელეფონით ეკითხებოდა, ცხენოსან შიკრი-

კებს ჰგზავნიდა, მაგრამ ზუსტად მაინც ვერ გამოარკვია სივერსისა და მირონოვის რაზმების ადგილსამყოფელი.

— წარმოიდგინე, — შესჩიოდა იგი მედვედოვსკის, — იქნებ — მათ უკან დაიხიეს და ჩვენ უკვე მომწყვდეულნი ვართ, ან, იქნებ, წინ მიიწევენ, და მაშინ თეთრების აკლება არ გაგვიჭირდება.

— კიდევ გაგზავნე ტელეგრამა.

— რას გვიშველის ტელეგრამები!? — წამოიძახა კიკვიძემ.

მაგრამ იმავე საღამოს მაინც გაგზავნა რამდენიმე მისამართით ტელეგრამა: „გადაჭრით მოვითხოვ სამხედო ხელმძღვანელებისაგან, ყოველდღიურად გამოჰგზავნონ ოპერატიული ცნობები, თუნდაც დღე-ღამეში ერთხელ, და მაცნობონ ფრონტის მდგომარეობა სხვა უბნებზე. ორი დღეა ცნობები არ მიმიღია და არ ვიცი, რა ხდება. ბრიგადის მეთაურებს სივერსსა და მირონოვს ვთხოვ, ცნობები უშუალოდ მე მიგზავნონ“.

მეორე დღეს დეპეშა მიუტანეს. კიკვიძემ გახსნა დეპეშა, და წარბები გაკვირვებით აზიდა, დაღლილი თვალები გამოცოცხლდნენ, ფერმკრთალი სახე სიხარულით აუღაღადა.

— გაიგონე რასა გვწერს: „გადაეცით დივიზიის უფროსს კიკვიძეს და მისი დივიზიის ნაწილებს, რომ სამხედრო საბჭო მთელი ქვეყნის სახელით შადლობას უცხადებს მათ მარჯვე მოქმედებისათვის და დარწმუნებულია, რომ ამ დივიზიის მამაცი ჯარი შემუსრავს თავხედ მტერს და საბრძოლო დიდებას მოუხვეჭს თავის რევოლუციურ დროშებს“.

დეპეშა სამხრეთის ფრონტის შტაბის უფროსისაგან იყო.

კიკვიძემ ტელეგრამაზე რაღაც აღნიშნა, შემდეგ იგი მედვედოვსკის გადასცა.

— წადი, ყველა ნაწილში წაიკითხე! ახლავე წადი, ლაპარაკს მერე დავასრულებთ.

## VIII

საღამოთი, როდესაც სროლა მისწყდა, მაზარა წამოსხმული, სიცივისაგან მობუზული კიკვიძე კარავიდან გამოვიდა. არ ეძინებოდა. მზის ჩასვლისთანავე კიკვიძეს ციებ-ცხელება იპყრობდა, ძველი ჭრილობები სტკიოდა და ზოგჯერ, თავის სალაშქრო ტახტზე წამოწოლილი, რომ არ აკვნესებულიყო, კბილს კბილზე აჭერდა.

მესამე ბატალიონთან რომ მივიდა, ნაბიჯს უკლო. ანტონის მშვიდი, წყნარი ხმა ისმოდა, იგი გერმანელებთან ომზე ჰყვებოდა.

კიკვიძე რომ შენიშნა, ანტონმა საუბარი შესწყვიტა.

— დაჯექ, ვასილ ისიდორიჩ. ჩვენი სტუმარი იყავ. ისევ უქეიფოდ ხარ?

მებრძოლებმა მიიწ-მოიწიეს. ისინი შეჩვეულნი იყვნენ, რომ დივიზიის უფროსი მათთან მივიდოდა და ჩამოჯდებოდა შესვენების დროს, დიდხანს ესაუბრებოდა, სამეურნეო ხასიათის რჩევა-დარიგებას მისცემდა და გულის ჭრილობასაც კი მოუშუშებდა.

კიკვიძემ და ანტონმა ერთმანეთს სიყვარულით გადახედეს და ორივეს თავში ერთმა აზრმა გაიელვა — ალექსის შესახებ.

— მოწყენილი ხარ? — წყნარად ჰკითხა კიკვიძემ.

— ცოდვაა, — წყნარადვე უპასუხა ანტონმა. — რამდენი ხალხი დაღუპა ჩემ თვალწინ, ალიოშა კი თავში მიტრიალებს.

კიკვიძემ თავი გაიქნია.

— აბა, განაგრძე ამბავი! — ხმამაღლა წარმოსთქვა მან. — ჩაინ ხომ არ გამიმასპინძლდებით? აი მაზარაში შაქარი მაქვს. მთელ ულუფას ვერ შევჭამ.

— არაფერია, შეჩვეულნი ვართ, — წარმოსთქვა ერთერთმა მებრძოლმა.

კიკვიძე წამოდგა, მაზარის ჯიბეები მოიქექა და ქაღალდში შეხვეული ორი ნაჭერი ამოიღო.

— რას მორცხვობთ? აიღეთ!.. მართლა, კარგა ხანია მინდოდა მეთქვა... გადმომცეს, რომ თქვენი ასეულიდან ზოგიერთები გასართობად მავთულებს ესვრიან. აღარ უნდა მოხდეს ეს, ამხანაგებო. ამით ხომ კავშირს აფუჭებთ. ზოგი ამით თავს ირთობს, ჩვენ კი სხვა დივიზიებთან კავშირის დამყარება აღარ შეგვეძლება.

— სწორეა, — წამოიძახეს ირგვლივ. — ასეთებიც არიან ჩვენ შორის, სისულელე აწვალებთ.

— ზოგი ამას სისულელით სჩადის, — სთქვა კიკვიძემ, — ზოგს კი შეიძლება განგებ უნდა გააფუჭოს. ამაზე ყველას თვალი უნდა გეჭიროთ.

— ამხანაგო დივიზიის უფროსო! ვასილ ისიდორიჩ! ამხანაგო კიკვიძე, — ანაზდად გაისმა თავგანწირული ყვირილი.

სიბნელიდან ვიღაც გამოვიდა, ჩქარი სირბილისაგან იგუდებოდა.

— ჩეხები თეთრებთან წავიდნენ.

— რაო?!

— ჩეხები-მეთქი, თეთრებთან...

კიკვიძე უკვე გარბოდა და მის მხრებზე მაზარა ფრთებივით ფრიალებდა.

— ეხ, ისევ სხვისი მაზარა წაიღო, — ამოიხვნეშა ანტონმა. მიუხედავად შეშფოთებისა, ყველას გაეღიმა: იცოდნენ, რომ დივიზიის უფროსი ფაცაფუცში ხშირად შეცდომით იცვამდა სხვის მაზარას.

სამარის, სარატოვისა და ტამბოვის რაიონებში მეფის მთავრობამ მრავალი ბანაკი მოაწყო იმპერიალისტური ომის სამხედრო ტყვეებისათვის. რევოლუციის შემდეგ ამ ბანაკებში მყოფი ჩეხო-სლოვაკების ნაწილი წითელი არმიის რიგებში შევიდა. კიკვიძის დივიზიაში ასეთი ჩეხო-სლოვაკი მოხალისეებისაგან პოლკი იყო შექმნილი. ამ პოლკს, რომელსაც „მეორე ინტერნაციონალური პოლკი“ ეწოდებოდა, ჩეხი ოფიცერი კნიეკი მეთაურობდა. ინტერნაციონალური პოლკი მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა და მისი დაკარგვა ძალზე საგრძნობი იქნებოდა. ამას გარდა, თეთრების მხარეზე ამ პოლკის გადასვლა მძიმე გავლენას მოახდენდა მებრძოლთა მორალურ მდგომარეობაზე, შეარყევდა მათ შეუპოვრობას და მზადყოფნას რევოლუციისათვის ყოველგვარი გაჭირვების გადასატანად.

კიკვიძემ ჩვეულებრივად მოსინჯა ბუდე, — რევოლვერი თავის ადგილას იყო, მაგრამ მაშინვე გაიღიმა: მარტოკა ხომ არ იბრძოლებს მთელი პოლკის წინააღმდეგ. ძალა გამოიყენოს? სცადოს ჩეხების განიარაღება? ეს უკიდურესი ზომაა. საჭირო სიტყვები უნდა გამონახოს, შეუტაკებლად უნდა მოახერხოს მათი შენარჩუნება.

კიკვიძე პოზიციებს გასცდა და ახლა „არავის მიწაზე“ გარბოდა, როგორც უწოდებდა ხოლმე ადგილს თავის სიმაგრეებსა და მტერს შორის. გული უცემდა, ყელი გაუშრა, ყურები უწიოდნენ. სცადა არ ესუნთქა და რამდენიმე

გრძელი ნახტომი გააკეთა, შემდეგ სირბილს უკლო, ფილტვებში ჰაერი შეისუნთქა და კვლავ ხტუნვით გასწია.

ბოლოს, თვალი მოჰკრა ადამიანებს, რომლებიც ნელა მიდიოდნენ. პოლკს თავის რიგებს შორის ინტერვალი დაეცვა, ფრთებზე ტყვიამფრქვევები დაედგა და მწყობრად მიაბიჯებდა.

კიკვიძემ ძალ-ღონე მოიკრიბა და შეჰყვირა:

— შესდექ!

ჩეხები შეჩერდნენ. მაღალმა, რკინის სათვალეებიანმა კნიჟეკმა, რომელთან ერთად კიკვიძე მრავალჯერ გადასულა იერიშზე, პოლკს ხმადაბლა უბრძანა:

— იარ!

წამიერი ყოყმანის შემდეგ პოლკმა იმავე მტკიცე, მძიმე ნაბიჯით გასწია წინ.

კიკვიძე მეთაურს დაეწია.

— საით?

კნიჟეკს მისკენ არც კი მიუხედნია, ისე უპასუხა:

— თეთრებთან...

— მეც თქვენთან მოვდივარ, — უბრალოდ სთქვა კიკვიძემ და მეთაურის გვერდით წავიდა.

ჩეხმა განცვიფრებით გადახედა, მაგრამ პასუხი არ გასცა.

პოლკი თეთრების პოზიციას უახლოვდებოდა.

— ტყვიამფრქვევებსაც გადასცემთ? — ხმადაბლა ჰკითხა კიკვიძემ.

მეთაურმა დასტურის ნიშნად თავი დახარა.

— თქვენ წადით, ბაზილ იზიდორ, — უთხრა პოლკის მეთაურის თანაშემწემ ცმუნდმა, — თქვენ ცუდს არაფერს გიზამთ.

კიკვიძე მიაბიჯებდა, სახეზე ძარღვები ებერებოდა. ერთი რამ მისთვის ცხადი იყო: თუ პოლკის შეკავებას ვერ შესძლებს, უკან არ დაბრუნდება.

თეთრების ბანაკიდან რამდენიმე კაცი გამოჩნდა და სწრაფად გამოემართა ჩეხებისაკენ.

„მორიგებულან... ეგებებიან", — ბრაზით გაიფიქრა კიკვიძემ. და ანაზდად, უეცარი ინტუიციის მორჩილმა, რასაც იგი ბევრჯერ უხსნია ბრძოლაში, კიკვიძემ ჯიბიდან ნაგანი იძრო და პოლკისაკენ მიბრუნდა.

— ამხანაგებო, — ომახიანად შეჰყვირა მან, — ძირს მოღალატენი! მსოფლიო რევოლუციისათვის!

— Halt [1]) — რატომღაც გერმანულად შეჰყვირა კნიჟეკმა და სწრაფად გახსნა რევოლვერის ბუდე. კიკვიძე გვერდზე გახტა, მან ორჯერ გაისროლა. ჩეხმა მუხლებში ჩაიკეცა, რაღაცის თქმა სცადა, მაგრამ ახრიალდა და გვერდზე დაეცა.

პოლკი გვამს პირქუშად დაჰყურებდა. კიკვიძემ იცოდა, რომ ყველაფერი ამ წამს გადასწყდებოდა: ჩეხები მას ან ხიშტზე წამოაგებენ და მოახლოებულ თეთრ ოფიცრებს გაჰყვებიან ან მთელი პოლკი მას გაჰყვება, როგორც არაერთხელ გაჰყოლია. ხედავდა, როგორ ყოყმანობდნენ ჯარისკაცები, გრძნობდა, როგორ ვერ ბედავდა ვერც ერთი მათგანი ეკისრნა გადაწყვეტილების სიმძიმე და სხვებს ელოდებოდა. და ამ გრძნობამ, რომელშიაც კიკვიძემ პირქუშად

---

[1]) სდექ!

მდგომ ადამიანებთან უხილავი ძაფებით დაკავშირების სიმპტომი დაინახა, რწმენა და სიმტკიცე შეჰმატა მას.

მშვიდად, მაგრამ მკაცრად გამოართვა ერთ ჯარისკაცს შაშხანა და ესანაცვლოდ თავისი რევოლვერი მისცა.

— პოლკო, ისმინე ბრძანება: რევოლუციისათვის! ლენინის საქმისათვის! წინ!

და უკვე დარწმუნებული, რომ გარდატეხა მოხდა და ჩეხები მას არ მიატოვებენ, კიკვიძე თეთრების პოზიციისაკენ გაეშურა. მთელი პოლკი საიერიშოდ გაჰყვა, მთელმა პოლკმა კნიეეკის გვამი გადათელა.

თეთრებმა ერთბაშად ვერ გაიგეს, რა მოხდა და მხოლოდ ერთი წუთის შემდეგ ასტეხეს სროლა.

კიკვიძე გარბოდა და თან კარგად ნაცნობ მშვიდ გააფთრებას განიცდიდა. იგი სიხარულით ხედავდა, თუ რა მარჯვე იერიში მიჰქონდათ ჩეხებს, რომელნიც მტრის ინტენსიური ცეცხლის დროს მიწას ეკვროდნენ, თანაც განუხრელად მიიწევდნენ მოწინააღმდეგის სანგრებისაკენ.

„მგონი, ავიღებთ“, — გაუელვა სასიხარულო აზრმა.

მოულოდნელად გვერდში მკვეთრი დარტყმა იგრძნო. მიიხედა, მაგრამ ვერავინ დაინახა.

ალბათ, მომეჩვენაო, — გაიფიქრა.

მაგრამ ტკივილი მაინც იგრძნო. ფეხები ტყვიასავით დაუმძიმდა. მთელი სხეული უცნაურმა სისუსტემ შეიპყრო. შედგა, შეფიქრიანდა, აბნეულად გაიღიმა და მიწაზე გაიშხლართა.

## IX

სამხედრო-რევოლუციური საბჭოს ტელეგრამა:

„ელანი. დივიზიის უფროს კიკვიძეს. მივესალმები თქვენს მამაცობას უკანასკნელ ბრძოლაში. თქვენი დაჭრის ამბავი გავიგე და მოველი ცნობას გამოჯანმრთელებაზე. მივესალმები მამაც დივიზიას, რომელმაც სიმტკიცე გამოიჩინა და რომელიც მტერს კვლავ ავიწროებს“.

მედვედოვსკიმ ტელეგრამა დაკეცა და ჩუმად გადახედა მწოლიარე კიკვიძეს.

— გტკივა, ვასილ? — შეეკითხა იგი. — იქნებ, ექიმია საჭირო?

— არა... ოპერატიული ცნობა წამიკითხე. ხელს მოვაწერ.

— აკი გითხრეს, რომ ახლა საქმეებს ხელს ნუ მოჰკიდებო.

— კარგი... წაიკითხე!

— ეჰ, ვასილ, კარგია, რომ ცოლიანი არა ხარ. წუთისოფელს გამოასალმებდი ახალგაზრდა ცოლს. რაკი ეგრეა, მისმინე: „ელანის უბანი. მოწინააღმდეგემ ძალიან დიდი ძალები მოგვაყარა და უბნის მთელ ფრონტზე გვიტევს. მთელი დღე ბრძოლა იყო არხანგელსკის ხუტორის რაიონში, სადაც ჩვენ და ბატარეას ბრიზანტულ ჭურვებს გვესროდნენ და ერთი ქვემეხი წაგვართვეს. მოწინააღმდეგის ერთ-ერთი ცხენოსანი პოლკი შეუმჩნევლად შემოიჭრა ჩვენს ზურგში და იერიში მოიტანა ჩვენს ცხენოსან ბატარეაზე. ჩვენს ზურგს რამდენიმე ტყვიამფრქვევი დაემუქრა, მაგრამ ჩვენი ორდენოსანი ცხენოსანი პოლკის ძლიერი იერიშისა და სიმამაცის მეოხებით, პოლკის, რომელიც რამდენჯერმე იერიშზე გადავიდა, მოწინააღმდეგე მოვსპეთ და ბრძოლის ველზე უამრავი დაჭრილი და მოკლული დავატოვებინეთ. გუშინ არხანგელსკთან მოწინააღმდეგეს წავართვით ერთი ტყვიამფრქვევი“. ასეა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ასეა.

კიკვიძემ მოხსენებას ხელი მოაწერა, მედვედოვსკის კალამი დაუბრუნა და ხელი ჩასჭიდა:

— ახლა აშკარად მითხარ, რაშია საქმე. ვხედავ, მუდამ ჩაფიქრებული ხარ.

— აი, რა...

— ნუ პირმოთნეობ, — დაღლილი ხმით უთხრა კიკვიძემ.

— კარგი. პირველი ის, რომ დღეს ცარიცინიდან მატუსოვის წერილი მოვიდა.

— რატომ სდუმდი? — წამოიძახა კიკვიძემ. — სტალინი უნახავს?

— ნახა თუ არა, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, მის რომელიღაც მოადგილესთან ულაპარაკნია, რადგან დაწვრილებით გადმოსცემს ამხანაგ სტალინის აზრს ჩვენს საქმეებზე.

კიკვიძემ საწოლზე წამოიწია.

— მერე!.. მერე!..

— აი უკვე აღელდი. ტყუილად გითხარ. ნუ ჯავრობ, ყველაფერს გიამბობ. სტალინი ძალიან სწუხს, რომ პოვორინო-ცარიცინის რკინისგზის ხაზი დაიკარგა. ფრონტის ჩრდილოეთის უბანზე თეთრების წარმატებას იგი სამი მიზეზით ხსნის. ჯერ ერთი იმით, რომ მაგარმა, „თავიანმა“ გლეხმა იარაღი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მოატრიალა, რადგან ჩვენი პოლიტიკა არ მოეწონა. არ მოეწონა რეკვიზიცია, მტკიცე ფასები, პურის მონოპოლია. მეორეც იმით, რომ მირონოვის დივიზიის კაზაკურმა შემადგენლობამ თავი გამოამჟღავნა: მისი მთელი ნაწილები თეთრებთან გადადიოდნენ. და მესამეც — ჩვენი დივიზიის რაზმობრივი წყობით, რაც მოქმედებისა და კავშირის კოორდინაციას აბრკოლებს.

სიჩუმე ჩამოვარდა. მედვედოვსკი ნაძალადევი ყურადღებით აკვირდებოდა კვამლის მოცისფრო ბოლქვებს, რომლებსაც ოსტატურად უშვებდა პირიდან.

— ყოველივე ეს მართალია, — ყრუდ წარმოსთქვა კიკვიძემ, — ყველაფერი სწორია. საჭიროა დივიზია რეგულარული არმიის ნაწილად ვაქციოთ, ძირფესვიანად მოვსპოთ პარტიზანობა, თავგასულობა, ჩმახვა, თვითნებობა... დოყლაპიობის ერთი შემთხვევაც საკმარისია, რომ გმირული ბრძოლის ნაყოფი დაიღუპოს. ცუდი მეთაური გამოვდექ... რაც საჭიროა, ვერ გავაკეთე.

— როდის-ღა უნდა გაგეკეთებინა, — ცხარედ უთხრა მედვედოვსკიმ, — თუ კი ყოველდღე ბრძოლაა? ფრონს გასვლისას ცხენს ხელახლა არა ჰკაზმავენ ხოლმე. ესეც არ იყოს, სტანიცელთა რაზმები განუწყვეტლივ გვემატებიან, თვითეულთან კი ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყო. შენ რომ არ ყოფილიყავ, ყველაფერი დიდი ხანია აირეოდა.

კიკვიძემ თავი გაიქნია.

— არა, რალაც ვერ მოვახერხე, — ჯიუტად გაიმეორა მან. — აკი გაატარა ვოროშილოვმა უწყლო ველზე თავისი რაზმი უზარმაზარი საბარგულებით, თეთრებს კი მხოლოდ ცხენის ნეხვი დარჩათ. მის ნაწილებში რომ პარტიზანობა ყოფილიყო, თეთრები ცოცხლად გადაყლაპავდნენ მათ. — უცბად გაწითლდა და ნაძალადევი ხმით დაამთავრა: — მაგრამ შევსძლებ! ან საფლავში ჩავალ, ან დივიზიას ისე გარდავქმნი, რომ, ვოროშილოვსაც თუ ვაჩვენოთ, არ შევრცხვეთ.

მედვედოვსკი წამოდგა.

— მუდამ ჯავრობ, ვასილ, ჯავრობ და გული გტკივა. ამიტომ არც ჭირლობა გიშუშდება.

ცხვირში რაღაცას დუდღუნებდა და ქაღალდებს სწრაფად ალაგებდა.

ფანჯარაში მზის სხივმა გაიელვა, თაროზე შედგმულ მაღვიძარა საათის მინაზე ათამაშდა და დაკიდულ იარაღზე ათინათინდა. კიკვიძე დაბნეული აკვირდებოდა ამას.

— რა კარგი იქნება, სამუელ,—წყნარად წარმოსთქვა მან, — რა კარგი, როდესაც ომი დამთავრდება. — ოდნავ შეჩერდა და მომძლავრებული ხმით დაუმატა, — და მაინც, რა შესანიშნავი ომია ეს! სისულელეა ბაქი-ბუქისათვის, ზვაობისათვის სიცოცხლის განწირვა! მაგრამ იმისათვის თავის გაწირვა, რაც შენ სამართლიანად მიგაჩნია... — იდაყვზე წამოიწია, სადღაც შორს გაიხედა, მედვედოვსკის თავზევით. — მახსოვს, სამუელ, წინათ, როდესაც ბიჭუნა ვიყავი, როგორ იყვნენ დაყოფილი ადამიანები მაძღრებად და მშივრებად, ადამიანებად, რომლებიც სცემენ და ადამიანებად, რომელთაც სცემენ. შემდეგ—სულ ცოტა ხნის წინათ—ვნახე, როგორ აკეთებენ თეთრები ღვედებს ტყვეების ტყავისაგან, ვნახე წითელარმიელთა ცოლები, რომელთაც ყოველდღე ამათრახებდნენ კადეტები. მათ კანი დაფლეთილი ჰქონდათ, გასისხლიანებულ ხორცზე ხალათი მიჰკროდათ. და იმიტომ, რომ ყველაფერი ეს ვნახე, სასიხარულოდ მიმაჩნია ამის წინააღმდეგ ვიბრძოლო და, თუ საჭიროა, ამ ბრძოლაში დავიღუპო. ოღონდ ერთი კი მსურს: რაც შეიძლება ძვირად დავუსვა მტერს საკუთარი სიცოცხლე...

მგზნებარე ტირადამ მოქანცა. ბალიშზე გადაწვა და თვალი დახუჭა.

მედვედოვსკი ოთახიდან ფრთხილად გავიდა და კარი მჭიდროდ მიიხურა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# ფაშიზმი კულტურის წინააღმდეგ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერ. ასტვაცატუროვი

## ბარბაროსები

„შენ ითვლი შენს სიმდიდრეს, უმჯობესია
ჯერ შენი წლები დაითვალო“!

მეოცე საუკუნემ ისტორიის ახალი ფურცლები გადაშალა. რუსეთის მუშათა კლასმა ლენინ-სტალინის პარტიის გენიალური ხელმძღვანელობით გასწყვიტა იმპერიალიზმის ჯაჭვი მის უსუსტეს ადგილას და დაიწყო ძველი ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნა, ახალი უკლასო კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა, რომელმაც არ იცის კრიზისები. კაპიტალიზმის სამყაროში კი, რომელიც თავის უკანასკნელ—იმპერიალისტურ სტადიაში იმყოფება, რევოლუციის შემდეგ პერიოდში უფრო მეტად გამწვავდა შინაგანი კონფლიქტები. საყოველთაო ეკონომიური, პოლიტიკური და რევოლუციური კრიზისებისაგან შევიწროებულმა იმპერიალისტურმა ბურჟუაზიამ დაიწყო შექმნილ მდგომარეობიდან გამოსავლის ძიება, რომელიც მან ახალი დაპყრობითი მსოფლიო ომის ხანძარში დაინახა.

ჯერ კიდევ 1934 წელს ამხანაგი სტალინი, იძლეოდა რა კაპიტალისტურ ქვეყნებში პოლიტიკური მდგომარეობის გამწვავების გენიალურ ანალიზს, აღნიშნავდა, რომ „საქმე აშკარად ახალი ომისაკენ მიდისო“. მსხვილი აგრესიული ბურჟუაზიის პოლიტიკოსებმა გააჩაღეს „შოვინიზმი და ომის მზადება, როგორც საგარეო პოლიტიკის ძირითადი ელემენტები, მუშათა კლასის ალაგმვა და ტერორი საშინაო პოლიტიკის დარგში, როგორც აუცილებელი საშუალება მომავალი საომარი ფრონტების ზურგის გასამაგრებლად“ (ი. სტალინი).

ამხანაგი სტალინი ყოველთვის გარკვევით მიგვითითებდა, რომ მომავალი სისხლისმღვრელი ომის კერას ფაშისტური ქვეყნები წარმოადგენენ, რომ ფაშიზმი, კერძოდ გერმანული ტიპის ფაშიზმი, არის მშვიდობიანობისა და კულტურული კაცობრიობის უბოროტესი მტერი, მუშათა კლასის უბოროტესი მტერი. ფაშიზმმა ჩაჰკლა თავისუფალი აზრისა და საკუთარი ქვეყნის ხალხების ენერგიისა და ინტელექტუალური პოტენციის ყოველგვარი გამოვლენის ნიშან-წყალი. ხალხის მთელი ინტელექტი, მეცნიერება და კულტურა მან უშუალოდ ომის მომზადების ამოცანებს დაუკავშირა. ფაშიზმმა პირველ დღიდანვე ისტორიის კანონად ომი და მოუსვენრობა გამოაცხადა. მშვიდობიანობა, — აცხადებენ ფაშისტთა ბელადები თავხედურად და შეშლილის თავმომწონეობით, — ისტორიაში შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ გამონაკლისს. იტალიისა და გერმანიის ფაშისტებმა თავზე მოახვიეს თავიანთ ხალხებს საკუთარი ავანტურისტულ-ყაჩაღური გეგმები, გააჩაღეს უმაგალითო ტერორი, წამება, დარბევა, ძარცვა. იტალია და გერმანია მათ გადააქციეს

ნამდვილ ჯოჯოხეთად, ერთ მთლიან კონცენტრაციულ ბანაკად, ფაშისტურ საპყრობილედ, რომლის რკინის გასაღებიც ხელთ უპყრიათ მუსოლინის და ჰიტლერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოცე საუკუნის ეს საზიზღარი კანიბალები სისხლისღვრისა და ძარცვის საქმეში არ დაკმაყოფილდნენ თავიანთი ქვეყნების მასშტაბით. მათ დაიწყეს მხეცური ლაშქრობა ევროპის პატარა ერებისა და სუსტად შეიარაღებული ქვეყნების წინააღმდეგ „ვერსალის უსამართლობის“ გამოსწორების ნიღაბით. პატარა ქვეყნებთან ცალ-ცალკე ბრძოლებში იოლი გამარჯვებით გათავხედებული ფაშისტი ბარბაროსები მოულოდნელად და ვერაგულად თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირს. მსოფლიოს მოტყუების მიზნით საბჭოთა კავშირთან ბრძოლაში მათ ახალი ლოზუნგი წამოაყენეს. დროებით ნაცარი მიაყარეს „ვერსალის უსამართლობის“ გამოსწორების ლოზუნგს და წამოაყენეს „კომუნიზმთან ბრძოლის“ ლოზუნგი, რათა ამ ლოზუნგით მოეტყუებინათ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ქვეყნები და „დაერაზმათ“ ისინი ერთიანი ფრონტით სოციალიზმის ქვეყნის წინააღმდეგ. მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, ანგარიშები აერიათ და სასტიკად მოსტყუვდნენ. მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარული ხალხი მიხვდა, რომ ფაშიზმის ომი საბჭოთა კავშირთან არ არის ცალკეული ქვეყნის შინაგანი პოლიტიკის საგანი, რომ ეს ომი ყველას თანაბრად ეხება და წარმოადგენს ბნელი ძალების გაცოფებულ შეტევას ცივილიზაციის, კულტურისა და ჰუმანიზმის წინააღმდეგ. დემოკრატიული მსოფლიო საბჭოთა კავშირის ხალხთან ერთად იბრძვის, რათა საბოლოოდ გაანადგუროს პირსისხლიანი ფაშიზმი, რომელსაც „სულზე“ აწევს ევროპის უდანაშაულო მოსახლეთა სისხლი, მრავალი ასეული ათასი ბავშვისა და მოხუცის, ქალისა და მამაკაცის სისხლი.

ევროპის კონტინენტზე ამჟამად სამკვდრო-სასიცოცხლო ომი სწარმოებს. ეს ომი საბოლოო იქნება. ფაშისტებმა დაიწყეს იგი გიჟური ყიჟინით, დაამთავრებენ გედისებური სიმღერით. ბრძოლა საბჭოთა კავშირთან უმოკლესი გზა იქნება ფაშიზმის დასასრულისათვის.

*

* *

ვინ არიან ფაშისტები და როგორ ჩაუდგნენ ისინი ხელისუფლებას სათავეში? ფაშისტები არიან ყაჩაღთა ხროვა, სისხლის სამართლის დამნაშავეთა და ავანტიურისტთა ბრბო, მსხვილი აგრესიული ბურჟუაზიის მიერ მოსყიდული აგენტები, რომლებიც თავიანთ ბატონობას ომსა და ტერორზე ამყარებენ. სანამ ნათელს გავხდიდეთ ფაშიზმის სოციალურ-პოლიტიკურ რაობას. ფაშისტების იდეურ-ფილოსოფიურ ავლა-დიდებას, უნდა აღვნიშნოთ, რომ ფაშისტების გამარჯვება, თუგინდ იტალიასა და გერმანიაში, არ იყო ისტორიულად აუცილებელი, მიუხედავად იმისა, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იტალიაში და უფრო შემდეგ გერმანიაში შეიქნა ერთგვარი ობიექტური პირობები, რომლებითაც შეეძლოთ ესარგებლნათ (და ისარგებლეს კიდეც) ფაშისტურ ბნელ ძალებს ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. ფაშიზმი არ წარმოადგენს ისტორიულ საფეხურს და არ არის ნაკარნახევი საზოგადოებრივი განვითარების შინაგანი კანონებით. იტალიასა და გერმანიაში ფაშიზმის გამარჯვებას ხელი შეუწყეს, ერთის მხრივ, მუშათა კლასისა და დემოკრატიული ელემენტების სისუსტემ, სოციალ-დემოკრატიული პარ-

ტიის ღალატმა მუშათა კლასის მიმართ, ხოლო მეორეს მხრივ — თვით ბურჟუაზიის სისუსტემ, რომელსაც აღარ შეეძლო ებატონა ძველი დემოკრატიულ-პარლამენტარული მეთოდებით. ახასიათებდა რა გერმანიის ფაშიზმს 1934 წელს ამხანაგი სტალინი ამბობდა:

...„ფაშიზმის გამარჯვება გერმანიაში უნდა განვიხილოთ არა მარტო როგორც ნიშანი მუშათა კლასის სისუსტისა და შედეგი სოციალ-დემოკრატიის ღალატისა მუშათა კლასის მიმართ — სოციალ-დემოკრატიის, რომელმაც გზა გაუკაფა ფაშიზმს. ის აგრეთვე უნდა განვიხილოთ, როგორც ნიშანი ბურჟუაზიის სისუსტისა, როგორც ნიშანი იმისა, რომ ბურჟუაზიას აღარ შეუძლია იბატონოს პარლამენტარიზმის და ბურჟუაზიული დემოკრატიის ძველი მეთოდებით, რის გამოც ის იძულებულია მიმართოს საშინაო პოლიტიკაში მმართველობის ტერორისტულ მეთოდებს, — როგორც ნიშანი იმისა, რომ მას აღარ შეუძლია გამოსავალი მონახოს ახლანდელი მდგომარეობიდან მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკის საფუძველზე, რის გამო ის იძულებულია მიმართოს ომის პოლიტიკას“ [1]).

ამგვარად, ფაშისტური ვაითეორეტიკოსების უსუსური ცდები — დაამტკიცონ თითქოს ფაშიზმი წარმოადგენს ისტორიულ აუცილებლობას, არის მოძველებული ოინბაზობა, რომელსაც მიმართავენ იმისათვის, რომ თავისუფლების მაგივრად ნერგონ ხალხში „აუცილებლობისადმი შეგუების“, „აუცილებლობის წინაშე ქედის მოხრის“ იდეები.

ფაშისტური ხროვა იტალიასა და გერმანიაში შემთხვევით მოექცა ხელისუფლების სათავეში. ასეთია ზოგჯერ „ბედის დაცინვა“ (!). მდგომარეობა ხშირად, — ამბობდა მარქსი, — შესაძლებელს ხდის საშუალო და უხიაგმა პიროვნებამ გმირის როლი ითამაშოსო. მარქსის ეს სიტყვები ზედგამოჭრილია ფაშისტებზე. როცა რევოლუციური კრიზისებისაგან გზააბნეული იტალიისა და გერმანიის იმპერიალისტური ბურჟუაზია ირგვლივ ვერაფერ საბუგეშოსა და ვერავის ნუგეშისმცემელს ვერა ხედავდა, მას თავისმა „ღმერთებმა“ შთააგონეს, რომ ტყუილად ეძებს იგი მხსნელ „ანგელოზებს“. ასეთი „ანგელოზები“ დიდიხანია აღარ არსებობენ, მისი ხსნა მხოლოდ ეშმაკებს შეეძლოთ. ეს „შთაგონება“ ბედისწერასავით აღმოჩნდა (!). მან კავშირი გააბა ეშმაკებთან. დაიწყო მათ შორის ყველაზე საიმედოების ძებნა და მონახა ეშმაკების ბაბუები — იტალიაში მუსოლინი — ლეშზე დაგეშილი, სიფლიდესა და ქურდობაში გაწვრთნილი მელა, 30 ვერცხლით მოვაჭრე იუდა, ხოლო გერმანიაში ჰიტლერი — გველური ბუნებისა და ავაზაკური მოქმედების გაიძვერა. ამ ორი ავაზაკის პოლიტიკური ბიოგრაფია ძალიან ჰგავს ერთმანეთს. მართალია, ჰიტლერი უფრო „შორს“ წავიდა და მან განსაკუთრებული სახეობა შეჰქმნა გერმანული ტიპის ფაშიზმისა, რომელსაც საკუთარი ფართო თეორიული „პროგრამა“ გააჩნია „არიული რასის“ მსოფლიო ბატონობის შესახებ, მაგრამ მუსოლინიმ მისი წინამორბედის როლი შეასრულა.

გაწვრთნილი ფილისტერი, პოლიტიკურ ოთურმაში დახელოვნებული მუსოლინი ერთ დროს იტალიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო. ყველაზე გადამწყვეტ მომენტში მან გასცა ეს პარტია, გასცა მუშათა კლასი. შემდეგ „რესპუბლიკელობდა“, მაგრამ ბოლოს მონარქისტი გახდა, დაუკავშირდა იტალიის მსხვილ მწარმოებლებსა და მემამულეებს. 1919 წელს შეჰ-

[1]) „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 643.

ქმნა შოვინისტური ფაშისტური კავშირი, რომელშიაც თავი მოუყარა დეკ-ლასირებულ ელემენტებს, სამხედრო ავანტიურისტებს, რომლებსაც, გარდა ავანტიურისტული ბრძოლისა, სხვა საქმის გაკეთება არ შეეძლოთ. 1919 წელს საპარლამენტო არჩევნების დროს მუსოლინიმ ერთხელ კიდევ სცადა მასების მოტყუება. მან წამოაყენა ულტრა-რევოლუციური ლოზუნგები და შეეცადა პარლამენტში გამძვრალიყო, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა... პარლამენტში არც ერთი ფაშისტი არ აირჩიეს. ამის შემდეგ საბოლოოდ შემოაბრუნა „კურსი". იგი „უნიღბოდ" წარუდგა ხალხს თავისი მემარჯვენე, რეაქციული პროგრამით. იტალიის მსხვილმა მრეწველებმა და მემამულეებმა მუსოლინში მაშინვე თავიანთი კაცი აღმოაჩინეს.

ოციანი წლების დასაწყისს იტალიაში გაიზარდა მუშათა რევოლუციური მოძრაობა. ძლიერდებოდა ახალგაზრდა კომუნისტური პარტიაც. იტალიის კაპიტალისტებს არა ჰყავდათ ისეთი ძლიერი პარტია, რომელსაც უნარი ჰქონოდა დაპირისპირებოდა ახალ მზარდ ძალას. წვრილბურჟუაზიული გლეხური კავშირებიც სუსტი და ნაკლებ გავლენიანი იყო. სხვა გზა არ იყო. მათ მიმართეს მუსოლინის, აღუთქვეს ყოველგვარი დახმარება, თუ ის იკისრებდა ვალდებულებას — ეხსნა იტალიის კაპიტალიზმი მუშათა კლასისა და რევოლუციური გლეხობის შეტევისაგან. მუსოლინიმ სიამოვნებით მიიღო „თავაზიანი" წინადადება. თავისი ფაშისტური „მებრძოლი კოლონები" მაშინვე გაანაწილა იტალიის სოფლებსა და ქალაქებში, საიდუმლო კავშირი დაამყარა პოლიციასთან და გააჩაღა სასტიკი ტერორი. შემდეგ, ბურჟუაზიის დახმარებით და სოციალ-დემოკრატიის მხრით მუშათა კლასის გამცემლობის შედეგად, მუსოლინიმ ხელში ჩაიგდო ძალა-უფლება და ტერორი გამოაცხადა შინაგანი პოლიტიკის რეგულიატორად, სახელმწიფოებრივ „მორალად".

მეორე „ვარსკვლავი" გამოჩნდა ახალ ჰორიზონტზე. ქვეყანას მოევლინა ახალი ავანტიურისტი — ადოლფ ჰიტლერი.

იგი დაიბადა წვრილი ჩინოვნიკის ოჯახში. სწავლაში მეტის-მეტად უნიჭო ადოლფი სკოლიდან გამოაგდეს. სკოლაში მას არავითარი ცოდნა არ მიუღია. სამაგიეროდ მასზე დიდი გავლენა მოახდინა ერთი შეშლილი მასწავლებლის, რომელიც თავს ნიცშეს მიმდევრად სთვლიდა, განუწყვეტელმა ბოდვამ, რომ „გერმანია უნდა იყოს მსოფლიოს ბატონ-პატრონი, რომ კაცობრიობის ისტორია არის გერმანელების გამარჯვებების ისტორია სხვა ერებზე. რომ ადამიანები ბუნებისაგან იყოფიან ბატონებად და მონებად".

სკოლიდან გამოგდებულმა, ცხოვრებაში გზააბნეულმა ჰიტლერმა რამდენიმე პროფესია სცადა, მაგრამ ყველგან „ბედმა" უმუხთლა. მხატვრობა უნდოდა, მაგრამ სამხატვრო სასწავლებელში არ მიიღეს, რადგან სკოლის დამთავრების მოწმობა არა ჰქონდა. დაიწყო ხეტიალი და მუდმივი „პროფესიის" ძიება, ხან უბრალო მღებავი იყო, ხან იოლ ხელობას მისდევდა: ჯაშუშობდა, მუშაობდა პოლიციის წვრილ მოხელედ, ვაჭრობდა ცოცხალი ადამიანებით და სხვა, ე. ი. არ იყო არც ერთი ბნელი საქმე, რომელზედაც მას უარი ეთქვას, მაგრამ რაიმე მუდმივ კარიერას მაინც ვერ მიაღწია.

როცა ვილჰელმ მეორემ პირველი მსოფლიო ომის ხანძარი გააჩაღა, ჰიტლერი მაშინ 25 წლის კაცი იყო. გერმანიის მსოფლიო ბატონობის მანიით შეპყრობილის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ამ ომში მან დაინახა „იდეალის" განხორციელების მოახლოვება. მაშინვე ჯარში წავიდა, მაგრამ უკულმართ ვარსკვლავზე დაბადებულს არც აქ გაუღიმა „ბედმა". გერმანელების

მომწამვლელი გაზისაგან დაზიანებული ჰოსპიტალში მოათავსეს, სადაც მან ვერსალის ზავამდე დაჰყო. ვერსალის ზავმა ჭკუაზე შეშალა, თავზეხელაღებული ბანდიტი, ბნედა დაემართა, ცოფი მოერია. ბოლოს, როცა უთხრეს რომ კვლავ შეიძლებაო ბრძოლის გაგრძელება გერმანიის შიგნით, გონს მოვიდა, მაგრამ ბნედა მაინც დარჩა მისი სულის თვისებად.

რევოლუციის შემდეგ გერმანიაში ყალიბდება ნაციონალ-სოციალისტური (ნაცისტური) პარტია. ჰიტლერი ემხრობა ამ პარტიას და მალე ავაზაკური გზით მისი მეთაური ხდება (პარტიის დამაარსებელი ვინმე დრეკსლერი, ჰიტლერთან უკმაყოფილების შემდეგ, უგზოუკვლოდ გაჰქრა. გამოირკვა, მაგრამ საიდუმლოდ დარჩა, რომ მისი ფარული მკვლელობა თვით ჰიტლერმა მოაწყო). 1921 წელს ჰიტლერი დაუკავშირდა შვეიცის საგიჟეთიდან გამოშვებულ და გერმანიაში ჩასულ გერინგს, ცოტა უფრო გვიან—არანაკლებ უნიჭო „ბედ-უკულმართ“ გებელსს, და შეადგინა ჯოჯოხეთური სამეული. იმავე წლის 4 იანვარს მიუნხენის ერთ-ერთ ლუდხანაში ჰიტლერმა მოაწყო „პუტჩი“ და თავი „გერმანიის მმართველად“ გამოაცხადა. ლუდხანის მასხრებმა ერთგულება შეჰფიცეს თავიანთ „მეფეს“. ამიერიდან მასხრების მეფეს იცნობდნენ ვიწრო წრეში, როგორც „ლუდხანის გმირს“.

მასხრების მეფე აწყობდა წვრილ-წვრილ ავანტიურებს, იკრებდა თავის გარშემო ბნელ ძალებს, სისხლის სამართლის დამნაშავეებს, სულით ავადმყოფებს და დიდი ამბებისათვის (!) ემზადებოდა, თუმცა არაფრის იმედი არა ჰქონდა. უხამს ავაზაკს ბოლოს „ბედმა“ გაუღიმა. რურის მაგნატებმა, ბანკისა და ბირჟის მოსაქმეებმა, ქვანახშირის, ელექტრონის და ფოლადის მეფეებმა კრიზისი იგრძნეს. მათ დაინახეს აგრეთვე, რომ თანდათან იზრდებოდა მათთვის საშიში ძალა — კომუნისტური პარტიის გავლენა მასებზე. მათ არ შეეძლოთ უყურადღებოდ დაეტოვებინათ ის ფაქტი, რომ რეიხსტაგის არჩევნებში კომუნისტებმა ექვს მილიონზე მეტი ხმა მიიღეს. მათ სიმშვიდე ეკარგებოდათ და საგონებელს ეძლეოდნენ. იტალიის მსხვილი ბურჟუაზიის მსგავსად დაიწყეს „მხსნელი“ ეშმაკის ძებნა. ისინი გაჰყვნენ ძველი იტალიური ანდაზის გაცვეთილ სიბრძნეს „კუდი გააძვრინე იქ, სადაც თავი არ გაეტევაო“, მიადგნენ მასხრების მეფეს და დიდი დახმარება შესთავაზეს. დაჰპირდნენ ფაშისტური მოძრაობის ფართოდ დაფინანსებას, და მაშინათვე ბანკის ჩეკები მიაჩეჩეს ხელში, რათა მათ ერთგულებას უბრალო ლაყბობის ხასიათი არა ჰქონოდა. ჰიტლერმა საზეიმო სიტყვა მისცა, რომ იგი იხსნიდა მათ (!).

ასე გაუკაფეს გზა ოქროს ტომრებმა ფაშისტებს ხელისუფლების სათავეებისაკენ.

ჰიტლერის ხროვამ კარგად იცოდა, რომ „სიკეთისათვის“ „სიკეთის“ გადახდა ადვილი საქმე არ იყო. მან იცოდა, რომ არ შეეძლო ერთისათვის მიეცა ისე, რომ მეორისათვის არ წაერთმია, მეორე არ გაეძარცვა. როცა რურის მაგნატებმა, ქვანახშირის, ელექტრონის და ფოლადის მეფეებმა, ბირჟის მოსაქმეებმა კანცლერის დარბაზის კარი გაუღეს და „თავაზიანად“ სისხლიანი სავარძელი შესთავაზეს, ჰიტლერს მაშინვე რეალურად წარმოუდგა თვალწინ თავისი ფართო ყაჩაღური გეგმა, რომლის განხორციელებასაც იგი დაუყოვნებლივ უნდა შესდგომოდა. ჰიტლერმა და მისმა ერთგულმა ფინიებმა, რომლებმაც იოლად გაიარეს გზა სულით ავადმყოფთა სახლებიდან სახელმწიფო „კარიერამდე“, შეადგინეს მსოფლიოს და გერმანიის ხალხის ძარცვის

ფართო გეგმა. მათ ჩამოაყალიბეს ამ გეგმის „თეორიული“ პრინციპები, რომელთა საფუძველსაც კაციჭამიობა წარმოადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი შედარება კოჭლობსო, — ამბობს გერმანული ანდაზა, მაგრამ შედარება მაინც გვაახლოვებს ჰეშმარიტებასთან.

თითქმის ერთი საუკუნის წინად ნათქვამი მარქსის შემდეგი სიტყვები ისე გაისმის, თითქოს იგი დღევანდელ ფაშისტთა ბანდას ახასიათებდეს: „სასახლეში, სამინისტროებში, მმართველობის და არმიის სათავეში იჭრება (ჩვენ დავუმატებთ—შეიჭრა.—ე. ა.) ისეთ პიროვნებათა ბრბო, რომლებისაგან საუკეთესოს შესახებაც კი უნდა ითქვას: არავინ იცის, თუ საიდან მოვიდა ის,—მოხმაურე, საეჭვო მტაცებლური სულით გაჟღენთილი ბოჰემა, რომელიც ბუზმენტებით მორთულ ტანსაცმელს ისევე სასაცილო თავმომწონეობით ატარებს, როგორც ს ულ უ კ ი ს დიდებულნი“.

აი ეს საეჭვო მტაცებლური სულით გაჟღენთილი ბოჰემა დაეპატრონა სახელმწიფო აპარატს და თანდათან და „კანონზომიერად“ დაიწყო განხორციელება თავისი გეგმისა. თავიდანვე უკვე ნათელი იყო, თუ რა გამოვიდოდა ამ ხროვის „მოღვაწეობიდან“, რომლის წარმომადგენლებში ყველაფერი შერყვნილი და შებილწული იყო. ფაშისტებს არაფერი წმინდა არ გააჩნიათ. მათ უკიდურესობამდე განავითარეს სიველურე, შერყვნეს საშუალო საუკუნეების ინკვიზიტორებისა და ბარბაროსების მიერ თითქმის ხელუხლებელი მშობლიური გრძნობა, რომელიც მხეცებსაც-კი გააჩნიათ. ჰიტლერმა კანცლერის სავარძელზე ასვლის პირველ დღესვე საჯაროდ განაცხადა, რომ მე მჭირდება „მაგარი კუნთებისა და მტკიცე ნერვების ისეთი ადამიანები, რომელთაც ხელი არ აუკანკალდებათ საკუთარი შვილისა და საკუთარი დედის მოკვლის დროსო“.

ნაცისტური პარტია ჰიტლერმა მართლა მთლიანად ასეთი დეგენერატი და ამორალური ადამიანებისაგან შეადგინა. აი ამის ერთი შესანიშნავი ნიმუში:

ბერლინის ერთ მიყრუებულ უბანში ცხოვრობდა მოხუცი გერმანელი ქვრივი, რომელსაც ყველა მეზობელთან, მათ შორის ებრაელებთანაც, კარგი ურთიერთობა ჰქონდა. მას თანაბრად უყვარდა ყველა ერის ადამიანი. ქმარი პირველ მსოფლიო ომში დაეღუპა. როცა ეს ამბავი მეზობლებმა გაიგეს, ყოველნაირად ანუგეშეს გამწარებული ქვრივი, დახმარების ხელი გაუწოდეს, რომ თავისუფლად აეზარდა თავისი ერთად-ერთი ობოლი ჰენრიხი... ჰენრიხი რომ წამოიზარდა, დედა მიატოვა და გამოურკვეველ პირებთან დაიჭირა კავშირი. დედამ არ იცოდა შვილის ასავალ-დასავალი, ხანდახან გამოჩნდებოდა ხოლმე და ისევ უგზოუკვლოდ დაიკარგებოდა. 1933 წელს, როცა ჰიტლერმა ძალაუფლება ჩაიგდო, ჰენრიხიც გამოჩნდა. ჰენრიხი ახლა სხვანაირ შთაბეჭდილებას ახდენდა. მას თითქოს თვალები გაგანიერებოდა, სისხლით ავსებოდა. მოუსვენრობა ეტყობოდა, შფოთავდა. როცა ამღვრეული და ჩასისხლიანებული თვალებით ჰენრიხი სახლში მიდიოდა, საშინელი შესახედავი იყო, მაგრამ დედას უყვარდა შვილი და ყოველთვის ალერსიანად ეხვდებოდა. ეს ერთად-ერთი შვილი იყო მისი უკანასკნელი ნუგეში. მაგრამ ეს უკანასკნელი „ნუგეში“ უკანასკნელი რისხვა აღმოჩნდა. ერთ საღამოს, როცა ჰენრიხი სახლში დაბრუნდა, „საშინელი“ სურათის მოწმე გახდა: მისი მოხუცი დედა ებრაელ მეზობლებთან იჯდა და ტკბილად საუბრობდა. ჰენრიხს თვალებში სისხლი მოაწვა, ნამდვილ ცოფიან მხეცს დაემსგავსა. ეძგერა

დედას და საშინელი ცემა დაუწყო. სცემდა მანამ, სანამ იგი ოდნავ კიდევ სულთქვავდა.

ფაშისტმა ავანტიურისტებმა ბრძოლა გამოუცხადეს ყოველივე ადამიანურს. მათ არ გააჩნიათ არა მარტო მორალი, მორალის დაწერილი „კანონიც“ კი. ისინი თავიანთ მოქმედებას ანგარიშს არ აძლევენ, არავისა და არაფრის წინაშე პასუხს არ აგებენ. ამორალურობა ფაშისტებმა ზნეობრივ ნორმებად გამოაცხადეს, თავიანთი მხეცური ჟინი—სახელმწიფო კანონად. ამ ჟინის მიხედვით მათ შეუძლიანთ დღეს „აღიარონ“, რასაც ხვალ დაჰგმობენ და ფეხქვეშ გასთელავენ ისე, რომ არ იგრძნობენ სიწითლეს. ფაშისტთა წრეში ყველაზე შეგინებული საგანი არის სინიდისი და ნდობა, სიტყვისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა. სინიდისი, ისევე, როგორც ჰუმანიზმი, ფაშისტთა სამფლობელოში კანონით აკრძალულია. ნდობა ცინიზმია. მათ აღიარებას ან ფაქტის ცნობას ისეთივე ფასი აქვს, როგორიც ქარს.

მსოფლიო ყაჩაღები თავიანთ მოწოდებად სთვლიან — ცეცხლითა და მახვილით მოსპონ ის, რაც კი შეუქმნია კულტურულ კაცობრიობას ან ბურჟუაზიას თავისი აღმავლობის პერიოდში. ისინი ყოველ ერსა და ხალხში სპობენ ყველაფერს, რაც კი მათ კეთილშობილური და საკუთარი გააჩნიათ. ისინი მიისწრაფიან — შერყვნან მსოფლიოში მოსახლე ხალხების არა მარტო სული, არამედ სისხლიც, დანერგონ უკულტურობა, უცოდინარობა და თავიანთ ყურმოჭრილ მონებად აქციონ უთვალავი მილიონები. ფაშისტ გარეწრებისა და სადისტების სისხლი უფრო შავია და შხამიანი, ვიდრე საშუალო საუკუნეების ბარბაროსებისა და ინკვიზიტორებისა. თავიანთ ხანმოკლე თარეშის მანძილზე ცოტა კი არ გააკეთეს იმისათვის, რომ მათი საქმეების შემდეგ ინკვიზიტორთა მოქმედება უფრო „ადამიანურად“ მოგვეჩვენოს.

ფაშიზმი არის უწესრიგობის ჯამი. ფაშისტებმა წინააღმდეგობებით დაიწყეს. მათ ჯერ საკუთარი ქვეყანა არიეს შიგნით. შეუდგნენ იმის მოსპობას, რითაც გერმანიის ხალხი მრავალი წლის განმავლობაში ამაყობდა მსოფლიო ისტორიის წინაშე. „დადგა ბოროტი დრო, — სწერდა ეინშტეინი მწერალ ეპტონ სინკლერს ფაშისტების თარეშის გამო გერმანიაში, — იღუპება ყველაფერი, რაც ძვირფასი და ღირსეულია წესიერი ადამიანისათვის“... ამ გზაზე ისინი ავანტიურისტულად „სძლევდნენ“ სიძნელეებს და ბანდიტური სიამაყით მიიწევდნენ წინ. პირველ ხანებში გერმანიის ფაშიზმი აშკარა წინააღმდეგობას შეხვდა უმთავრესად წვრილბურჟუაზიული ელემენტების მხრივ, რის ლიკვიდაცია მან ადვილად შესძლო. ამის შემდეგ მისთვის ყველაზე საშიში იყო მუშათა კლასისა და კომუნისტების წინააღმდეგობა. ფაშისტებმა პროვოკაციული მიზნებით მოაწყეს რეიხსტაგის დაწვა და ამ „საბაბით“ იერიში მიიტანეს და დაარბიეს პოლიტიკური მტრები; განსაკუთრებული სიმკაცრით გაუსწორდნენ ისინი კომუნისტებს, მაგრამ წინააღმდეგობას მაინც თავი ვერ დააღწიეს. 1937-39 წლებში წინააღმდეგობის მთავარ ფაქტორად გადაიქცა მასების, ხალხის უკმაყოფილება. გერმანიის ხალხში დღითიდღე იზრდებოდა უკმაყოფილება იმის გამო, რომ ისინი მოკლებული იყვნენ პოლიტიკურ უფლებებს, რომ თანდათან უარესდებოდა მათი მატერიალური მდგომარეობა და იზრდებოდა ომის საფრთხე, რომელსაც გერმანიის ფაშიზმი ამზადებდა.

ჰიტლერს არაფრად აინტერესებდა ხალხი. მას თავისი ქვენა მიზნები ჰქონდა, იგი აშკარად აცხადებდა, რომ „კარაქის მაგივრად ჩვენ გვინდა ქვემე-

ხებიო". ჰიტლერი ამზადებდა ქვემეხებს, ყუმბარებს, მომშხამავ გაზებს, ამზადებდა სისხლისმღვრელ ომს მაშინ, როცა ხალხი შიმშილს განიცდიდა, როცა მცირდებოდა მოსახლეობის გამრავლება და იზრდებოდა სიკვდილიანობა.

აი, ასეთ ვითარებაში, იმისათვის, რომ მასების ყურადღება სხვა საგანზე გადაეტანა და შეესუსტებინა წინააღმდეგობა, ჰიტლერის ხროვა აწყობს ებრაელთა რბევა-აწიოკებას, რაც თავისი შინაარსითა და სიმხეცით უკან იტოვებდა საშუალო საუკუნეებში და მეფის რუსეთის მიერ მოწყობილ პატარა ერებისა და კერძოდ ებრაელების რბევებს. ჰიტლერი მოსყიდული აგენტების საშუალებით ავრცელებს ჭორებს, თხზავს ხელოვნურ „საბუთებს" ებრაელების წინააღმდეგ. ამ „საბუთებს" მოსდევს დაუსრულებელი და წარმოუდგენელი რბევა, რომლის დროსაც გესტაპოს მოხელეებისათვის ნებადართულია ყველაფერი — უსირცხვილო ცილისწამებიდან ბოროტმოქმედების დაფარვამდე. „რასული თეორიის" საფუძველზე ფაშისტებმა შეთხზეს მთელი რიგი „კანონები", რომელთაც შეჰქმნეს ეროვნული შუღლისა და ებრაელთა სიძულვილის „იურიდიული ბაზა". „კანონის ძალით" მინიმუმამდე შეზღუდეს ებრაელთა პოლიტიკურ-მორალური უფლებები. ფაშისტურ ქვეყნებში ებრაელებს წაართვეს სამუშაოზე თავისუფლად მოწყობის უფლება. ებრაელ ვექილებსა და მასწავლებლებს აკრძალული აქვთ მოღვაწეობა თავიანთი პროფესიის მიხედვით. ჰიტლერმა 1938 წელს გერმანიიდან განდევნა 1.300-ზე მეტი ებრაელი ექიმი. ამას გარდა, ებრაელ ექიმებს აკრძალული აქვთ არა ებრაელი ავადმყოფების მკურნალობა. ამგვარად ებრაელი ექიმები, ვექილები, მასწავლებლები, ინჟენრები, ეკონომისტები, მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები ფაშისტებმა უმუშევრებად გადააქციეს.

ჰიტლერის მიერ მოწყობილ ებრაელთა დარბევას მეორე მიზანიც ჰქონდა. ამ დარბევით ჰიტლერი ცდილობდა ერთგვარად შეემსუბუქებინა სახელმწიფოს ეკონომიური და ფინანსიური კრიზისი. არბევდნენ რა ებრაელებს, ფაშისტებს უსასყიდლოდ მიჰქონდათ მათი ქონება. გერმანიიდან განდევნილი ებრაელების მთელი ქონება სახელმწიფოს რჩებოდა. გერმანულ დაწესებულებებს, სახელმწიფო ორგანოებს, კერძო კაპიტალისტებს აკრძალული ჰქონდათ შეესყიდათ რამე ებრაული ფირმებისაგან, რომელთა პატრონებიც გერმანიას სტოვებდნენ.

ანტისემიტური კამპანიის მოწყობა გერმანიის ფაშიზმის მიერ მისი შინაგანი სისუსტის ნიშანი იყო. რუსეთის მაგალითზე ვლ. ლენინმა გენიალურად გამოააშკარავა ანტისემიტიზმის კლასობრივი ხასიათი და მისი წარმოშობის სოციალურ-პოლიტიკური მიზეზები. ლენინის ამ გენიალურმა ანალიზმა შესანიშნავი დადასტურება ჰპოვა თანამედროვე ფაშიზმის მაგალითზედაც. ლენინი გვასწავლიდა, რომ ებრაელთა ჩაგვრა არის ეროვნებათა ჩაგვრის პოლიტიკის ნაწილი, რომ ეროვნებათა ჩაგვრის პოლიტიკა არის ეროვნებათა დანაწილების პოლიტიკა, ხალხის შეგნების სისტემატური დაბნელების, გახრწნის პოლიტიკა, რასაც გაბატონებული ექსპლოატატორული კლასი მიმართავს იმისათვის, რომ შეასუსტოს მოწინააღმდეგე ძალები და უფრო მოხერხებულად და „მშვიდად" იბატონოს. ასეთ შემთხვევაში გაბატონებული ექსპლოატატორული კლასის ანგარიშები დამყარებულია ბნელ, ჩამორჩენილ, გაუნათლებელ და მორწმუნე მასებზე. მეფის მთავრობა, რომელიც დასავლეთის იმპერიალიზმის ქოფაკი ძაღლი იყო აღმოსავლეთში, სისტემატურად და დაჟი-

ნებით აღვივებდა შუღლს რუსი ხალხისას ებრაელებისადმი, პოლონელებისადმი, უკრაინელებისადმი, ქართველებისადმი, სომხებისადმი და სხვ. იგი აღვივებდა შუღლსა და მტრობას აგრეთვე ამ ეროვნებათა შორის. მეფის მთავრობამ მოაწყო სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა. ასეთი „პოლიტიკის" აზრი ის არის, რომ „დაანაწილოს და იბატონოს".

თუ მეფის მთავრობა, — ამბობდა ვლ. ლენინი, — ირჩევს „ჭეშმარიტად რუსული" დარბევა-აწიოკების საშუალებას ბრძოლისათვის, — ეს იმიტომ, რომ სხვა საშუალება მის განკარგულებაში არ არსებობს. ამ გზით სურს მას დაფაროს და შეანელოს თავისი სისუსტე და კლასობრივი წინააღმდეგობა, სამოქალაქო ომის მდგომარეობაო.

შეიძლება თუ არა, — სვამდა ლენინი კითხვას, — სხვა ხალხების დამჩაგვრელი ხალხი თავისუფალი იყოს? და, უპასუხებდა, რომ არა, არ შეიძლებაო. „ინოროდცების" ჩაგვრა, — ამბობდა ლენინი, — არის ორთავიანი ჯოხი: ერთი თავი ხვდება „ინოროდცებს", მეორე რუს ხალხსაო.

ვლ. ლენინის ამ აზრებმა ერთხელ კიდევ ფაქტიური დადასტურება ჰპოვეს ფაშისტური ქვეყნების ცხოვრების მაგალითზე. გააჩაღეს რა ანტისემიტური კამპანია, ფაშისტმა ყაჩაღებმა გზადაგზა მოაწყეს გერმანელ მშრომელთა გაძარცვა და რევოლუციურ ძალთა განადგურება. ფაშისტებმა განიზრახეს თავიანთი სისუსტის დაფარვა და მასების მოტყუება. მაგრამ მათ ვერ მიაღწიეს აბსოლუტურ მიზანს. ებრაელთა დარბევით მათ ვერ ააცდინეს სავსებით მშრომელთა ყურადღება ფაშიზმის მიერ ქვეყნის შიგნით შექმნილ აუტანელ პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას. მასების უკმაყოფილება ფაშისტური რეჟიმით კვლავ დარჩა ძირითად ფაქტორად.

ამგვარად, როცა გზაუკულმართმა აგრესორებმა ვერც ტერორით და ვერც სხვა საშუალებით ვერ მოაწესრიგეს საქმე თავიანთი ქვეყნის შიგნით, ისინი შეუდგნენ „დიდი მიზნების" განხორციელებას, — გააფართოვეს „სპექტაკლის" ჩარჩოები და საერთაშორისო ასპარეზზე გამოვიდნენ, მოაწყეს სისხლისმღვრელი „ჯვაროსნული ომები" ევროპისა და მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ. ამ დიდ სცენაზე კაცუნები ბუზებივით მოსჩანდნენ, მაგრამ თავიანთი პრაქტიკული და გონებრივი უმწეობა ჯამბაზობით შეავსეს. ომის გამოუცხადებლად თავს ესხმოდნენ ერთ პატარა ქვეყანას ისე, რომ მეორეს ციინიკურად ფიცს აძლევდნენ (!) და ასე თანდათან და ცალკცალკე დაიპყრეს და გაძარცვეს ევროპის პატარა ერები. მაგრამ ამ დიდი სპექტაკლისათვის უნიჭო „რეჟისორებმა" ფინალი ცუდად მოიფიქრეს. გერმანელმა ფაშისტმა კაციჭამიებმა გახსნეს ომის ახალი ასპარეზი.

საბჭოთა კავშირთან ომი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფაშისტებმა ჩვეული თვალთმაქცობით დაიწყეს. თუ მათ ევროპის ქვეყნებთან ომის დაწყების პირველ პერიოდში წამოაყენეს „ვერსალის უსამართლობის" ლიკვიდაციის მჭლე არგუმენტები, რათა შეცდომაში შეეყვანათ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი და დაეფარათ თავიანთი აგრესიული განზრახვები, ახლა ეს არგუმენტები უფრო მჭლე და უხამსი ლოზუნგით შესცვალეს. ფაშისტები თავხედურად აცხადებენ, რომ ისინი იბრძვიან კომუნიზმის წინააღმდეგ, პატარა ერების განთავისუფლებისათვის, დიდი მიზნებისათვის (რამდენი ციინიზმია ამ თავხედობაში!). მასხრების მეფე ჰბაძავს გაიძვერა ნაპოლეონ მესამეს, რომელმაც „1859 წელს ომი გამოუცხადა ავსტრიას ვითომდა იტალიის გასანთავისუფ-

ლებლად, ნამდვილად კი დინასტიური მიზნების განხორციელება უნდოდა“ (ლენინი).

ამ ფანდმა დიდიხანია დაჰკარგა თავისი „ლირებულება“. რის შემდეგ, რაც გაწვრთნილმა ფილისტერებმა საბოლოოდ გამოააშკარავეს თავიანთი განზრახვები, მათმა ლიტონმა სიტყვებმა „ფასი“ დაჰკარგეს მსოფლიოს თვალში. ახლა თვით ფაშისტების მეგობართა შორისაც ძნელად მოიპოვება ისეთი, რომელსაც სჯეროდეს ჰიტლერისა და მისი ლაქიების სიტყვის მნიშვნელობა.

რას წარმოადგენს გერმანიის ომი საბჭოთა კავშირთან? — ეს არის ნაწილი მსოფლიოს დაპყრობის იმ გიჟური გეგმისა, რომელიც მიზნად დაისახეს გერმანიის ფაშისტებმა.

„მე არა მჯერა ხალხებს შორის მშვიდობიანობის შესაძლებლობა, — აცხადებდა ჰიტლერი, — სანამ მათ არა აქვთ ერთნაირი კანონები... ამიტომ მე იმედი მაქვს ნაციონალ-სოციალიზმი დაიპყრობს მთელ მსოფლიოს. ეს არის არა ფანტასტიური ოცნება, არამედ შესაძლებელი მიზანი“.. „ჩვენ ვიბრძვით მსოფლიო ბატონობისათვის. მანამ კი ვიქნებით ცბიერნი, როგორც გველი“, — ასეთია ხანდახან სულით ავადმყოფის გულახდილობა. მსოფლიო ბატონობის მანიით შეპყრობილი მხეცის მთელი ბუნება უფრო აშკარა გახდება ქვევით, როცა განვიხილავთ „რასულ თეორიას“. ახლა კი უნდა აღვნიშნოთ, რომ თავიდანვე, როცა ჰიტლერი მსოფლიო ბატონობის განხორციელებაზე ოცნებობდა, უმთავრესად მხედველობაში ჰქონდა საბჭოთა რუსეთის დაპყრობა. ამ შემთხვევაში ჰიტლერს ორი მიზანი აწვალებდა: ერთი — დაეპყრო საბჭოთა კავშირის უზარმაზარი ტერიტორია მდიდარი ბუნებით, მრეწველობითა და სოფლის მეურნეობით, მეორე — მოესპო ყველაზე ძლიერი და ყველაზე შეურიგებელი მტერი. მართალია, ეს შეშლილის ფანტაზიაა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ გერმანიის ფაშიზმს უმთავრესად თვალი რუსეთისაკენ ეჭირა და ზ რ დ ი დ ა ხალხს რუსეთთან მტრობის სულისკვეთებით.

თავის წიგნში „ჩემი ბრძოლა“ ჰიტლერი სწერს:

„ჩვენ, ნაციონალ-სოციალისტებს, შეგნებულად გამოგვყავს ხაზი ომამდელი გერმანიის საგარეო პოლიტიკისაგან. ჩვენ ვიწყებთ იქ, სადაც გერმანიამ დაამთავრა ექვსასი წლის წინად. ჩვენ საზღვარს ვუდებთ გერმანიის მარად მისწრაფებას ევროპის სამხრეთისა და დასავლეთისაკენ და მივაპყრობთ თვალს აღმოსავლეთის მიწებისაკენ. ჩვენ, ბოლოს, ვწყვეტთ ომამდელი პერიოდის კოლონიალურ და სავაჭრო პოლიტიკას და გადავდივართ მომავლის პოლიტიკაზე — ტერიტორიალური დაპყრობის პოლიტიკაზე.

მაგრამ, როცა ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ ახალი მიწების დაპყრობაზე ევროპაში, მაშინ ჩვენ შეგვიძლიან პირველ რიგში მხედველობაში გვქონდეს მხოლოდ რუსეთი და მისი ხელქვეითი განაპირა სახელმწიფოები“.

ჰიტლერისა და მისი ამალის ყველა დანარჩენ ბოდვას რომ თავი დავანებოთ, განა მხოლოდ ეს საკმარისი არ არის იმის გასაგებად, რომ გერმანიის აგრესიული ბურჟუაზიის ეს პირსისხლიანი აგენტები თავიდანვე ომს ამზადებდნენ და იარაღდებოდნენ უმთავრესად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამ გარემოებისაკენ არა ერთხელ გაუმახვილებია საბჭოთა კავშირის ხალხთა ყურადღება დიდ ბელადს ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ს. ამას გრძნობდა და ხედავდა საბჭოთა კავშირის ყოველი მეგობარი ევროპაში. აქ საინტერესოა გავიხსე-

ნოთ მსოფლიოში ცნობილი გერმანელი მწერლის ლ. რენნეს ერთი ცნობილი გამოსვლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე წლის წინად დანიის რადიოცენტრმა რენნე მიიწვია და სთხოვა, წაეკითხა ნაწყვეტები თავისი საყოველთაოდ გახმაურებული რომანიდან „ომი“. იგი სიამოვნებით დასთანხმდა. წავიდა კოპენჰაგენს. მივიდა მიკროფონთან და დაიწყო რომანის კითხვა. არ გაუვლია რამდენიმე წუთს, რომ მწერალმა დახურა რომანი და დანიის ხალხს მგზნებარე სიტყვით მიმართა: „ყოველივე ეს, ამხანაგებო, ახლა საინტერესო აღარ არის. საინტერესოა ის, რომ მზადდება ახალი ომი, ახალი ინტერვენცია მთელი ქვეყნის მშრომელთა სამშობლოს წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“... კიდევ რამდენიმე სიტყვა და მიკროფონი გამოთიშეს, შემდეგ კი რენნე კონცბანაკში მოათავსეს.

მეორე ცნობილი გერმანელი მწერალი ჰენრიხ მანი სწერდა, რომ „ომი, რომელიც შეიძლება იყოს სასიკვდილოდ განწირული, განადგურებული კაპიტალიზმის გაფთრების უკანასკნელი აქტი, თანმიმდევრული სახით მიემართება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, და შეიარაღებული გერმანია (ლაპარაკია ფაშისტურ გერმანიაზე — ე. ა.) გაგზავნილი იქნება ავანგარდის სახით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“.

ამგვარად, ფაშისტური გერმანიის მზადება საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა და 22 ივნისის თავდასხმაც მთლად მოულოდნელი არ იყო. ფაშისტური გერმანიის ომი საბჭოთა კავშირთან წარმოადგენს მთელი მისი (ჰიტლერის ბანდის) საგარეო პოლიტიკის შედეგს. ჰიტლერი, გებელსი, გერინგი, როზენბერგი და სხვები გულმოდგინედ ნერგავდნენ გერმანიის ხალხში რუსეთისა და მთელი სლავური ხალხების, საბჭოთა ხალხების სიძულვილს. სკოლებში ბავშვების სწავლება ისე აქვთ მოწყობილი, რომ არითმეტიკის გაკვეთილიც კი ანტისაბჭოურად არის გამსჭვალული. ასე, მაგ. მასწავლებლები ასეთ ამოცანებს აძლევენ მოსწავლეებს:

„რამდენი კვადრატული მეტრი მიწა მოდის გერმანიაში თვითეულ მცხოვრებზე?

რამდენი ფართობი მოდის საბჭოთა კავშირში თვითეულ მცხოვრებზე?

საბჭოთა კავშირის რა მოცულობის ტერიტორია უნდა დაიპყროს გერმანიამ, რომ მის თვითეულ მცხოვრებზედაც მიწის იმდენი ფართობი მოდიოდეს, რამდენიც მოდის საბჭოთა კავშირში?“ და სხვა.

ასეთი კითხვებით და საბჭოთა კავშირზე ცილისწამებით უვსებენ მოსწავლეებს გონებას. ზრდიან გონებაჩლუნგსა და კაციჭამია სულით გამსჭვალულ „თაობას“.

ფაშისტი ცოფიანი ძაღლები სისტემატურად დასცინიან რუს და საბჭოთა ხალხებს, ამცირებენ მათ გერმანელი ხალხის თვალში, რომ იოლად მიაღწიონ მტრობის დანერგვას. გაიძვერა ჰიტლერი, რომელსაც გამოტეხილი დამნაშავის ცინიკური გამოხედვა აქვს, პირდაპირ და თავხედურად ამბობდა რუსი ხალხის შესახებ: „ხალხს, რომელიც ტოლსტოის დიდ მწერლად სთვლის, არ შეუძლიან პრეტენზია იქონიოს დამოუკიდებელ არსებობაზე“.

თუ ღრმად ჩავუკვირდებით შეშლილის „გულწრფელობით“ ნათქვამ ამ საძაგელი სიტყვების აზრს, ნათელი გახდება, როგორი იქნება ამ ბანდიტთა ხროვის დამოკიდებულება პატარა ერებისადმი, განსაკუთრებით იმ ერებისად-

მი, რომლებიც თავიანთ კულტურას და დამოუკიდებელ ეროვნულ სახეს საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ჰქმნიან. მაშინ, როდესაც ეტიფრად დასცინიან დიდ რუს ხალხს, რომელმაც მსოფლიოს მრავალი გამოჩენილი მეცნიერი და ხელოვნების მოღვაწე მისცა, პატარა ერებს ხალხად არა სთვლიან. ყველა ხალხი საბჭოთა კავშირში, ფაშისტების აზრით, არის ბლაგვი, ბრიყვი და უმაქნისი. ისინი დაბადებული არიან მხოლოდ მონობისათვის და უნდა ემორჩილებოდნენ გერმანელებს,—გულისხმობენ რა ამ „გერმანელებში" ფაშისტთა ახალ „კლასს".

ძნელი არ არის იმის გაგება, თუ რატომ არის ასე გაბოროტებული ჰიტლერისა და მუსოლინის ხროვა საბჭოთა კავშირზე. მაშინ, როცა ფაშისტური გერმანიის შინაგანი ძალა მყარი არ იყო და სავსებით შერყეული ჰქონდა მას ნიადაგი მსოფლიოში, საბჭოთა კავშირის გავლენა და ავტორიტეტი დღითი-დღე იზრდებოდა და ძლიერდებოდა. საბჭოთა კავშირი არის ნამდვილი სახალხო კულტურისა და ზნეობის ქვეყანა, ნამდვილი დემოკრატიის, საყოველთაო სახალხო განათლების ქვეყანა, რასაც თვით ბურჟუაზიული მოღვაწეებიც აღიარებენ. დანიელი ბურჟუაზიული მწერალი-ქალი, რომელიც მაინც და მაინც დიდი ხალისით არ დასთანხმდა საბჭოთა კავშირში მოწვევას, იმის შემდეგ, როცა მან რამდენიმე ხანს დაჰყო საბჭოთა კავშირში და გაეცნო სოციალიზმის მშენებლობას, ჭეშმარიტი მწერლის ჩვეული გულახდილობით სწერდა: „ბურჟუაზიას ჯერ კიდევ არ ესმის და არ სურს აღიაროს, რომ საბჭოთა კავშირი მუშაობს მთელი კაცობრიობისათვის".

თავისი გულწრფელი აღფრთოვანება უფრო ნათლად გამოსთქვა მწერალმა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ. იგი სწერდა: „თქვენ ვერ გაიგებთ, თუ რა ძნელია ჩემთვის ახლა ვიცხოვრო აქ იმის შემდეგ, როცა ექვსი კვირა ვიცხოვრე საბჭოთა კავშირში, და იმის შემდეგ, რაც მე იქ ვნახე".

განა შეიძლებოდა ერთი წუთით მაინც გვეფიქრა, რომ სადისტი ბარბაროსები, რომლებსაც ხელთ უპყრიათ ინკვიზიციის „ჩირაღდანი", გულგრილად შეხვდებოდნენ მჭერმეტყველ ფაქტებსა და მთელ თავიანთ გაბოროტებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არ მიმართავდნენ?!

სოციალიზმი თავისი საკაცობრიო იდეალებით მოწოდებულია მოსპოს რასული და ეროვნული შუღლი ხალხებსა და ადამიანებს შორის. ის მიმართულია სიბნელისა და უვიცობის წინააღმდეგ, რომელსაც სთესენ და ავრცელებენ მასებში გერმანელი კანიბალები. საბჭოთა კავშირი ცოცხალი სინამდვილეა. ის მრავალმეტყველი ფაქტებით სავსე ილუსტრაციაა იმისა, თუ თანასწორუფლებიან დიდ და პატარა ერებს როგორი ძმური, მეგობრული ერთსულოვნებით შეუძლიანთ იცხოვრონ და აშენონ თავიანთი ცხოვრება, თავიანთი კულტურა, სოციალიზმის პირობებში.

ფაშისტი ბარბაროსები, რომელთა მიზანია დაანაწილონ მსოფლიო წვრილ ერთეულებად და იბატონონ, ვერ ურიგდებიან ამ გარემოებას. ბნელეთის მოციქულნი აღსდგნენ საფლავიდან თავიანთი სისხლიანი ხელებით. ისინი მიილტვიან მოსპონ საბჭოთა კავშირის ხალხთა აყვავებული მეურნეობა და კულტურა, მოსპონ ხალხთა მეგობრობა, წაართვან ყველა ერს საკუთარი ენა, დამწერლობა, კულტურა და თავზე მოახვიონ ფაშისტური „კულტურა" — კაციჭამიობა, უსიტყვო მორჩილება.

* * *

და როდესაც ბნელეთის მოციქულნი მსოფლიოს დაპყრობაზე და ყველა ერისა და ხალხის საკუთარ მონებად გადაქცევაზე ოცნებობენ, ისინი იწყებენ

რასული იდეოლოგიის გავრცელებით. რასული იდეოლოგიის გავრცელება ფაშისტების ხელში წარმოადგენს იმის საშუალებას, რომ მოატყუონ გერმანელი ხალხი, აამხედრონ ეს ხალხი მსოფლიოს წინააღმდეგ, ბრძოლაში ჩააბან იგი ბარბაროსულ ომში, გადააქციონ მკვლელებად, მონების უნებისყოფო, დაბეჩავებულ, დემაგოგიით გონებადაჩლუნგებულ უსახო მასად და განამტკიცონ სისხლის სამართლის დამნაშავეთა და სულით ავადმყოფთა პირადი დიქტატურა.

რასული თეორია გერმანიის ფაშიზმმა შეჰქმნა თავისი დაპყრობითი მიზნებისათვის, იმისათვის, რომ ფაშისტი მკვლელები დაუნდობლად გაუსწორდნენ თავიანთ პოლიტიკურ მტრებს. რასულ თეორიას ამოფარებულნი, ისინი ავრცელებენ შხამიან დემაგოგიას, ცილისწამებას მსოფლიოს ყველა ხალხის წინააღმდეგ და თვით გერმანელი ხალხის უმრავლესობის წინააღმდეგაც.

ამ თეორიით გერმანელი კაციჭამიები „ისტორიულად" ასაბუთებენ გერმანელი ხალხის უპირატესობას სხვა ხალხებზე. ისინი ამტკიცებენ, რომ გერმანული, „არიული" რასის წინაპრები თავიანთ ეპოქაში განათლებით ყველაზე მაღლა იდგნენ და დღესაც მაღლა დგანან სხვა რასებთან შედარებით. მსოფლიოს ხალხებს ფაშისტები ჰყოფენ „უმაღლეს" და „დაბალ" რასად. „უმაღლეს" რასას ეკუთვნიან გერმანელები, ე. ი. „არიელები", „დაბალ" რასას კი დანარჩენი ხალხები.

ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ 1934 წელს საკ. კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობაზე ამ სულელური თეორიის შესახებ ამბობდა: დაუშვათ, რომ ეს უცნაური თეორია, რომელიც ისევე დაშორებულია მეცნიერებას, როგორც ცა დედამიწას, განახორციელეს პრაქტიკულად. „რა შეიძლება აქედან გამოვიდეს? ცნობილია, რომ ძველი რომი სწორედ ისევე უყურებდა ახლანდელი გერმანელების და ფრანგების წინაპრებს, როგორც ამჟამად „უმაღლესი რასის" წარმომადგენლები უყურებენ სლავურ ტომებს. ცნობილია, რომ ძველი რომი დაცინვით უწოდებდა მათ „დაბალ რასას", „ბარბაროსებს", რომელნიც მოწოდებულნი არიან შუდამ ემორჩილებოდნენ „უმაღლეს რასას", „დიდ რომს", ამასთან, — ჩვენ შორის იყოს ნათქვამი,—ძველ რომს ამისათვის ჰქონდა ერთგვარი საფუძველი, რაც არ შეიძლება ითქვას ახლანდელი „უმაღლესი რასის" წარმომადგენლებზე (მქუხარე ტაში). მერე რა გამოვიდა აქედან? გამოვიდა ის, რომ არარომაელები, ე. ი. ყველა „ბარბაროსი" გაერთიანდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ და ჭექა-ქუხილით დაამხეს რომი" [1]).

ფაშისტებს არ უნდათ ისწავლონ ისტორიისაგან, პირიქით, ისინი ისტორიაში თავისებურ „ფაქტებს" ნახულობენ და სიცრუით აჩლუნგებენ გერმანელი ხალხის გონებას.

პირსისხლიანი მანიაკები წლობით სთხზავდნენ მსოფლიოს დაპყრობის, საბჭოთა კავშირის დაპყრობის ბილწ გეგმებს და ისტორიის შორეულს წარსულში, წინაპართა ძვლებში ეძებდნენ „საბუთებს" თავიანთი კაციჭამიობის თეორიის არგუმენტაციისათვის. ისტორიულად თურმე, —ასკვნიან გონებაშეზღუდული კანიბალები,—„არიული" რასა მოწოდებული ყოფილა არაარიულ რასაზე ბატონობისათვის. ქვეყნად დღემდე უსამართლობა სუფევდა, ახლა ისინი მიისწრაფიან დაამყარონ ახალი „წესრიგი" და აღადგინონ სამართლიანობა. ისტორიულად გარდუვალია, — „ამტკიცებენ" ფაშისტი ვაითეორეტი-

[1]) „ლენინიზმის საკითხები", გვ. 645.

კოსები, — რომ „უმაღლესი“ რასა ბატონებდეს „დაბალ“ რასებზე. „დაბალ“ რასებს შეუძლიანთ იყვნენ მხოლოდ მონები და უყოყმანოდ ასრულებდნენ „უმაღლესი“ რასის ბრძანებას, ემორჩილებოდნენ მის ხელმძღვანელობას, ე. ი. ფაშისტ მკვლელებს.

როგორ აქვთ წარმოდგენილი სულით ავადმყოფებს ის ახალი „წესრიგი“, რომლის დამყარებასაც ცდილობენ ისინი მსოფლიოში? ჰიტლერის „ფარულ“ განზრახვებს დაწვრილებით გადმოგვცემს მისი ყოფილი მეგობარი რაუშნინგი, რომელსაც თავის დროზე თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ფაშისტთა წრეში. რაუშნინგი სტენოგრაფიულად გადმოგვცემს ჰიტლერის აზრს: „რა სახე ექნება მომავალ სოციალურ წყობილებას? —უთქვამს ვიწრო წრეში ჰიტლერს— მე გეტყვით: მასში იქნება ბატონთა კლასი... მასში იქნება ანონიმთა ვეებერთელა მასა, მუდმივ ფარეშთა კრებული... უფრო დაბლა გვეყოლება დამარცხებულ უცხოელთა კლასი, რომელსაც ჩვენ გულდამშვიდებით ვუწოდებთ თანამედროვე მონებს. ხოლო ყოველივე ამის ზემოთ იდგომება ახალი უმაღლესი არისტოკრატია“.

თავის მახლობელთა ვიწრო წრეში ჰიტლერი სრული გულახდილობით ლაპარაკობდა მსოფლიოს დაპყრობისა და ყველა ხალხის ფაშისტთა მონებად გადაქცევის შესახებ. იგი ამბობდა: „... უწინარეს ყოვლისა ჩვენ დავამყარებთ ჩვენს მუდმივ ბატონობას და განვამტკიცებთ მას ისე, რომ იგი ათას წელს მაინც გაგრძელდეს... ჩვენი მისია ის არის, რომ სხვა ხალხები დავიმორჩილოთ. ჩვენ მოწოდებული ვართ ახალი კლასი მივცეთ მსოფლიოს“.

ახალი „კლასი“, რომელიც განუზრახავს ჰიტლერს მისცეს მსოფლიოს, არის გერმანიის ბურჟუაზიის ფაშისტური არისტოკრატია, ფაშისტთა ბანდა, რომელიც „წმინდა“ „არიული“ სისხლის მოდგმისაა.

აზუსტებდა რა თავის მტაცებლურ „გეგმას“ ევროპის ხალხების მიმართ, ჰიტლერი პირდაპირ ამბობდა, რომ მას განზრახული აქვს შექმნას „ახალი წესრიგი ევროპაში“, რაც იმას გულისხმობს, რომ ევროპის სახელმწიფოები გადააქციოს ფაშისტური გერმანიის ვასალურ სახელმწიფოებად. მისი დაპყრობითი პროგრამა საბჭოთა კავშირის მიმართ ითვალისწინებს მრავალეროვნებათა უზარმაზარი ფოლადისებური კავშირის დანაწილებას მეორეხარისხოვან ხალხებად, რომელთაც არ ექნებათ არც საკუთარი ეკონომიკა და არც საკუთარი კულტურა. ეს ქვეყნები, მათ შორის საქართველოც, შემოკრებილი იქნებიან გერმანული ბირთვის გარშემო, როგორც „დამარცხებულ უცხოელთა ყველაზე უკანასკნელი კლასი“.

ჰიტლერი არ ჩერდება ამაზე. ის უფრო შორს მიდის და „დაბალი“ რასის მილიონებს გაჟლეტით ემუქრება. მას აშინებს ის გარემოება, რომ მსოფლიოში გამრავლებული არიან სლავები და არა „არიელები“. არიელების უმაღლესი რასის ხსნა ჰიტლერს სურს „დაბალი“ რასის განადგურებით, გაჟლეტით, კასტრაციით, სტერილიზაციით. ჰიტლერი მთელი გაბოროტებითა და მხეცური თავხედობით აცხადებდა: „ჰგონიათ, რომ მე ხელთათმანებს ჩავიცვამ, რომ ჩემს მოწინააღმდეგეებს გავუსწორდე. იმ მომენტში, როდესაც მე მომავალი ომის ქარიშხალში გავისტუმრებ გერმანიის მოსახლეობის მშვენებას და არ ვიგრძნობ ოდნავ სინანულსაც კი იმ ძვირფასი სისხლისათვის, რომელიც ღვარად წავა, ვის შეუძლიან სადავოდ გახადოს ჩემი უფლება მილიონობით მოვსპო დაბალი რასის ადამიანები, რომლებიც მწერებივით მრავლდებიან?“

ჰიტლერმა მართლაც მრავალი მილიონი გერმანელის სისხლის ღვარი მოსდო ევროპის ველებს. მან მთლიანად გამოააშკარავა სიველურე, გაჟლიტა მრავალი უდანაშაულო ადამიანი, ბავშვი და ქალი, მოხუცი და ახალგაზრდა, ისე, რომ ხელთათმანები არ ჩაუცვამს. მაგრამ „არიელთა“ ხსნა მაინც ისე შორს არის სინამდვილისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან. ჰიტლერის ხელები უდანაშაულოთა სისხლით არის შეღებილი. ეს სისხლი საშინელი შურისძიებისაკენ უხმობს მსოფლიოს და ეჭვი არ უნდა შეეპაროთ ველურ კაციჭამიებს, რომ არავის ხელი არ აუკანკალდება და ხელთათმანები არ დასჭირდება შხამიანი გველების გასრესის დროს.

*

* *

ფაშისტები გერმანელი ხალხის მტრებიც არიან.

რაც ზევით ვთქვით, ეს რასული თეორიის მხოლოდ ერთი მხარეა. „არიულ“ კეტს მეორე თავიც აქვს, რომელიც თვით „არიელებს“ ხვდებათ თავში. ჰიტლერის რასული თეორია „არიულ“ სიწმინდესთან ერთად კლასობრივ „სიწმინდესაც“ იცავს. ფაშისტები გაურბიან ამ შემთხვევაში პირდაპირ უთხრან გერმანელ ხალხს და გასაგებად განმარტონ რასული თეორიის კლასობრივი პრინციპები, მაგრამ ქურდის ნაკვალევი მთვარის შუქზედაც მოსჩანს. არ იფიქროთ, რომ ჰიტლერის რასული თეორიის თანახმად, ყველა გერმანელი უმაღლეს რასას ეკუთვნის, რომ ყველა გერმანელს ჰქონდეს უფლება იბატონოს. არა. ფაშისტები ფიცით სკდებიან, მაგრამ ნაქურდალის ბოლოს ვერ ფარავენ.

გარდა იმისა, რომ ჰიტლერი ყველა რასას „სრულფასოვან“ და „არა სრულფასოვან“ ადამიანებად ჰყოფს, რაც სოციალურ ენაზე ექსპლოატატორ და ექსპლოატირებულ კლასებსა ნიშნავს, თვით გერმანიის ხალხსაც იგი კლასობრივი პრინციპის თვალსაზრისით უდგება, მაგრამ ცდილობს თავისი სახელი არ უწოდოს საგანს, რათა ხალხი უფრო ადვილად გაახვიოს ტყუილების ბურუსში. გერმანელი ფაშისტების განმარტებით, მშრომელი მასა „ისტორიის ნაყარია“, რომელიც ანოყიერებს ნიადაგს ფაშისტური არისტოკრატიისათვის.

მართალია, ფაშისტი ვაითეორეტიკოსები „ამტკიცებენ“, რომ „უმაღლესი“ რასა არის „არიული“ რასა, რომ ერთადერთი წმინდა სისხლის „არიელები“ არიან გერმანელები, რომლებიც მოწოდებული არიან იბატონონ მსოფლიოზე, მაგრამ ისინი აქ წერტილს არა სვამენ. იწყებენ რა „არიული“ სისხლის სიწმინდის დაზუსტებას, ასკვნიან, რომ ყველა გერმანელი არ არის წმინდა სისხლის „არიელი“. „წმინდა“ სისხლის „არიელებს“ ეკუთვნიან მხოლოდ „რჩეულნი“ — ერთი მუჭა ფაშისტები და ბურჟუაზიული არისტოკრატია.

გერმანელი ფაშისტები „არიელთა“ მასას, ე. ი. გერმანელებს, ჰყოფენ ორ რასად: „ჩრდილოურ“ და „აღმოსავლურ“ რასად. პირველნი, რომლებსაც ეკუთვნიან კაპიტალისტები, მემამულეები, კულაკები და ფაშისტური პარტიის ყველა წევრი, „წმინდა“ სისხლის „არიელები“ არიან. ისინი „აღმოსავლურ“ რასაზე (მუშებზე და გლეხებზე) მაღლა დგანან. ამიტომ „წმინდა“ სისხლის „არიელები“ უნდა ხელმძღვანელობდნენ მათ ბედს. „აღმოსავლური“ რასის წარმომადგენლები, ე. ი. არა წმინდა სისხლის „არიელები“ უნდა წარმოადგენდნენ ჩვეულებრივ მორჩილ მონებს, რადგან მათ არ გააჩნიათ საკუთარი ბედის მართვის ინტელექტი!!!

იჩენს რა უნებლიე გულახდილობას, ყაჩაღთა ატამანი ამბობს:

„იმდენი საუკუნის განმავლობაში ლაპარაკობდნენ ღარიბთა და უბედოთა მფარველობის საჭიროების შესახებ, რომ ვგონებ დადგა მომენტი ძლიერთა დაცვისა იმ მუქარისაგან, რასაც დაბალი ფენები წარმოადგენენ. ახლანდელი დროიდან დაწყებული ეს იქნება გერმანიის პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა“.

აქ ჰიტლერი გვევლინება ნიცშეს (რომელმაც სიცოცხლე სულით ავადმყოფობაში დაამთავრა) იმპერიალისტური, უაღრესად რეაქციონური თეორიის მიმდევრად, რომელმაც თავის დროზე აშკარად გამოამჟღავნა რადიკალური ბურჟუაზიული ინტელიგენციის ინტელექტუალური კრიზისის დასაწყისი. ნიცშეს ეზიზღებოდა მუშათა კლასი, რომელი ქვეყნისაც არ უნდა ყოფილიყო ის, მას ეზიზღებოდა გერმანელი მუშები და უკმაყოფილო იყო თავისი დროის სახელმწიფოებრივი რეჟიმით იმის გამო, რომ ამ რეჟიმში ვერ ნახულობდა კაპიტალისტური ზედაფენის ბატონობის საკმაო გამოხატულებას. ეს თანამედროვე ენაზე პირწავარდნილი ფაშიზმია, ნიცშე გაბოროტებული იყო „დემოკრატიზმის“ იმ ნასუფრალითაც, რომელსაც აძლევდა მაშინ ევროპის ბურჟუაზია მშრომელ მასას. მას მისცეს კოალიციის უფლება, პოლიტიკური ხმის უფლება,—სწერდა ნიცშე,—რაღა გასაკვირველია, თუ მუშა ეხლა უკვე გრძნობს თავის არსებობას, როგორც გაჭირვებულისას... თუ გსურთ მიზანი,—ეუბნებოდა იგი ბურჟუაზიას,—მაშინ უნდა გსურდესთ საშუალებაც: თუ გსურთ გყავდეთ მონები, მაშინ სისულელეა ზრდიდეთ მათ, როგორც ბატონებსო. და იქვე იძლეოდა „გონივრულ“ რჩევას: უნდა შეიქნას თავისი ბედით კმაყოფილი, განსაკუთრებული სახის, ჩინური ტიპის მორჩილი ადამიანების წოდება, რომელზედაც უნდა ბატონობდეს ბურჟუაზია.

შეშლილის ამ ბოდვას ისე ჰგავს ფაშისტი ძაღლების შეხედულებები მუშათა კლასზე, როგორც წყლის ორი წვეთი ერთმანეთსა ჰგავს. ისინი პრაქტიკულად ანხორციელებენ სულით ავადმყოფის ანდერძს და სხვა ხალხებთან ერთად არბევენ და მორალურად და პოლიტიკურად სძარცვავენ, სდევნიან გერმანიის მუშებსა და მშრომელებს. ფაშისტები მიილტვიან იქითკენ, რომ გერმანიის მშრომელი მასა და მსოფლიო ჩინური ტიპის მორჩილ მონებად აქციონ.

გველ ფარისევლებს არ შეუძლიანთ დაფარონ თავიანთი პოლიტიკური განზრახვები. ისინი მუშათა კლასს აცხადებენ შინაურ პოლიტიკურ მტრად, რომლის წინააღმდეგაც სასტიკ ტერორსა და მუქარას მიმართავენ. „ჩვენ ჩვენი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ შურს ვიძიებთ ისე,—აცხადებენ ფაშისტი კაციჭამიები,—რომ მის შესახებ ილაპარაკებენ ათასი წლის განმავლობაში“. ჰიტლერმა კანონად შემოიღო უსასტიკესი ბრძოლა შინაურ მტერთან. იგი არ დაკმაყოფილდა ტერორს, კონცენტრაციულ ბანაკებს, წამებას. იგი იყენებს აგრეთვე კასტრაციის და სტერილიზაციის ღონისძიებას ისეთი გერმანელების მიმართ, რომლებიც ფაშიზმისათვის საშიშ შთამომავლობას წარმოშობენ.

*

* *

მიხაკისფერი ბარბაროსები, რომლებიც ცეცხლითა და მახვილით ანადგურებენ რაც კი კაცობრიობას საუკეთესო შეუქმნია, პირველ რიგში კულტურის

მტრები არიან. მათ დაარღვიეს ყველა საერთაშორისო ვალდებულება და ზნეობრივი ნორმები. ანარქია გამოაცხადეს საერთაშორისო ურთიერთობის წესად, ველურობა, ტერორი, უცოდინარობის გავრცელება — „შინაგური ... პოლიტიკის საგნად; ტექნიკა და მეცნიერება მათ თავიდანვე მხოლოდ ომის თვალსაზრისით აინტერესებდათ. ფაშისტურ ქვეყნებში ყველაფერს ომის სახელი ჰქვიან. ომის მომზადების ინტერესებს ემორჩილება იქ მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა, საერთოდ კულტურა. ამის გარეშე ფაშიზმი არა სცნობდა და არა სცნობს კულტურას.

ყველაფერი ომისათვის,— აი ფაშიზმის ლოზუნგი.

ჰიტლერმა და მუსოლინიმ თანამედროვე ცივილიზაცია სისულელედ გამოაცხადეს და ტერორი შემოიღეს, როგორც სახელმწიფოს შინაგანი რეჟიმის, ისე მეცნიერებისა და კულტურის რეგულიატორად, მომაწესრიგებელ საშუალებად. შეშლილის ბოდვაში („ჩემი ბრძოლა") მიხაკისფერი ყაჩაღების ატამანი თავხედურად აცხადებს: „თანამედროვე ეგრეთწოდებული ცივილიზაცია ჩემს თვალში უფრო წარმოადგენს ნამდვილი კულტურის პირდაპირ მტერს". მეგობართა ვიწრო წრეში, როგორც რაუშნინგი გადმოგვცემს, ჰიტლერს უთქვამს: „ჩვენ ვცხოვრობთ გონივრული ეპოქის დასასრულს. აზრის სუვერენიტეტი წარმოადგენს ნორმალური ცხოვრების პათოლოგიურ დეგრადაციას".

აქედან ძნელი არ არის იმის გაგება, თუ რას ჰგულისხმობს ჰიტლერი „ნამდვილ კულტურაში". კულტურა ფაშისტურ ენაზე ნიშნავს უცოდინარობასა და გონებრივ სიბნელეს. ფაშისტი ბარბაროსები მიისწრაფიან იქითკენ, რომ ქვეყნად დაამკვიდრონ წყვდიადი და კაცობრიობა დაუბრუნონ პირველყოფილ სახეს.

თანამედროვე ბარბაროსები კვალდაკვალ მისდევენ და ანვითარებენ თავიანთი მასწავლებლის ფრიდრიხ ნიცშეს იმპერიალისტურ კონცეპციას მორალის, უფლებისა და კულტურის დარგში. თავის ფილოსოფიურ შეხედულებებში და კულტურის კრიტიკაში ნიცშემ გამოხატა რადიკალური ბურჟუაზიული ინტელიგენციის ინტელექტუალური კრიზისის დასაწყისი, თანამედროვე ბარბაროსებმა კი ეს „პირველადი" შეხედულებები „ლოგიკურ" დასკვნებამდე მიიყვანეს და გვიჩვენეს მსხვილი აგრესიული ბურჟუაზიის სრული ინტელექტუალური კრიზისი იმპერიალიზმისა და რევოლუციების ეპოქაში.

როგორც ნიცშე, ისე მუსოლინი და ჰიტლერი განათლებასა და კულტურას „რჩეულთა" საკუთრებად, მსხვილი ბურჟუაზიის საკუთრებად აცხადებენ. ნიცშე უარყოფდა მუშისათვის პოლიტიკურ უფლებას, განათლებას, ე. ი. მის „ბატონურ" აღზრდას. ჰიტლერი კულტურასა და განათლებას ასევე „რჩეულთა" საკუთრებად აცხადებს. იგი ამბობს: „ვართ რა თანამედროვენი, ჩვენ დაბალი კლასების უზარმაზარ მასას ვუთმობთ უცოდინარობის სიკეთეს. ჩვენ თავს ვინთავისუფლებთ ყველა მეცნიერული და ჰუმანიტარული ცრუმორწმუნეობისაგან. განათლების სრული უფლება რჩეულებისა და იმათი პრივილეგია, ვისაც ისინი თავიანთ წრეში დაუშვებენ".

ფაშისტურმა დიქტატურამ მეცნიერება და კულტურა, ხელოვნება კრიზისის მარწუხებში მოაქცია. მან გამოიწვია ხალხის ინტელექტუალური დაქვეითება, დეგრადაცია. ვერც იტალიამ, სადაც თითქმის ოცი წელია ფაშიზმი ბატონობს, და ვერც გერმანიამ ვერ შეჰქმნეს ეპოქის ადეკვატური ხელოვნება და ვერ წამოაყენეს ვერც ერთი საყოველთაოდ ცნობილი და ღირსშესანიშ-

ნავი მეცნიერი ან მწერალი. ფაშისტური ქვეყნები დღეს „გონივრული ეპოქის დასასრულს“ განიცდიან.

ფაშისტებმა მეცნიერება და კულტურა ომის უბრალო მეუნიჭოდ გადააქციეს, დაუკარგეს მათ საკაცობრიო მიზანი, მნიშვნელობა და ამით მოუსპეს ფართო განვითარების, აღმავლობის შესაძლებლობა.

იტალიის ფაშიზმმა გაანადგურა თავის ქვეყანაში კულტურის მანამდელი მონაპოვარი და ვერაფერი ახალი ვერ შეჰქმნა. მუსოლინიმ საპყრობილეებში ჩაჰყარა ან განდევნა მშობლიურ ქვეყნიდან მეცნიერებისა და ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები და ოდესღაც მოწინავე მუსიკისა და ხელოვნების ქვეყანა ბარბაროსულ, ჩამორჩენილ ქვეყანად გადააქცია. იტალიაში ამჟამად არ მოიპოვება არაფერი ისეთი, რასაც შეეძლოს გაამდიდროს ხელოვნების უკვდავი სული, საპატიო ადგილი დაიკავოს საკაცობრიო ინტელექტუალური კულტურის საუნჯეში. იტალიაში ხალხის მასა დამონებულია და ვაღატაკებული, პიროვნება დამცირებული და სულიერად გაძარცული. ჭეშმარიტ იტალიელს არაფერი არ გააჩნია ისეთი, რაც მას სიხარულს მოჰგვრიდა, სახეს ბრწყინვალებით აუვსებდა. მარად მომღიმარი და მომღერალი იტალიელი მუსოლინის დიქტატურამ დამარცხებულ რაინდს დაამსგავსა. ამგვარად, ფაშიზმმა პირველ რიგში მოსპო ის ნიადაგი, რომელზედაც უნდა აღმოცენდეს და იხაროს კულტურისა და ხელოვნების ყვავილმა.

მუსოლინის მიერ დაქირავებული ეგრეთწოდებული „ლიტერატორები“ გამაყრუებლად ჩხავიან, განუწყვეტლივ ახალ-ახალ მოთხოვნებს აყენებენ, ხელოვნებას და ლიტერატურას მოუხმობენ იმრუშონ და იფარისევლონ, სწერონ არ არსებულ იტალიაზე, „აყვავებულ“ იტალიაზე და იტალიის „ბედნიერ“ ხალხზე, მაგრამ ამ ჩხავილიდანაც არაფერი საკეთილო არ გამოდის.

მუსოლინის ფარეშები შემდეგ მოთხოვნებს უყენებენ მწერლობას:

„ჩვენ გვინდა ისეთი მწერალი, რომელიც ჩვენს სოფელში დაინახავს მხიარულებას, ჩვენს გლეხში ბედნიერს, ჩვენს მუშაში მშვიდს, სამშობლოსადმი შერიგებულსა და ნდობით აღჭურვილს. ჩვენ გვინდა ისეთი მწერალი, რომელიც უნდა ხედავდეს, თუ ჩვენი გზები როგორ სცილდებიან რომს და როგორ მიემართებიან სამყაროს ყველა კუთხისაკენ“...

ჭეშმარიტი შემოქმედი და ნამდვილი პოეტური ნიჭით დაჯილდოვებული ხელს არ ჰკიდებს სიცრუეს, მას არა სურს მოატყუოს მკითხველი, რადგან დარწმუნებულია, რომ აქედან საბოლოოდ არაფერი კარგი არ გამოვა. სამაგიეროდ ხდება „მოზღვავება“ უნიჭოებისა. გზა დაცლილია და ფართო „შემოქმედებითი“ ასპარეზი აქვთ შექმნილი ნაკლები ნიჭის ადამიანებს, რომელთა „გონებრივი“ ნაცოდვილარითაც სავსეა თაროები, მაგრამ, როგორც „სასიკვდილოს“, მათ არავინ ეკარება.

მკითხველის მოტყუება ადვილი საქმე არ არის.

ფაშისტური გერმანია არ ჩამორჩა მონათესავე იტალიას, მან კიდევაც გაუსწრო ამ უკანასკნელს კულტურის კრიზისის დარგში. ჰიტლერმა გერმანიიდან განდევნა მსოფლიოში სახელგანთქმული უდიდესი მეცნიერი ეინშტეინი, გამოჩენილი მუსიკოსები ოტო კლემპერერი და ეგონ პეტრი, ყველა საუკეთესო გერმანელი მწერალი ან ემიგრაციაში ცხოვრობს, ან კონცბანაკშია მოთავსებული, სადაც ისინი ჯოჯოხეთურ სისტემატიურ წამებას განიცდიან. ბევრმა წამება ვერ აიტანა და მოკვდა. ბევრმა კიდევ თავი მოიკლა. ასეთი ბედი ეწვიათ გამოჩენილ მწერლებს: კარლ ოსსეცკის, ერნსტ ტოლერს და სხვებს.

ნაწილი ფაშისტური ტერორის მსხვერპლი გახდა. მარტო 1937 წელს გერმანიის სამეცნიერო დაწესებულებებიდან გაძევებულ იქნა 1600 სწავლული. ჰიტლერის ცოფიანმა ხროვამ ბატონობის პირველ დღეებშივე გერმანიის ქალაქების მოედნებზე ცეცხლი წაუკიდა მსოფლიო მოაზროვნეების და მხატვრული სიტყვის ოსტატების თხზულებებს, მან დასწვა მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის, გორკის, ტოლსტოის, ჰეინეს, გოეთეს, ჰიუგოს, შექსპირის, დარვინის და სხვათა ნაწარმოებნი. ფაშისტებმა ცეცხლი წაუკიდეს მოწინავე კაცობრიობის მიერ შექმნილ კულტურულ საუნჯეს და ამით მუქარით მიმართეს მთელს მსოფლიოს: თუ ნებით არ მოისურვებთ დაუბრუნდეთ ბარბაროსული ყოფის საძაგელ ფორმას, მაშინ მას ცეცხლითა და მახვილით მოგახვევთ თავზეო.

თავიანთი ბატონობის პერიოდში ფაშისტები სისტემატურად არბევდნენ და ანადგურებდნენ კულტურისა და ხელოვნების მიღწევებს. ჰიტლერი საკუთარი ხელით სპობდა მუზეუმებში და გამოფენებზე სახვითი ხელოვნების იშვიათ ნიმუშებს, თეატრებიდან სდევნიდა შექსპირსა და მსოფლიო დრამატურგიის სხვა კორიფეებს, სცენაზევე აპატიმრებდა მსახიობებს იმისათვის, რომ ისინი საუკეთესოდ ასრულებდნენ როლებს. აი მრავალი მაგალითიდან ერთი: ჰიტლერის ქოფაკებს ახლად ჰქონდათ ძალა-უფლება დაპყრობილი. სცენაზე იდგმებოდა მაქსიმ გორკის „დედა". თეატრი სავსე იყო და წარმოდგენა დიდი წარმატებით მიდიოდა. მსახიობი ქალი ჩინებულად ასრულებდა დედის როლს. მაყურებელი უშუალოდ განიცდიდა როლს, თანაუგრძნობდა დედას. მის ცრემლიან სახეზე აღბეჭდილი იყო სიხარულის გრძნობაც, რაც ბოროტებისათვის შურისძიების მოლოდინს გამოხატავდა. თეატრში დაძაბული მდგომარეობა იყო... უცბად ხმაური ასტყდა. სცენაზე აიჭრნენ ფაშისტები, და იმ დროს, როცა მსახიობი ქალი როლში იყო შესული, მისცვივდნენ, მკლავები მოუგრიხეს და სცენიდან პირდაპირ კონცენტრაციულ ბანაკში გაისტუმრეს.

მწერალ ვილლი ბრედელს მთელი ბიბლიოთეკა წაართვეს და საჯაროდ მოედანზე დაუწვეს.

ეს ერთეული ფაქტებია წესად შემოღებულ დარბევებიდან.

„არიული" სისხლის მხეცებმა ერთიანი ლაშქრობა მოაწყვეს კულტურის წინააღმდეგ და სულიერად და მორალურად გაძარცვეს, განაიარაღეს ხელოვნება, ლიტერატურა. მათ საკუთარი „ესთეტიკური" პრინციპები შეიმუშავეს. ამ შემთხვევაში ისინი არ დაკმაყოფილდნენ ნიცშეს ხელოვნების და მეცნიერების მისტიკურ-ირაციონალური კონცეპციით. ხელოვნებას, ლიტერატურას უფრო „რეალური" დანიშნულება მოუნახეს და „რეალისტურ" საფუძველზე დაამყნეს ის. ჰიტლერმა და გებელსმა ცინიკურად დასდეს ბრალი გერმანულ ხელოვნებას, თითქოს ვერ ხედავდა იგი ხალხს და ამ მოტივით სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს მას. ფაშისტებმა აშკარად განაცხადეს, რომ მხოლოდ ისეთ მეცნიერებასა და ხელოვნებას აქვს არსებობის უფლება, რომელიც აღიარებს ნაცისტურ კრედოს და ხელს შეუწყობს აგრესორთა ბატონობის განმტკიცებას.

„ხელოვნება, — ამბობს გებელსი, — უნდა ემორჩილებოდეს გარკვეულ მორალურ და პოლიტიკურ ნორმებს". და ამ „თეზისს" შემდეგ იგი დეტალურად განმარტავს: თუ ხელოვნებას სურს თავისუფლად განვითარდეს, მაშინ მან ჩვენი იდეები უნდა მიიღოს. მხოლოდ ისეთ ხელოვნებას შეუძლიან სარგებლობდეს არსებობის უფლებით, რომელიც აღიარებს „არიული" რასის უპი-

რატესობას, მისი მსოფლიო ბატონობის სამართლიანობას და გარდუვალობას. თანამედროვე ხელოვნება ხელს უნდა უწყობდეს „არიულ“ რასას — დაიპყროს მსოფლიო და ყველა ხალხი თავის მონებად აქციოს. ფაშისტი ტერორის ჩვეულ ხერხს მიმართავს: „თუ ჩვენთან არ იქნებით, — ეუბნება ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეებს, — თქვენი ადგილი კონცბანაკშია“.

ფაშიზმმა გამოიწვია ხელოვნების კრიზისი, უპირველეს ყოვლისა იმით, რომ მან შეჰქმნა გარდუვალი ზღუდე ხელოვნებასა და მასებს შორის, მწერლობა მოსწყვიტა მომხმარებელს. ფაშისტებმა შექმნეს მოჯადოვებული გარემო, მათ წაართვეს ხელოვნებას ის, რაც მისთვის წარმოადგენდა ყველაზე წმინდათა წმინდას. წაართვეს ადამიანის სიყვარული, წაართვეს ჰუმანიურობის გრძნობა და შესთავაზეს მგლური რასული სიძულვილი. ფაშისტმა ბარბაროსებმა ლექსიკონიდან ამოაგდეს ჰუმანიურობის ცნება და იგი გამოაცხადეს „ყოველგვარი გერმანული არსის პრინციპებისათვის ძირის გამოთხრად“.

ჰუმანიზმი, რომელიც გულისხმობს ადამიანის სიყვარულს, ზრუნავს ადამიანის პიროვნებაზე, ყოველი ეპოქის ხელოვნების განვითარების საფუძველი იყო. ფაშიზმმა ეს საფუძველი მოსპო და ამით ხელოვნებას და მწერლობას სასიცოცხლო ძარღვები გადაუჭრა.

ამჟამად ფაშისტური ლიტერატურა მისტიფიკაცია, დაცინვაა. იგი აკმაყოფილებს მხოლოდ ფაშისტთა მახინჯი სულის ტკივილებს და მოკლებულია შესაძლებლობას გავლენა მოახდინოს ნეიტრალურ მკითხველზე და დააჯეროს იგი თავის „სიმართლეში“. ფაშისტური „ესთეტიკის“ პრინციპები, მისი მოჩვენებითი პატრიოტიზმი, უფრო სწორედ, კაციჭამიობა, გავლენას ახდენს მხოლოდ სულით მახინჯ ადამიანებზე. ერთმა ასეთმა სულით მახინჯმა ბურჟუაზიულმა კრიტიკოსმა, რომელსაც სულის სიღრმემდე სძულს კომუნიზმი, ფაშისტური „პატრიოტიზმი“ ხელოვნების ყველაზე ძლიერ ფაქტორად გამოაცხადა. კომუნიზმის სიძულვილმა ცოცხალ ლეშს თვალები აუხვია. ფაშისტური პატრიოტიზმი,—ამბობს იგი,—ემოციური და ინტელექტუალური ზემოქმედების მრავალ სახეობიდან, არის ერთად-ერთი საშუალება, რომელსაც შესწევს უნარი გაზარდოს კავშირ-ურთიერთობა მწერალსა და მკითხველს შორისო.

ამასთან გერმანელი ფაშისტები იცავენ კულტურის „რასულ“ „სიწმინდესაც“. ისინი არა სცნობენ არც ერთი სხვა ერის კულტურას, გარდა „გერმანელების“ კულტურისა. „არის ერთი გერმანული კულტურა,—ბოდავს ჰიტლერი. — აღიარება კულტურის უფლებისა... სხვა ხალხისათვის ნიშნავს რასული ქაოსის აღიარებას“.

მაგრამ, როდესაც მიხაკისფერი მხეცები „გერმანულ კულტურას“ აღიარებენ, ეს მათი გველური თვალთმაქცობის ჩვეულებრივი ფანდია, რომ კვლავ მოატყუონ მასები და გაიყოლიონ ისინი ბარბაროსულ ლაშქრობაში. სხვანაირად როგორ შეუძლიანთ ჭეშმარიტი გერმანული კულტურის „მემკვიდრეებად“ გამოაცხადონ თავი ისეთმა ადამიანებმა, რომლებსაც არა სწამთ საერთოდ კულტურა. ისინი ხომ ხმამაღლა აცხადებენ, რომ „კულტურა ბოჭავს ადამიანსო“. განა შეუძლიანთ გერმანული კულტურის მემკვიდრეებად გამოაცხადონ თავი ისეთმა ბრიყვებმა, რომელნიც გაუწითლებლად საქვეყნოდ აღიარებენ: „ჩვენ არ წარმოვადგენთ და არც გვინდა ვიყოთ გოეთესა და ეინშტეინის გერმანელები“. იტალიის ფაშიზმმაც ხომ გერმანელების წაბაძვით

გამოაცხადა „კულტურა ფაშისტური ახალგაზრდობის მტრად“, რომ კულტურა, მათის აზრით, ზრდის უკმაყოფილოთა და კრიტიკულად მოაზროვნეთა რიცხვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ხეირი შეიძლება დაეყაროს გერმანულ კულტურას ისეთ ბარბაროსების ხელში, რომელნიც კმაყოფილებით აცხადებენ, რომ შექსპირი უცხოა ახალი „არიული“ გერმანული იდეოლოგიისათვისო.

მაგრამ, ამის მიუხედავად, თუ მაინც ჰყოფნით გამბედაობა გამონახონ რაიმე „კულტურა“, რომელსაც ისინი აღიარებენ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ, როცა ფაქტები მეტყველებენ, ფაშისტები მაშინ ჯამბაზობას მიმართავენ.

რატომ სთქვეს უარი ფაშისტებმა კულტურაზე?

გერმანელი ფაშისტები აშკარად ამბობენ, რომ ისინი ბარბაროსები არიან. რაუშნინგის გადმოცემით, გერინგს „ჰიტლერულ მოძრაობისათვის“ შემდეგი დახასიათება მიუცია:

„დიაღ, ჩვენ ბარბაროსები ვართ, ჩვენ გვინდა ასეთებად ვიყოთ. ეს საპატიო სახელწოდებაა. ჩვენ გვინდა გავაახალგაზრდავოთ მსოფლიო. ძველ მსოფლიოს დაუდგა დასასრული. ჩვენი მიზანია — ვთესოთ მოუსვენრობა“.

ბარბაროსობა და კულტურა ერთმანეთთან შეუთავსებელნი არიან. როცა ფაშისტები აღიარებენ ბარბაროსობას, მაშინ აუცილებლად უნდა უარყონ კულტურა, და როცა ისინი აწყობენ „ჯვაროსნულ ლაშქრობას“ კულტურის წინააღმდეგ, ამ შემთხვევაში კანონზომიერად იქცევიან. კულტურა ებრძვის ბარბაროსობას. ვინც კულტურისა და დემოკრატიის მხარეზეა, მისთვის ბარბაროსობა და ფაშისტურ რეჟიმთან ბრძოლა კანონზომიერია და აუცილებელი.

აქედან თავისთავად ნათელია, თუ რატომ მოხდა, რომ მთელი პროგრესიული კაცობრიობა ფაშისტების წინააღმდეგ აღმოჩნდა, რომ ფაშისტებმა ხელოვნებისა და მეცნიერების ვერც ერთ ჭეშმარიტ ადამიანურ მოღვაწეში ვერ ჰპოვეს მომხრე და დემოკრატიულ და ჰუმანიურ მსოფლიოსაგან განმარტოვებულნი დარჩნენ.

ბარბაროსებმა იოლად სცადეს გამოსავალი ეპოვნათ მდგომარეობიდან. ფაშისტ ვაითეორეტიკოსებს იმისათვის, რომ გაემართლებინათ წინააღმდეგობა ახალი, მხეცური ტიპის ბარბაროსებსა და კულტურას შორის, უარყვეს კულტურა, იგი ადამიანისათვის „მავნებლად“ გამოაცხადეს. მათ თვალები დახუჭეს ფაქტების წინაშე და წარმოიდგინეს, რომ ეს ფაქტები უკვე აღარ არსებობდნენ, რომ უკვე მოატყუეს მსოფლიო. ნამდვილად კი ისინი არსებობდნენ და ფაშისტი ბარბაროსებისაგან დამოუკიდებლად ვითარდებოდნენ, რაც ნათლად გამოჩნდა, როცა მათ ომი გამოუცხადეს კულტურის ქვეყანას — საბჭოთა კავშირს; ამ მომენტიდან კულტურული მსოფლიო, რომლის არსებობაშიც ჰიტლერულ ძალლებს ეჭვი ეპარებოდათ, ბარბაროსების წინააღმდეგ გამოვიდა.

იტალიისა და გერმანიის ფაშიზმმა მოსპო კულტურის წყაროები, შეამცირა უმაღლესი დ საშუალო სასწავლებლები, მშრომელ მასებს წაართვა ნამდვილი განათლების უფლება. გერმანიის ხალხს ჰიტლერი არწმუნებს, რომ განათლება ერისათვის დამღუპველიაო. მრავალგზის გაიძვერები ჩასჩიჩინებენ გერმანელ ხალხს, რომ „გერმანელებმა წარსულ ომში დამარცხება განიცადეს იმიტომ, რომ ისინი იყვნენ მეტის-მეტად განათლებულნიო“. ჰიტლერი მისდევს ერთი ძველი პრუსიელი მონარქის „სიბრძნეს“: „ჩვენმა ჯარისკაცებმა რომ ის იცოდნენ, თუ რისთვის ვომობთ, ვერც ერთ ომს ვერ გადავიხდით“.

უბოროტესმა აგრესორებმა ჩინებულად იციან, რომ განათლებული გერმა-

ნელი ან იტალიელი, რომელიც გაიგებს ფაშისტური აგრესიის ნამდვილ მიზანს, არ წავა ომში მეზობელი ქვეყნის დასაპყრობად, არ წავა ომში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამიტომ ჰიტლერი და მუსოლინი უვიცობის სუფევაზობენ თავიანთ ხალხებს და აქცევენ მათ მორჩილ მონებიდან, ომის ბრმა იარაღად.

ფაშისტურ გერმანიასა და იტალიაში სკოლები დაწყებით საფეხურიდანვე ომისათვის მომზადების ამოცანებს ემსახურებიან. იქ მთავარ საგნად შემოღებულია სპორტი, ბოქსი და სამხედრო საქმე. სრულიად უარყოფილია ახალგაზრდობის მრავალმხრივი განათლება. თვით ფაშისტი პროფესორები სიამაყით სწერენ, რომ მათ სკოლებში „ომის გაგება მოქცეულია ახალგაზრდობის აღზრდისა და სახალხო განათლების ცენტრში“. გერმანიაში მასწავლებლები 8 წლის ბავშვს ომის შესახებ და სამხედრო საქმეზე ესაუბრებიან.

აი როგორი გერმანული „კულტურის“ მემკვიდრეები არიან ფაშისტები.

*

* *

მიხაკისფერი ბარბაროსები „პრაქტიკოსები“ არიან(!), ისინი ერთი წუთითაც არ ჩერდებიან სიტყვებზე, „თეორიული“ „პრინციპების“ განსაზღვრაზე, — უმალ მოქმედებას იწყებენ. „რაინდის“ სამოსელში გამოწყობილმა მასხრების მეფემ, შემოიკრიბა რა თავის გარშემო ყველა ჯურის ბოროტმომქმედნი, დაამშია და გაძარცვა გერმანია და ევროპის მთელი რიგი ქვეყნები. იგი შეუდგა ამ ქვეყნების ხალხების ფიზიკური განადგურების ფართოდ განხორციელებას. ჯოჯოხეთი სუფევს გერმანიაში, იტალიაში და მტაცებელ ფაშისტთა მიერ დაპყრობილ ქვეყნებში. სდევნიან, მასხრად იგდებენ, აწამებენ და ხვრეტენ უდანაშაულო მოსახლეობას, ქალებსა და მცირეწლოვანებს, აუპატიურებენ 12-13 წლის გოგონებს, მუშებს ძალით ერეკებიან მაღაროებში, სადაც 18-საათიანი ჯოჯოხეთური მუშაობაა შემოღებული. გეგმების შეუსრულებლობის გამო ბილწი სადისტები სცემენ, აშიმშილებენ და აწამებენ მუშებს. ერთმა ჩეხმა მუშამ, რომელმაც ვერ აიტანა წამება, თავი მოიკლა და დასტოვა შემდეგი წერილი, რომელშიაც გმირი ჩეხი ხალხის მოუსვენარი სული ჰქრის: „რაც უნდა ჰქნან გერმანელებმა, ჩეხები არასოდეს არ იყვნენ და არც იქნებიან მონები. ჩვენ გვცემენ, გვართმევენ ოჯახს, საჭმელს, მაგრამ ჩეხოსლოვაკია ფაშისტი ლორების წინაშე მუხლს არ მოიდრეკს“.

ნაცისტური საპყრობილეები სავსეა ჩეხი პატიმრებით. საბჭოთა კავშირთან ომის დაწყების პირველ დღეს დახვრიტეს 27 მელითონე და მემაღაროე ჩეხი, რომელზედაც ეჭვი მიიტანეს გაფიცვის მოწყობაში. ორი თვის განმავლობაში ფაშისტებმა ვარშავაში 500 პოლონელი დახვრიტეს. პოლონელი ქალიშვილები ათასობით წაართვეს მშობლებს და გერმანიაში წაიყვანეს სტერილიზაციისათვის. პოლონეთიდან გაზიდეს მთელი სურსათი და ახლა პოლონელ მოსახლეებს მხოლოდ 300 გრამ პურს აძლევენ დღეში, პოლონეთში მცხოვრებ ებრაელებს კი — 700 გრამს კვირაში. ასე ექცევიან ისინი ყველა დაპყრობილი ქვეყნის ხალხს. ოკუპირებულ საფრანგეთიდან მუშები ათასობით გაგზავნეს გერმანიაში კატორგულ სამუშაოებზე. რუმინეთში საუკეთესო რესტორანებსა და ბაღებში მხოლოდ გერმანელ ჯარისკაცებს აქვთ შესვლის უფლება. კარებზე გაკრულია განცხადებები, რომლებზედაც სწერია: „რუმინელი ჯარისკაცისა და ძაღლისათვის შესვლა აკრძალულია“. ბარბაროსები არც თა-

ვიანთ ხალხს აყრიან ხეირს. გერმანიაში სრული შიმშილობაა. ხალხი შეძრწუნებულია შიმშილისა და სიძვირისაგან, ომში დაჭრილთა და ჰოსპიტალებში დახოცილთა სიმრავლით. უმაღლესი სარდლობის ბრძანებით, ომში დაჭრილ გერმანელ ჯარისკაცებს, რომლებიც მორჩენის შემდეგ ომში აღარ გამოდგებიან, ჰკლავენ ან ცოცხლად სტოვებენ ბრძოლის ველებზე ყვავ-ყორნების საჯიჯგნად.

გერმანელი სადისტები უმაგალითო სიმხეცეს იჩენენ ტყვე წითელარმიელთა და დაკავებულ საბჭოთა ტერიტორიის მოსახლეობის მიმართ. კოლმეურნეებს იჭერენ და მხეცურად სცემენ ფოლადის მავთულის მათრახებით, სანამ გონებას სრულიად არ დაჰკარგავენ. შემდეგ გონებადაკარგულებს ერთად აგროვებენ, ნავთს ასხამენ და ცეცხლს უკიდებენ. დაკავებულ ქალაქებსა და სოფლებში „არჩევენ“ აქტიურ საბჭოთა მოქალაქეებს და ტელეფონისა და ელექტრონის ბოძებზე ახრჩობენ. ფინელმა ფაშისტებმა ტყვე ლადონინს სამართებლით დაუსერეს სახე, თვალები დასთხარეს. გერმანელმა ოფიცერმა პირადად აწამა წითელარმიელი ფეოდოროვი, კოცონის ცეცხლზე გახურებული ხიშტით ხელები დაუშანთა, მკერდი და ზურგი დაუჩხვლიტა. მეორე ოფიცერმა წითელარმიელ ზუდინს რამდენიმე თითი მოსჭრა, მარჯვენა ხელისგული გაუხვრიტა და თვალები ამოსთხარა. მაგრამ ასეთი წამების მიუხედავად, რაკი საბჭოთა პატრიოტებისაგან საჭირო პასუხი ვერ მიიღეს, შემდეგ ტყვიით დახოცეს ისინი.

ასეთი შემზარავი მაგალითებით სავსეა ყაჩაღთა თარეში.

*

* *

ფაშისტები ვერ აღწევენ მიზანს. მათ დაიპყრეს ქვეყნები, მაგრამ ვერ დაიპყრეს ხალხები. პირიქით, დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობაში მათ დასთესეს გერმანელებისადმი სიძულვილი და შურისძიების გრძნობა. ეს არ არის უბრალო სააგიტაციო ფრაზები. ამ ფაქტების უარყოფა არ ძალუძთ თვით ფაშისტებს. გერმანიის არმიის სარდლობა, რომელმაც საიდუმლო წერილი გაუგზავნა ჯარის ნაწილების მეთაურებს, იძულებულია აღიაროს: „გერმანელმა ჯარისკაცმა არ უნდა დაივიწყოს, რომ სამოქალაქო მოსახლეობა, მოჩვენებითი თავაზიანობის დროსაც კი, გულის სიღრმეში მტრულად არის განწყობილი გერმანელების მიმართ“.

დაპყრობილი ქვეყნების ხალხები დღითი-დღე აძლიერებენ წინააღმდეგობას. იზრდება წინააღმდეგობა თვით გერმანიაშიც. დადგა ფაშიზმის „ალმავლობის“ კრიზისის ხანა. „ცუდ თამაშს არა შველის სახის კარგი გამომეტყველება“. გარეგნული საზეიმო განწყობილება, რომლითაც მათ თავიანთი ხალხის მოტყუება სურთ, მალე გაჰქრება, ისინი ნაადრევ „ზეიმს“ ეძლევიან იმის გამო, რომ მოახერხეს დაეპყროთ რამდენიმე სუსტი ქვეყანა. ფაშისტ ავაზაკებს უნდა გავახსენოთ იტალიელი კარტეზიელის მიერ ძუნწის მიმართ ნათქვამი სიტყვები, რომელიც კვეხნით ითვლიდა თავის სიმდიდრეს და რომელიც მარქსმა იხმარა ლუი ბონაპარტის მისამართით: „შენ ითვლი შენს სიმდიდრეს, უმჯობესია ჯერ შენი წლები დაითვალო!“

ჰიტლერის ფარეშები გულისამრევად ჩხავიან და კმაყოფილად გრძნობენ თავს თავიანთ მიერ შეთხზულ სიცრუეთა გარემოცვაში. მაგრამ შორს არ

არის მომენტი, როცა დარწმუნდებიან, რომ „დიდი ხანია წავიდა დრო, როდესაც ბატების ყვირილს კაპიტოლის გადარჩენა შეეძლო“.

ორწლიან ომში დაღლილი გერმანელი ჯარისკაცები ოცნებობენ იმაზე, თუ როდის გათავდება ომი. მათ უკვე ეჭვი ეპარებათ ომის პერსპექტივებში და სასოწარკვეთილებას ეძლევიან. გერმანელ ჯარისკაცს ფრონტზე დროებითი წარმატება არ ახარებს. ფაშისტებმა იგი მოსწყვიტეს ოჯახს იმ იმედით, რომ „ელვისებური“ შეტევით ომს მალე დაამთავრებდნენ. მაგრამ ომს ბოლო არ უჩანს. ერთმა გერმანელმა სამხედრო ექიმმა ჯარისკაცების თანადასწრებით უთხრა ბერძენთა ჯარის ოფიცერს, რომელიც დამარცხების შემდეგ სახლში ბრუნდებოდა: „ჩვენ გვშურს თქვენი მდგომარეობა. თქვენ თუმცა დამარცხებული ხართ, მაგრამ უბრუნდებით თქვენს ოჯახს. ჩვენ კი არ ვიცით, როდის დავბრუნდებით საკუთარ სახლებში და დავბრუნდებით კი საერთოდ“?

ომის საწინააღმდეგო განწყობილება უფრო ძლიერდება მას შემდეგ, რაც მთელი პროგრესიული კაცობრიობა გვერდში ამოუდგა საბჭოთა კავშირს მის სამართლიან სამამულო ბრძოლაში და ნამდვილი ომი გამოუცხადა ფაშისტ აგრესორებს.

ახლა მშვიდობისმოყვარე ხალხისათვის საშუალო ხაზი აღარ არსებობს. მისთვის უკვე გარკვეულად სდგას ერთი ამოცანა: ფაშიზმი უნდა განადგურდეს!

ამ ამოცანის გარშემო ირაზმება მთელი კულტურული და დემოკრატიული კაცობრიობა.

ამ დიდი მსოფლიო ისტორიული ამოცანის გადაჭრის დროს, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს კაცობრიობის ხსნისა და კულტურის გადარჩენის პრობლემაც, მსოფლიოს მწერლობა ხალხთან არის. მსოფლიოს მოწინავე მწერლებმა გარკვევით შეიგნეს თავიანთი მოვალეობა. ისინი მიხვდნენ, რომ ფაშიზმმა ადამიანის, კულტურისა და ლიტერატურის ბედი საფრთხეში ჩააყენა. ვისაც გული სტკივა ადამიანისათვის, კულტურისათვის, ლიტერატურისათვის, მან მხარი უნდა დაუჭიროს ფაშიზმთან ბრძოლას. სამართლიანად ამბობს ფრანგი მწერალი ჟიულ რომენი: „ამჟამად საქმე ეხება იმას, რომ ყველამ ერთად გავილაშქროთ კაცობრიობის მტრის წინააღმდეგ და დავამარცხოთ იგი“.

ფაშიზმის დამარცხება ყველა ქვეყნის ხალხის და მწერლობის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენს. მართალი იყო „ამერიკელ მწერალთა ლიგა“, რომელმაც თავის ხალხს უთხრა: „ფაშიზმისაგან მსოფლიოს განთავისუფლება უაღრესად საჭირო პირობაა იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნას ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული ინტერესები“.

ბურჟუაზიული ქვეყნების დემოკრატიულმა მწერლებმა საკმაოდ შეიგნეს, რომ ამ ეტაპზე ერთად-ერთი გამოსავალი არის კავშირი საბჭოთა კავშირთან, დახმარება საბჭოთა კავშირს, რადგან „რუსების საქმე ყოველთვის და ყველგან,— ამბობს ამერიკელი მწერალი დრაიზერი, — დემოკრატიის ნამდვილი საქმეა, ვინაიდან რუსეთმა უბრალო ადამიანისათვის უკვე გააკეთა იმაზე მეტი, რაც რომელიმე სხვა ქვეყანამ ისტორიაში“.

შეუძლებელია დავიწყებას მიეცეს მსოფლიოში სახელგანთქმული, ჰიტლერის ძალლებისაგან დევნილი, სამშობლოს მოწყვეტილი და ემიგრაციაში მყოფი მწერლის ფეიხტვანგერის მგრძნობიარე სიტყვები, რომლებიც მან წარმოსთქვა საბჭოთა კავშირის მიმართ:

„მე თვითონ მომიხდა მრავალი ტანჯვის გადატანა. ბევრი ჩემი მახლობელი დაიღუპა. განადგურებულია თითქმის ყველაფერი ის, რაც მე მიყვარდა. და

თუ, მიუხედავად ამისა, მე არ დავეცი სულით, ეს მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ მაქვს შესაძლებლობა მივაპყრო თვალი საბჭოთა კავშირს, იმიტომ რომ შემიძლია ვუმადლოდე ბედს საბჭოთა კავშირის არსებობისა გამო.

საბჭოთა კავშირი ნამდვილი ჰუმანიზმის უდიდესი ქვეყანაა და მოწინავე ადამიანების თვალი დედამიწის ყველა კუთხიდან მისკენ არის მიპყრობილი. უდავოა, რომ დღევანდელ ომში სიმართლისმოყვარე საბჭოთა კავშირი გამარჯვებული გამოვა, ამ ომში მასთან არის და ბოლომდე იქნება მთელი პროგრესიული კაცობრიობაც. ყველას თავისუფლად შეუძლიან გაიმეოროს ცნობილი გერმანელი მწერლის ალფრედ კანტოროვიჩის სიტყვები:

„წავიდა იმ იოლ გამარჯვებათა დრო, რომელსაც ჰიტლერის სატრაპები — გენერლები აღწევდნენ; დადგა ანგარიშის გასწორების დრო... ჩვენ ხმამაღლა უნდა განვაცხადოთ ის, რისი დიდი იმედიც აქვთ მილიონ გერმანელებს: ახლო მომავალში დიდი დემოკრატიული ქვეყნების გაერთიანებული იარაღი მთელ მსოფლიოს იხსნის ფაშიზმის კოშმარისაგან“.

მოწინავე მსოფლიო ჩვენთან არის. მაგრამ წითელი არმია და საბჭოთა კავშირის მთელი ხალხის ისტორიაში უჩვეულო გმირობა ჩვენი აუცილებელი გამარჯვების პირველი უტყუარი პირობაა. საბჭოთა პატრიოტიზმით გამსჭვალული თავისუფალი ხალხები ფოლადისებურად არიან შემჭიდროებული თავიანთი ბრძენი ბელადის დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი ს გარშემო. სტალინის მიერ აღზრდილი და შთაგონებული წითელი არმია ვაჟკაცურად იცავს სამშობლო მიწის ყოველ გოჯს. წითელი არმია და ხალხი ერთსულოვნად იბრძვიან სამშობლოსათვის, სტალინისათვის, ლენინისათვის. მთელი ჩვენი ხალხი აღგზნებულია მაღალი პატრიოტულ მისწრაფებით და ერთი მტკიცე გადაწყვეტილებით, რომელიც შესანიშნავად გამოხატა თავის ლექსში ქართველმა პოეტმა ალიო მაშაშვილმა:

„სტალინის დროშა გავშალოთ—
ორბის-ფრთა ნაპერწკლოვანი,
დავსძახოთ ბრძოლის ყიჟინა
მრისხანე, ხმა-ცეცხლოვანი,
მტერს დავსცხოთ, ქარბუქს მიჰქონდეს
მათი ოხვრა და გლოვანი,
კვლავ ვასახელოთ გმირობით
სამშობლო სახელოვანი!“

...ბოლოს, თვით გერმანელი ხალხიც გაიგებს, რომ „ვიდრე მას ეს ავანტიურისტი ხელმძღვანელობს, ვერასოდეს ვერ მიაღწევს იგი ზავს“ (გერმანელი მწერალი ტომას მანი), და მაშინ ჰიტლერის „კერპი“ „კვარცხლბეკიდან“ ძირს დაემხობა და დაიმსხვრევა მასხრების მიერ თავიანთი მეფისათვის დაწნული „დაფნის გვირგვინი“.

მიწა მოიფინება ფაშისტთა გვამებით. და როცა ჰიტლერი სამარეს გაუთხრის ყველა თავისიანს, მას აღარ ეყოლება კაცი, რომელზედაც თავისი დამარხვის იმედს დაამყარებს. შემთხვევითი „რაინდი“ უშთამომავლოდ გაჰქრება. „ისტორიაში“ დარჩება მხოლოდ მოგონება: ოდესღაც იყო კაცუნა დეგენერატის სახით, მაიმუნის ჭკუითა და მხეცის ბუნებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ინგლისელი ჟურნალისტი ჰიტლერის გეგმების შესახებ

## (ნაწყვეტები ერნსტ ჰენრის წიგნიდან: „ჰიტლერი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“)

ეს წიგნი ცნობილმა ინგლისურმა გამომცემლობამ „Dent“-ის 1936 წელს გამოსცა. შემდეგ იგი საფრანგეთსა და ჰოლანდიაში გამოსცეს. 1937 წელს ეს წიგნი საბჭოთა კავშირშიაც გამოვიდა რუსულ ენაზე.

ავტორი კრიტიკულად იხილავს დიდ ფაქტიურ მასალას და ამის საფუძველზე იძლევა სურათს იმისას, თუ რა მოელის გაცოფებულ ფაშისტურ მხეცს საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შედეგად. ავტორი გვიჩვენებს გერმანული ფაშიზმის სახეს, ამხელს მის ყაჩაღურ გეგმებს, გვაძლევს იმ ძალების მკვეთრ ანალიზს, რომელნიც გაანადგურებენ ჰიტლერის ბანდებს.

წიგნის ბევრი ციფრობრივი მონაცემი, რასაკვირველია, უკვე მოძველდა. ვერც ავტორის ზოგიერთ დებულებას გავიზიარებთ. ყველა ამას გარდა, ამბებისა და მოვლენების მსვლელობა რამდენიმედ განსხვავდება იმისაგან, როგორც ავტორს ჰქონდა გათვალისწინებული.

მიუხედავად ამისა, წიგნი ახლაც დიდ ინტერესს წარმოადგენს საბჭოთა მკითხველისათვის. ქვემოთ მოყვანილი ნაწყვეტები ამოღებულია წიგნის დასკვნითი ნაწილიდან.

აშკარაა, ყველაფერი ერთ კითხვაშია მოქცეული: შესძლებს თუ არა ჰიტლერი თავის ჯვაროსნული ომის მოგებას? შესძლებს თუ არა ფაშისტური არმია საბჭოთა არმიის დამარცხებას?

1936 წლიდან დაწყებული ეს პრობლემა დაჩრდილავს და უკან დასწევს ყველა დანარჩენ პრობლემას. ეს უბრალო და ნათელი პრობლემა მთელი მსოფლიო პოლიტიკის ლეიტმოტივად გადაიქცევა.

არსებით პასუხს ამ კითხვაზე — უტყუარ და ამომწურავ პასუხს — იძლევიან ისტორიული კანონები, დიალექტიკის კანონები. აქ ორი პასუხი შეუძლებელია. მაგრამ არავის არ შეუძლიან და არც უნდა გაბედოს ვინმემ, ასეთ მომენტში მიმართოს მარტოოდენ მეცნიერულ აბსტრაქციებს, მარტოოდენ დიალექტიკის ცნებებს. საჭიროა დიალექტიკური კანონების დასურათება და მათი დადასტურება ელემენტარული არითმეტიკით. ეს სავსებით აუცილებელია. ამ საკითხს უნდა მივუდგეთ, ასე ვთქვათ, საანგარიშო სახაზავით და ფარგალით; უნდა შევისწავლოთ ყოველი პუნქტი, ყოველი ნაწილი, უნდა შევაერთოთ, გავამრავლოთ და შევადაროთ ციფრები, ხოლო შემდეგ გამოვიყვანოთ დასკვნები — ყველასათვის ნათელი და ცხადი დასკვნები.

ფაშიზმი სოციალიზმის წინააღმდეგ. ახლა პირისპირ დაეჯახებიან არა იდეები, არამედ ის ძალები, რომლებიც ამ მოძრაობებს მოეპოვებათ. როგორია ეს ძალები?

1934 წელს, ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის ჩადგომის ერთი წლის შემდეგ, კითხვაზე „შესძლებს თუ არა გერმანია ომის მოგებას დასავლეთ

ევროპაში," მე, ამ წიგნის ავტორმა, ვუპასუხე — დიახ, შესაძლებელ, მაგრამ ამ პასუხს თან დავაყოლე ზოგიერთი შენიშვნა. დიახ, შესაძლებელ, თუ დასავლეთი ევროპა დანაწილებული და იზოლირებული იქნება. დიახ, თუ ლიფენის დასავლეთის გეგმა ოსტატურად იქნება შეხამებული გერინგის საჰაერო გეგმასთან და ჰიტლერის ნეობისმარკისებულ იზოლიაციურ დიპლომატიასთან. სტრატეგიული, პოლიტიკური და ტექნიკური ფაქტორების ანალიზმა იმ დროს ის აზრი დაჰბადა, რომ ასეთი შედეგი უნდა მოჰყოლოდა ჰიტლერისა და ვეიგანის შეტაკებას. საჭიროა ასეთივე ანალიზი გერინგ — წითელი არმიის ფლოტის ორი მხრის ძალთა და შესაძლებლობათა გასათვალისწინებლად.

არსებობს ძალთა შეფარდების ოთხი ასპექტი, ოთხი პოტენციური სტრატეგია, რომლებისაგანაც დამოკიდებულია თანამედროვე ომის შედეგი: მატერიალური სახსრების სტრატეგია, ოპერატიული, საჰაერო და სოციალური სტრატეგია. თვითეულ მათგანს თავისი სპეციალური აზრი აქვს, მაგრამ მხოლოდ საერთო ჯამი განსაზღვრავს შედეგს. ჩვენ დავიწყებთ იმ სტრატეგიიდან, რომელიც ყველა დანარჩენის მიმართ ერთგვარ „კოეფიციენტს" წარმოადგენს და რომელიც ყველაზე მარტივად ახასიათებს სიტუაციას: ეს არის წმინდა მატერიალური სახსრების — ადამიანების, იარაღის და მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების სტრატეგია. ყველაფერი ეს, ერთად აღებული, საბოლოოდ განსაზღვრავს თანამედროვე მებრძოლი არმიის ძალღონეს.

რანაირ ა რ მ ი ე ბ ს გამოიყვანენ ურთიერთის წინააღმდეგ ფაშიზმი და სოციალიზმი?

საბჭოთა კავშირის — სოციალიზმის ავანგარდის — მოსახლეობა უდრის 175 მილიონს, გერმანიის — ფაშიზმის ავანგარდისა — 70 მილიონს. მაშასადამე, შეფარდება ასეთია: ორნახევარი ერთის მიმართ. მაგრამ ეს მხოლოდ ნომინალი ბაზაა გამოანგარიშებისათვის, რადგან ომის „წარმოების პროცესის" მატერიალური სახსრების (ადამიანების, ისევე, როგორც მანქანებისა და მასალის) რაოდენობა და ღირსება დამოკიდებულია არა მარტო მოსახლეობის რაოდენობაზე, არამედ მისი ორგანიზაციის დონეზედაც. მხედველობაში უნდა მივიღოთ რაოდენობაც და ეფექტიურობაც. და აქ პირველი შეხედვით ეცს ეგონება, რომ საბჭოთა კავშირთან შედარებით გერმანიას უპირატესობა აქვს არა პოტენციური რესურსების მხრივ, არამედ ეფექტიური ორგანიზაციის მხრივ.

მომავალ ომში, რომლის ფრონტიც გაჭიმული იქნება 3200 კილომეტრზე — ყინულოვან ოკეანედან შავზღვამდე — ორივე მხარეს ასეთი დიდი ფრონტის მოსაცავად უზარმაზარი ძალების გამოყვანა მოუხდება. ეს ომი იქნება არა მარტო სახელმწიფოების ომი, არამედ სოციალური ომიც, იგი წარმოებული იქნება უაღრესი სიმკაცრით. ამ ომში, ალბათ, ბევრად უფრო მეტი არმიები მიიღებენ მონაწილეობას, ვიდრე უკანასკნელ მსოფლიო ომში იღებდნენ. ყოველ შემთხვევაში ამოძრავებული იქნებიან ადამიანთა უზარმაზარი მასები, ამასთან აამოძრავებენ ამ მასებს არა მარტო იმიტომ, რომ მომსახურეობა გაუწიონ უდიდეს თანამედროვე საომარ მანქანებს, არამედ იმიტომაც, რომ ამ მანქანების შემწეობით და მათი მფარველობით იბრძოლონ, იერიში მიიტანონ, ტერიტორიები დაიჭირონ...

რამდენი კაცის გაყვანას შესძლებენ თავიანთი მასობრივი არმიებისთვის გერმანია და საბჭოთა კავშირი?

1914—1918 წლების ომში გერმანია სხვა მეომარ სახელმწიფოებთან შედარებით ნაკლებ მოსახლეობას შეიცავდა. მიუხედავად ამისა, მან სანგრებში ყველაზე უფრო მრისხანე არმია გაგზავნა. სრული საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ახალ ომში ჰიტლერი და გერინგი შეეცდებიან გამოიყვანონ ასეთივე ძალა, ხოლო თუ შესძლებენ, უფრო დიდი და ძლიერი ძალაც...

მსოფლიო ომის უკანასკნელ წლებში გერმანიამ თავისი ხალხის მიმართ უხეშ, თითქმის საბედისწერო ძალადობას მიმართა და გაუგონარ რეკორდს მიაღწია: გაიყვანა 241 დივიზია, ესე იგი მშვიდობიანი დროის 472 პროცენტი. გავიდა ხანი და გერმანიამ ომი წააგო...

რანაირ ცოცხალ ძალას დაუპირისპირებს ამას საბჭოთა კავშირი?

...საბჭოთა არმიების ადამიანთა მასა ახლავე, მშვიდობიანი დროის შეზღუდულ ჩარჩოებშიც, აღემატება გერმანიის ფაშიზმის რეგულარულ არმიას და პირველი რიგის ირრეგულიარული კადრების საგრძნობ ნაწილს.

მაგრამ იქნებ ეს არმია თავისი სამხედრო თვისებით, ესე იგი, სხვა სიტყვებით, თავისი მომზადებით, ბრძოლის უნარიანობით და ამტანობით გერმანიის არმიაზე უფრო დაბლა იდგომება?

...საბჭოთა კავშირის წითელარმიელები 1936 წელს არაფრით არ ჩამოუვარდებიან მსოფლიოს საუკეთესო არმიების ჯარისკაცებს, ყოველშემთხვევაში სამხედრო მომზადებით; ტაქტიკური და ტექნიკური ცოდნით, ფიზიკური ამტანობით და ბრძოლისუნარიანობით მათ ამ არმიებს შორის უკავიათ ადგილი. ისინი გატაცებული არიან გამარჯვების სურვილით, მათ კარგად ესმით, რისთვის ომობენ — და ამაში მათ ტოლი არა ჰყავთ. წითელარმიელები უვიცი რეკრუტები როდი არიან, ისინი სოციალიზმის დამცველთა კოლექტივს წარმოადგენენ. წითელი არმია თავისი სოციალური ბუნების მეოხებით არის არა მარტო დისციპლინირებული სამხედრო ორგანიზაცია, არამედ საერთო იდეოლოგიით გაერთიანებული კოლექტივიც, პოლიტიკური, ტექნიკური და კულტურული „უნივერსიტეტი“, თავისუფალ და დიდად განვითარებულ ადამიანთა აღმზრდელი, — ისეთ ადამიანთა აღმზრდელი, რომელნიც სიცოცხლეს არ დაზოგავენ, თუ მათ თავს დაესხმიან. უცხოელი გენერლები 1935 წლის შემოდგომაზე, საბჭოთა დიდი მანევრების დროს, ადვილად დარწმუნდნენ, ალბათ, თუ რა გავლენა აქვს სოციალურ ფაქტორს ჯარის სამხედრო ეფექტიურობაზე.

როგორაა საქმე მასობრივი არმიის მთავარი კოეფიციენტის — მ ე თ ა უ რ თ ა შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი ს მხრივ? რას წარმოადგენენ საბჭოთა მეთაურების კადრები ფაშისტთა მეთაურებთან შედარებით?

...ისტორიაში საბოლოოდ იმარჯვებდნენ ახალგაზრდა, აღმავალი კლასებისა და მათი სახელმწიფოს გენერლები, აგებდნენ კი ყოველთვის ისტორიული ასპარეზიდან მიმავალი რეაქციული კასტები. მხოლოდ პირველებს თავიანთი კლასისა და თავიანთი საზოგადოების ახალგაზრდა ასაკის მეოხებით გააჩნდათ ალღო და უნარი ახალი სტრატეგიის დაუყოვნებელი შეთვისებისა და ფართოდ გამოყენებისათვის. აი რატომ ხდებოდა, რომ საფრანგეთის კონვენტის (წვრილი ბურჟუაზიის) „თავხედი“ ოცდაათი წლის გენერლები ამარცხებდნენ ბებერ, დაჩაჩანაკებულ სარდლებს — ავსტრიელ ერცჰერცოგებს, ხოლო შემდგომად გერმანიის ახალგაზრდა კაპიტალისტური ბურჟუა-

ზიის წარმომადგენელნი — მოლტკე და მისი სკოლა ამარცხებდნენ ნაპოლეონ მესამის უნიათო მეორე იმპერიის გენერლებს.

ყოველთვის უფრო მაღლა იდგნენ უფრო ახალგაზრდა და უფრო ენერგიული სოციალური სისტემის ოფიცრები.

ბიბლიოთეკა

სტალინისა და ვოროშილოვის ოფიცრები, ყოფილი მუშები და სოფლელი ახალგაზრდები, ყოველთვის მაღლა იდგმებიან ჰიტლერისა და გერინგის ოფიცრებზე.

... შედეგი თანდათან ცხადჰყოფს საბჭოთა კავშირის არმიის აშკარა და აბსოლუტურ უპირატესობას. ადამიანთა შემადგენლობით ეს არმია ყოველთვის უფრო ძლიერი იქნება.

მაგრამ როგორ იქნება ადამიანებისაგან შემდგარი ეს ძალა შეიარაღებული ტექნიკურად, როგორ იქნება იგი მომარაგებული ომის მ ე ქ ა ნ ი კ უ რ ი იარაღით? იქნებ სწორედ აქ ჰპოვებს, ბოლოს, გერმანია თავის სპეციფიურ უპირატესობას?

ეს სავსებით კანონიერი კითხვაა... თანამედროვე „მკვდარი“, მექანიკური მეომრები ხომ იმ ცოცხალ მეომრებთან ერთად, მათთან თანაბრად მონაწილეობენ ეხლანდელ ომში, რომელნიც განაგებენ მათ, რომელთაც მოძრაობაში მოჰყავთ ისინი. მაშინ, როდესაც 1914 წელს მთელი არმიის ორი მესამედი შაშხანებით შეიარაღებული ქვეითი ჯარისაგან შესდგებოდა, ახლა არმიის ნახევარი შესდგება ტექნიკური ჯარის სხვადასხვა გვარისაგან, რომელნიც მომსახურეობას უწევენ ომის მანქანებს.

მეფის რუსეთს უცხოეთიდან შემოჰქონდა თავისი არტილერიის 75 პროცენტი, შაშხანების 60 პრ., საარტილერიო ჭურვების 75 პრ., ვაზნების 60 პრ. შეუძლებელი იყო რუსული დივიზიის შედარება გერმანულთან: თუმცა მასში ჯარისკაცი მეტი იყო (16 ბატალიონი გერმანიის 12 ბატალიონის ნაცვლად), ქვემეხების რიცხვით მაინც გერმანული დივიზია სჭარბობდა: იქ 72 ქვემეხი ირიცხებოდა, რუსულ დივიზიაში კი — 43. გამოანგარიშებულია, რომ წარსულ ომში რუსების მიერ გასროლილ ყოველ ჭურვზე გერმანელთა 300 ჭურვი მოდიოდა.

როგორაა ახლა საქმე?

გერმანიის ახალმა არმიამ თავისი დივიზია შეაიარაღა 400 — 450 ტყვიამფრქვევით და 180 მსუბუქი და მძიმე ქვემეხით. კორპუსებს და არმიებს, ამას გარდა, მოეპოვებათ მთლიანად მოტორიზებული სპეციალური საარტილერიო ნაწილები. როგორც ახალი მასობრივი დამკვრელი საშუალება, გერმანელებმა შეჰქმნეს განსაკუთრებული სატანკო არმია დამოუკიდებელი მეთაურობით. მასში, მსუბუქ ტანკებს გარდა, შედიან მსხვილი „ზეტანკებიც“, რომლებსაც ექვს-ექვსი კაცი უწევს მომსახურეობას. ბორბლებზე შეყენებული ეს ციხე-სიმაგრე 8 ტონას იწონის, შეიარაღებულია ორი ქვემეხით და ორი ტყვიამფრქვევით, გადის საათში 80 კილომეტრს. სწორედ ეს დაჯავშნილი დივიზიებია მიჩნეული გერმანიის ახალი არმიის ნამდვილ ღერძად...

ნგრევა-რღვევის მექანიკურ საშუალებათა ამ კონცენტრირებული მასის გამოცდა გერმანელებს განზრახული აქვთ რუსეთის ფრონტზე. რა დახვდება ამ ძალას იქ, ადამიანებს გარდა?

ევროპაში ოდესღაც ყველაზე ჩამორჩენილი არმია გადაიქცა სწორედ ტ ე ქ ნ ი კ უ რ ა დ ერთ-ერთ უპირველეს არმიად დედამიწაზე.. 1933 წელს წითელ არმიაში ცოცხალი ძალის თვითეულ ერთეულზე (ერთ მებრძოლზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდიოდა 7,74 ცხენის ძალის მამოძრავებელი ენერგია (ე. ი. ტანკები, მოტორიზებული არტილერია, სატრანსპორტო საშუალებები, აეროპლანები და სხვ.).

პირველმა ტექნიკურმა „შეშხაპუნებამ" (მეორე შეშხაპუნება დაიწყო 1935 წელს) ერთხელ და სამუდამოდ, ამასთან ძირფესვიანად, შესცვალა საბჭოთა არმიის მთელი ხასიათი, გადააქცია რა იგი ზემექანიზებულ არმიად, — მოხდა მეტამორფოზა, რომელმაც ძალზე გააოცა და უსიამოვნო გუნებაზე დააყენა უცხოელი გენერალური შტაბები. ამ ცვლილების „საიდუმლოება" მეტად მარტივია: იგი წარმოშვა „სოციალისტურმა რეკონსტრუქციამ". მარქსიზმის სტრატეგებს ყოველთვის კარგად ესმოდათ როლი თანამედროვე სამრეწველო მანქანებისა, რომელნიც ბაზას უქმნიან მათ საკუთარ პოლიტიკურ არმიას — მუშათა კლასს. აი ამ სტრატეგებმა, როდესაც ისინი იძულებული გახდნენ საგარეო ომის სტრატეგებადაც გადაქცეულიყვნენ, დაუყოვნებლივ შეაფასეს სამხედრო მანქანების სპეციფიური როლი: მათ საბჭოთა არმიის მთელი საფუძველი 180°-ით შეატრიალეს, მათ, ამრიგად, გააკეთეს იმის საწინააღმდეგო, რასაც აკეთებდა მეფე და მისი ფეოდალური კასტა, რომელნიც თავიანთი არმიის შექმნის დროს გამომდინარეობდნენ საკუთარი სოციალური პრინციპიდან — ადამიანთა განუსაზღვრელი რეზერვების დესპოტიური ექსპლოატაციიდან.

ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ 1935 წელს საბჭოთა არმიის ტექნიკური აღჭურვა სავსებით დასრულებული იყო. უფრო მეტიც — მისი შეიარაღება (განხორციელებული უკანასკნელი სამი-ოთხი წლის განმავლობაში) ხარისხობრივად მეტად მაღალ დონეზე დგას: დასავლეთ ევროპის ბევრმა არმიამ ჯერ კიდევ ვერ დააღწია თავი ძველ შეიარაღებას. ყოველ ეჭვს გარეშეა, მაგალითად, რომ საბჭოთა სატანკო ძალებს დღეს პირველი ადგილი უჭირავთ მსოფლიოში, აეროპლანის შემდეგ კი ტანკი ყველაზე მნიშვნელოვანი იარაღი იქნება მომავალ ომში.

ეს მარტოოდენ სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას როდი მოჰყვა შედეგად, ეს შედეგია აგრეთვე ომის თვით მომავალ მონაწილეთა სოციალისტური გარდაქმნისა. მექანიკური ქარხნების კვალიფიციური მუშები ენტუზიაზმით და საკუთარი სურვილით ხდებიან ტანკების წამყვანებად.

დაახლოვებით იგივე შეიძლება ითქვას მექანიზებული ომის ორ სხვა დარგზე — მოტორიზაციასა და სამხედრო ქიმიაზე.

არმიის მოდერნიზაციის საყოველთაო პროცესი განუწყვეტლივ გრძელდებოდა და ფართოვდებოდა, მეტადრე 1935 წლის მეორე ნახევარში, გრძელდებოდა იმისათვის, რომ შეენარჩუნებინათ ის სპეციალური უპირატესობა, რომელსაც იძლევა საბჭოთა შეიარაღების შედარებითი სიახლე. დედამიწაზე არსებობს კიდევ მეორე არმია, რომელსაც ისეთივე უპირატესობა აქვს, როგორც საბჭოთა კავშირის არმიას, — ეს არის გერმანიის არმია. 1933 და 1934 წლებში ჰიტლერი და გერინგიც შეუდგნენ თავიანთი ჯარის ხელახალ შეიარაღებას. მათი ზარბაზნები, ტანკები და ტყვიამფრქვევები ასევე ზეთანამედროვეა. სოციალიზმისა და ფაშიზმის მოწინავე არმიების ტექნიკური თვისება შეიძლება თანაბარი ან დაახლოვებით თანაბარი აღმოჩნდეს (თუმცა დრო მუდამ პირველის სასარგებლოდ მოქმედებს). ამრიგად, მთავარი პრობლემაში არის საკითხი რაოდენობის შესახებ, იმის შესახებ, თუ ვინ უფრო მეტ პოტენციურ უნარს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიჩენს — დროულად დაამზადოს ომის მექანიკური იარაღი და დროულად შეავსოს დანაკარგი ომის დროს. ამას კი სწყვეტენ ორივე ეროვნული ეკონომიური რესურსები.

თუ არმიის პოტენციურ ძალას წარმოვიდგენთ პირამიდად და ამ პირამიდის მწვერვალს მივიღებთ ადამიანთა შემადგენლობად, ხოლო შუა ნაწილს — ტექნიკურ აღჭურვად, მაშინ მისი ფართო საფუძველი, დასაყრდენი იქნება ქვეყნის ნაციონალური ეკონომიკა, რომელიც აწვდის ჯარს მექანიკურ იარაღს და ნედლეულს, რისგანაც ეს იარაღი მზადდება. მატერიალური სახსრების სტრატეგიის შედარებას ბოლოს აუცილებლად მივყევართ მოწინააღმდეგეთა საერთო ეკონომიური ძალების ასეთ დაპირისპირებისაკენ — მივყევართ იმ ფართო წყაროსკენ, საიდანაც მათ ძალღონის მოკრეფა უხდებათ. საბჭოთა კავშირისა და გერმანიის მიმართ ეს შედარება განსაკუთრებით საჭიროა. რაც უნდა დიდი იყოს რეზერვები ამ ომის წინ, ბრძოლა იმდენად გააფთრებული, იმდენად ინტენსიური იქნება, რომ სულ მოკლე დროის განმავლობაში საჭირო გახდება მთელი დაკარგული მასალის სასწრაფოდ აღდგენა.

თანამედროვე „მექანიკური“ დივიზია, რომელიც თან მიათრევს 180—200 მსუბუქ და მძიმე ქვემეხს, 450 ტანკს, 2—3 ათას ავტომობილს და მოტოციკლს, 20 ათასი კაცისთვის საჭირო საჭურველს და სურსათ-სანოვაგეს, სატელეგრაფო და რადიო-მოწყობილობას, ხიდების გასადებ მოწყობილობას და ბევრ სხვა რამეს, — ასეთი დივიზია გვაგონებს უზარმაზარ ორგანიზმს, რომელსაც ესაჭიროება განუწყვეტელი კვება, წესიერად მოვლა-შენახვა, გადატან-გადაზიდვა და, ბოლოს, ცეცხლის ხაზზე გაგზავნა. და მთელი ეს მასალა შეუფერხებლივ უნდა დამზადდეს ზურგში. მცირედი შეფერხება მიწოდებაში ნიშნავს იმას, რომ ეს მექანიკური გიგანტი უნდა შეჩერდეს, და მაშინ მას მოწინააღმდეგის ასეთივე გიგანტი გაანადგურებს...

თანამედროვე ომი, რომელიც წარმოადგენს პირველ რიგში მასობრივ ომს, მეორე რიგში — მექანიკურ ომს, ხოლო უფრო ღრმა აზრით, ვიდრე ეს ორი დახასიათებაა, ეკონომიურ ომს — არის ბრძოლა მრეწველობის დარგებს, ტრესტებს და ნედლი მასალის წყაროებს შორის, რომელნიც არმიებივით ურთიერთის პირისპირ დგანან...

საკითხავია, ორი ძალიდან — ფაშისტთა და საბჭოთა ძალიდან — რომელი უფრო დიდხანს გაუძლებს ომს? რომელს უფრო მეტი მოეპოვება ამ ომისთვის საჭირო, მექანიზებული დივიზიებისთვის საჭირო ლითონი, ნავთი, პური, მანქანები, ძრავები, ელექტრონი და მუშა-ხელი — გერმანიას თუ საბჭოთა კავშირს?

... გერმანიასთან შედარებით **საბჭოთა კავშირს** დღეს აქვს:
125-ჯერ მეტი ნავთი,
5-ჯერ მეტი პური,
3½-ჯერ მეტი პირუტყვი,
2-ჯერ მეტი სპილენძი,
ამდენივე ფოლადი,
ამაზე უფრო მეტი რკინა და ელექტროენერგია,
ერთნახევარჯერ მეტი მუშა და მოსამსახურე
და ცოტა უფრო ნაკლები ქვანახშირი.
ამ უკანასკნელი მუხლის განხილვის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ

ის გარემოება, რომ გერმანულ ციფრში შეტანილია აგრეთვე მურა ნახშირი, მაშინ, როდესაც ქვანახშირის მოპოების საბჭოთა ციფრში მოქცეულია მხოლოდ ქვანახშირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის მხრივ გერმანიაში, საბჭოთა კავშირთან შედარებით, რკინისგზების ქსელი ორჯერ უფრო ხშირია (მოსახლეობის მიმართ), და იმ დიდი როლის გამო, რომელსაც მისთვის საექსპორტო ვაჭრობა თამაშობს, მისი სავაჭრო ფლოტი სამჯერ აღემატება საბჭოთა კავშირის სავაჭრო ფლოტს.

ასეთია ჯამი.

ამ ციფრების ძირითადი მნიშვნელობა სამხედრო თვალსაზრისით ასეთია: თუ 1914 წელს ურთიერთის პირისპირ იდგნენ მსხვილი ინდუსტრიალური ქვეყანა და მსხვილი აგრარული ქვეყანა, დღეს ერთი მეორეს უპირისპირდებიან მსხვილი ინდუსტრიალური ქვეყანა და ზ ე ი ნ დ უ ს ტ რ ი ა ლ უ რ ი ქ ვ ე ყ ა ნ ა — სწორედ ასეთი გახდა ამჟამად „ამერიკული“ ტემპების მეოხებით „მიწათმომქმედი რუსეთი“. ამ ზექვეყანას ამჟამადაც ფართო მიწათმოქმედება მოეპოვება, მაგრამ ამას გარდა, მოეპოვება მრეწველობა, რომლის წლიური პროდუქციაც 81,1 მილიარდ მანეთს უდრის, ხოლო კაპიტალების ახალი დაბანდება ერთი წლის მანძილზე (1936) თითქმის ამ თანხის ნახევარს (32,4 მილიარდ 10 მილიონ მანეთს) შეადგენს. ორი-სამი წლის შემდეგ ამ ქვეყანაში, ალბათ, 30 მილიონი მუშა და მოსამსახურე (სახელმწიფო მოსამსახურეების ჩათვლით) იქნება, რაც გერმანიის მოსახლეობის (68 მილიონი) თითქმის ნახევარს უდრის.

ყველაზე უფრო თვალსაჩინო შედეგი ამ ცვლილებისა შემდეგია.

საბჭოთა არმიას ფაშისტთა არმიაზე ბევრად უკეთესად შეუძლიან მოამარაგოს თავისი ჯარი ლ ი თ ო ნ ი თ... საბჭოთა კავშირი სავსებით უზრუნველყოფილია რკინის მადნით. იგივე უნდა ითქვას ნიკელის, სპილენძის, ტყვიის და ბევრი სხვა ლითონის შესახებ, რაც ასე საჭიროა შეიარაღებისთვის...

საბჭოთა არმიას ფაშისტთა არმიაზე ბევრად უკეთესად შეუძლიან მოამარაგოს ს ა წ ვ ა ვ ი თ თავისი მოტორიზებული ჯარი, ტანკები და აეროპლანები...

საბჭოთა ტანკებისა და ჯავშნოსნების მომავალი უზრუნველყოფილია. სამაგიეროდ როგორია ტანკების მომავალი გერმანიაში, რომელიც 1916 წელს იძულებული გახდა მოეხდინა რუმინეთის ოკუპაცია, რათა ნავთის ნაკლებობის გამო თავიდან აეცდინა კატასტროფა?.. გაიტანენ თუ არა თავს ჰიტლერი და გერინგი მარტოოდენ სინტეტიური სათბობით, რომელსაც გერმანიის ქიმიური ტრესტი და რურის კომბინატები ქვანახშირისაგან ამზადებენ?

ყოველ ეჭვის გარეშეა, რომ საბჭოთა არმია ფაშისტთა არმიაზე ბევრად უკეთესად გ ა მ ო ჰ კ ვ ე ბ ა ვ ს თავის მებრძოლებს. ამჟამად სოფლის მეურნეობა საბჭოთა კავშირში კოლექტივიზებული და მექანიზებულია. პური საბჭოთა კავშირისთვის უკვე მოჰყავთ არა უბადრუკ, უვიც, წარმოების საკუთარ საშუალებებს მოკლებულ ნახევარ მონებს, არამედ მძლავრ და ცენტრალიზებულ ასოციაციებს, რომელნიც საშუალებას აძლევენ სოფლის მეურნეობას იმუშაოს გეგმის მიხედვით, რაც თითქოს აახლოვებს მას მრეწველობასთან.

ამავე დროს გერმანიას ჯერ კიდევ უხდება მოსახლეობისთვის საჭირო სასურსათო პროდუქტების მეხუთედის შეტანა უცხოეთიდან, რაზედაც იგი წელიწადში 1¼ მილიარდ მარკას ხარჯავს. გერმანია ცხიმების ქრონიკულ

დეფიციტს განიცდის. ამჟამად ქალაქებში უკვე აღარ მოიპოვება საკმაო ერბო-კარაქი, მოსახლეობა იძულებულია ძალზე შეამციროს ჩაის, ყავის, კაკაოს და სხვა „სემიტური“ ან „მონოოლური“ პროდუქტების მოხმარება. შესძლებს თუ არა ჰიტლერი გაჭიანურებული ომის პირობებში დააკმაყოფილოს ხალხი ნაირ-ნაირი სუბსიტუტებით და „ნებაყოფლობით“ მშიერი დიეტით, რომლისკენაც მოუწოდებს მას ამჟამად გერინგი? ამისთვის მას ვილჰელმ მეორეზე ნაკლები დრო და შანსები აქვს...

ზოგიერთი სპეციალური სტატისტიკური ცნობის მიხედვით, სამხედრო მიზნებისთვის საჭირო ოცდახუთი სახის ბუნებრივი ნედლეულიდან გერმანიას უკვე შემოაკლდა და საძებნელი გაუხდა ამ ნედლეულის ცხრამეტი სახე...

საბჭოთა კავშირს, რომელსაც საჭირო რაოდენობით მოეპოვება ქვეყნის შიგნით ყველა პროდუქტი (არა ჰყოფნიდა ბოლო დრომდე მხოლოდ მანქანები ამ რესურსების საექსპლოატაციოდ), მომავალში არაფერი შიში არ მოელის...

საბჭოთა კავშირს მოეპოვება ყოველგვარი თანამედროვე ტექნიკური იარაღი. ამას გარდა, მას მოეპოვება აგრეთვე ი ს ე თ ი  ს ი ღ რ მ ი ს  პ ო ზ ი ც ი ა, რომ ნორმალურ პირობებში ამ სიღრმეში შეჭრა წმინდა წყლის ოცნებად უნდა ჩაითვალოს...

ჰიტლერის არმია კი ემზადება იმისთვის, რომ შეიჭრას მ ო ს კ ო ვ შ ი.

ეს არმია რიცხობრივად ნაკლებია, ხოლო ტექნიკურად მოწინააღმდეგის არმიაზე მაღლა არა სდგას. ამ არმიას წინსვლა მოუხდება ჰაეროპლანებიდან დაშენილი ყუმბარების სეტყვის ქვეშ, ამიტომ მან ღამე უნდა იმოძრაოს. ამას გარდა, არმიამ დღისით და ღამით უნდა ათრიოს საბარგო მანქანებისაგან, სამარაგო საჭურველისაგან, ნავთის ცისტერნებისაგან შემდგარი უზარმაზარი „კუდი“. „სამანქანო დივიზიების“ ეს საწყობებიც, ურომლისოდაც ასეთ დივიზიას არ შეუძლიან არსებობა და ბრძოლა, განუწყვეტელ განსაცდელში და ჰაერიდან თავდასხმის შიშში იქნებიან. შეუძლიან თუ არა ასეთ არმიას გადალახოს საბჭოთა კავშირის მრავალი თავდასაცავი ხაზი და შეიჭრას მოსკოვში?

ეს შეუძლებელია.

ის სარდალი, რომელიც ასეთი გეგმით და ამნაირი პერსპექტივით წაიყვანს თავის ჯარს საბრძოლველად, უგუნურზე უგუნური იქნება, უფრო მეტიც: გამცემი იქნება...

დიაღ, თანამედროვე მოტორიზებული პოლკი წინანდელ პოლკზე ათჯერ უფრო სწრაფად მოძრაობს (თუ იგი გზაზე მოწინააღმდეგეს არ შეხვდება), მაგრამ მისი სალაშქრო კოლონა იჭიმება არა ერთ კილომეტრზე, როგორც წინანდელი პოლკის კოლონა, არამედ 15 — 20 კილომეტრზე. დივიზიის საბარგულებს, რომლებიც უწინ 10 კილომეტრზე გაიჭიმებოდნენ ხოლმე, ახლა ასი კილომეტრი დასჭირდებათ. როგორიღა უნდა იყვნენ იმ არმიის საბარგულები, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი? იქნება ეს საბარგულებიც სხვებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ნავარდში, — მერე და განა საბჭოთა კავშირში აეროპლანები არ არიან?

ეს ბავშვური კითხვებია. თეორიულად ზოგიერთ პირობებში გერმანიის არმიას უდიდესი და უაღრესად სახიფათო დაძაბვის შემდეგ შეუძლიან ამა თუ იმ ადგილას გაარღვიოს საბჭოთა ფრონტი (არას ვამბობთ აქ საწინააღმ-

დეგო შესაძლებლობაზე), მაგრამ ამას შეიძლება მოჰყვეს მხოლოდ მეტად უმნიშვნელო შედეგი როგორც დროის, ისე სივრცის მხრივ... ნორმალურ ოპერატიულ სტრატეგიისაგან ფაშისტური არმია საბჭოთა [illegible] წინააღმდეგ ბრძოლაში ისევე ცოტას უნდა მოელოდეს, როგორც მატერიალურ სახსართა სტრატეგიისაგან.

აქვს თუ არა მას რაიმე სხვა შანსები? დიახ, აქვს ერთი შანსი კიდევ, მაგრამ ეს უკანასკნელი შანსი იქნება...

მატერიალურ სახსართა სტრატეგიით ოპერატიული სტრატეგიის ჩახშობამ კაპიტალიზმის ზოგიერთი სარდალი მიიყვანა ახალ ფენომენალურ კონცეპციამდე: მ ო უ ლ ო დ ნ ე ლ ო ბ ი ს  ს ტ რ ა ტ ე გ ი ა მ დ ე. ეს სტრატეგია იმ ფაქტიდან გამომდინარეობს, რომ მაშინ, როცა ომი უკვე სრული ტემპით მიმდინარეობს, შეუძლებელია ოპერატიულ მოქმედებათა გატარება, შეუძლებელია მოძრაობაზე დამყარებული ომის წარმოება; რომ ამ დროისთვის უკვე დაკარგული იქნება, ამასთან უიმედოდ, სწრაფი მოგების ყოველი შანსი. მაგრამ ეს ზეთანამედროვე, ზემზაკვრულ-ოსტატური კონცეპცია ერთს. უკანასკნელს შანსს კიდევ სახავს: დაწყებულ იქნას საომარი მოქმედება ა დ რ ე, უფრო ადრე, ვიდრე ამას სხვები მოიმოქმედებენ; გამოყენებულ იქნას სივრცე, მანძილი, სანამ იგი თავისუფალია, სანამ არ მომხდარა მოწინააღმდეგის ძალთა სრული მობილიზაცია და გაშლა, და ამ მოკლე, სწრაფად წარმავალ დროში მიღწეულ იქნას გადამჭრელი შედეგი.

ეს სტრატეგია გულისხმობს დროის მოგებას, დროის გამოგლეჯას მოწინააღმდეგის ხელიდან. თავისუფალი ტერიტორია დაჭერილ უნდა იქნას უეცრად, იმაზე უფრო ადრე, ვიდრე მოწინააღმდეგის სამხედრო მანქანები და ჯარი პოზიციას მიაღწევენ. მტერი გაცამტვერებულ უნდა იქნას მატერიალურადაც და ოპერატიულადაც უფრო ადრე, ვიდრე ბუკი და ნალარა დაჰკრავს. მაშასადამე, ეს სტრატეგია მიმართულია იქითკენ, რომ მოატყუოს მოწინააღმდეგე, დაასწროს მას. ამ სტრატეგიას ომის მთელი შედეგი გადააქვს მის სტარტზე, მის დასაწყისზე, ფაქტიურად რამდენიმე პირველ დღეზე, ბევრი-ბევრი — ორიოდე კვირაზე. ამ რამდენიმე პირველ დღეში წინასწარ სპეციალურად მომზადებული მოძრავი „დამკვრელი არმია“ თვალის დახამხამებაზე უნდა დაესხას არაფრის მომლოდინე მოწინააღმდეგეს, ჩაშალოს მისი მობილიზაცია და გადასჭრას მისი სასიცოცხლო ძარღვი. მაშინ დაიძვრებიან მასობრივი არმიის დარჩენილი ნაწილები უკვე ადვილი ამოცანების შესასრულებლად...

გენერალ მაკენზენის შტაბის ყოფილი უფროსის სეკტის ეს ოცნება გადაიქცა ახლა გერმანიის მილიტარიზმის ოფიციალურად აღიარებულ მოძღვრებად.

ამ იდეის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მამამთავრები არიან გერინგი და საერთოდ ფაშიზმი, რომელმაც, როგორც ცნობილია, ამგვარი სტრატეგიის მეოხებით ჩაიგდო ხელში ძალაუფლება გერმანიაში 1933 წელს (ცეცხლის წაკიდება რეიხსტაგისთვის). აქ აშკარად სჩანს ფაშისტური პოლიტიკური აზროვნების და ფაშიზმის ბრძოლის მეთოდების გავლენა, — ფაშიზმის, რომელიც მოწინააღმდეგეს ყოველთვის მოულოდნელად და უპატიოსნოდ ესხმის. აშკარად სჩანს აქვე საჰაერო ფლოტის ფაშისტ ოფიცრების „პრინციპების“ გავლენა.

შესაძლებელია თუ არა გერმანიისთვის ასეთი სტრატეგია საბჭოთა კავშირის მიმართ? ეს კითხვა ასე უნდა დაისვას: ამ ორ სახელმწიფოდან რომე-

ლია „უფრო მობილური“, ორი არმიიდან რომელი უფრო ჩქარა აღმოჩნდება ფრონტზე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ჩვენ სულ ახლოს მივუდექით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ გერმანიის ოპერატიულ გეგმას, ჰიტლერის ყველაზე საიდუმლო განზრახვას...

საბჭოთა კავშირის მოულოდნელი განადგურების გეგმა, დამყარებული საბჭოთა ტრანსპორტის შედარებითს სისუსტეზე, სამხედრო-საზღვაო და საჰაერო იერიშის გამოყენებაზე... — გოფმანის, ჰიტლერის და გერინგის ყველა ოცნებიდან მხოლოდ ეს უნდა მივიღოთ სერიოზულად მხედველობაში.

...საბჭოთა სამხედრო ფლოტი ამჟამად გასაოცარი სისწრაფით იზრდება (1931 წლიდან 1935 წლამდე წყალქვეშა ნავების რიცხვი 535 %-ით გაიზარდა, სანაპირო დაცვის გემების რიცხვი — 1100 %-ით, სატორპედო კატარღების რიცხვი — 470 %-ით)... „ზღვიდან კრონშტადტსა და ლენინგრადზე დაცემის“ პრობლემა მეტად და მეტად რთული პრობლემაა. იგი შეიცავს სრულიად მოულოდნელ სურპრიზებს გერმანიის ადმირალებისათვის და დეტალურად შესწავლის ღირსია. მაგრამ ჩვენ არ გვინდა ხაზი გავუსვათ ამასაც კი...

საბჭოთა არმია ისეთი არმიაა, რომელსაც აგრე ადვილად ვერ დაეცემი „უცაბედად და მოულოდნელად“. პირიქით, შესაძლებელია ზოგიერთ შემთხვევაში თავათ თავდამსხმელი ჩავარდეს მოულოდნელ მდგომარეობაში.

საბჭოთა არმია სწორედ ახლა არის ყველაზე ნაკლებად დამოკიდებული რკინიგზისაგან, და ეს იმ უბრალო მიზეზით, რომ იგი მოტორიზაციის მხრივ ერთ-ერთი საუკეთესო არმიაა მთელს მსოფლიოში. ჩვენს დროში ანაქრონიზმად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ყველაფერი დამოკიდებული გახადო ორთქლმავლის და საქონლის ვაგონისაგან, მაშინ, როდესაც ქვეითი ჯარს საბარგო ავტომობილებით საათში 100 კილომეტრის გავლა შეუძლიან.

საბჭოთა არმია შეუჩერებლად განაგრძობს შემდგომ მოტორიზაციას, გზები საბჭოთა კავშირში უმჯობესდება, ხოლო საწვავის რესურსები განუსაზღვრელია. ავტომობილების წარმოება საბჭოთა კავშირში განუწყვეტლივ იზრდება: 1929 წელს დამზადდა 1.702 ავტომობილი, 1936 წელს — 100 ათასი, 1936 წლის გეგმით დამზადდება 162 ათასი. ხოლო იაროსლავსა, კუიბიშევსა, სტალინგრადსა და ციმბირში ახალი ავტომანქანების ამუშავების შემდეგ წლიურად დამზადდება 630 ათასი, რაც ყველაზე დიდი ციფრი იქნება ევროპაში. ორი დიდი ავტომაგისტრალი (12 — 16 მეტრის სიგანისა): მოსკოვი — მინსკი (700 კილომეტრი) და მოსკოვი — კიევი (870 კილომეტრი) უმოკლესი გზით დაუკავშირებენ დედა-ქალაქს განაპირა კუთხეებს...

საბჭოთა რკინისგზის ქსელი ახლა აღარაფრით აღარა ჰგავს იმას, როგორიც გერმანიის გენერალურ შტაბს ჰქონდა წარმოდგენილი 1934 წელს და 1935 წელსაც კი — არა ჰგავს იგი „გამონანგრევს“, საიდანაც შეიძლება მახვილის ჩაცემა საბჭოთა კავშირისათვის. დრო ამ მახვილისათვის უკვე გაშვებულია ხელიდან, ჰიტლერი მეტად გვიან მოვა. მისი შანსები დღითიდღე მცირდება. ფაშისტებს ვერ წარმოუდგენიათ, რომ საბჭოთა კავშირი ასეთი სწრაფი წარმატების გზაზე დგას. ეს იყო მათი უკანასკნელი რეალური შანსი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ განზრახულ ხმელეთის ომში. ვერ უგულებელვყოფთ იმას, რომ ჰიტლერი, შეიცნობს რა ამ დაგვიანებას, აგრეთვე, თანდათან გაზრდილ შეიარაღებასთან დაკავშირებით, სახიფათო ფინან-

სიურ მდგომარეობას და სოციალური უკმაყოფილების გაზრდას, თავისი ქვეყნის შიგნით, განსაზღვრულ მომენტში დაადგება სასოწარკვეთილ გადაწყვეტილებას — აღარ დაიცადოს და შეუდგეს ბრძოლას, ევროპისა ევროპეთში მზად არიან ღირსეულად მიიღონ იგი და ღირსეულად მიუზღონ მას.

შესძლებს თუ არა გერმანია, მატერიალური სახსრებისა და ოპერატიული შესაძლებლობის თვალსაზრისით, მოუგოს ომი ხმელეთზე საბჭოთა კავშირს? ვერასოდეს ვერ შესძლებს! „ბლიფენისებური დარტყმის“ და მოსკოვის აღების ძლევამოსილი იდეა უნიადაგო ოცნებაა მხოლოდ. ჰიტლერი ვერასოდეს ვერ იხილავს მოსკოვს, შეიძლება იხილოს იგი მხოლოდ როგორც ტყვემ...

რა იქნება ამ დროს ჰაერში? ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ომი ზემოთ ისევე უეცრად იფეთქებს და ისევე გააფთრებული იქნება, როგორც ქვემოთ. შეუძლიან თუ არა ომს ჰაერში შესცვალოს ბრძოლის შედეგი?

და სწორედ აქ კითხვა: „შეუძლიან თუ არა გერმანიას მოუგოს ომი საბჭოთა კავშირს?“ უდავოდ იქცევა კითხვად: „შეუძლიან თუ არა საბჭოთა კავშირს მოუგოს ომი გერმანიას?“

უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას შემდეგი. თუ გერმანიის ხმელეთის ძალები, სეკტის რეცეპტისა და ზეთანამედროვე სტრატეგიის მიხედვით, ვერ შესძლებენ „ელვისებური დარტყმით“ გაანადგურონ საბჭოთა არმია მიწაზე, იქნება ასეთი ელვისებური დარტყმა შესძლოს გერინგმა ჰაერში? ასეთია ნამდვილად თანამედროვე საჰაერო სტრატეგიის ამოცანა. თუ გერინგის თვითმფრინავები ომის გამოცხადებამდე რამდენიმე საათით ადრე ავარდებიან გერმანელთა და „მოკავშირეთა“ აეროდრომებიდან, ერთ ღამეში გადალახავენ საბჭოთა საზღვარს და მოულოდნელად დაატყდებიან თავს საბჭოთა სადგურებს, ყაზარმებს, საწყობებს, ქარხნებს და მთავრობის შენობებს, — შეუშლიან თუ არა ისინი ხელს საბჭოთა მობილიზაციას?

ამ შემთხვევაში ისინი მიზანს „სხვა განზომილებაში“ მიაღწევენ.

თეორიაში ეს შესაძლებელია. პრაქტიკულად კი ეს არის საჰაერო არმიებს შორის ძალთა შეფარდების საკითხი, საკითხი ფაშისტთა და საბჭოთა ავიაციის საჰაერო სტრატეგიისა და საჰაერო ტაქტიკის მეთოდების შესახებ.

ეჭვს გარეშეა, რომ ჰიტლერის საჰაერო არმია ახლა შეუჩერებლად იზრდება, ამასთან იზრდება დღემდე არნახული რაოდენობით... 1937 წელს გერმანიის საჰაერო არმიას ეყოლება დაახლოებით 4 ათასი პირველი ხაზის თვითმფრინავი და სულ ცოტა 3 ათასი თვითმფრინავი მარქაფად. სულ 7 ათასი თვითმფრინავი.

ეს ხუთჯერ-ექვსჯერ აღემატება ბრიტანეთის 1936 წლის დასაწყისის საჰაერო არმიას და საგრძნობლად გადააჭარბებს რიცხობრივად აგრეთვე საფრანგეთის იმავე პერიოდის ავიაციას...

ფაშისტთა საჰაერო არმია სიძლიერით შეიძლება გადაიქცეს მეორე საჰაერო არმიად მსოფლიოში. მაგრამ უძლიერესი საჰაერო არმია მსოფლიოში მაინც საბჭოთა კავშირის საჰაერო არმიაა.

თითქმის ყველა საერთაშორისო ექსპერტის მოწმობით, საბჭოთა ავიაციას ახლავე უდავოდ პირველი ადგილი უჭირავს დედამიწაზე. სასაცილო „საჰაერო არმია“, რომელიც 1920 წელს, სამოქალაქო ომის დამლევს, შედგებოდა 300 მეტად თავისებური მანქანისაგან (ამ მანქანებში დასავლეთ ევრო-

პაში მფრინავთაგან ძნელად თუ გაჰბედავდა ვინმე ჩაჯდომას, ვადაიქცა მძლავრ და საუცხოო ძალად. მისმა თვითმფრინავებმა [illegible] იუნკერსი, ფოკერი, ბლერიო და დორნიე. საბჭოთა სამხედრო [illegible] თვითმფრინავების რიცხვი 1931 წლიდან 1935 წლამდე 330%-ით გაიზარდა, ხოლო მათი სისწრაფე 1½ — 2-ჯერ გადიდდა. 1936 წლის დამლევისათვის საბჭოთა საჰაერო საბრძოლო ძალები რიცხობრივად ოთხჯერ და უფრო მეტად სჭარბობენ 1931-1932 წლების საჰაერო ძალებს.

საბჭოთა ადამიანები ჰაერის ბატონ-პატრონებად უნდა გახდნენ უფრო მეტად, ვიდრე ფაშისტები, იმიტომ რომ სოციალისტების ქვეყანაში ფრენა შეუძლიან არა მარტო პრივილეგიურ კლასს ან საგანგებოდ გადარჩეულ კასტას, არამედ მთელ უკლასო ხალხს.

და მაინც მომავალ ომში საქმეს პირველ რიგში გადასწყვეტს არა ადამიანთა „ფრენის უნარი", არამედ ტექნიკა და პირველი შედეგი დამოკიდებული იქნება იმ „საჰაერო ციხეებისაგან" — მძიმე საჰაერო კრეისერების ესკადრილიებისაგან, რომელნიც დღეს, როგორც ოდესლაც ზღვების ჯავშნოსანი ხომალდები, მთავარ როლს ასრულებენ...

საჰაერო კრეისერები ორივე მხარეს ეყოლება, ხოლო რადგან საბჭოთა საჰაერო ძალების უპირატესობა, გერინგის ძალებთან შედარებით, ამჟამად ცხადია, და რადგან საბჭოთა კავშირი, თავის ნაციონალურ ძალებზე დაყრდნობილი, არაფრის გულისთვის არ დასთმობს უპირატესობას ამ დარგში, ძნელი წარმოსადგენია, რომ გერინგმა საკუთარი ძალღონით შესძლოს ამ მდგომარეობის შეცვლა. მაგალითად, უკვე 1936 წლის პირველ 10 თვეში საბჭოთა საავიაციო ქარხნების პროდუქცია გადიდდა 90%-ით, ხოლო ავიომოტორების პროდუქცია — 146%-ით. სწორედ ავიომოტორები წარმოადგენენ სუსტ ადგილს გერმანიის მრეწველობისას, რომელიც ჯერ კიდევ ვერ ახერხებს საიმედო და მაღალხარისხოვანი მოტორების გამოშვებას. სამოქალაქო ომმა ესპანეთში სრული სიცხადით დაგვანახვა, რომ გერმანიის აეროპლანები საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ რესპუბლიკური ესპანეთის თვითმფრინავებსაც-კი...

ეჭვს გარეშეა ერთი რამ: საავიაციო ტაქტიკის ახალ უმნიშვნელოვანეს დარგში—მასობრივ პარაშუტიზმში, მასობრივ საჰაერო დესანტის გადასხმაში მტრის ხაზს უკან — საბჭოთა კავშირი ყველაზე წინ სდგას. 1935 წლის შემოდგომაზე წითელი არმიის მანევრების დროს კიევის მახლობლად უცხოელმა გენერლებმა დაინახეს, როგორ დაეშვა ორმოცი წუთის განმავლობაში ჰაერიდან სრული წესრიგით 2,500 წითელარმიელი და როგორ დაუშინეს მათ მაშინვე „მოწინააღმდეგეს" ტყვია ავტომატურ შაშხანებიდან. მაგრამ, როგორც შემდეგში ვოროშილოვმა განაცხადა, ამ გენერლებს არ უნახავთ, თუ როგორ გადასხეს საბჭოთა კავშირის სხვა ადგილას 5.700 კაცისაგან (ბრიგადაზე მეტი) შემდგარი საჰაერო დესანტი, რომელმაც იგივე ოპერაცია შეასრულა. ხოლო უფრო მოგვიანებით გაიგეს მათ, რომ მრავალ ათას წითელარმიელს პარაშუტისტის ნიშანი აქვს და რომ პარაშუტიდან გადმოხტომის რიცხვი სამოქალაქო მოსახლეობის შორის უკვე მილიონს უახლოვდება.

ხალხს, რომელიც მასობრივად ადის ჰაერში, არ ეშინიან საჰაერო სივრცეებისა. ეს კი უმნიშვნელო სტრატეგიული ფაქტორი როდია. უკანასკნელ დროს ამ მიმართულებით საბჭოთა კავშირში ახალ წარმატებებს მიაღწიეს...

საბჭოთა ავიაციამ ისწავლა მძიმე არტილერიისა და ტანკების გადაზიდვაც...

თავის მხრივ გერინგს განზრახული აქვს „ქვეითი ჯარის მოცული საჰაერო დივიზიების“ ფორმირება (ყოველი დივიზია, როგორც იუწყებიან, უნდა შესდგებოდეს 250 თვითმფრინავისაგან, მასში უნდა ირიცხებოდეს 1400-დან 1600-მდე კაცი, მას უნდა ჰქონდეს ტყვიამფრქვევები და არტილერია)...

საბჭოთა საჰაერო არმია ხარისხობრივად და რიცხობრივად ფაშისტთა არმიაზე უფრო ძლიერია... მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ არმიაზე ვლაპარაკობთ და არა მის პოზიციაზე. პოზიციას კი ჰაერში, საჰაერო სტრატეგიას, მივყევართ ყველაზე უფრო გასაოცარ დასკვნამდე.

*გერინგის საჰაერო არმია, რაც უნდა ძლიერი გვეჩვენებოდეს იგი, უძლურია საბჭოთა კავშირის ტერიტორიის მიმართ. საბჭოთა კავშირის საჰაერო არმია კი ფაშისტური გერმანიის ტერიტორიის მიმართ სიკვდილის მთესველი ლახვარია.*

ეს საჩუქარი საბჭოთა კავშირს გეოგრაფიამ მიუძღვნა.

რუკის ერთი თვალის გადავლება უკვე იძლევა პასუხს და ხსნის თითქმის ყველაფერს.

ცალ მხარეს მდებარეობს საბჭოთა ფედერაციის უზარმაზარი სივრცე, რომელიც გაჭიმულია ორ კონტინენტზე და რომლის სასიცოცხლო ცენტრებიც მოქცეულია შუაში და არა პერიფერიაზე. მოსკოვი, დონბასი, ურალი, კუზბასი, კავკასია, ხარკოვი, სტალინგრადი — ყველა ესენი მდებარეობენ კავშირის „შუა მერიდიანებზე“. ისინი ურთიერთს და ნაციონალურ საზღვრებს დაშორებული არიან მრავალი ასი და ზოგჯერ ათასი (მაგ., აღმოსავლეთით) კილომეტრით... ამის შედეგად თუ გერმანიის საჰაერო კრეისერების ესკადრილიები შესძლებენ საბჭოთა საზღვრამდე მდებარე მანძილის გავლას, საეჭვოა ეყოთ მათ გამბედაობა და საწვავი უზარმაზარი სივრცეების დასაფარავად თვით საბჭოთა კავშირის თავზე. თუ ამ შორეული გადაფრენის დროს ისინი დასუსტებულნი ან გაფანტული იქნებიან საბჭოთა განუწყვეტელი კონტრშეტევით მიწიდან და ჰაერიდან, სანუგეშო მათ არაფერი მოელით. უკეთეს შემთხვევაში მათ შეუძლიანთ დაისახონ მხოლოდ შეზღუდული მიზანი — უტრიალონ საბჭოთა კავშირის დასავლეთის საზღვარს. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიანთ მათ „გადალახონ მთელი რუსეთი“: სასიცოცხლო მთავარი პოლიტიკური და ეკონომიური ცენტრები მეტად გაფანტულნი არიან ამისათვის...

არა, გერინგისთვის საბჭოთა კავშირი არც საფრანგეთია და არც ინგლისი. იდეა მთელი ქვეყნის „გაპარტახებისა“ ჰაერიდან, შესანიშნავი აეროსტრატეგიული დოქტრინა დუესი მიუღებელია საბჭოთა კონტინენტის მიმართ (ალბათ, იგი ასევე მიუღებელია შეერთებული შტატების მიმართაც), და გერინგი ვერასოდეს ვერ ელირსება „საჰაერო ნაპოლეონობას“ აღმოსავლეთ ევროპაში, სამაგიეროდ მას ყველა შესაძლებლობა აქვს გადაიქცეს საჰაერო ვილჰელმ მეორედ.

მაგრამ როგორია სტრატეგიული საჰაერო რუკა გერმანიის მიმართ, თუ მას საბჭოთა კავშირიდან დავაკვირდებით? რას გვეტყვის იგი? ამ შემთხვევაში საწინააღმდეგო სურათს მივიღებთ: ჩვენს თვალწინ გადაიშლება შედარებით პატარა, მჭიდროდ დასახლებული, ყოველი მხრიდან ღია ქვეყანა, რომლის

ტერიტორიაც საბჭოთა კავშირის მხოლოდ ორმოცდამეხუთედს უდრის. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამ ქვეყნის სასიცოცხლო ცენტრები თავმოყრილნი არიან მცირე სივრცეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსხვავებას ცხადჰყოფს მარტოოდენ ის ფაქტიც, რომ გერმანიაში ერთ კვადრატულ კილომეტრზე სცხოვრობს 145 კაცი, საბჭოთა კავშირში კი — 8 (ხოლო კავშირის ევროპულ ნაწილში — 23). საჰაერო სტრატეგიის თვალსაზრისით, გერმანია წარმოადგენს „მთლიან ასაგუზგუზებელ" ადგილს. თუ საბჭოთა ესკადრილიები გერმანიის საზღვართან მიფრინდებიან, ისინი ერთბაშად მიაღწევენ მიზანს ინტენსიური ოპერაციების ჩატარებაში...

წარმატებული კონტრშეტევა ჰაერიდან, ალბათ, საშინელი და საზარელი იქნება ფაშისტური გერმანიისთვის, დამღუპველი მისი მრეწველობისთვის, ომის ტექნიკური ორგანიზაციისთვის. მაგრამ, რაც მთავარია, იგი ფაშიზმს სოციალური და პოლიტიკური მხრივ მახვილს შიგ გულში ჩასცემს. და აქ ჩვენ აუცილებლად ვუახლოვდებით ამ ომის დასკვნითი აქტს, რომელიც ჰიტლერისათვის ტრაგედიად გადაიქცევა...

ხანძარი აღაგზნებს ადამიანთა მასებს, რომელთათვისაც გერმანია სატუსაღოდ გადაიქცევა. ეს აუცილებელია. იგი შთაუბერავს მათ სიმამაცეს, მისცემს აგრეთვე ტექნიკურ შესაძლებლობას პირველი გამოსვლებისთვის, რათა ყველას გასაგონად წარუდგინონ მტარვალებს კატეგორიული მოთხოვნა: დაუყოვნებლივ მოსპონ დანაშაულებრივი და ძმათა-მკლეტი ომი, მოსპონ იგი ყოველგვარ ვითარებაში. ყველა გონიერი ადამიანი გერმანიაში მიხვდება, რომ ეს ომი იქნება არა გერმანიისა, არამედ მისი ფაშისტ-განგსტერების და ფსიქოპატებისა. ამიტომ ომის პირველ დღეებიდანვე ფაშიზმის დამპალი ორგანიზმი იწყებს შიგნიდან რღვევასა და დაშლას... ეს ომი განსხვავებული იქნება ყველა წინა ომისაგან.

ჰაერში მომხდარი პირველივე ამბები და მოვლენები აიძულებენ გერმანიის მუშათა კლასს, „დადგეს ფეხზე". ეს კლასი არასოდეს არ ყოფილა დამარცხებული, მას მხოლოდ მახვილი ჩასცეს ზურგში. აღსდგებიან თავათ მუშები, მათი ცოლები, დედები და დები... ისინი გამოვლენ იარაღით ხელში, იმ იარაღით, რომელსაც ბევრ მათგანს „რუსეთის წინააღმდეგ" ფაშისტები გადასცემენ. რაღა თქმა უნდა, ფაშისტები თავიანთი საკუთარი იარაღით გასცემენ მათ პასუხს. ისინი აამოქმედებენ ტყვიამფრქვევებს: შეუდგებიან კომუნისტების, სოციალისტებისა და პოციესტების ხვრეტას, ისინი კვლავ მოუწოდებენ ახალ ტერორისაკენ „სს" და ჰაერიდან დაემუქრებიან აჯანყებულ პროლეტარულ რაიონებს. მაგრამ ეს უკვე მეორე ომი იქნება — ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, — სამოქალაქო ომი, გაჩაღებული საგარეო ომის დროს.

სოციალური სტრატეგია დივიზიების, ქვემეხების, თვითმფრინავების ციფრებს, პოზიციების ხელსაყრელობის მაჩვენებლებს უმატებს მეომარი ქვეყნების სოციალური ტემპერატურის უხილავ, მაგრამ ძალოვან „ციფრებს": მოსახლეობის სულისკვეთებას, განწყობილებას მუშათა რაიონებში, მუშათა ცოლების სულიერ ვითარებას.

სოციალური სტრატეგია ყველა ამ ფაქტორს იმდენად ძლიერად ხდის, რომ თავათ მას შეუძლიან შესცვალოს ან უკუაგდოს პირველი რიგის ფაქტორი — წმინდა სამხედრო და ტექნიკური მაჩვენებლები.

რაც უფრო გაჭიანურდება ომი, მით უფრო მეტად წამოჰყოფს თავს სო-

ციალური სტრატეგია — ცოცხალი მასების სტრატეგია, კლასების სტრატეგია, მით უფრო ადვილად დასძლევს იგი მატერიალური სახსრების სტრატეგიას და ოპერატიულ სტრატეგიას — მკვდარ ინსტრუმენტთა — მასების სტრატეგიას...

ბიბლიოთეკა

გერმანიის სოციალური სტრატეგიის მეოხებით და საჰაერო ომის შედეგად მოხდება პოლიტიკური აჯანყება შიგნით.

ჯარისკაცი მარტო ტყვიამფრქვეველი რობია, — იგი იმავე დროს თავისი კლასის მოაზროვნე წევრია, საზოგადოებრივი ინტერესებით და მიზნებით განმსჭვალული ადამიანია. ამიტომ ჯარისკაცი, ყოფილი სოციალისტური მუშა, ფაშისტურ არმიაში იძულებით გაწვეული თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგის დასაცავად, ბევრად უფრო ნაკლებფასიანი მებრძოლია, ვიდრე საბჭოთა ჯარისკაცი, რომელიც თავის თავს იცავს. ეს სწორე და მართალია იმ შემთხვევაშიაც, როცა პირველს უკეთესი ტყვიამფრქვევი აქვს.

უკეთეს შემთხვევაში ფაშისტური არმიის ჯარისკაცი იქნება მხოლოდ მორჩილი ავტომატი (იძულების მეოხებით). საბჭოთა არმიის ჯარისკაცი კი იქნება არა მარტო შაშხანით შეიარაღებული ჯარისკაცი, არამედ რევოლუციური პროპაგანდისტი და ორგანიზატორი ამ არმიის ფრონტისა და ლაშქრობის ყველა უბანში. ასეთ ჯარისკაცს ორმაგი ფასი აქვს; ათჯერ უფრო მეტი ფასი ედება მას სტრატეგიის მხრივ, რადგან თავის გზაზე იგი ამცირებს თავისი მტრების რიცხვს, ფაშისტთა ჯარისკაცი კი ამრავლებს მათ რიცხვს. საბჭოთა ქვეყნის ყოველი ჯარისკაცი სამხედრო საქმის ინტერესების მხრივ ფაშისტთა ოფიცერს შეედრება. რა ფასი და მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ნომინალურ ციფრებს საბჭოთა არმიისა და გერმანიის ფაშიზმის არმიის რიცხობრივი დაპირისპირების დროს, როცა ერთი მხარის არმიის ნაწილი დამარცხებას არის მოწადინებული, ხოლო მეორე მხარის ჯარისკაცი ისევე საიმედოა, როგორც ოფიცერი? ესევე უნდა ითქვას ყოველივე დანარჩენის შესახებ.

სოციალური სტრატეგია ახდენს ძალთა ნომინალური შეფარდების „გადასინჯვას“ საჰაერო სტრატეგიაში და უკუაგდებს ამ შეფარდებას, რადგან იგი თვითმფრინავების შეუფერხებელ წარმოებას ომის დროს და სათადარიგო ნაწილებით მათ მომარაგებას, აგრეთვე აეროდრომების უშიშროებას დამოკიდებულს ხდის საავიაციო ქარხნების და მათთან დაკავშირებული მრეწველობის დარგების მრავალი ათასი მუშის შრომისა და იდეებისაგან. ვისი საჰაერო ძალები უფრო მეტის ნდობით მოეპყრობიან და მეტად დაეყრდნობიან მუშებს და სამოქალაქო მოსახლეობას, მაშინ, როცა არმია ფრონტზე იქნება?

მარტო ზურგის შესახებ არ ითქმის ეს: სოციალური სტრატეგია სხვა ხასიათს აძლევს თვით ფრონტსაც. ვისი არმია წააწყდება ხალხის უფრო ენერგიულ წინააღმდეგობას მტრის ტერიტორიაზე შეტევისა და წინსვლის დროს: ნაციონალურ და სოციალურ მჩაგვრელთა, უცხოელ „ბატონთა“ არმია თუ იმ უცხოელ თანამოძმეთა და კლასით ამხანაგთა არმია, რომელთაც მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანობა უნდათ და რომელნიც ტერიტორიის მართვა-გამგეობას ერთბაშად თვით ხალხს გადასცემენ?

ეს გარემოება, სხვათა შორის, წარმატების უკანასკნელ შანსებს უსპობს მეტად თავისებურ გერმანულ ოპერატიულ გეგმას...

ფაშიზმის უხეშ, წმინდა ტექნიკურ სტრატეგიას საბჭოთა არმია უპასუ-

ხებს ტექნიკურად უფრო ძლიერი იარაღით — სიმაგრეებით, ტანკებით, თვითმფრინავებით, წყალქვეშა ნავებით. მაგრამ მორალურად, იგი ისეთი მრისხანებით გასცემს პასუხს, მთელი შინაგანი და ადამიანური ენერგიის ისეთი აფეთქებით, ისეთი ზიზღით, რომ ამ აფეთქების ბლიცში აგრესორების ავტომატური არმია ფერფლის გროვად გადაიქცევა.

უფრო კონკრეტულად თუ გამოვთქვამთ, ყოველმავე ამან თავისი გამოხატულება უნდა ჰპოვოს შემდეგ ხუთ სტადიაში:

პირველ სტადიაში ჰიტლერი შეუტევს საბჭოთა კავშირს, შეუტევს მთელი თავისი დაგროვილი და მომზადებული ძალებით: ხმელეთის, „დამკვრელი არმიით", რედერის ბალტიის ფლოტით, გერინგის საჰაერო კრეისერებით, დამხმარე ფაშისტური ლიგებით... შეუტევს ისე, რომ არაფერს დაზოგავს, ფოლადის დეზებს ჩააჩერს თავის ერს და ციებ-ცხელებისა და ისტერიის უკანასკნელ საზღვრამდე მივა...

მ ე ო რ ე  ს ტ ა დ ი ა ზ ე  ფ ა შ ი ს ტ უ რ ი  ა რ მ ი ი ს  ძ ა ლ ე ბ ი  ს ა ბ ჭ ო თ ა  თ ა ვ დ ა მ ც ვ ე ლ  ძ ა ლ ე ბ ს  შ ე ხ ვ დ ე ბ ი ა ნ: ფ ა შ ი ს ტ თ ა  ა რ მ ი ა  უ კ უ გ დ ე ბ უ ლ ი  ი ქ ნ ე ბ ა. ძალთა პოტენციური შეფარდება მატერიალური სახსრების სტრატეგიის, ოპერატიული სტრატეგიისა და საჰაერო სტრატეგიის სფეროში მკვეთრად იჩენს თავს ფრონტის მთელს მანძილზე — ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე, რის შედეგადაც ჰიტლერის შეტევა შეჩერებული იქნება. ამის შემდეგ ბრძოლის ბედი უკვე წინასწარ იქნება გადაწყვეტილი, რადგან ჰიტლერის წაგება დაიწყება იმ წუთიდან, როცა იგი პირველად შეჩერდება. გაჰქრება მის მიერ ამოძრავებული ცოცხალი ენერგია, მოქმედებას დაიწყებენ საწინააღმდეგო ტენდენციები. დროს დაკარგვა იქნება იმის წინასწარმეტყველება, თუ როდის დადგება კრიტიკული მომენტი. ცხადია ერთი: ამ კრიტიკული მომენტის ხანგრძლივობაზე იქნება დამოკიდებული ნგრევა-ოლვევის მასშტაბი.

მ ე ს ა მ ე  ს ტ ა დ ი ა ზ ე  ს ა ბ ჭ ო თ ა  ა რ მ ი ა  გ ა მ ა ნ ა დ გ უ რ ე ბ ე ლ  კ ო ნ ტ რ შ ე ტ ე ვ ა ს  გ ა ნ ა ვ ი თ ა რ ებ ს: იგი არსებითად დაიწყება ომის პირველ წუთებიდანვე, — ომის, რომელშიაც საბჭოთა არმია თავისდაუნებურად იქნება ჩათრეული. საბჭოთა ძალები ხმელეთზე, ჰაერში და ზღვაზე ცხადჰყოფენ თავიანთ უპირატესობას მოწინააღმდეგეზე, სწრაფი, გამაყრუებელი მოქმედებით მტრის ფრონტზე დემორალიზაციას შეიტანენ მის ჯარში და მოსპობენ მის ძალებს... ისინი ბრძოლას ფაშისტთა ტერიტორიაზე გადაიტანენ.

ამ პერიოდში საბჭოთა არმია, მისი მატერიალური სახსრების სტრატეგიისა და ოპერატიული სტრატეგიის წარმატების შემდეგ, სოციალური სტრატეგიის მეოხებით იწყებს ზრდას და გადიდებას მოცულობით, მაშინ, როცა ფაშისტთა არმიაში დაიწყება შემცირება, შეზღუდვა-შევიწროვება...

საბჭოთა არმია ყველგან მხსნელად იქნება მიღებული. მისი მოძრაობისა და წინსვლის დროს მეომარ ფაშისტურ ქვეყნებში წარმოიშვებიან მოკავშირე არმიები, რომელნიც ძმურად გაუწვდიან ერთმანეთს ხელს და გაანთავისუფლებენ კონტინენტს ფაშისტური ჭირისაგან, გაანთავისუფლებენ ყოველ ხალხს საკუთარ ქვეყანაში და საკუთარი სურვილის თანახმად...

ამ სოციალურ-სამხედრო კონტრშეტევის მთავარი დაკვრა მოხდება თვით გერმანიის შიგნით და ეს იქნება პროცესის მეოთხე სტადია.

მ ე ო თ ხ ე  ს ტ ა დ ი ა ზ ე  დ ა ი წ ყ ებ ა  დ ი დ ი  ა ნ ტ ი ფ ა შ ი ს ტ უ რ ი

რ ე ვ ო ლ უ ც ი ა  გ ე რ მ ა ნ ი ა შ ი. (სტადიები ერთმანეთს შეიძლება ძალიან სწრაფად მიჰყვნენ). უბედური ხალხი, ჰიტლერის მიერ უფსკრულის კარამდე მიყვანილი, — ხალხი, რომლის არა მარტო პოლიტიკურ-ეკონომიურ არსებობას, არამედ ფიზიკურ არსებობასაც საფრთხე შოელოდა. ბოლოს აჯანყდება, როგორც 1918 წელს აჯანყდა...

ეს გერმანული რევოლუცია უძლეველი იქნება.

იგი იფეთქებს გერმანიის ზურგში, სადაც ომის პირველ დღეებიდან და კვირეებიდან ჩამოყალიბდება ძლიერი, რევოლუციური ოპოზიცია; მის პროგრამაში იქნება ერთი მუხლი — „ძალაუფლების ხელში ჩაგდება“ და ერთი ამოცანა — შეიარაღებული აჯანყების მომზადება ჰიტლერის წინააღმდეგ. იგი ბუნებრივად გავრცელდება თვით არმიის გულამდე, ბრძოლის ველზე მიმოფანტული არმიის გულამდე...

ა მ ა ს  მ ო ჰ ყ ვ ე ბ ა  მ ე ხ უ თ ე  დ ა  უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი  ს ტ ა დ ი ა — ჰ ი ტ ლ ე რ ი ს ა  დ ა  მ ი ს ი  თ ა ნ ა მ ზ რ ა ხ ვ ე ლ ე ბ ი ს  გ ა ქ ც ე ვ ა  დ ა  დ ა ღ უ პ ვ ა. უზარმაზარი ფაშისტური არმია დამარცხდება, მაგრამ დამარცხდება არა უბრალოდ, ჩვეულებრივად: მას უფრო სერიოზული და მოულოდნელი რამ დაემართება, შუა ლაშქრობისას იგი ორ ნაწილად გაიყოფა და ეს ნაწილები ურთიერთის წინააღმდეგ ამხედრდებიან: უდიდესი ძალა — შეიარაღებული ხალხი — მოითხოვს ზავს და მიიღებს კიდეც მას. ფაშისტი მარშლები, მაიორები და ჟანდარმები დაიწყებენ გაქცევას, მაგრამ ისე, როგორც მანამდე არასოდეს არავინ არ გაქცეულა: გაექცევიან თავიანთ მოწინააღმდეგეებს და თავიანთ საკუთარ ჯარისკაცებს. მაგრამ შორს ვერ წავლენ.

არასოდეს მსოფლიო არ ყოფილა მოწმე ისეთი დამარცხებისა, როგორიც იქნება ფაშიზმის „კონტინენტალური არმიის“ განადგურება. დაიწყება „ახალი სარწმუნოების“ ნახევარ-ღმერთების ჩამოყრა თიხის კვარცხლბეკებიდან, ოდესღაც ფაშისტური არმიის ჯარისკაცები სროლას აუტეხენ ნეო-ნაპოლეონებს, მთელს გერმანიაში შეუდგებიან თავისუფლების დროშების აფრიალებას და იმავე დროს წინანდელი „ფაშისტური არმიის“ ნაწილი შეუერთდება წითელ არმიას იმისათვის, რომ საერთო ძალღონით მოაწყონ ახალი მსოფლიო და დარაჯად დაუდგნენ მას. მაშინ აღარ იქნება „ჰიტლერი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“, აღარც „ჰიტლერი ევროპის თავზე“, რაც, ბოლოს, ერთი და იგივეა.

მოისპობა ნგრევა და ბარბაროსობა, იზეიმებენ მშვიდობიანობა და თავისუფლება.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ფანცხავა

# იოანე პეტრიწის სოფლმხედველობის ძირითადი საკითხები

საქართველოს ისტორიულ წარსულში რუსთაველის შემდეგ უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს იოანე პეტრიწი. იოანე პეტრიწმა განვითარების უმაღლეს საფეხურზე აიყვანა მეცნიერული კვლევა-ძიების საქმე, დაწყებული ექვთიმე იბერიელისა და ეფრემ მცირის მიერ, და სათავეში ჩაუდგა უდიდეს კულტურულ მოძრაობას, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია ფილოსოფიის განთავისუფლებით ღვთისმეტყველების მოახლეობისაგან. ეს გარდატეხა საქართველოს აზროვნების ისტორიაში უშუალო კავშირში იმყოფება იმ დიდ ისტორიულ ძვრებთან, რომლებიც განიცადა ქართველმა ხალხმა XI საუკუნის დასაწყისიდან და რომელიც დაგვირგვინდა საქართველოს სახელმწიფოს სოციალ-ეკონომიური და კულტურული აღორძინებით.

ელადის გავლენამ საქართველოში ჰუმანისტური მოძრაობის პირველ ხანებში საფუძველი ჩაუყარა პლატონისა და არისტოტელეს იდეებით გატაცებას. ხოლო შემდგომ, თითქმის ერთი საუკუნის მოგვიანებით, წარმოიშვა დამოუკიდებელი სისტემები და მიმდინარეობანი ფილოსოფიის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგებში, რომელთაც თავიანთი განვითარების მწვერვალს რუსთაველის ეპოქაში მიაღწიეს. საქართველოს აღორძინების ხანის ფილოსოფიური აზროვნება, ისევე, როგორც ლიტერატურა, წარმოადგენს განვითარების კანონზომიერ პროცესს, რომელიც გამომდინარეობდა უკვე დამკვიდრებულ სოციალ-ეკონომიურ პირობებიდან. რელიგიურ შეზღუდულობას არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა საზოგადოების პროგრესიული ფენების მოთხოვნილებანი. ეს პროგრესიული მიმდინარეობა გაბედულად შორდებოდა ქრისტიანულ ტრადიციებს და მიისწრაფოდა ახალი გზებით ახალი იდეების, ფართო ფილოსოფიური საფუძველის მოპოებისაკენ. ეს საფუძველი მან ჰპოვა იმ დროისათვის ასე თუ ისე მივიწყებულ ანტიურ მსოფლიოში. ამ კვლევა-ძიებამ შეუწყო ხელი ბერძნული ფილოსოფიით გატაცებას.

ამ უდიდეს მოძრაობას სათავეში იოანე პეტრიწი ჩაუდგა. იგი ცდილობდა გაბატონებული სქოლასტიკა შეეცვალა ჰეშმარიტების ძიებით. მან მყარი ნიადაგი მოუმზადა მეცნიერების, ლიტერატურის და რელიგიისაგან დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას. ამ მიზნის მისაღწევად საჭირო იყო

განუწყვეტელი ბრძოლა სქოლასტიკოსებთან, გამუდმებული ცვლა ტაქტიკისა, ხშირად მგზნებარე, დაუცხრომელი და გატაცებული ბრძოლა. ყოველი ამ თვისებით უხვად იყო დაჯილდოებული იოანე პეტრიწი.

XI საუკუნის მიჯნაზე საქართველო ახალი პერსპექტივების წინ დადგა. მან შესძლო დაბრუნება საუკუნეებით დაკარგული სავაჭრო გზებისა და განჯიდან ტრაპეზუნამდე მთლიანი ეკონომიური და კულტურული მაგისტრალის შექმნა. ამ გარემოებას წინ უსწრებდა ბრძოლა ქვეყნის შინაგანი გაერთიანებისათვის, რამაც გარდაქმნა მაშინდელ საქართველოს ეკონომიურ-პოლიტიკური სტრუქტურა და გარკვეულობა შეიტანა ქვეყნის კლასობრივ დაჯგუფებაში.

კლასობრივი ბრძოლა მძაფრ სახეს ღებულობდა ფეოდალებსა და ყმებს შორის, ხოლო მეორეს მხრივ, თვით ფეოდალთა შორის ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ჯგუფების ბრძოლას. გასაგებია, თუ ამ პირობებში, როცა ჯერ კიდევ დამარცხებული არ ყოფილან კონსერვატიულ-დოგმატიური ფენები, რა სასტიკ დევნას განიცდიდა პროგრესიული ნაწილის იდეოლოგი იოანე პეტრიწი. 1083 წელს ბიზანტიიდან დაბრუნებული პეტრიწი კონსერვატიულმა ფენებმა აიძულეს უკანვე გაბრუნებულიყო ბერძენთა იმპერიის სატახტო ქალაქში.

მაგრამ კონსტანტინეს ქალაქში დაბრუნებულ იოანე პეტრიწს არც იქ დაუხვდა შესაძლებლობა მეცნიერული კვლევითი მუშაობისათვის, ვინაიდან ის იდეური მოძრაობა, რომელსაც სათავეში ედგნენ მიხეილ ფსელოსი და იოანე იტალი, ალექსანდრე კომნენის მიერ თითქმის მთლიანად ჩახშობილ იქნა. ახლა განსაკდელს იოანე პეტრიწმა თავი დააღწია გრიგოლ ბაკურიანის წყალობით. ბაკურიანმა წინადადება მისცა — სამუშაოდ გადასულიყო პეტრიწონისის ქართულ აკადემიაში, სადაც იოანემ ორი ათეული წელი დაჰყო აკადემიის რექტორის თანამდებობაზე. მაგრამ თავისი წარჩინებული მფარველის გრიგოლ ბაკურიანის სიკვდილის შემდეგ პეტრიწონისის ქართული აკადემია, როგორც ორთოდოქსული ქრისტიანობისაგან განდგომის ერთადერთი ცენტრი, ალექსანდრე კომნენის მხრივ შევიწროებისა და დევნის ობიექტად გარდაიქცა. ამ გარემოებამ უკვე სრულიად მოუსპო საშუალება იოანე პეტრიწს და მის თანამოძმეთ განეგრძოთ დაწყებული საქმე. ეს თავდადებული მებრძოლნი ჯვაროსანთა ომებით გამოწვეული რეაქციის პერიოდში უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ.

იმ დროს, როცა დასავლეთი ევროპა რელიგიური ბრძოლებით იყო გატაცებული და იქ სასტიკი რეაქცია მეფობდა, საქართველოში სულ სხვა სურათს ვხედავთ. ამ დროს ჩვენი ქვეყანა ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული აღორძინების გზას ადგა. ქართველთა მეფის დავითის პოლიტიკამ საფუძველი ჩაუყარა საქართველოში იმ დიდ მოძრაობას, რომელიც რენესანსის სახელწოდებით არის ცნობილი კაცობრიობის ისტორიაში.

დავით აღმაშენებელმა დაუბრუნა სამშობლოს პროგრესიული იდეებისათვის დევნილი მოღვაწენი და შეუქმნა მათ ყოველივე პირობა მეცნიერული მუშაობის განვითარებისათვის. ამ დიდ საქმეს შესანიშნავად აღნიშნავს იოანე პეტრიწი იქ, სადაც აჯამებს მთელ თავის მუშაობას და იუწყება, თუ როგორ სდევნიდნენ მას როგორც საქართველოში, ისე ბიზანტიაში, და როგორ მიეცა მას მუშაობის საშუალება დავით აღმაშენებლის დროს.

საქართველოში იოანე პეტრიწი სათავეში ჩაუდგა დავითის მიერ დაარსებულ გელათის აკადემიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გელათის აკადემია XII საუკუნეში რენესანსის იდეოლოგიურ კერად გახდა.

ცნობილი კლასიკოსი ქართული რენესანსისა იოანე შავთელი გელათის აკადემიას ადარებს რომსა და ელადას:

„ახალო რომო, შენთვის თქვეს, რომო
უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა
ვნატრი ელადსა, თვით მას გელათსა“ და სხვ.

გელათის აკადემიის გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ იგი იპყრობდა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი აღმოსავლეთის ყურადღებას. ისტორიკოსის სიტყვით, გელათის აკადემია „წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავლისა, მეორედ იერუსალიმად, სასწაულად ყოვლისა კეთილისა, მოძღურად სწავლებისად, სხუად ათინად“ (ქ. ცხ. 295. მარიამის რედ.)

ქართული ფილოსოფიური აზროვნების უდიდესმა კორიფეიმ, იოანე პეტრიწმა, საქართველოს მთელი განახლების ხანა თავისი ფილოსოფიური კონცეპციის გავლენის ქვეშ მოაქცია. ღირსშესანიშნავია ამ მხრივ პავლე ინგოროყვას უახლესი გამოკვლევა — „თამარ მეფის იამბიკონნი“, სადაც ავტორი ტექსტუალურად ამტკიცებს იოანე ფილოსოფოსის დიდ გავლენას თამარ მეფის აზროვნებაზე.

იოანე პეტრიწმა თავისი სახელოვანი მეცნიერული მოღვაწეობით შესძლო რამდენიმედ გაეწმინდა საშუალო საუკუნის ადამიანის აზროვნება დოგმატიური უმეცრებისაგან. მან გააღვიძა მისწრაფება ცოდნისა და ჭეშმარიტებისაკენ, იგი სათავეში ჩაუდგა ჰუმანისტურ მოძრაობას საქართველოში.

პეტრიწის აღმაფრენის წყარო იყო ელადა, თავისი მრავალფეროვანი კულტურით, ფილოსოფიით, პოეზიით, ლიტერატურით, ენით და ხელოვნებით. თავისი ფილოსოფიური სოფლმხედველობის გამომუშავების დროს ის სარგებლობს ანტიური ქვეყნის უდიდეს მოაზროვნეთა შრომებით. პეტრიწი ხშირად იხსენიებს ეპიკურეს, ემპედოკლეს, ჰიპოკრატეს, პითაგორას, სოკრატეს, პარმენიდეს, ზენონს, არისტოტელეს, იამბლიხოსს, პლოტინს, პორფირეს, ასკლეპიადს, პროკლეს, ალექსანდრე აფროდისიელს, ნემესიოსს, იოანე იტალს და მრავალ სტოელსა და პერიპატოელს. მაგრამ აზროვნებისა და ყოფიერების საკითხში ის მაინც ერთგული მიმდევარი რჩება პლატონისა. პეტრიწი პლატონს თავის მასწავლებლად სთვლიდა. პლატონის შემდეგ პირველ ადგილს პეტრიწი აკუთვნებს პროკლე დიადოხოსს, ვინაიდან „ესე პროკლე (არის) მონაცვალე საყდარსა საღმრთოისა პლატონისსა“ (გვ. 4).

პროკლე დიადოხოსი (412 — 485) მოგვიანო დროის ნეოპლატონიკოსია, „რომელმან წარვლნეს ყოველნი ჰასაკნი ხედვასა შინა ზესთა ნაწილისასა“ (გვ. 4) და „დაფარნა ყოველნი საზომთა უმსგავსოებითა“ (იქვე). პროკლეს ფილოსოფიური კონცეპცია წარმოადგენს დაგვირგვინებას იმ სპეკულიატიური მოძრაობისა, რომელიც ხუთი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა.

პეტრიწი პროკლეს სთვლის ნიჭით აღჭურვილ უდიდეს მეცნიერად, რომელმაც შესძლო სიტყვიერების, ბუნებათმეტყველების, მათემატიკის, გეომეტრიის და მუსიკის ნამდვილი ბუნების გამოკვლევა. პეტრიწის აზრით,

მან შეიცნო გულისთქმა პლატონისა, ნათელყო მის დიალოგებში ჩაქსოვილი მისწრაფებანი და საუკუნეთა განმავლობაში მივიწყებული სიბრძნე დაანთო. ამასთანავე პროკლემ გამოიყენა არისტოტელეს ლოგიკური კანონები და გამოამეღავნა ჭეშმარიტება, რისთვისაც მოიმარჯვა არისტოტელეს მიერ აღმოჩენილი სილოგიზმის კანონები. პროკლე დიადოხოსის შრომებში პეტრიწი ყველაზე მაღლა აყენებს „თეოლოგიის ელემენტებს" და განმარტავს, რომ პროკლემ დაადგინა ელემენტი, როგორც უმარტივესი ყველა ფილოსოფიურ იდეათაგან, ვინაიდან მკვლევარმა, საგანთა შეცნობით დაინტერესებულმა, უპირველეს ყოვლისა უნდა შეიცნოს ერთი, როგორც უმარტივესი, და შემდეგ გადავიდეს შედგენილ მოვლენათა შეცნობაზე. ამრიგად, პროკლე პეტრიწისათვის არის პლატონის იდეათა მიმდევარი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, პროკლე, პეტრიწის თქმით, იყენებს არისტოტელეს ფილოსოფიას თავისი სოფლმხედველობის გამომუშავებისათვის. ამ თვალსაზრისით პეტრიწი ბევრად უფრო მართებულ შეფასებას აძლევს პროკლეს, ვიდრე ჩვენი დროის ზოგიერთი ისტორიკოსი ფილოსოფიისა, რომელთაც შესაძლებლობა ჰქონდათ გასცნობოდნენ პროკლეს ნაწარმოებს პეტრიწის ზუსტი თარგმანების საშუალებით, მაგრამ ანტონ კათოლიკოსის ზეგავლენით მისდევენ იდეალისტური ფილოსოფიური ისტორიის ტრადიციულ გზას, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს მიჩქმალვა მატერიალისტური ელემენტებისა.

„ფიზიკის ელემენტების" მკვლევარი რიტცენფელდი ფიქრობს, რომ პროკლეს ეს შრომა დაწერილია მისი ფილოსოფიური განათლების ადრინდელ პერიოდში, ე. ი. მაშინ, როცა პროკლეს არისტოტელეს შესწავლისათვის მოუკიდნია ხელი. ამ მოტივით ცდილობს რიტცენფელდი განასხვავოს „ფიზიკის ელემენტები", აღმოცენებული არისტოტელეს „ფიზიკის" საფუძველზე, პროკლეს უფრო „მომწიფებულ" შრომათაგან. რიტცენფელდი უფრო შორს მიდის და ლამობს დაამტკიცოს, რომ „ფიზიკის ელემენტები" და „თეოლოგიის ელემენტები" პროკლეს მიერ სხვადასხვა დროს არის დაწერილია. ეს მოსაზრება სრულებით უსაფუძვლოა, რადგან აღნიშნული შრომები სავსებით ავსებენ ერთი მეორეს და ნათელყოფენ არისტოტელეს გავლენას პროკლეზე. ჰეგელი პირდაპირ აღიარებს არისტოტელეს იდეათა გავლენას პროკლეს სოფლმხედველობაზე (Гегель, соч., том XI, стр. 64). უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ პროკლეს ფილოსოფია, ისე, როგორც საზოგადოდ ნეოპლატონიზმი, წარმოადგენს ანტიურ ცოდნათა სინთეზს. [1]) ამით ხელმძღვანელობდა პეტრიწი, როდესაც ამუშავებდა პროკლეს ფილოსოფიურ კონცეპციას და მის საფუძველზე თავის სოფლმხედველობას ჰქმნიდა.

პეტრიწმა შესანიშნავად იცოდა, თუ როგორ ამახინჯებდნენ პროკლეს კომენტატორები და აცმევდნენ მას ქრისტიანულ სამოსელს. ამ დამახინჯების საწინააღმდეგოდ შეიმუშავა მან მთელი თეორია ზუსტ ტექსტუალურ თარგმანის შესახებ და ისტორიის ახალ სიტუაციაში აღადგინა პროკლეს ფილოსოფიური კონცეპცია. ამითვე აიხსნება ის ფაქტი, რომ თუმცა ქართულ ენაზე უკვე არსებობდა პროკლეს „თეოლოგიის ელემენტების" თარგმანი (როგორც პეტრიწი მოგვითხრობს), მაგრამ მან ის ხელმეორედ სთარგმნა. ეს თარგმანი „თეოლოგიის ელემენტებისა" დაედვა საფუძვლად იოანე პეტრიწის

---

[1]) Маркс, Энгельс — Собр. соч., т. IV, стр. 122. მარქსი და ენგელსი ლაპარაკობენ ნეოპლატონიზმში ანტიკურ ფილოსოფიურ მიმართულებათა „გათქვეფაზე".

ორიგინალურ შრომას „განმარტება პროკლესი დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის“.

პეტრიწი ეყრდნობა პროკლეს ძირითად დებულებებს, მაგრამ უკეთებს მათ საკუთარ ინტერპრეტაციას. ამის გამო არ შეიძლება იოანე ჩაითვალოს პროკლეს ფილოსოფიური აზროვნების მხოლოდ კომენტატორად, მიუხედავად მისი შრომის კომენტატორული ხასიათისა.

ელინური ფილოსოფიის მემკვიდრეობის განხილვის საფუძველზე პეტრიწი აკეთებს გაბედულ დასკვნებს და ქართულ აზროვნებას აცნობს არაქრისტიანიზირებულ არისტოტელეს და პლატონის ფილოსოფიას. მას კარგად ესმოდა, რომ არისტოტელე, ეკლესიის მამათა მიერ „ბუნების საქმეში ქრისტეს წინამორბედად“ გადაქცეული, ვერ დააკმაყოფილებდა ეპოქის მოთხოვნილებებს, და არისტოტელეს შრომების თარგმნით სცადა ეჩვენებინა ქართველ საზოგადოებისათვის არისტოტელეს ნამდვილი სახე. ეს გარემოება, რასაკვირველია, იწვევდა გააფთრებულ შებრძოლებას დოგმატიკოსთა მხრივ. შესაძლოა, ეს ბრძოლაა მიზეზი იმისა, რომ დღემდე ვერ იქნა აღმოჩენილი არისტოტელეს თარგმანები, შესრულებული პეტრიწის მიერ. უნდა ვიფიქროთ, რომ რეაქციულმა სამღვდელოებამ, ქრისტიანიზირებისაგან განთავისუფლებულ არისტოტელეს შრომები ცეცხლს მისცა.

პეტრიწის სოფლმხედველობა ნამდვილი ბრძოლა იყო ეკლესიის დოგმატიური აზროვნების წინააღმდეგ და, მიუხედავად თავისი მისტიციზმისა, პეტრიწის მოძღვრება XI-XII საუკუნის საქართველოში მაინც გარკვეულ პროგრესიულ როლს ასრულებდა.

*
* *

თავისი სოფლმხედველობის ძირითად საკითხად პეტრიწი სთვლის პირველადი სუბსტანციის პრობლემას, ე. ი. „ერთის“ შესახებ, და მთავარ თეზისად აღიარებს დებულებას, რომ „ყოველი სიმრავლე ეზიარების რაჲთავე ერთსა“ (გვ. 10). ეს დებულებაო, — ამბობს პეტრიწი, — ყოველივე ეჭვს გარეშე უნდა იქნას მიღებული, ვინაიდან ამ დებულების უარყოფას შეუძლიან მიგვიყვანოს აბსურდამდე. ამ გარემოების თავიდან ასაცილებლად იგი ხსენებულ დებულებას განიხილავს ყოველმხრივ და ცდილობს დაამტკიცოს ის ანალიზის საშუალებით. მტკიცების პროცესში პეტრიწი იყენებს არისტოტელეს „ორგანონში“ მოცემულ ლოგიკურ გზებს, მას ანალოგია გაჰყავს სილოგიზმის აგებულებასა და პროკლეს მტკიცების თეორიას შორის.

მტკიცების ძირითად დებულებად პეტრიწი სთვლის პრობლემას, ხოლო ის, რაც აუცილებელია მტკიცების შედგენისათვის, იწოდება „კატასკევად, ანუ გამზადებად“. მესამე წევრს კი წარმოადგენს დასრულება ანუ „სიმპერაზმაი“, რომელიც უნდა შეიცავდეს ძირითად დებულებას, მაგრამ უკვე არა პრობლემის, არამედ დამტკიცებული დასკვნის სახით. ასევეა სილოგიზმებში, სადაც „საშუალოს“ მეოხებით სხვადასხვა წინამძღვართა გაერთიანება ხდება დასკვნის მისაღებად. ამრიგად, პეტრიწის აზრით, დასკვნები აძლევენ პრობლემებს ახალ შინაარსს, ხოლო ის პრობლემა, რომელიც ვერ იქნება დამტკიცებული, არ შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილ ჭეშმარიტებად.

სიმრავლის ერთისადმი თანაზიარობას პეტრიწი უკეთებს ილუსტრირებას რიცხვთა მაგალითზე. იგი იღებს რიცხვ „ასს“. ეს რიცხვი შედგენილია

მხოლოთაგან და რიცხვთაგან, რომელნიც ცალკეულად აღებულნი „არიან ერთნი“. აქ გამაერთიანებელ საწყისს წარმოადგენს „გვარეობენული“ ცნება „ასისა“, რომელიც განსაზღვრავს თავისი მსგავსების მიხედვით ყველა მასში შემავალ რიცხვს. ამგვარად, „ასი“, როგორც მთელი, არის ერთი და ერთის მსგავსი, ე. ი. სახელდობრ „მთელი“ და არა უბრალო ჯამი, ვინაიდან „ერთმა“ მიაკუთვნა თავისი თვისება ნაწილებსაც და „ასის“ ზოგად ცნებასაც.

თავისი ძირითადი დებულების დამტკიცებისათვის პეტრიწი ეკამათება ამ დებულების მოწინააღმდეგეთ და უარყოფს მათ მიერ წამოყენებულ არგუმენტებს. უპირველეს ყოვლისა იგი პოლემიკას აწარმოებს იმათ წინააღმდეგ, რომელნიც აღიარებენ მრავალ საწყისიანობას ანუ პლურალისტულ თეორიას: პეტრიწის ძირითადი დებულების მოწინააღმდეგენი იმ აზრისანი არიან, რომ „უკუეთუ ეზიარების სიმრავლე ერთსა, იყოს ერთიცა მრავალ. რამეთუ, ვითარცა ერთმან თან მისცა თვისისა თვითებისაგან და ყო სიმრავლე ერთ, ნაწილთაცა შორის და ყოვლობასა რიცხვისასა, მაშა მიიღოს და ერთმანცა სიმრავლისაგან, და ვერღარა ვპოოთ უზადო ერთი და არცა დასაბამი ერთებრი“ (გვ. 12).

პეტრიწი უარყოფს ამ დებულებას და მიგვითითებს, რომ უპირველეს ყოვლისა საჭიროა განმარტებულ იქნას ის განსხვავება, რომელიც არსებობს „იზიარნესა“ და „იზიარა“ ცნებათა შორის. პეტრიწი „იზიარნეს“ სთვლის აქტიურ მოქმედებად, ხოლო „იზიარა“-ს პასიურად.

ზემოთ მოყვანილ „ზიარებათა“ ორი კატეგორიის გარდა, პეტრიწი ასახელებს კიდევ „ზიარების“ მესამე სახეს, რომელიც ხდება თანაბარ მოვლენათა შორის. ეს თანაბარი მოვლენები ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე მიაკუთვნებენ და ითვისებენ ერთი მეორისაგან დამახასიათებელ თვისებებს, როგორც, მაგალითად, ხდება ოთხ ელემენტს შორის. ცნება „ზიარება“ გულისხმობს იმ დამოკიდებულებას, რომელიც ორ მოვლენას შორის ხდება, სადაც ერთი არის უმჯობესი და უმაღლესი, ხოლო მეორე უმდაბლესი; ამასთანავე მეორე ღებულობს თავის თვისებას პირველისაგან, თვით კი პირველს არაფერს არ მიაკუთვნებს და არა აქვს არავითარი შესაძლებლობა გახდეს თანაბარი პირველისა. ასეთი დამოკიდებულება არსებობს, მაგალითად, მიზეზსა და შედეგს შორის და ასევეა „ერთსა“ და სიმრავლეს შორის.

ერთისა და სიმრავლის გათანაბრებას, პეტრიწის აზრით, შეუძლიან მიგვიყვანოს „შეუსაბამობამდე“. ისინი რომ გათანაბრებულნი იყვნენ, მაშინ პირველიც და შემდგომიც იქნებოდა თანაბარი; პეტრიწს ეს შეუძლებლად მიაჩნია, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში შესწყდებოდა არსთა ბუნების კანონზომიერი განვრცობა და არ იქნებოდა პირველი, როგორც პირველი და მომდევნო, როგორც მომდევნო. ამ შემთხვევაში, ამბობს პეტრიწი, იქნებოდა დაუსრულებელი მწკრივი ერთიმეორესთან თანაბარ პირველთა და მომდევნოთა, რომელთა დაუსრულებლობათა დასრულებისათვის და მათი განსხვავების წარმოსადგენად ისევ საჭირო გახდებოდა პირველი აბსოლუტური ერთი.

გამოდის რა ზემოთ მოყვანილ მსჯელობიდან, პეტრიწი მიდის იმ დასკვნამდე, რომ შემეცნების ძირითად პოსტულატად, თანახმად ჩვენი გონებისა, აღიარებულ უნდა იქნას მთლიანი საწყისი, რომელიც იქნება ყოველივეს დამასაბუთებელი, ყოველივეს მომწესრიგებელი და კანონზომიერების შემტანი სიმრავლეში. ასეთია პეტრიწის მონისტური გაგება.

აქ პეტრიწი დროებით ანებებს თავს ძირითადი დებულების საწინააღმდე-

გო არგუმენტთა განხილვას და ეხება იმ ურთიერთობას, რომელიც არსებობს ერთსა და სიმრავლეს შორის. სიმრავლე ექვემდებარება ერთს, როგორც მის უზენაესს, მაგრამ ჩვენთვის არ არის გარკვეული, თუ რას მიაკუთვნებს პეტრიწი სიმრავლეს ერთის მიმართ. პეტრიწს რომ რაიმე მიეკუთვნებინა ერთისთვის სიმრავლიდან, იმ შემთხვევაში ნაწილობრივ დუალიზმს ექნებოდა ადგილი. პეტრიწი ამ უკანასკნელ აზრს არ იზიარებს, რათა დაიცვას თავისი სოფლმხედველობის მთლიანი მონიზმი.

პეტრიწი ილუსტრირებას უკეთებს დებულებას, რომ სიმრავლე მოთავსებულია ერთში, განუყრელად და შეუერთებლად, და ადარებს მას თესლს, სადაც ერთმანეთში შეურევლად მოცემულია გული, ღვიძლი, ტვინი, ძვლები და სხვა, ან კიდევ მარცვალს, სადაც მოცემულია თავთავი და ღერო. ასეთი შედარება არ ეგუება პეტრიწის ძირითად დებულებას. ამას თითონაც გრძნობს და ამიტომ თავს იკავებს ამ აზრის შემდგომი განვითარებისაგან და ხაზს უსვამს იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს მოყვანილ მაგალითსა და ერთის უზენაეს მდგომარეობას შორის. თესლში და მარცვალში ყველა მათი ნაწილი მოცემულია პოტენციაში და ვითარდება შემდგომში ყოფიერების გამო, გადადის რა უსრულობისაგან სრულქმნის მდგომარეობაში. ხოლო ასეთი მდგომარეობა ერთსა და სიმრავლეს შორის დაუშვებელია, ვინაიდან ერთი თვით არის სრულქმნილი, აბსოლუტური, რომელსაც სრულქმნისათვის არავითარი ყოფიერება არ ესაჭიროება. თუ შეიძლება ლაპარაკი ერთის მოქმედებაზე მისგან სიმრავლის გამოყოფის დროს, ეს უნდა ჩაითვალოს უზენაეს და არა ჩვეულებრივ მოქმედებად. ამრიგად, ერთი ყველაზე უმწვერვალესია და იმ მწვერვალიდან ჰფენს თავის სხივებს და აკუთვნებს თვისგან ნაწილს სიმრავლეს. პირდაპირ რომ ვთქვათ, აქ ერთსა და სიმრავლეს შორის ურთიერთდამოკიდებულება კი არ ირკვევა, არამედ ხდება იმის ილუსტრირება, რომ „ერთი“ უზენაესია, პირველადია.

ამ ექსკურსის შემდეგ პეტრიწი ისევ იწყებს უარყოფას იმ არგუმენტებისას, რომელნიც წამოყენებული არიან მისი ძირითადი დებულების წინააღმდეგ. პეტრიწი ამბობს, რომ „წესი და ბუნება მაიძულებს ჩუენ, რათა იყოს ერთი უპირატეს სიმრავლისა“ (გვ. 14). უპირველეს ყოვლისა იგი ჩამოსთვლის მოწინააღმდეგეთა არგუმენტებს: 1) „სიმრავლე და ერთი ანუ არიან სწორ, ვითარ სწორგანყოფილნი“, 2) „ერთი მეორისაგან იყოს“, 3) „უპირველეს იყოს სიმრავლე ერთსა“, 4) „დაღათუ იყოს სიმრავლე შემდგომად ერთისა, მაგრა არ ჰქონდის ერთისაგან და ვითარ მიზეზისა წარმომაჩენისა თჳსისგან“ (გვ. 15) და შემდგომ სათითაოდ უარყოფს მათ. პირველ არგუმენტს პეტრიწი უარყოფს იმ მოსაზრებით, რომ თუ სიმრავლე და ერთი სწორნი არიან, ამ შემთხვევაში საჭირო იქნებოდა რაიმე პირველი, უზენაესი როგორც ერთისა, ისე სიმრავლისა, მაგრამ ეს შეუძლებელია, ვინაიდან „ვერ სადა ჰპოვონ არსთა თჳსი მისადგოჲ“. მეორე არგუმენტი უარყოფილია იმ დებულებით, რომ სიმრავლე წარმოსდგა ერთისაგან და არა ერთი სიმრავლისაგან. მესამე დებულების საწინააღმდეგოდ — ვითომდაც სიმრავლე უპირველეს იყოს ერთისა, პეტრიწი ანვითარებს იმ მოსაზრებას, რომ ასეთ შემთხვევაში სიმრავლე იქნებოდა დაუბოლოვებელი უსაზღვროება, „მაგრა უსაზღვროთაგან სხუაჲ უსაზღვროჲ არა წარმოიჩინოს ამისთჳს რომელ უსაზღვროობასა არა რაჲ არს უფროჲს, ხოლო ნაწილთა შორის სიმრავლისათა უფროჲ, რამეთუ სადაცა იპყრა, ერთსა იპყრობ“, ვინაიდან ყოველივე გამო-

ირკვევა ერთის საშუალებით და მისი მეოხებითვე ღებულობს თავის ყოფლობას ყოველივე. მეოთხე არგუმენტის საწინააღმდეგოდ პეტრიწი ამბობს, რომ თუ სიმრავლე განთვისებულია ერთისაგან და არ არის, ანუ ძალი ზეარე, მაშინ რა საშუალებით შეუძლიან მას მოიპოვოს საზღვარი და კანონზომიერება? სინამდვილეში კი, ამბობს პეტრიწი, არსებობს კანონზომიერება რიცხვთა წყებაში, რომლითაც ირკვევა ამ რიცხვთა ძალა და მოქმედება ანუ საზღვარი. აქედან მას გამოჰყავს დასკვნა, რომ ერთი ყოველივეს განსაზღვრავს და აწესრიგებს, რის გამოც იგი არის სრულქმნილი, აბსოლუტური ერთი.

ამის შემდეგ პეტრიწი ეხება მეორე დებულებას, რომ „ყოველი მზიარებელი ერთისაჲ არს და არა ერთი“ (17), ე. ი. არის მოცემული მთლიანობაში, „ვითარმედ ერთქმნული“.

ყოველი ქმნილისათვის პეტრიწი აუცილებელ პირობად სამ ელემენტს აღიარებს: უპირველეს ყოვლისა, რასთან დაკავშირებით წარმოიშვა იგი და როგორ აღბეჭდა თავის თავში ერთის სახეობა, მეორე — რისგან წარმოსდგა და მესამე — რა ნაწილისაგან შესდგა? პირველ კითხვაზე პეტრიწის პასუხი ემყარება პარმენიდეს სიტყვებს სოკრატესადმი, რომლის თანახმად ყოველი ქმნილი ღებულობს თავის ელფერს ერთისაგან და მსგავსად ერთისა, ამყარებს თავის თვისებას და წარმოადგენს მის ანაბეჭდს.

მეორე კითხვაზე პასუხი ბუნდოვანია და ვერ გამოხატავს პეტრიწის აზრს (საფიქრებელია, აქ ტექსტის დამახინჯებას აქვს ადგილი), ლოგიკურად კი მოსალოდნელი იყო პასუხი, რომ ყოველივე წარმოსდგება ძალის მეოხებით, რასაც უნდა მოჰყოლოდა განმარტება, თუ რა განსხვავებაა პირველად ძალასა — ყოველივეს საწყისსა და ბუნებრივ ძალას შორის, რის შემდეგაც სრულიად მართებული იქნებოდა გადასვლა მესამე საკითხზე — რომ ყოველივე ამ სამი შემადგენელი ელემენტისაგან წარმოიშობა.

ამ საკითხის შემდეგ პეტრიწი არკვევს განსხვავებას, რომელიც არსებობს, ერთის მხრივ, დროში მოძრავ ბუნებრივ მოვლენების ძალასა და მეორეს მხრივ — „ერთის“ დაუსაბამო, მარადიულ ძალას შორის.

პირველად ძალად ითვლება ბუნებრივი ძალა: იგი ახასიათებს ყველა იმ მოვლენას, რომელიც დაკავშირებულია დროსთან, მოძრაობასთან და თავისი ყოფიერებისადმი ლტოლვასთან, როგორც, მაგალითად, ცა, მზე, ვარსკვლავები და სხვა.

მეორად ძალად პეტრიწი აღიარებს გონების მოქმედებით გამოწვეულ მარადიულ ძალას, რომელიც თავის ყოფიერებასთან ერთად წარმოშობს მოქმედებასაც. ბუნებრივი მოქმედება თავისი თვისებით არ არის სრულქმნილი, ხოლო მიილტვის სრულქმნილისაკენ; სრულქმნილი ძალა წარმოადგენს მისთვის პირველად მიზეზს. გონების მოქმედება პოტენციის ძალით, ან უსრულისაგან სრულქმნაზე გადასვლით კი არ წარმოსდგება, არამედ გონებასთან ერთად წარმოიშობა.

ასე ამგვარად პეტრიწისათვის უზენაესი ერთი ყოველგვარი პოტენციის, ყოველგვარი ბუნებრივი მოქმედების გარეშე არსებობს და თავისთავად წარმოიშობა.

პეტრიწისათვის ნაწილებისაგან შემდგარი ყოველი მთლიანობა, როგორც შედგენილი ნაწილთა მიერ, არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ერთად, მაგრამ, როგორც მთლიანობა, იგი თანაზიარია ერთისა და ამდენად წარმოადგენს ერთს. „ნაწილთა მიერ შედგენილი მთლიანობა“ შეიძლება ეხებოდეს რიც-

ხობრივ და ბუნებრივ მოვლენებს და აგრეთვე ლოგიკურ კავშირსაც. ამ საკითხის განხილვის დროს პეტრიწი ემყარება პარმენიდეს [illegible] ტეტს და ასახელებს სამ მიზეზს: 1) რიცხვი არ „ესახვის მას ზესთა [illegible] ერთსა, ვითარ ესე მხოლოთა ერთი“ (გვ. 19), იგი უძრავია და „უზიარებლად ეზიარების ყოველთა მხოლოთა“ და თავისი ერთობრივობით შესამჩნევი ხდება ყოველთა შორის; 2) იგი ინარჩუნებს თავის თვისებათა თავისებურებას და არაფერს ღებულობს სხვისაგან; 3) რიცხვი, წარმოადგენს რა გაერთიანებულ საწყისს ყოველივე „თხზვათა“, ყოველი მუსიკალური ჰარმონიისა და ბუნების მოვლენებისათვის, თვით წარმოიშობა ერთისაგან.

ზემოთმოყვანილი თვისებები ნათელყოფენ, თუ რა მოტივი აქვს პეტრიწს რიცხვის გათანაბრებისას ერთთან; მაგრამ, მიუხედავად ამისა, რიცხვი მისთვის მაინც არ წარმოადგენს ერთს, ვინაიდან შემდგარია ნაწილთა მიერ, ასე, მაგალითად, ორი — არ არის ერთი, რადგან იგი ორია, მაგრამ როგორც „ორობა“ იგი წარმოადგენს „ერთს“, სახელდობრ, ის შექმნილია „ერთად“. ამგვარადვე, სამი და სამობა; სამი შედგენილია ნაწილთა მიერ, ხოლო როგორც „სამობა“, იგი არის „ერთი“, ერთი არის მათთვის გვარი და საზღვარი. ეს ცნებანი ერთი მეორესთან ისეთსავე დამოკიდებულებაში არიან, როგორც ცნებანი „კაცი“ და „კაცება“, ვინაიდან კაცი არის ნაწილი და შესდგება ნაწილთაგან (მოკვდაობა, მეტყველება, გონივრობა და სხვა), ხოლო ამ ნაწილთა გაერთიანების საფუძველზე წარმოიშობა გვარი და მთლიანობა სიმრავლისა („კაცება“).

შემდეგ პეტრიწი განმარტავს მხოლობას ბუნებაში და ამბობს, რომ „სხუა არიან მხოლოდ რიცხუებრნი, და სხუა მხოლონი ბუნებითნი, და სხუა მხოლონი ღმრთისმეტყუელებითნი“ (გვ. 20). მაგრამ, მიუხედავად იმ განსხვავებისა, რომელიც ამ სამი გვარის მხოლოებათა შორის არსებობს, მათ აერთიანებს ზოგადი პრინციპი, რომლის მიხედვითაც „ყოველი მზიარებელი ერთისა, ერთიცა არს და არა ერთი“.

ასე, მაგალითად, მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი, პლანეტები და სხვანი, როგორც ნაწილნი კოსმოსისა, არ წარმოადგენენ ერთს, მაგრამ რამდენადაც ისინი არიან ნაწილნი „ცისა“, „ხოლო ცაჲ, ვითარ ცაჲ ერთ და გუარ ერთისა, გინა თუ ხატის ხატ ერთისა, რომელ ესე არს მხოლოჲ სხეულთაჲ და გუარი შემცველი სხეულთაჲ“; და როგორც „ყოველი ნაწილებითთა ბუნებაჲ ერთისა ბუნებისა მიმართ შეკრბების“, აგრეთვე ბუნების ნაწილთა ურთიერთისადმი დამოკიდებულებას პეტრიწი ადარებს ადამიანის სხეულის ცალკეულ ორგანოთა დამოკიდებულებას, როგორიც არის გული, ღვიძლი, ელენთა, ტვინი და სხვა, რომელნიც თავისი აგებულებით და მოქმედებით განსხვავდებიან ერთი მეორისაგან, მაგრამ ასრულებენ ორგანიზმის, როგორც მთელის ფუნქციას. ასეთი დაპირისპირებიდან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ჩვენი მოაზროვნისათვის ბუნების ნაწილთა და ბუნების, როგორც მთლიანის, შორის კავშირი არის ორგანიული, რითაც განსხვავდებიან „მხოლონი ბუნებისანი“ რიცხობრივ და ღვთისმეტყველებით მხოლოთაგან.

პეტრიწი ამბობს, რომ ლოგიკაშიაც „ერთ ქმნაჲ გუარისაჲ ჰბაძავს მას ერთსა“ (გვ. 22). მაგალითად, სილოგიზმი, რომელიც დასკვნით გაერთიანებული სამი ნაწილისაგან შესდგება, აგრეთვე წარმოადგენს ერთს, ვინაიდან მასში ნაწილები გაერთიანებულნი არიან ერთგვარ მთლიანობაში და აგრეთვე არა ერთს, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ ცალკეულ ნაწილებს.

ამის შემდეგ პეტრიწი ეხება გვარის მთლიანობის განუყოფელობას და ამბობს, რომ თუ, მაგალითად, ადამიანს მის დამახასიათებელ თვისებათაგან მოკვდაობა ანდა შემეცნებითი უნარიანობა გამოვაცალეთ, მაშინ იგი უკვე არ იქნება გვარი ადამიანისა. აქ, რასაკვირველია, საქმე ეხება გვარის ცნების მთლიანობის განუყოფელობას, რომელიც აერთიანებს განსაზღვრული გვარის ყველა არსებით ნიშანს და ამიტომ რომელიმე შემადგენელი ნაწილის გამორიცხვით გვარი ჰკარგავს თავის შინაარსს.

იოანე პეტრიწი არგუმენტაციის საწინააღმდეგოდ წამოყენებულ მოსაზრებათა შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად აღიარებს დებულებას, რომლის მიხედვითაც ერთსა და სიმრავლეს შორის არსებობს წინააღმდეგობა. ამ მოსაზრებას იგი გულდასმით განიხილავს და უპირველეს ყოვლისა საჭიროდ მიაჩნია გარკვეულ იქნას, თუ რას წარმოადგენს თავისთავად წინააღმდეგობა. პეტრიწის აზრით, „ურთიერთას წინაგამწყონი ურთიერთას მშრეტ და დამამჰუ (არიან)..., რამეთუ ყოველი წინაგამწყო ივლტის ურთიერთობისაგან და არა იზიარებს და იქნების იგი". წინააღმდეგობათა ბუნების შესწავლის საფუძველზე, ამბობს პეტრიწი, ჩვენ უნდა ვაღიაროთ წინააღმდეგობათა ორი სახე: „საშუვლობითი" და „უსაშუვლო". პირველის მაგალითს წარმოადგენს წინააღმდეგობა თეთრსა და შავს შორის, ვინაიდან მათ შორის არის გარდამავალი საშუალო ფერები; მეორე მაგალითს წარმოადგენს წინააღმდეგობა „ნათელსა და ბნელს", სიცოცხლესა და სიკვდილს შორის და ასე შემდგომ.

ამრიგად, თუ ჩემი დებულების მოწინააღმდეგეო, — ამბობს პეტრიწი, — წამოაყენებს მოსაზრებას, რომ ერთი და სიმრავლე წინააღმდეგობაში არიან ურთიერთთან, მან უნდა მიუთითოს, თუ როგორი წინააღმდეგობაა მათ შორის. მოწინააღმდეგეს შეუძლიან გვიპასუხოს, რომ ერთსა და სიმრავლეს შორის არსებობს „საშუვლობითი" წინააღმდეგობა, მსგავსად წინააღმდეგობისა, რომელიც მოცემულია ლუწსა და კენტსა ან კენტსა და ლუწს შორის. (პეტრიწის სიტყვით, „პერის არტიოჲ ანუ არტიოჲ პერისოჲ"). მაგრამ პეტრიწი უარყოფს ამ შესაძლებელ განმარტებას და ამბობს, რომ ლუწის და კენტის მაგალითით არ შეიძლება დამტკიცებულ იქნას ერთსა და სიმრავლეს შორის წინააღმდეგობა, ვინაიდან ისინი ერთში კი არ გამოავლენენ თავიანთ მოქმედებას, არამედ ერთის ძალით მოდიან მოქმედებაშიო. საქმე იმაშია, რომ ჩვენ მოაზროვნეს, მონისტური სოფლმხედველობით გამსჭვალულს, არ შეუძლიან დაუშვას გარდამავალი საფეხურები ერთსა და სიმრავლეს შორის, ვინაიდან ამ შემთხვევაში მათ შორის ერთგვარ თანასწორობას ექნებოდა ადგილი, ხოლო ამით გაქრებოდა უპირველესობა ერთისა სიმრავლის წინაშე; ამის გამო პეტრიწი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლუწი და კენტი „ერთის", როგორც უზენაესი ძალის, მიერ წარმოიშობიან და არა „ერთში" გამოავლენენ თავიანთ მოქმედებას. მაგრამ არც „უსაშუვლო" წინააღმდეგობას აქვს ადგილი ერთსა და სიმრავლეს შორის, ვინაიდან „უსაშუვლო" წინააღმდეგობანი ახასიათებენ ისეთ მოვლენებს, რომელნიც დროში და სივრცეში არიან მოცემულნი. ასე, მაგალითად, ოთხი ელემენტის თვისებანი ებრძვიან ერთი მეორეს და აბათილებენ ერთი მეორეს. მარადიულ სფეროშიაც შესაძლებელია, პეტრიწის აზრით, არსებობა წინააღმდეგობათა, „გონიერსა შორის აღმკულსა რომელნიცა ჩნდენ აქა წინაგამწყო და მბრძოლ და მხრწნელ ერთი ერთისა, მუნ არიან ძმა და მოყუარე და მაარსებელ ურთი-

ერთას". არც სულია დაზღვეული წინააღმდეგობათაგან, მაგრამ მასში მოთავსებული წინააღმდეგობანი არა ხრწნიან ერთი მეორეს, არ ეწინააღმდეგებიან სულს და არ ურევენ ერთი მეორეში თავიანთ თვისებას.

ამრიგად სიმრავლე არ ეწინააღმდეგება ერთს, არამედ მისგან წარმოიშობა და ერთი ანიჭებს ყოფიერებას სიმრავლეს. აქ ჩვენ დავინახეთ „ერთის" კონცეპციის ახალი დამამტკიცებელი არგუმენტაცია, რომლის თანახმადაც ერთი წარმოადგენს ყოველივეს სინთეზს, ყველა წინააღმდეგობის შემარიგებელს. ერთის სიტყვით, დავინახეთ სრული გამარჯვება პეტრიწის ძირითადი მეტაფიზიკური კონცეპციისა.

ამრიგად, „ერთი" ჩვენი მოაზროვნისათვის არის ჭეშმარიტი საწყისი და ნამდვილი სიკეთე, სიცოცხლისა და ყოფნის წყარო. მართალია, რეალურ სინამდვილეში არსებობენ სხვა სუბსტანციებიც; ეს სუბსტანციები წარმოადგენენ კოორდინირებულ არსთ, რომელთაც თავიანთ მხრივ აქვთ მათ მიერვე სუბორდინიზებული მოვლენები, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის „ერთი". „ერთი" უზენაესი, უნივერსალური და პირველი სიკეთეა „იდეათა" ქვეყანაში. ამრიგად განშორდა პეტრიწი ქრისტეანულ ღმერთს და ჰპოვა „ერთი", როგორც უზენაესი იდეა. მან, მართალია, „ღმერთის" ადგილზე წამოაყენა „ერთი", მაგრამ ამით არ უარუყვია რეალური სინამდვილის მქონე ქვეყანა. იგი პეტრიწისათვის გრძნობადია და იწვევს აღქმას, იგი ობიექტია ჩვენი შემეცნებისა. რასაკვირველია, იოანე პეტრიწს, როგორც დავით აღმაშენებლის ეპოქის ინტელექტუალური მოძრაობის გამომხატველს, არ შეეძლო გაჰყოლოდა ქრისტიანული ეკლესიის ტრადიციებს და ზურგი ექცია რეალური ქვეყნისათვის.

ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება ხელს უწყობდა საქართველოს ნაციონალური გაერთიანების პროცესს, რომელმაც თავის მხრივ საგრძნობი ლახვარი ჩასცა თავგასულ ფეოდალებს და ყოვლის შემძლე საეკლესიო იერარქიას. ასეთმა ისტორიულმა სიტუაციამ გამოიწვია იოანე პეტრიწის სოფლმხედველობაში ნატურალისტური ტენდენციების გაცხოველება. მართალია, „ერთი" არის პირველადი წყარო ყოველივესი, როგორც უზენაესი იდეა, მაგრამ არის კიდევ ხილული რეალური სამყარო, სადაც ყოველ მოვლენას აქვს თავის თავთან შეფარდებული საკუთარი სახელწოდება, რითაც ერთი საგანი განსხვავდება მეორისაგან. ამრიგად, პეტრიწი სცილდება პლატონის იდეათა სამეფოს და ცხადად ექცევა არისტოტელეს გავლენაში. ყოფიერების პრობლემა ვრცლად არის გაშუქებული პეტრიწის მიერ და გარკვეული მსჯელობის შემდეგ იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ არსებობს პირველადი ყოფიერება და ყოფიერება, დაკავშირებული კაუზალობის საკითხთან. პეტრიწის სოფლმხედველობის სისტემატიური გადმოცემის მიზნით ჩვენ უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია მივსდიოთ მის საფეხურებს და პირველად განვიხილოთ ნამდვილი ყოფიერება.

*

* *

ჩვენი მოაზროვნე რეალურ ყოფიერებას განსაზღვრავს, როგორც პირველად ყოფიერებას, როგორც უმახლობელესს პირველი ერთისას და როგორც პირველ „შედგმულს", პირველ არსს.

პეტრიწის აზრით, არსებობს ორი სახე სიმრავლისა: პირველი სახე სიმ-

რავლისა შესდგება შენაერთ მოვლენათაგან, ხოლო მეორე სახე სიმრავლისა წარმოიშობა ერთეულთაგან. ნამდვილი ყოფიერება შესდგა არა შენაერთ მოვლენათაგან, არამედ ერთეულებისაგან. ეს ერთეულებია გვარი, სახე, უგვარო სახენი, უზენაესი გვარი და სხვა. ამ „მარტივთა მიერ შედგა პირველი შედგმული და ყოველი ანაქუსი მისი, რომელ არს ნამდვილ მყოფი“ (გვ. 30). ხოლო მისი შენაერთიდან წარმოიშვა უფრო რთული შენაერთი, როგორიც არის არსებობა მარადიულისა, ცხოვრებისა, ბუნებისა, სულისა და სხეულთა. ამ დებულების ილუსტრაციისათვის პეტრიწს მოჰყავს რიცხობრივი ერთი, რომელიც თავის სახეობას აღბეჭდავს პირველ რიცხვებზე, სახელდობრ 1-დან 10-მდე, რომელნიც წარმოადგენენ ნამდვილ ყოფიერების გამოსახულებას, ხოლო შემდგომი ზრდა რიცხვთა არის გამოსახულება ამ გამოსახულებათა. ასევეა აბსოლუტური ერთი, რომელიც აღბეჭდავს თავის სახეს მარტივ „ერთებზე“, რომელთა ერთობლივობა შეადგენს ნამდვილ ყოფიერებას. ნამდვილი ყოფიერება წარმოდგება „ერთისაგან“ და ორი შეერთებული წყაროსაგან: 1) ყოფიერების პირველი საზღვრისაგან (არისტოტელეს გამოთქმით გუართა გუარი) და 2) პირველ უსაზღვროებისაგან, რომელიც არის ძალის ულევი მარაგი.

ნამდვილი ყოფიერება პეტრიწის მიერ გაიგივებულია გონებრივ სამყაროსთან: „იწყე ნამდვილ მყოფითგან და წარმოვლენ ყოველნი ბუნებანი გონებისანი, ვითარ სამარადმყოფსა თჳთცხოველისაჲ, და გონიერთა და გონებითთა“ (გვ. 46). ეს განმარტება ნათელჰყოფს, რომ ნამდვილი მყოფი პეტრიწისათვის უნდა წარმოადგენდეს გონებით მისაწვდომ კოსმოსს. ეს ჩვენი მოსაზრება, ვფიქრობთ, უფრო მეტად დასტურდება ქვემოთ მოყვანილი ადგილით: რომ „ყოველი სხეული და სხეულიანი არსებაჲ სულისა მიერ ეზიარების გონიერსა და მიუდრეკელსა არსებასა, ვითარ სული გონებისა მიერ ნამდვილ მყოფისა მორთულებასა. და კუალად ერთბამად სული და გონებანი ყოველნი ნამდვილ მყოფისა მიერ მზესა მას ერთთასა“ (გვ. 48), ე. ი. ყოველი სხეული სულის საშუალებით ეზიარების გონებრივ არსს, ისევე, როგორც სული გონების მეოხებით ეზიარება ნამდვილ სამყაროს-კოსმოსს, ხოლო ყველა ესენი ნამდვილ მყოფის საშუალებით ეზიარებიან მზიურ „ერთს“.

პეტრიწის აზრით, ყოველი კანონზომიერება, დაწყებული მხოლოობისაგან, მიიმართება სიმრავლისაკენ, თავისი მხოლოობის შესაფერისად (გვ. 59), ე. ი. ყოველი მხოლოობა წარმოშობს თავისი ბუნების შესაბამ სერიას, „რამეთუ ერთი ერთთა წარმოსთხზავს, და გონებაჲ გონებათა, და სული სულთა, და ბუნებაჲ ბუნებათა, და სხეული ცისაჲ სხეულთა“ (გვ. 59). ამ თანმიმდევრობის მიხედვით ერთი მოვლენა არის მიზეზი მეორისა, როგორც, მაგალითად, ორი არის მიზეზი სამისა, ისევე „ერთი“ არის მიზეზი ნამდვილი ყოფიერებისა, ხოლო ნამდვილი ყოფიერება მიზეზია გონივრული არსებისა, გონივრული არსება—სულისა, სული—სულთა, ხოლო სულნი არიან მიზეზნი ბუნებისა, ბუნება კი მიზეზია ცისა, ცა—ოთხი ელემენტისა, ხოლო ოთხი ელემენტი წარმოადგენს საფუძველს შექმნისა და მოსპობისადმი განწყობილი მოვლენებისათვის.

იოანე პეტრიწი აწესებს შემეცნების საფეხურთა განლაგებას, რომლის მიხედვითაც „გასაგონოჲ“ არის უმაღლესი, ხოლო „გამგონე“ — უმდაბლესი. ქვემოდან ზევით ეს განლაგება იძლევა შემდეგ სურათს: სული არის „გამგონე“, გონება „გასაგონოჲ“; გონება „გამგონე“, ხოლო ნამდვილი მყოფი —

„გასაგონად“, და ასე შემდგომ. ამრიგად, ნამდვილი მყოფი არის უმაღლესი სუბსტანციური რიცხვი და არსი, პირველი საზღვარი და პირველი უსაზღვროება, რომელიც წარმოსდგება აბსოლუტური „ერთი“-ს საფუძველზე. ეს პროცესი შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად. აბსოლუტურ „ერთს“ შეაქვს რა პირველი საზღვარი უსაზღვრო სიმრავლეში, წარმოშობს პირველ ცალკეულ არსთ — გუართ, ხოლო მათ ერთობლიობას კი წარმოადგენს ნამდვილი მყოფი. ამრიგად, პეტრიწის სოფლმხედველობისათვის ნამდვილი მყოფი არის გონებრივი კოსმოსი, ხოლო პირველ ცალკეულ არსთ იგი აღიარებს გონების ძირითად კატეგორიებად.

როგორც ზემოთ იყო თქმული, ყოფიერების საკითხს პეტრიწი უკავშირებს მიზეზისა და შედეგის ურთიერთობას. ეს ურთიერთობა გულისხმობს მიზეზისაგან შედეგის წარმოშობას; მიზეზი „არყოფნის“ „გარდაქმნის“ საშუალებით იწვევს შედეგს, რომელსაც გადასცემს რაიმე ნაწილს ან თვისებას თავისი არსებისაგან. არსებული ყოფიერება მიზეზისაგან არის წარმოშობილი, ეს არის თანაპოვნიერი (наличное) ყოფიერება. ხოლო რაც შეეხება არსთა ყოფიერებას, იგი დამოუკიდებელია და თავისი არსებობისათვის მიზეზს არ საჭიროებს, ვინაიდან „არსსა თჳსი საზღვარი თან მოაქუს, რამეთუ არსებაჲ არს თჳთმდგომი არ მოქენე სხჳსა მამყოფებელად თჳსდა“ (გვ. 54).

შემდეგ პეტრიწი ეკამათება პერიპატოელებს, რომელნიც მხოლოდ ბუნების მოვლენებს ეხებიან და ფიქრობენ, რომ არსნი, რომელნიც მათ მიღმა მდებარე მიზეზით წარმოშობილან, არიან „შემთხვევითნი“. უარყოფს რა ამ დებულებას, პეტრიწი ეყრდნობა პლატონის ავტორიტეტს და ამბობს, რომ პლატონი „შემთხვევითს“ ათავსებს არსთა შორის. შემთხვევითი მოვლენა, როგორიც არის ფერი, ფორმა, განზომილება, წარმოადგენს შეძენილ თვისებას, რომელსაც ადგილი აქვს მხოლოდ ბუნების მოვლენათა შორის, ხოლო შეგრძნებადი საგნების გარეშე აღებული ეს სამი ცნება იქნება უსხეულო და მოთავსდება პირველად სამყაროს ცნებათა, არსთა და კატეგორიათა შორის.

პეტრიწი, ემყარება რა არისტოტელეს სიტყვებს, ამბობს, რომ უპირატესობითი ყოფიერება („Бытие по преимуществу“) წარმოადგენს ზოგადს, რომელიც შეიცავს არსსაც და შემთხვევითსაც, აგრეთვე უპირატესობითი ყოფიერება უმეტესია, ვიდრე არსი, ვინაიდან გულისხმობს რაოდენობრივ, თვისობრივ და სხვა დამოკიდებულებას, და რადგან ყოველივე ეს წარმოადგენს ყოფიერების შემადგენელ ნაწილს, ამიტომ იგი აღიარებულ უნდა იქნას თავისთავად არსებულ უპირატეს ყოფიერებად, რომლისგანაც ღებულობენ ყოფიერებას დანარჩენი კატეგორიები. ამრიგად, პეტრიწისათვის რაოდენობა და თვისება არსის დამახასიათებელი ნიშნებია, არსი კი დამოუკიდებელია და არ მიეკუთვნება რომელიმე სხვა მოვლენას, ე. ი. არის „არ მოქენე სხჳსა მამყოფებელად თჳსდა“, ვინაიდან წარმოადგენს უპირატეს ყოფიერებას. ამ დებულებიდან პეტრიწი გადადის ყოფიერების საკითხის გარკვევაზე და აწესებს იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს „ყოფიერებასა“ და ინდივიდუალურ ყოფიერებას შორის. ინდივიდუალური ყოფიერება ყოველთვის ეხება გარკვეულ გვარს, ხოლო „ყოფიერება“ არის „უგუარო“ და უპირობო.

ჯერ კიდევ ჩვენთვის საბოლოოდ გარკვეული არ არის, თუ ვის აკუთვნებს პეტრიწი თავისი წიგნის მე-55 გვერდზე მოყვანილ შენიშვნას: „და მერმე უკუანაჲსლა ზედა დაჰრთავს ასა, ვითარმედ რაჲაო, და მიუგებ თანგავლით, ვითარმედ ცეცხლი, აირი ანუ გონებაჲ სული და ეს ვითაჲ რაჲ-

ვე გუარი მყოფთაჲ“ (გვ. 55). ვფიქრობთ, რომ ეს აზრი პროკლეს არ უნდა მიეწერებოდეს, ვინაიდან მის მიერ დადგენილ ყოფიერების იერარქიას არ შეესაბამება. ჩვენის აზრით, აქ პეტრიწი სარგებლობს არისტოტელეთი, კერძოდ, „მეტაფიზიკის“ მე-8 წიგნის პირველი თავით. ბართალია, გონება, სული და პირველადი „გუარნი“ სრული უფლებით შეიძლება მიკუთვნილ იქნან „უგუარო“ ყოფიერებას, მაგრამ „ცეცხლი და ჰაერი“, ეს ორი ოთხ ელემენტთაგანი, ყოფიერებათა წყებაში დაბალ საფეხურზე დგანან, ისინი ექვემდებარებიან „ცას, ბუნებას“, წარმოშობენ მთელ რიგ გარდამავალ ნივთთა წყებას, რის გამოც არ შეიძლება მათი აღიარება ინდივიდუალურ ყოფიერებად.

*

* *

შემდეგ პეტრიწი უბრუნდება მიზეზის და შედეგის ურთიერთობის საკითხს და ამბობს, რომ ყოველი მიზეზი თავის შედეგზე უფრო მაღლა სდგასო: „რამეთუ ყოველი ძალი და მოქმედებაჲ მიზეზთა შორის უწმინდე და უილიკრინეს ჰგიეს ვიდრე მიზეზოანთა შორის“ (გვ. 55). ამისათვის „იგი“-შედეგი არის არა ისეთი, როგორიც „იგი“-მიზეზი, ვინაიდან შედეგი არის ნაწილი მიზეზისა, მათ შორის არის მსგავსება და არა იგივეობა.

მიზეზი, პეტრიწის აზრით, არის „წყარო დამბადებლობითი“ (გვ. 67), მის დამახასიათებელ თვისებას შემოქმედებითი პოტენცია და ენერგია წარმოადგენენ, (გვ. 66); იგი აკუთვნებს შედეგს: არსებობასა, თავის გუარს და თავის თვისებას (გვ. 54). მიზეზი ყოფიერებისა ამ უკანასკნელთან ერთად წარმოშობს თავისი არსებობისათვის შესაფერ ძალას. თუ არსი გონივრულია, მაშინ ძალაც და მოქმედებაც გონივრულია; თუ კი არსი სულიერია, ძალაც და მოქმედებაც სულიერია; ხოლო თუ არსი შეგრძნობადია, მაშინ ძალაც და მოქმედებაც შეგრძნობადია. ამრიგად, ძალაც და მოქმედებაც შეესაბამებიან არსთ, ვინაიდან არსთაგან გამომდინარეობს ძალა, ხოლო ძალისაგან—მოქმედება.

შედეგი წარმოსდგება მიზეზისაგან, მისი ენერგიისაგან ღებულობს იგი ყოფიერებას, პოტენციას და თვისებას. რამდენადაც შედეგს თავის ყოფიერების საფუძველი აქვს მიზეზში, იმდენად იგი მარად იმყოფება მიზეზში, არა როგორც უცხო სხეული უცხოში, არამედ როგორც იგივეობა თავის თვისებათა შორის. ეს არის პირველი ასპექტი შედეგისა „კატეტიან“, რომელიც მიზეზს შეესაბამება; პეტრიწის გამოთქმით, „კატეტიან, რომელ არს მებრ მიზეზით“ (გვ. 80); ეს შედეგი, რომელმაც თავისი ყოფიერება მიიღო მიზეზისაგან, ამ უკანასკნელის ყოფიერებასვე შეესაბამება — „კათჳპარქსინ, რომელ არს მებრ მყოფობით“; შედეგის მესამე კატეგორიად კი აღიარებულია „კატამეთექსინ, რომელ არს მებრ თანმექონეობით“, ე. ი. შედეგი, რომელიც გამოეყოფა თავის მიზეზს, იძენს ახალ თვისებას; შედეგის დამოუკიდებლობა განისაზღვრება ამ უკანასკნელის განსხვავებით მიზეზის თვისებისაგან.

ამრიგად, პეტრიწის აზრით, შედეგის წარმოშობაში მონაწილეობს ორი მიზეზი: მ ს გ ა ვ ს ე ბ ა და „უ მ ს გ ა ვ ს ო ბ ა“. მსგავსებას შედეგი უპყრია მიზეზში და გამოჰყოფს მიზეზისაგან თვისებას, ხოლო უმსგავსება განასხვავებს შედეგს მიზეზისაგან და ჰყოფს მიზეზს და შედეგს ერთმანეთისაგან თავისებურობათა მიხედვით (გვ. 81). შედეგი უფრო რთულია, ვიდრე მიზეზი, ვინაიდან იგი, თავის სახეობის გარდა, მსგავსებასაც შეიცავს. მაგრამ

მიზეზი თავის შედეგზე უფრო მაღლა სდგას, უფრო მეტად ეშმარიტია, ვიდრე შედეგი, როგორც უახლოესი პირველად მიზეზთან. მიზეზი მისაწვდომია შედეგისათვის, რამდენადაც იგი ემსგავსება მას, ხოლო რამდენადაც იგი უმსგავსოა მისი, იმდენად მიზეზი შედეგისათვის მიუწვდომელია.

შედეგის მესამე ასპექტად (კატამეთექსინ) პეტრიწი უნდა გულისხმობდეს ისეთ შედეგს, რომელიც თავის მხრივ ხდება მიზეზი ახალი შედეგის წარმოშობისა. ეს ჩვენი ვარაუდი, ვფიქრობთ, დასტურდება პეტრიწის მიერ მოყვანილი მაგალითით, რომლითაც სამი შეიცნობის სამ სახედ: „ვითარ ერთსა შორის მიზეზებით, ვითარ თჳთ თჳს შორის მყოფობით, ვითარ სხუასა შემდგომს შორის თანმექონებით“ (გვ. 81), ე. ი. სამი არის შემდგომ რიცხვთა წარმომშობი.

იოანე პეტრიწი მიზეზთა და შედეგთა სერიის დაწესების საკითხში დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს უმსგავსობის ცნებას. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მსგავსება“ არ წარმოშობს მიზეზის თვისებისაგან განსხვავებულ შედეგს, ვინაიდან მსგავსება გულისხმობს მიზეზის შედეგის თვისებათა იგივეობას. ამის გამო გამონახული უნდა იქნას ისეთი მიზეზი, რომელიც განასხვავებს ერთი მეორისაგან ყველა წარმოშობილ ქმნილებას, ე. ი. გახდის მათ ერთმანეთის უმსგავსოდ. ასეთ მიზეზად პეტრიწი სთვლის „უმსგავსობას“, ვინაიდან, რომ არ ყოფილიყო ძალათა და მიზეზთა განმასხვავებელი რამ, მაშინ არც ყოფიერების მრავალფეროვანი სერია იქნებოდა. ყოველი მსგავსი პოტენცია აიგივეებს და არაფრით არ განასხვავებს შედეგს მიზეზისაგან, მაგრამ თუ მოვლენათა დაუსრულებელ სერიაში შეიჭრება უმსგავსობა, მაშინ იგი წარმოშობს მიზეზისაგან განსხვავებულ მოვლენას, ე. ი. შედეგს განასხვავებს მიზეზისაგან (იხ. გვ. 78).

პეტრიწის თვალსაზრისით, მსგავსებისა და უმსგავსობის ეს ორი პრინციპი საფუძველს უყრის ყოფიერების კანონზომიერებას, მიზეზთა და შედეგთა სერიას. პეტრიწის შრომის იმ თავში, სადაც იგი ყოფიერების პრობლემას ეხება, „უმსგავსობის“ ცნება მოთავსებულია პლატონის მიერ დადგენილ ხუთი კატეგორიის შორის (არსი, თვისება, სხვაობა, ქმნადობა და მოძრაობა). ამავე დროს ჩვენი მოაზროვნე ამტკიცებს, რომ პლატონმა ყოველივე განსხვავება და განყოფა აღიარა პირველ განსხვავებისაგან წარმოშობილად.

მიზეზთა თანრიგს პეტრიწი იწყებს, თანახმად მისი საფეხურებისა, პირველად მიზეზისაგან — უზენაესი „ერთიდან“. ეს პირველადი მიზეზი თვით უმიზეზოა, მარადიული, უძრავი, სრულქმნილი, მთლიანად ფლობს პოტენციას და ენერგიას (გვ. 66).

პირველად მიზეზს ჰბაძავს ნამდვილი ყოფიერება, რომელიც წარმოადგენს გონებრივ სფეროს, და თავის მხრივ წარმოშობს ყოფიერების ქვედა საფეხურებს. ამ კოსმოსსაც ახასიათებს მარადიულობა, უცვლელობა და ძიება (იგი შეესაბამება პლატონის იდეათა სამყაროს). შემდეგ საფეხურად მიზეზთა და მოქმედებათა თანრიგში აღიარებულია სული — წყარო ყოველივე ცხოვრებისა, იგი თვითმოძრავია და მას მოძრაობაში მოჰყავს თავისი არსისაგან წარმოშობილი მოვლენები.

სული კიდევ უსხეულო სფეროა, რომლის ქვედა საფეხური მატერიალურ სამყაროს უჭირავს. ეს სამყარო თვითმოძრავი არ არის, მაგრამ სხვისი საშუ-

ალებით მოდის მოძრაობაში, იგი იმყოფება დროში და სივრცეში, ცვალებადობაში და ხრწნაში. ამგვარად, ყოფიერების თანრიგში ხორციელი და მატერიალური სამყარო პეტრიწისათვის ყველაზე ქვედა საფეხურია.

*

* *

მ ა ტ ე რ ი ი ს მიმართ პეტრიწი ხშირად ხმარობს ისეთ დამახასიათებელ გამოთქმებს, როგორიცაა: უსახო, ამორფიული, უმოქმედო და გუარს მოკლებული. უნებლიეთ იჭრება საკითხი თუ: რას წარმოადგენს მატერია პეტრიწის სისტემაში? არის თუ არა იგი განსაკუთრებული პრინციპი, საწინააღმდეგო „ერთისა“ და მისგან დამოუკიდებელი? მაგრამ ასეთი მეორე პრინციპის დაშვება „ერთის“ გვერდით პეტრიწის ფილოსოფიას არ შეუძლიან, ვინაიდან იგი მიილტვის გააერთიანოს ყოველივე ერთსა და იმავე საწყისს ქვეშ. ჩვენი მოაზროვნე დაჟინებით ამტკიცებს, რომ მატერიის ერთი არის არა ყოფიერება, წარმოშობილი „ერთისაგან“, რომ მატერიას არ შეუძლიან თავი დააღწიოს „ერთს“. უზენაესი „ერთი“ გუარზე უზენაესია, ხოლო მატერია, როგორც მატერია, წარმოადგენს „ერთს“, მაგრამ ნაკლებ მნიშვნელოვანს, ვიდრე გუარი; მართალია, ერთი მატერიისა არის უ ზ ე ნ ა ე ს ი მ ე ო რ ე, მაგრამ მოკლებულია გუარს („ხოლო ნივთი, ვითარ ნივთი ერთ, მაგრა უდარეს გუართა ერთი, ვ ი თ ა რ ზ ე ს თ ა ჲ მ ე ო რ ე“) (გვ. 59).

ამრიგად, პეტრიწისათვის მატერია არ არის დამოუკიდებელი მეტაფიზიკური პრინციპი, იგი, ისე, როგორც ყოველივე, წარმოსდგება ერთისაგან, „საკუთრებით პირველ პირველი ყოველთაჲ, და ზესთაჲ ზესთათაჲ ერთი, უმიზეზოდ მიზეზი სწორად ყოველთაჲ; და კუალად ს ხ უ ა ჲ ცა ე რ თ ი პ ო ვ ა ნამრლუევმან და ნუთმან გულის—სიტყუამან, რომელსა ვიტყჳთ ნივთად უმორფოდ“ (გვ. 126). მიუხედავად მისი ამორფიულობისა, ეს „სხუაჲ ერთი“ ასრულებს გარკვეულ როლს ყოფიერების ქმნადობაში, იგი არის უზენაესი მეორე—„სხვაჲ იგი ერთი, რომელსა ნივთად... უწოდა ხედვამან“ (გვ. 126). იგი ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე გუარი. ზემოთ მოყვანილი ადგილები ნათელყოფენ, რომ პეტრიწისათვის მატერია არსებული რეალური სინამდვილეა. მაგრამ ჯერ კიდევ გამოურკვეველი რჩება, თუ რა როლს თამაშობს მატერია ყოფიერების იერარქიაში: როგორც ეხლახან იყო თქმული, მატერიის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას არაყოფიერება წარმოადგენს; მიზეზის საკითხის განხილვის დროს კი პეტრიწი ამბობდა, რომ მიზეზი შედეგს ჩამოაშორებს არაყოფიერებას, თავისი ბუნებიდან მიაკუთვნებს შედეგს არსებობასა და თვისებას. ამ დებულებათა განხილვიდან სჩანს, რომ მატერია ჩვენი მოაზროვნისათვის არის ეგრეთწოდებული ყოფიერების მასალა, რომელზედაც „ერთი“ აღბეჭდავს თავის სახეს, და ამ საშუალებით გადააქცევს მას ყოფიერებად. პეტრიწის ეს თვალსაზრისი ფრიად ახლოსაა არისტოტელეს შეხედულებებთან, რომლისთვისაც მატერია არის ყოფიერების „შესაძლებლობა“ და იგი ღებულობს თავის რეალიზაციას ფორმის საშუალებით. „მატერია“ ერთისადმი თანაზიარობის მეოხებით ისწრაფვის უზენაეს სიკეთისადმი, რის გამოც იმყოფება უსახოთა და მშვენიერებისაკენ მლტოლველ გუართა შორის. ამორფიულ მატერიას აქვს „მიზიდულობა უზენაეს ერთისადმი“. მაგრამ ასეთი მიდრეკილება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მლტოლველისა და ლტოლვის საგანს შორის მსგავსება არსებობს.

ჩვენ დებულებას მატერიის ლტოლვის შესახებ ბევრი მკვლევარი არ ეთანხმება და გვიპასუხებს, რომ უგუარო მატერია სავსებით უმსგავსო, უზენაესი გუარისა და როგორ შეუძლიან მას მისდამი ლტოლვაო. ამ დებულებას პეტრიწი უარყოფს იმ მითითებით, რომ, მართალია, მატერია მოკლებულია საზღვარს და გუარს, მაგრამ ერთობლიობით იგი ჰბაძავს აბსოლუტურ ერთს და ემსგავსება მას, ხოლო ეს მსგავსება იწვევს მატერიაში სურვილს ლტოლვისას უზენაესი ერთისადმი, რათა უზენაესი სიკეთის მეოხებით გაკეთილშობილდეს. ამრიგად, მატერია კავშირშია „ერთთან", როგორც თავის პირველად მიზეზთან და მისი ლტოლვის მიზანთან, საფიქრებელია, პეტრიწი პლატონის გავლენით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მატერია არის ყოფიერების ქვედა საფეხური და, როგორც ყოველი არსებული, ისიც მიილტვის თავისი პირველადი მიზეზისადმი. ხოლო დახასიათება მატერიისა, როგორც ყოფიერების „შესაძლებლობისა", მან აშკარად არისტოტელეს გავლენით აღიარა. ჩვენის აზრით, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს დაპირისპირება მატერიის ცნებისა უსაზღვროების ცნებასთან. თავისი შრომის შესავალში, აწესებს რა ყოფიერების იერარქიას, პეტრიწი უზენაესი ერთის და სიკეთის მომდევნოდ სთვლის პირველ საზღვარს და პირველ უსაზღვრობას. გამოდის, რომ „ერთი" დიალექტიურად გამოჰყოფს თავის თავში საზღვარს — შემოქმედების საწყისით და მის საწინააღმდეგოდ — უსაზღვროებას, როგორც პასიურობის საწყისს. ხოლო, როგორც ჩვენ ვიცით, პეტრიწისათვის მატერია არის ყოფიერების შესაძლებლობა, რის გამოც დასაშვებად მიგვაჩნია, რომ უსაზღვროება, რომელსაც თავის თავში დიალექტიურად გამოჰყოფს უზენაესი, „ერთი" მატერიის უსაზღვროებას წარმოადგენს, ე. ი. მატერია არის ყოფიერების უსაზღვროება. ამ გზით მივიდა იოანე პეტრიწი მატერიის უზენაეს „მეორედ" აღიარებამდე, მაგრამ იგი თავის საფეხურით გუარზე დაბლა იმყოფება, ვინაიდან გუარი, როგორც საზღვარი, პეტრიწის კონცეპციით უსაზღვროების უზენაესია.

პეტრიწის აზრით, მატერია არის „ერთის" მსგავსიც და უმსგავსიც. რამდენადაც მატერია უმსგავსია, იმდენად იგი არ არის მუდმივი, განიცდის დაშლას, მიზეზია ხრწნისა და ცვალებადობისა. ამრიგად, მატერია არის საწყისი მოძრაობისა, ცვალებადობისა, ხრწნისა, ხოლო ეს ანათესავებს მას უპირატეს ხორციელ მსოფლიოსთან, რომელსაც ყველა ზემოთჩამოთვლილი თვისება ახასიათებს. მიუხედავად ამისა, მატერია პეტრიწის მიერ უშუალოდ არსად არ არის შეცნობილი ფიზიკური სამყაროს პრინციპად, ასეთად პეტრიწი ყველგან ოთხ ელემენტს აღიარებს.

იოანე პეტრიწის სოფლმხედველობის თანახმად, მატერიის როლი შეიძლება განმარტებულ იქნას შემდეგნაირად: მატერია, როგორც უზენაესი მეორე, ყოველი მოვლენისათვის წარმოადგენს მასალას, მაგრამ ყოფიერების უმაღლეს საფეხურზე, სადაც სჭარბობს უზენაესი „ერთი", მატერია რჩება პასიური, იქ იმარჯვებენ „ერთის" თვისებები, როგორიც არიან: უძრაობა, მარადიულობა, უცვლელობა; ხოლო რაც შეეხება უზენაეს ერთიდან დაცილებულ დაბალ საფეხურებს, როგორიც არიან ხორციელი მოვლენანი, იქ სჭარბობენ და იმარჯვებენ თვით მატერიის დამახასიათებელი თვისებანი: ცვალებადობა, მოძრაობა, ხრწნა და რღვევა.

პეტრიწის აზრით, ყოველი შექმნილი და წარმოშობილი მოვლენა ყოფიერების იერარქიაში უფრო დაბალ საფეხურზე იმყოფება, თუნდაც იგი უკვდავ

მოვლენათა კატეგორიას ეკუთვნოდეს, ვიდრე თვითმდგომარე არსი. შექმნის პროცესი პეტრიწისათვის წარმოადგენს „უსრულობისაგან“ „სრულობაზე“ გადასვლის გზას. თუ საფუძვლად ავიღებთ დებულებას, რომ „ქმნადობა გუარ ვიდრემე არს“ და მსჯელობის დროს გამოვალთ გუარის ცნებიდან, ნათელი გახდება, რომ ცნება „ყოფნა“ უარყოფს ქმნადობის პროცესს, ვინაიდან გუარნი და გუართა თვისებანი უცვლელი არიან, ხოლო ყოველი ქმნადობა მოძრაობაში შეიცნობა. მოძრაობა ეწინააღმდეგება უძრაობას, არისტოტელე კი მოგვითხრობს თავის „ფიზიკაში“, რომ ყოველი ქმნადობის პროცესი ხდება გუარის ფარგლებში, ესე იგი, შენიშნავს პეტრიწი, არისტოტელე ამას ამბობს არა გუარის, არამედ ქმნადობის იმ პროცესის შესახებ, რომელიც გუარის ფარგლებში სწარმოებს. ეს კი ნიშნავს, რომ შეცნობის ყოველი ობიექტი, რომელიც ილტვის სრულობისადმი და იმყოფება ბუნებრივ მოძრაობაში, ემსგავსება გუარს, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გუარი. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად პეტრიწი მიმართავს მაგალითებს და ამბობს, რომ ცხოველთა საშოში მოთავსებული თესლი მოძრაობის მეოხებით ქმნადობაშია და ამდენად ის ემსგავსება გუარს, მაგრამ თავისთავად იგი ჯერ კიდევ არ წარმოადგენს გუარს, რადგან გუარი ამ პროცესის დასრულებისას წარმოიშობა, ე. ი. მაშინ, როდესაც უსრულობა მიაღწევს სრულობას. ასევეა სახლი, რომელსაც ჩვენ შევიცნობთ მშენებლობის პროცესში, იგი შენდება როგორც სახლი, მაგრამ ჯერ კიდევ არ წარმოადგენს სახლს — ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ხოლო როდესაც გუარი აღწევს თავის „სრულობას“, მაშინ სწყდება მოძრაობა, ვინაიდან გუარი თავისთავად უძრავია. ასეთი არის მატერიალურ გუართა კანონზომიერება, რომელიც წარმოადგენს იოანე პეტრიწის სულიერი განწყობილების გამოძახილს.

ამრიგად, იოანე პეტრიწს ისტორიული მიზეზებისა გამო არ შეეძლო შეზღუდულიყო მხოლოდ პლატონის რაციონალიზმით, ვინაიდან დავით აღმაშენებლის ეპოქა მოითხოვდა მეტ პოზიტიურ ცოდნას. ეს ეპოქა დაედვა საფუძვლად პეტრიწის სოფლმხედველობას, სადაც გარკვეულ მისტიციზმთან ერთად მოცემულია ფაქტიური სინამდვილის ერთგვარი განხილვაც, ხოლო ამ რეალისტური ტენდენციების მიჩქმალვა გამოიწვევს პეტრიწის სოფლმხედველობის ცალმხრივ გაშუქებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იოანე პეტრიწის რეალისტური ტენდენციები უფლებას გვაძლევენ მისი სოფლმხედველობა გნოსეოლოგიურ რეალიზმად ვაღიაროთ, თუმცა ფრიად შეზღუდულ ფორმებში, ვინაიდან პეტრიწის მატერიალური სამყარო მართლაც არის ნამდვილი სამყარო, მაგრამ არა თავისთავად არსებული, არამედ დაფუძნებული პირველი „ერთის“ მიერ, რომელიც წარმოადგენს ცხოვრების პირველად მიზეზს. ყოველ შემთხვევაში, ისტორიული თვალსაზრისით, იოანე პეტრიწის სოფლმხედველობის რაციონალური და რეალისტური ელემენტები წარმოადგენდნენ გაბედულ პროტესტს ქრისტიანული დოგმატიზმის წინააღმდეგ საშუალო საუკუნეების პერიოდში.

*
* *

იოანე პეტრიწი მოძრაობის ხასიათის მიხედვით აღიარებს არსთა სამ კატეგორიას: „მიუდრეკელსა“, „თვითმიმდრეკსა“ და „სხვსა მიერ მიდრეკადსა“. პირველ კატეგორიას მიეკუთვნება გონებრივი სფერო ანუ ნამდვილი ყოფიერება — იგი თავისი არსით და მოქმედებით უძრავია და იმყოფება ყოველივე

მოძრავ და ცვალებად მოვლენებზე მაღლა. მეორე კატეგორიას პეტრიწი აკუთვნებს სულს — თვითმოძრავი არსნი — „თვთმიმდრეკელობითსა ძალსა დასდებს სულისა არსებასა შორის“ (გვ. 47). მესამე კატეგორიას მიეკუთვნებიან სხვისი დახმარებით მოძრავი სხეულები, — ასეთია ბატერიალურ ბუნებაში მოცემული შეგრძნობადი ნივთები.

სულის „თვითმიმდრეკელობა“ არის ძალა და მიზეზი ცხოვრებისა. სული იწოდება თვითმოძრავად იმისათვის, რომ არვისგან არ ღებულობს არსებობას და არსებობს არა რაიმე მიზეზის მეოხებით, არამედ თვითმოძრაობა წარმოადგენს მისსავე საკუთარ ბუნებას, ისევე, როგორც სინათლე არის ბუნება ნათელისა. მოძრაობა სულისა თავისთავად წარმოადგენს სიცოცხლეს და სიცოცხლის წყაროს. „რამეთუ, სადაცა მიეფინოს მწუერვალი სულისა ნაკადთაჲ, მუნცა ცხოველ და მიმდრეკელ ჰყოფს მას“ (გვ. 47). სული მოძრაობს და მოქმედობს თავისი ბუნების მიხედვით. ამ მოსაზრებას პეტრიწი ასურათებს სულისათვის დამახასიათებელი შემეცნების მაგალითებით. სული შეცნობის დროს შესაცნობ ობიექტს აღიქვამს არა გარეგნული ცვალებადობის საშუალებით; შეგრძნება ითვლება მოკვდავ არსებათა დამახასიათებელ თვისებად, რის გამოც სული გონებისათვის მისაწვდომ მოვლენათა შინაარსს თავის თავშივე ნახულობს და არა გარემოში. თვითმოძრაობა სულისა არის აბსოლუტური სიცოცხლე ანუ ცხოველუნარიანობა. ეს სიცოცხლე წარმოშობილია სულთან ერთად, მსგავსად ცეცხლისა, რომელიც მუდამ იძლევა სითბოს და რაც წარმოადგენს ცეცხლის თვითმოძრაობას; როგორც ცეცხლის დამახასიათებელია სითბო, ისე სულის დამახასიათებელია სიცოცხლე (გვ. 57). მაგრამ სული მოკლებულია გონების თვისებებს, ვინაიდან გონებას ახასიათებს თანდაყოლილი უნარიანობა დაუშრეტელი შემეცნებისა და ცოდნა-არცოდნის მარადიული მთლიანობა. სული კი, გონებისათვის დამახასიათებელი მთლიანობის ნაცვლად, განუწყვეტლივ მოძრაობაშია არცოდნიდან ცოდნისაკენ და პირუკუ. მართალია, სულს ახასიათებს დაუშრეტელი მარადიული სიცოცხლე, მაგრამ შემეცნებას იგი მოკლებულია. გონებას კი ახასიათებს როგორც სიცოცხლე, ისევე შემეცნება. ამის გამო სიცოცხლე სულისა წარმოადგენს გონების გამოსახულებას. ჩვენ ვიცით, ამბობს პეტრიწი, თუ რა მრავალფერია ცხოველთა სამეფო, რომლისთვისაც სიცოცხლე ბუნებრივ თვისებას წარმოადგენს, ხოლო უზენაესი პოტენცია შემეცნებისა მათ გარედან აქვთ შეძენილი. ამიტომ სრულიად მართებულია არისტოტელე, — განაგრძობს პეტრიწი, — როდესაც „გარედან“ შეძენას (თვრათენ) ადარებს მზის სხივთა ნაკადს ჭუჭრუტანას საშუალებით ოთახში შეჭრილს. ამრიგად, სულში მოცემულია პოტენცია და ენერგია სიცოცხლისა, ხოლო შემეცნების პოტენცია და ენერგია შეძენილი თვისებაა. ამით ანსხვავებს პეტრიწი სულს გონებისაგან. „სულის თვითმიმდრეკლობის“ კონცეპცია პეტრიწს აღებული უნდა ჰქონდეს პლატონისაგან, რომელიც აგრეთვე სულს სთვლის თვითმოძრავად. თვითმოძრაობას პეტრიწი აიგივებს სიცოცხლესთან და აქედან გამოსული აღიარებს სულს სიცოცხლის პრინციპად, მოძრაობის და ცვალებადობის საწყისად. პლატონიც ასევე აკუთვნებს სულს შინაგანი (ფსიქიური) მოძრაობის უნარიანობას, აზრის, გადაწყვეტილების, ნების და სხვათა ცვალებადობას.

ამრიგად, პეტრიწისათვის სული თვითმოძრავია, გონება კი უძრავი, მაგრამ, მიუხედავად მისი მოძრაობისა, მასში არის მოცემული ძალა, რაც იწვევს სხვა მოვლენათა მოძრაობას. ეს ძალა გაგებულ უნდა იქნას მეტაფიზიკურად, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც ქმედუნარიანობა, აქტიურობა, ნაყოფიერება, შემოქმედებითი და მწარმოებელი ძალა.

ხილული სამყაროს მოძრაობას, პეტრიწის აზრით, ახასიათებს სამი განზომილება: სივრცით გარემოცული სიგრძე, სიგანე და სიღრმე. ბუნების მოძრაობა ნიშნავს ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადასვლას, ე. ი. სივრცეში გადანაცვლებას (გვ. 50). უზენაესი სხეული — ცის სფეროც კი მოძრაობს სივრცეში. სულის მოძრაობას სივრცეში პეტრიწი კატეგორიულად უარყოფს, სული, როგორც უსხეულო, არ შეიცავს სივრცეს და არც მოძრაობს ადგილის გადანაცვლებით, ვინაიდან „სხუაჲ არს ადგილიცა უსხეულოთაჲ და სხუაჲ მიდრეკაჲცა მათი“.

მართალია, ცის სფეროს მოძრაობა ხდება სივრცეში, მაგრამ ცის მიქცევა განსხვავდება მოძრაობის იმ ფორმებისაგან, რომლებიც ადგილის გადანაცვლებას გულისხმობენ. პეტრიწი ანსხვავებს მოძრაობას ადგილის გადანაცვლებით სფერიული მოძრაობისაგან. ამრიგად, თავის ირგვლივ მოქცევა არ ნიშნავს ადგილის შეცვლას, ვინაიდან სფერომ თავისი მოძრაობა, „რომელსა ზედა იწყო, მასზე ზედა მისრულდა“. პეტრიწი, მსგავსად არისტოტელესი, ანსხვავებს მოძრაობის სამ ფორმას: პირველი, როდესაც მოძრაობა გამოდის ცენტრიდან, მეორე, როცა იგი ცენტრისაკენ მიისწრაფვის და მესამე, როდესაც მოძრაობა ცენტრის ირგვლივ მოქცევით სწარმოებს. მაგრამ მოძრაობის ყველა ეს სახე წარმოსდგება წერტილიდან (სიმიაჲსაგან).

გასარკვევია, წარმოადგენს თუ არა ეს წერტილი პეტრიწისათვის ღერძს, რომლის ირგვლივ სწარმოებს ყველა სფერიული სხეულის ბრუნვა, თუ ეს არის უძრავი ცენტრი, რომლის ირგვლივაც ცა მიმოიქცევა. პერიპატოელთა ფიზიკიდან ცნობილია, რომ ამ ცენტრს წარმოადგენს სხეული, და ეს სხეული უნდა იყოს ცენტრალური, ასე სწერდა „ცის ტრაქტატის“ ყველა კომენტატორი და ამტკიცებდა, რომ სფერიული მოძრაობის პირობები გულისხმობენ ცენტრალური სხეულის არსებობას, რომელიც არ შეიძლება იყოს ნაწილი მოძრავი სფეროსი, არამედ წარმოადგენს მისთვის გარეშე უძრავ სხეულს. ამასთანავე, მართალია, პერიპატოელნი და თვით არისტოტელეც გარკვევით არ ასახელებენ თუ რა უნდა იყოს ეს უძრავი ცენტრი, მაგრამ მეტად სარწმუნოა, რომ ამ ცენტრად ისინი დედამიწას გულისხმობდნენ. რასაკვირველია, პეტრიწისათვისაც დედამიწა არის გარკვეული მოცულობის სხეული, რომლის მიმართ ცა სხვადასხვა დროს სხვადასხვა მდებარეობაში იმყოფება, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ მიწა პირველადია ცის მიმართ, ე. ი. რომ დედამიწა არის ცენტრი. პეტრიწის აზრით, მოძრაობა მეხუთე არსისა (ცისა) განირჩევა და განსხვავდება ბუნების სხვა ელემენტებისაგან, და თავისი ბუნებით მოძრაობაში იმყოფება, როგორც სფერიული გეომეტრიული ფიგურა „რამეთუ სადაჲთ იწყებს, და მასვე ზედა შეისრულებს, ვითარ დაულევნელი და დაულევნელთა საუკუნეთა თანა განმტკავლებული“ (გვ. 216).

ამრიგად, ცხადია, რომ, პეტრიწის აზრით, დედამიწა არ წარმოადგენს პირველადს ცის სფეროს მიმართ, არამედ ცა არის უნივერსალური, იმყოფება მარადიულ ქმნადობის პროცესში და წარმოადგენს მარადიულობის განზომილებას. მარადიულობა კი არის დაუსრულებელი ხანგრძლივობა მსოფლიო პროცესისა, ვინაიდან ყოველი მარადიულობა არის განხორციელება მსოფლიოს უსაზღვროებისა, ხოლო ყოველი დრო — უსაზღვრო დროისა. ხოლო დრო და მარადიულობა წარმოადგენს, პეტრიწის აზრით, განზომილებას და საზ-

ღვარს ყოფიერებისა — სიცოცხლისა და მოძრაობისა. დრო ყოველი მოძრაობისა ობიექტურ სინამდვილეშია მოცემული, ხოლო ეს სინამდვილე მარადიულ მოძრაობაში და განუწყვეტელ ქმნადობაშია. განზომილების ყოველი ობიექტი დროით განიზომება, — ეს ნათლად სჩანს ცხოველთა ასაკიდან. მზეს უპყრია გაბატონებული მდგომარეობა დროის მოძრაობაში, იგი ხელს უწყობს სიცოცხლისა და სიკვდილის პროცესს; დროშივე განისაზღვრება ყოვლის შემცველი ცის სფერო, დრო არის აგრეთვე ბუნების ოთხი ელემენტის თანამოზიარე; ყოველი სფეროს ბუნება, ოთხი ელემენტის ბუნება და ბუნება ყოველი ცოცხალი არსებისა, დროში არის მოქცეული. საერთოდ, დრო ცვალებადია, მაგრამ გარდაუვალი, ისევე, როგორც ბუნება, ვინაიდან სიკვდილიანობა ახასიათებს მის ცალკეულ ელემენტებს, მაგალითად კაცს, ცხენს, ირემს ან თევზს და არა საერთოდ ბუნებას. ეს ელემენტები ჰქრებიან, როგორც გარკვეული კონკრეტული მოვლენანი. ასეთსავე ცვალებადობას განიცდის ოთხი ელემენტი, მაგალითად, ცეცხლი ქრება და მიწად იქცევა, წყალი აორთქლდება და ცივ ატმოსფეროში გადავა, ჰაერი კი, როგორც ელემენტი, ტემპერატურულ ცვალებადობას განიცდის. ამრიგად, იცვლებიან ოთხი ელემენტის დამახასიათებელი ცალკეული თვისებანი, მათი ბუნება კი გარდაუვალი რჩება. ამას გვასწავლის ჩვენ, — ამბობს პეტრიწი, — არისტოტელე თავის წიგნში, რომელსაც მან უწოდა „Περὶ γενέσεως καὶ φθορᾶς“ — „ქმნისა და ხრწნისათჳს“ (გვ. 119). ამ გზით უახლოვდება პეტრიწი არისტოტელეს რაციონალიზმს და შემეცნების ემპირიულ თეორიას.

პეტრიწის აზრით, სამყაროს დამახასიათებელ თვისებას სხეულთა მოძრაობა წარმოადგენს. იგი იწვევს მოვლენათა ცვალებადობას, მაგრამ ცვალებადი და გარდამავალი არიან ბუნების ელემენტები და არა თვით ბუნება. ამ ცვალებადობის გამო იცვლება ჩვენი შეგრძნებაც და შეცნობილი გარდასული მოვლენის შესახებ მეხსიერებაში რჩება მხოლოდ წარმოდგენა. მაგალითად, ცხოვრობდა გარკვეული თვისებების მქონე ესათუის ადამიანი, იგი გარდაიცვალა, როგორც ბუნების კონკრეტული სახე, ხოლო მისი ხსოვნა დარჩა. ამრიგად, სხეული, როგორც ბუნების ელემენტი, თავის კონკრეტულ თვისებათა ცვალებადობას განიცდის და განუწყვეტელი ურთიერთგარდასვლით ერთმანეთს შეენაცვლება. ჩვენს მეხსიერებაში აღბეჭდილი წარმოდგენები კი გარდასულ მოვლენათა შესახებ პეტრიწმ გამოიყენა მხოლოდ როგორც პირობა ცვალებადი ობიექტის შემეცნებისათვის. სხეული მოძრაობის პროცესში იძენს თავისი თვისებისათვის დამახასიათებელ ფორმას; მაგალითად, წყლისათვის დამახასიათებელია აორთქლება, ხოლო ამ უკანასკნელის მეოხებით წყალი შეიძლება გარდაიქცეს ნოტიო ატმოსფეროდ. ამრიგად, სხეული ცვალებადობის პროცესში იძენს გარკვეულ თვისებას, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს მისი არსის იმანენტურ ფორმას.

მოძრაობის მეორე სახედ პეტრიწი აღიარებს „უკუნმქცევ“ მოძრაობას. „უკუნმქცევი“ მოძრაობა არ ნიშნავს „უკუნქცევას“ სივრცეში, ვინაიდან ცნობილია, რომ სივრცეში მხოლოდ სხეულთა მოძრაობა ხდება, „უკუნმქცევი“ მოძრაობა კი ეხება უსხეულო არსთ: „რამეთუ ყოველი უკუნმქცევი ამის თჳსშორისისა ერთისა სიყუარულითა უკუნ იქცევის, რაჲთა პოვოს თჳსშორისისა ერთისა მიერ საწყური მყოფთაჲ და მზე ერთთაჲ“ (გვ. 49). სხეულს არ შესწევს უნარი დაუბრუნდეს თავის თავს, რადგან მისი ნაწილები ყოველთვის სივრცეში არიან გაფანტული, იმ შემთხვევაშიც კი, როცა სხეული სფერი-

ულია. ამრიგად, „უკუნმქცევი“ მოძრაობა, დამახასიათებელი მხოლოდ უსხეულო არსთათვის, პირველად უბრუნდება თავის ცენტრს — ერთს, ხოლო შემდგომ მისი მეოხებით — უზენაეს სფეროს. რაც შეეხება „უკუნ“ მოძრაობას, მასში იგულისხმება მიზანდასახულება უზენაესი „ერთისადმი“, რაც დამახასიათებელია ყოველი მოვლენისათვის და მათ შორის ამორფული მატერიისათვისაც, რამდენადაც მატერია ეზიარების „ერთს“ (გვ. 83).

*

* *

მოძრაობის პრობლემასთან დაკავშირებით, პეტრიწი არკვევს დროს პრობლემას, და ამ საკითხის გაშუქებისას ემყარება, ერთის მხრივ, არისტოტელეს მოსაზრებას, რომ „ხრონოჲ არსო საზომი მიდრეკისაჲ, ვითარად საზომი პირველისა მიდრეკისაჲ“ (გვ. 107). ხოლო მეორეს მხრივ — პლატონის, პლოტინის, პორფირეს და იამბლიხოსის დებულებას, რომ: „ხრონოჲსათვის იტყჳან ხატად სამარადმყოჲსად“ (გვ. 108). პეტრიწი არკვევს უკანასკნელ მოსაზრებას და ამბობს, რომ მარადიული არსებობა ითვლება უზენაესი გონებრივი სფეროს დამახასიათებელ თვისებად, ვინაიდან იგი იმყოფება დაუშრეტელ ნათელსა, არსსა და დროს შორის; იგი უძრავად არის მიჯაჭვული თავის მარადიულ არსებობასთან. პირველ სხეულს ცას, ცის სფეროს (რომელიც, პეტრიწის აზრით, შეიცავს მზეს, პლანეტებსა და ვარსკვლავებს) უპყრია საშუალო მდგომარეობა გონებრივ სფეროსა და ხრწნად ბუნებას შორის. ცის მოძრაობა მოცემულია ხრონოსში — აბსოლუტურ დროში, ეს დრო არის გამომსახველი ცის მარადიული არსებობისა. ცის სფერო, უძრავი უზენაესი სფეროს წინააღმდეგ, მოძრაობაშია, რის გამოც მისთვის დამახასიათებელია დროს კატეგორიები: ნამყო, აწმყო და მყობადი. „რამეთუ იყო ქცევაჲ სფეროთაჲ, და არს ქცევაჲ სფეროთაჲ, და იყოს ქცევაჲ სფეროთაჲ“ (გვ. 110). მაგრამ ცის სფეროში ნამყო კავშირშია მყობადთან და მასში იმყოფება, იქცევა რა საწყისად მეორე მოძრაობისა, რომელშიც „ჰგიეს იგი უკვდავად და დაუვსებელად“. ამრიგად, პეტრიწის აზრით, ცის სფეროს მოძრაობა და ცვალებადობა ემორჩილება გარკვეულ კანონზომიერებას, რიტმს. ეს კანონზომიერება, ეს რიტმი, მარადიულია და უკვდავი, ისინი წარმოშობენ აბსოლუტურ დროს — ხრონოსს, რომელიც სწორედ ამის გამო იწოდება „ხატად სამარადმყოჲსად“.

პეტრიწი, პლატონისა და არისტოტელეს დებულებათა სინთეზის საფუძველზე, შემდეგნაირად განსაზღვრავს დროს პრობლემას. ხრონოსი წარმოადგენს მარადიული არსებობის გამოსახულებას და მოძრაობის საზომს. საერთოდ, ხრონოსი „ნაწილთა მიერ აღაგებს, და მისცემს საზომსა ცხოვრებისასა, და თჳსთა ორლანოთა მოქცევისა თანა შეაკრავს საზომსა მყოფისა მის აღგებულისასა“ (გვ. 111). ცის სფეროს კანონზომიერი, რიტმული მოძრაობა, კერძოდ, მზის წლიური მოქცევა განაგებს სხეულთა მოძრაობას და ცვალებადობას; „და თანა შეაკრავს თჳსთა მოქცევათა ხრონოსა, რომელ არს წელიწადი, საზომსა განსაზიდთა და მყოფობისა მათისათა“ (გვ. 112). ასე, მაგალითად, ცხოველთა ასაკი დამოკიდებულია წელზე და ყოველი ასაკი განიზომება წლიური დროით, დროშივე ხდება ხრწნა ყოველი წარმოშობილისა.

პეტრიწი ანსხვავებს ხრონოსს (Χρόνος) კეროსისაგან (Καιρός) და ამბობს, რომ ჩვენი ტერმინი „ჟამი“ ვერ გამოხატავს ხრონოსის მნიშვნელობას და იგი შეეფარდება კეროსს თავისი ძალით, „ხოლო კეროჲ ნაწილი არს და ნაწილის

ნაწილი ხრონოსსა“ (გვ. 108). პეტრიწის აზრით, არისტოტელეს მიმდევარი პერიპატოელნი სცდებიან, როდესაც ხრონოსს არ აკუთვნებენ თავის ადგილს, ვინაიდან თვით არისტოტელე ამბობს, რომ ხრონოსი — ეს საზომი მოძრაობისა და სახელდობრ პირველი მოძრაობის საზომი, ხოლო პირველი მოძრაობა იმყოფება პირველ სხეულთა შორის, რასაც ელინურ ენაზე ეწოდება „ურანოს“—ცა. ეს ცა, როგორც სხეული, წარმოადგენს პირველს მოძრავ სხეულთა შორის.

პეტრიწი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ხრონოსში დროს ყველა კატეგორია—ნამყო, აწმყო და მყობადი — მოცემულია ერთქმნადობაში, სადაც ერთი მოძრაობის დასასრული წარმოადგენს დასაბამს მეორე მოძრაობისათვის. რაც შეეხება „კეროსს“, რომელიც განაგებს ხრწნადი ბუნების მოქმედებას, მას არ შესწევს უნარი შეაერთოს მოძრაობის ბოლო მის ახალ საწყისთან და მოძრაობა გახადოს უკვდავად, ვინაიდან ხრწნადი ბუნება გარდამავალია და მარად იმყოფება „ქმნისა და ხრწნისასა“ შორის. კეროსში ერთი მეორეს მისდევს დროის სამივე კატეგორია. ამის შესაბამისად სიცოცხლე დროით განიზომება, რადგან „ყოველი იყოს განწვალებისა შორის მყოფი ჟამებრივისა მოვლისასა თანაგანზიდული მისდა“ (გვ. 111).

ამრიგად, პეტრიწი დროსთან დაკავშირებით არსთა სამ სახეს არკვევს: პირველი უზენაესი სახე — გონებრივი სფერო თავისი არსებობით და მოქმედებით არის მარადიული. მას მიაკუთვნებს პეტრიწი უსხეულო მოვლენებს, ვინაიდან უსხეულო „გუარნი“ არიან უკვდავნი და მქონენი დაუშრეტელი სიცოცხლისა; ისინი თვით არიან მიზეზნი მათთვის დამახასიათებელ თვისებათა და დროს მიღმა დგანან, ისინი არ არიან სივრცით გარემოცულნი და არ იმყოფებიან დროს მოძრაობაში. მეორე სახეს წარმოადგენს ცის სფერო, რომელიც მარადიულია, მაგრამ თავისი მოქმედებით იმყოფება მოძრაობაში და ცვალებადობაში, ე. ი. დროში. მესამე სახეს ხრწნადი ბუნება წარმოადგენს, რომელიც არსითაც და მოქმედებითაც განუწყვეტელ ცვალებადობაშია, ე. ი. დროში იმყოფება.

დრო გარდუვალია და დაუსრულებელი, ვინაიდან მსგავსად სფეროსი, მას არა აქვს არც დასაბამი, არც დასასრული. მზე წარმოადგენს ფიზიკურ სხეულს, რომელსაც ცის სფეროს მოძრაობაში პირველადი ადგილი უკავია. ცის სფერო განსაკუთრებული სტიქიაა, იგი განსხვავდება სხვა ელემენტებისაგან, როგორიცაა მიწა, ცეცხლი, წყალი და ჰაერი, ამიტომ მას პეტრიწი მეხუთე არსს უწოდებს. მოძრაობა ამ მეხუთე სტიქიისა სფერიული და თანაზომიერია, ეს უკანასკნელი შეუძლებელი იქნებოდა, რომ ცა ბურთისებური ფორმისა არ ყოფილიყო. იგი მოძრაობს მთლიანად და განუწყვეტლივ იცვლის თავის ადგილმდებარეობას, დედამიწა კი უძრავია და წარმოადგენს ცის მიმოქცევის ცენტრს.

ამრიგად აღიარა იოანე პეტრიწმა ბუნებრივი სამყაროს რეალური არსებობა. მაგრამ პეტრიწი სვამს საკითხს, ვინ შეამკო სამყარო ასე მრავალფეროვანად? დამაჯერებელია,—ამბობს პეტრიწი,—რომ ღვთაებრივმა ძალამ. თავისი ბრძნული შემოქმედებით წარმოქმნა ცის სფერო მთელი თავისი მორთულობით, ვინაიდან ვის შეეძლო მის გარდა ასეთი სიცხადით განესაზღვრა დღეღამე ურთიერთისაგან და ბუნების ყოველი ნაწილისათვის თავისი შესაფერი სახელი მიეცა? მაგრამ აქ პეტრიწი არ იძლევა რელიგიის სასარგებლო პასუხს, იგი ეჭვებს ბადებს მკითხველში და სათუოდ ხდის საკითხს ღვთაე-

ბის შემოქმედებითი ძალის შესახებ. „ნუ ღმერთი სახელთა სხამსა, ვითა იგი პეტრე, იოანე, ანუ არა ესთა არა? რამეთუ ესე ჩუენი და მეხრწნისა ამის ბუნებისა. ხოლო სადა მარტიობაჲ მარტიობათა ყოველთა, და ჩესთავების, მუნ სახელის დებადცა ბუნებაჲ ოდენ მარტოობითი არსცა და იმოქმედებისცა“ (გვ. 211), ე. ი. პეტრიწი სადაოდ ხდის, ღმერთი აწესებს სახელებს, როგორიცაა, მაგალითად, პეტრე, იოანე და სხვა, თუ ეს სახელები თავისთავად არსებობენ, და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ერთეულადობა საფუძველია ბუნების მოვლენათა სახელწოდებისა, ვინაიდან ბუნება შესდგება უთვალავ ცალკეულ მოვლენისაგან და ყოველ მათგანს ახასიათებს ყოფიერება მოქმედებაში. ამაზე უფრო ნათელი დამცირება „ყოველის შემძლე ღმერთისა“ არა თუ XI-XII საუკუნეების მიჯნაზე, არამედ უფრო მოგვიანო დროისათვისაც კი, ყოვლად წარმოუდგენელი იყო. ხოლო საშუალო საუკუნეების დოგმატიზმის პერიოდისათვის იგი გაბედული დეისტური გალაშქრებაა ქრისტიანობის წინააღმდეგ.

სრულიად მართებულია პროფ. სიმონ ყაუხჩიშვილის აზრი, რომ რელიგიური დოგმატიზმის საწინააღმდეგო მოსაზრებათა გამო იოანე პეტრიწი ქრისტიან ფანატიკოსთა მხრივ სასტიკ დევნას განიცდიდა. ამ დებულების დასამტკიცებლად ხსენებულ პეტრიწოლოგს მოჰყავს დიდი ისტორიული ღირებულების მქონე დოკუმენტი, სახელდობრ, პეტრიწის „განმარტების“ უძველესი ხელნაწერის წინასიტყვაობაზე დართული მინაწერი, სადაც გადამწერი უსაყვედურებს თავის თავს: „რასა ვწერ ანუ რასა გლახ ვმოქმედობ: გარნა გჳსწავიეს გუჱლთაგან თერიაჲ; და წარმოვსტყუჱნავ: ყოველსა ძალსა ქრისტეს მიერ: ამის წიგნისაგან წარწყდა სამგზის წყეული არიოზ“.[1]) პეტრიწის სოფლმხედველობის დეისტური ტენდენციები, რომელთაც თავის დროზედ მართლმორწმუნეთა გოდება გამოუწვევია, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ეს საკითხი სერიოზულ გამოკვლევას მოითხოვს, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი ჩვენი მკვლევარი საწინააღმდეგო აზრის დამტკიცებას ცდილობს და სრულიად უსაფუძვლოდ პეტრიწი თეოლოგიური დოგმატიზმის დამცველად გამოჰყავს[2]).

*

* *

დავით აღმაშენებლის ეპოქა ისეთი ცოდნის განვითარებას მოითხოვდა, რომელიც ხელს შეუწყობდა იმ დროისათვის გრანდიოზული პროგრამის განხორციელებას. ერთის მხრივ, არქიტექტურას მეცნიერების ისეთი დარგი ესაჭიროებოდა, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი გახდებოდა ტექნიკური და ესთეტიური ნორმების დაწესება. ხოლო მეორეს მხრივ, ვაჭრობის გაცხოველებული განვითარება მოითხოვდა კომერციული ანგარიშიანობის მოწესრიგებას. ეს პრაქტიკული საქმიანობა კი ერთგვარ სტიმულს წარმოადგენდა მათემატიკის და გეომეტრიის განვითარებისათვის. ეს გარემოება არ დარჩენილა იოანე პეტრიწის ყურადღების გარეშე, რის გამოც იგი მათემატიკის განხილვას პრაქტიკული თვალსაზრისით შეუდგა და შეეცადა გაეხადა

---

[1]) იოანე პეტრიწი, ტ. I, გვ. 16. 1938 წ.

[2]) კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ., ტ. I, გვ. 260—281, 1941 წ.

ის ყველასათვის მისაწვდომ ცოდნის დარგად. მართალია, პეტრიწის აზრით, რიცხვისაგან წარმოსდგება ყოველივე, მაგრამ ეს აზრი სრულიად არ შეესაბამება რიცხვთა პითაგორულ თეორიას, რომლის მიხედვითაც რიცხვები წარმოადგენენ მოვლენათა პირველად საწყისს. პეტრიწის აზრით, რიცხვებს აქვთ უნარი — რაოდენობითი ცვალებადობა რიცხობრივი განზომილებით გამოარკვიონ. მაგრამ ამ პროცესისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ისეთი რიცხვი, რომელიც გამრავლდება და მიღებული ნამრავლიდან ეს პირველი რიცხვი განსხვავებული იქნება. ასეთ პირველ რიცხვს წარმოადგენს რიცხობრივი ერთი, რომლის ერთეულებრივი მთლიანობა ანსხვავებს მას დანარჩენ რიცხვთაგან და რომელიც ყველა რიცხვს შორის მოსჩანს, როგორც პირველი რიცხვი, ვინაიდან ერთის საშუალებით ხდება რიცხვთა ცვალებადობა. ამრიგად, პეტრიწის აზრით, მართალია, რიცხვი მრავალია, მაგრამ შესდგება ერთისაგან, ხოლო ეს უკანასკნელი შეიძლება უსასრულოდ იქნას გამრავლებული. ყოველი სიდიდე რიცხვთაგან წარმოიშობა და ყოველი ერთეული რიცხვის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს. ავიღოთ, მაგალითად, რიცხვი ათი. ყველასათვის ნათელია, რომ ეს რიცხვი წარმოიშვა ერთის, როგორც პირველი სახეობის, ათჯერ გამრავლებით, მაგრამ ერთი მისგან განსხვავდება. ასევე, ერთი განსხვავდება ორისაგან ან სამისაგან თავისი ყოფიერებით, მაგრამ, მიუხედავად განსხვავებისა, ორი ან სამი ან სხვა რაიმე რიცხვი წარმოუდგენელი და არარეალურია, რიცხვის პირველი სახეობის — ერთის გარეშე, ვინაიდან რიცხობრივი ერთის გარეშე შეუძლებელია რაოდენობითი ცვალებადობა და განზომილება.

აქედან, პეტრიწის აზრით, გამომდინარეობს, რომ რიცხობრივი ერთი წარმოადგენს რიცხვთა მწარმოებელ ძალას ერთობლიობისა და სიმრავლის გზით. ეს ორი გზა აგრეთვე ვრცელდება სამმაგ რიცხვებზედაც, ვინაიდან ყოველ სიმრავლეში, რაიმე საშუალებით შეიჭრება ერთის ძალა. ამგვარადვე არის მოცემული ეს პროცესი არსსა და არსებულს შორის, ვინაიდან ყოველი ყოფიერება განსაზღვრავს ყოფნას, როგორც შესაბამი სუბსტანცია, ხოლო ყოველი დანარჩენი წარმოადგენს გამოსახულებას ან შემთხვევითს (გვ. 216). იოანე პეტრიწის ეს მსჯელობა წარმოადგენს რიცხვთა რაოდენობრივ და რიგობრივ კონცეპციას, სადაც მამოძრავებელ ძალად რიცხობრივი ერთია მიჩნეული. რიცხვის დამახასიათებელ თვისებას სიმრავლე წარმოადგენს, მაგრამ ისეთი სიმრავლე, რომელიც კონკრეტულ „ერთებს" შეიცავს. ხოლო რადგან არითმეტიკის საგანია რიცხვების შინაგან თვისებათა შესწავლა, ამიტომ დაუშვებელია ცალკეულ რიცხვთა იზოლირებული შესწავლა, რადგან რიცხვები ერთი მეორესთან ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფება, ხოლო ამ ურთიერთდამოკიდებულების საფუძველს რიცხობრივი ერთი წარმოადგენს, როგორც პირველი რიცხვი. რიცხვთა რაოდენობრივი და რიგობრივი სისტემა პეტრიწისათვის წარმოადგენს კონკრეტულ მოვლენათა რეალურ ფორმას, ვინაიდან რიცხობრივი ერთი შესაძლებლობას ჰქმნის — ყოველი არსებული ნივთი ვაღიაროთ ერთად, ხოლო ნატურალურ რიცხვთა მარაგი ისევე უსასრულოა, როგორც ნივთთა სიმრავლე.

პეტრიწის აზრით, რიცხვებს აქვთ გაყოფის, გამრავლების და შეკრება-გამოკლების თვისება. რასაკვირველია, პეტრიწის ეს მოსაზრებანი არ წარმოადგენენ ახალ აღმოჩენას მათემატიკის დარგში, მაგრამ მაშინდელი საქართველოს სავაჭრო და საწარმოო აღორძინების პერიოდში მათემატიკის გამო-

ყენებას შეუძლებელია დადებითი შედეგი არ ჰქონოდა. პეტრიწის რიცხვთა თეორია, როგორც ისტორიული ფაქტი, ინტერესს მოკლებული არ არის და ზედმეტად ადასტურებს დებულებას პეტრიწის სოფლმხედველობის რეალისტური ტენდენციების შესახებ.

ამრიგად, სამეურნეო ანგარიშიანობა, სავაჭრო ოპერაციების პრაქტიკა, საალმშენებლო ხელოვნების მოთხოვნილება და ასტრონომიული კვლევა-ძიება მოითხოვდნენ სათანადო არითმეტიკულ და გეომეტრიულ ჩვევებს. უთვალავი ნაგებობა ეკლესიების, სასახლეებისა და ციხეების სახით და მათი მშენებლობის პროცესში მიღებული გამოცდილება და შემუშავებული ნორმების თავმოყრა, ნათელჰყოფს, რომ მაშინდელ საქართველოში გამოყენებითი გეომეტრიით სარგებლობდნენ.

იოანე პეტრიწს არ შეეძლო არ გაეთვალისწინებინა ეს გარემოება და თავისი ყურადღება არ მიექცია გეომეტრიისათვის. გეომეტრიის შეცნობის საკითხში პეტრიწი მისდევს პროკლეს კომენტარიებს ევკლიდეს „გეომეტრიის ელემენტების“ შესახებ. როგორც ცნობილია, ხსენებული კომენტარიები დიდი ხნის განმავლობაში იყო მიჩნეული კლასიკურ შრომად ევკლიდეს ინტერპრეტაციისათვის.

იოანე პეტრიწი გეომეტრიას აღიარებს სივრცის შემსწავლელ მეცნიერებად, რომელიც შეისწავლის ხაზებს, სიბრტყეებს და სხეულებს — გამოსახავს სიბრტყეებზე საგნებს გეომეტრიულ ფორმათა სახით, და ნათელ წარმოდგენას იძლევა სივრცის შესახებ. ამრიგად, გეომეტრია უპირველეს ყოვლისა შეისწავლის ჰორიზონტის ზედაპირის სიბრტყეს, სწორ ხაზთა თვისებას, გეომეტრიულ ფიგურებს და სხეულთ. ეს მოსაზრება პეტრიწის მიერ აღებულია ევკლიდეს „საწყისებიდან“, სადაც პირველ ექვს წიგნში გადმოცემულია სიბრტყეთა გეომეტრია, მომდევნო სამ წიგნში — სწორ ხაზთა თვისებანი და უკანასკნელ ორ წიგნში — სხეულთა გეომეტრია.

პეტრიწი გეომეტრიისათვის იძლევა ოთხ ძირითად პოსტულატს, რომელთაგანაც პირველია სწორი ხაზი, რომელიც თავის საწყისს ღებულობს წერტილიდან; ეს არის მისი საფუძველი ანუ საყრდენი და როდესაც წერტილი რაიმე მეორე წერტილს შეუერთდება, წარმოსდგება სწორი ხაზი. სწორ ხაზს არა აქვს რაიმე გარკვეული საზღვარი, იგი შეიძლება გაგრძელდეს უსასრულოდ, ხოლო თავის განვითარების პროცესში სწორი ხაზი წარმოშობს ყველა ძირითად გეომეტრიულ ფიგურას. ძირითადი გეომეტრიული ფიგურებია: სამკუთხედი, ოთხკუთხედი, მრგვალი და სფერიული ფიგურა, ხოლო ყველა დანარჩენი გეომეტრიული ფიგურა წარმოადგენს ამ ფიგურათა გადახალისების შედეგს. პირველ სამ გეომეტრიულ ფიგურაში წინასწარ მოცემულია ახალ გეომეტრიულ ფიგურათა აგების შესაძლებლობა. ეს ახალი ფიგურები წარმოადგენენ კომბინირებულ გეომეტრიულ ფიგურებს. ამრიგად, ყოველი სხეულის და გეომეტრიული ფიგურის ცვალებადობა მოძრაობაშია მოცემული. ვინაიდან „ქცევაჲცა მისი დრეკით სხუათა ყოველთა მიდრეკათა გამოეყოფვის, რამეთუ ყოველი მიდრეკაჲ ანუ ზედმი ვითარ ცეცხლისაჲ ანუ ქუედმი ვითარ ქუეყანისა და წყლისაჲ, ანუ იმრ და იმრ ვითარ რაჲ გურდივ, ვითარცა და იგი ცხოველთაჲ“ (გვ. 215).

*

* *

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოანე პეტრიწისათვის ფილოსოფია წარმოადგენს მეცნიერების საკმაოდ მაღალ წერტილს, სადაც თავს იყრის თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. ფილოსოფიაში ნათლად არის გამოსახული მეცნიერების ყოველი დარგი, ხოლო ფილოსოფიის მწვერვალთა მისაღწევად საჭიროა მხატვრულ და პოეტურ საშუალებათა მომარჯვება.

ვინ იყო ის ხელოვანი, რომელმაც შეისწავლა თეორიული და პრაქტიკული ფილოსოფია, ლოგიკური მტკიცებები და ანტითეზური დებულებანი, ეგრეთწოდებული დიალექტიკური ხელოვნება? ყოველივე ეს პეტრიწის აზრით შეისწავლა დიდმა ბასილმა.

აქ პეტრიწი ფილოსოფიური მწვერვალის მიღწევის სიძნელეს ადარებს კრეტის სახელგანთქმულ ლაბირინტს, „რომელ იგი იყო ქუაბი მრავალ-ხრახნილად ქცეული და ძნიად წიაღსავლელი და ძნელად გამოსავალი“ (გვ. 224). ეს გზა დასძლია დიდმა ბასილიმ, რომელიც გრიგოლ ღვთისმეტყველის აზრით, ფილოსოფიის დიდი მცოდნე იყო.

პეტრიწის აზრით ბუნების შემსწავლელ ფილოსოფიას ეწოდება ისტორიული, ხოლო ცვალებადობისა და ჩვეულებათა შემსწავლელს — პრაქტიკული ფილოსოფია. აგრეთვე ფილოსოფია მოიმარჯვებს ლოგიკურ ანტითეზებს, რომელთა დახმარებით შეამზადებს სილოგიზმებს, უკუაქცევს შეუფერებელს დიალექტიკური წინააღმდეგობით. ფილოსოფია აგრეთვე შესდგება „ვარსკულავთმრიცხუელობისა და ქუეყნის მზომელობისა და მრიცხუელობისაგან“.

წმინდა ბასილიმ უარჰყო და გადისროლა, რაც ღმერთს ეწინააღმდეგებოდა, ვინაიდან ასტრონომიულ თხზულებებში მოყვანილი ცნობებით ირღვევა ღვთიური განგების ძალა, რაც შეეხება „ოთხთა ჟამთა ქცეულების“ ცოდნას, ე. ი. ცის სფეროსი და პლანეტების მოძრაობის შესწავლას, ან ჰაერის მოძრაობას, ყოველივე ეს უარჰყო დიდმა ბასილმა და ყველაფრის მიზეზად ღმერთი აღიარა. პეტრიწი ჩამოსთვლის, თუ როგორ „გასწმინდა“ ბასილმა გეომეტრია და მათემატიკა ღვთიური განგების საწინააღმდეგო მოსაზრებათაგან. ყოველივე ეს გააკეთა იმისათვის, რომ „სადმე ვინმე აქოს დიდი ბასილი“ (გვ. 225), მაგრამ „კორცთა უძლურებამან“, რომლითაც იგი იტანჯებოდა სიყრმიდან სიბერემდე, და „ღვიძლისა ბოროტ მდებარეობამან“ აიძულა ბასილი ეზრუნა თავის დაავადებაზე და მიემართა ექიმობისათვის. ამ მიზნის მისაღწევად მან შეიცნო საექიმო ხელოვნება, რომელიც პლატონის ფილოსოფიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. თავისი დაავადებების მკურნალობას ბასილი ეწეოდა არა „მდაბიურთა და უსიტყუთა მკურნალთაებრ“, არამედ ფილოსოფიურ სწავლებათა საფუძველზე, ესე იგი ექიმობა, — ამბობს პეტრიწი, — არის ფილოსოფია „ბუნებათა და შეზავებათათჳს, და სნეულებათა დასაბამთათჳს“, რათა გამორკვეულ იქნას ფილოსოფოსთა მიერ ყოველი დაავადების მიზეზი. ფილოსოფია რომ მიზეზებს ირკვევს, ამისათვის ჩვენ არა ერთხელ წარმოგვითქვამს ქება „მამრისათა“ ფილოსოფიისა მიმართ. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, უსარგებლონი და ამაონი იქნებოდნენ მ ი ნ ო ს ი და რ ა დ ა მ ა ნ თ ი, რომელთა შესახებაც ელინნი მოგვითხრობენ, რომ, ისინი იყვნენ შვილნი დ ი ო ს ი ა; და რომ „თითოეულმან მამისა თჳსისაგან პატივი მიიღო“. მინოსმა მიიღო „განმკაცრებული სჯულისმდებ-

ლობაᲐ“ და გახდა ღირსი პლატონის ასფოდელოანთა სამოთხისა, სადაც ხარობენ ფრიად სასარგებლო და მშვენიერი მცენარეები, რომელთაც ასფოდილოები ეწოდებათ, და ღირსნი გახდნენ ისინი ი ლ ვ ი ს ა, რაც ნიშნავს „ქვეყანასა რასმე საშუებსა უხრწნელსა“, ვინაიდან ილვსიო ნიშნავს „უჯაჭო და გაკსნილ“ თავისუფლებას. ასეთივე სახელის ღირსად მიაჩნია პეტრიწს თავისი დროის სწავლულთა სამოთხე. იოანე პეტრიწის ამ მსჯელობიდან ნათლად გამოსჭვივის იმ დროისათვის წარმოუდგენელი ფართო სოფლმხედველობა და ღრმა პროტესტი ქრისტიანული დოგმატიზმის შეზღუდულობის წინააღმდეგ. ამ დოგმატიურმა შეზღუდულობამ მიიყვანა იოანე პეტრიწი ილვიოსის ველის იდეალიზებამდე, რადგან ილვისიო აზროვნების შეუბოჭავ თავისუფლებას წარმოადგენს. ასეთი აზროვნებისათვის იბრძოდა პეტრიწი და ასეთ მოსაზრებათა გამო იდევნებოდა იგი. მას მთელი რიგი რეფერანსები დასჭირდა დიდი ბასილის წინაშე, რომ საკუთარი ჭეშმარიტი აზრი გამოეთქვა. პირველად იქმნება შთაბეჭდილება, ვითომც პეტრიწი ეთანხმებოდეს ბასილის მიერ მოხდენილ ცოდნის „გაწმენდას“ ქრისტიანიზმის საწინააღმდეგო მოსაზრებათაგან. მაგრამ ეს ტაქტიკური მანევრია, რომლის საშუალებითაც ცდილობდა პეტრიწი თავიდან აეცილებინა ფანატიკოსთა თავდასხმა, ხოლო მსჯელობის პროცესში, მიაღწია თუ არა მედიცინის, როგორც ფილოსოფიური დისციპლინის, გამორკვევის საკითხს, იშვიათი ჭკუამახვილობით მოიმარჯვა ბასილის დაავადება და ნათლად აღიარა ყოველი დარგის ცოდნის შეუზღუდავი ათვისება. ამ საშუალებით აღიარა იოანე პეტრიწმა თავისი ღრმა მისწრაფება რელიგიისაგან მეცნიერების ემანსიპაციისაკენ და ადამიანის აზროვნების იდეალად სწავლულთა სამოთხე გახადა.

იოანე პეტრიწის ეს ბრძოლა ქრისტიანული დოგმატიზმისაგან აზროვნების განთავისუფლებისათვის არ შეიძლება განვიხილოთ როგორც მოძღვრება ორმაგი ჭეშმარიტების შესახებ, რომელიც აღიარებს ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების თანაარსებობას, ვინაიდან პეტრიწი ღვთისმეტყველებიდან ფილოსოფიის განთავისუფლების საკითხში უფრო შორს მიდის, ვიდრე ისეთი მოაზროვნენიც-კი, როგორიც იყვნენ ბერნარდინო ტელეზიო, პიეტრო პომპონაცი და სხვანი. თავისი დროისათვის პეტრიწს ახასიათებს უდიდესი გამბედაობა. მისთვის ცოდნა არის მზე, რომლის საშუალებითაც შეიძლება სიბნელის გამაცისკროვნებელ ჭეშმარიტების ხილვა; ფილოსოფიური ჭვრეტა არის უკვდავი სხივი გონებისა; გონების მოქმედება შემეცნების პროცესშია მოცემული. შემეცნება სიბრძნის დაუფლებასთან ერთად გულისხმობს „მრავალგამოცდილებას ტომებთა შორისთა“ და სპეციფიურ შეხედულებათა ათვისებას. ყოველსავე ამას, პეტრიწის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს შემეცნებისათვის. მთავარ დებულებად იგი სთვლის არისტოტელეს აზრს „სასწავლოთა ემხარკოსო“-ს (ცოდნის დაუფლება). მაგალითად, ყმაწვილი კაცი შესაძლებელია ბრძენი იყოს, — ამბობს პეტრიწი, — მაგრამ იგი არ შეიძლება ჩაითვალოს მცოდნედ, ვინაიდან ცოდნის შეძენის ძირითად საშუალებას გამოცდილება წარმოადგენს, „რამეთუ ცნობიერებაᲐ გამოცდილებათაგან მიიღებს შეკრებასა“.

„მე აწ ამათ ყოველთა მოუგებელთაგან ვისჯებოდი და რაᲐვე ნაქმადი ტკივილითა ჩემთა საბჭოდ მათ წინა დაედებოდეს ვითავე ხედვათა ჩემთა მაცხოვნებელი“ (გვ. 220), ე. ი. სწორედ ამ თეორიების გულისათვის

მე მსჯიდნენ უცოდინარნი, რომელთაც განსახილველად ეძლეოდათ ჩემი სიმწარით მოპოვებული საქმენი. რით შეეძლო პეტრიწს თავის დაწვევა უმეცარ ფანატიკოს მსაჯულთაგან? იგი ამშვიდებს თავს, რომ მისგან ან მის თანამედროვეთაგან გაიგებს საზოგადოება მისი საქმის სიდიადეს, უმეცრების წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიულ მისიას. საზოგადოება დამაფასებს მეო, ამბობს პეტრიწი, როგორც ადამიანს მედგარს, დაუღალავს, რომელსაც ერთი წამიც არ დაუსვენია თავის სარეცელზე, რომელსაც არ მიუცია თავისი სულისათვის მოსვენების საშუალება, ვიდრე არ დაეუფლა გონებას, რომლის ჩახშობას ვერ შესძლებს უმეცრების წყვდიადი. პეტრიწის სიტყვებით, „ვიდრემდის არა მომხედნა მე გონებითმან ცისკარმან დღეთამდი, რომელთა ბნელი უმეცრებათაჲ არღ ენაცვალების“. აი გოდება ჭეშმარიტების ძიებისათვის დევნილი ადამიანისა, რომლის მოსაზრებანი და განცხადებანი დისონანსად გაისმიან თეოლოგიური დოგმატიზმის ეპოქაში. ხოლო მის მიერ დაწერილი სიტყვები გამოხატავენ იმ ბრძოლას, რომელიც სწარმოებდა ფეოდალური საზოგადოების განვითარების გარკვეულ დონეზე საეკლესიო ობსკურანტიზმისა და უმეცრების წინააღმდეგ. ეს სერიოზული პრინციპები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ საქართველოში აზროვნების განვითარების ისტორიისათვის, თავიანთ საყრდენს ანტიური აზროვნების აღდგენაში ჰპოებდნენ.

მაგრამ მხოლოდ ამით არ შეიძლება ამოიწუროს პეტრიწის სოფლმხედველობის განსაზღვრა, ვინაიდან იგი სხვა ისტორიული პრინციპებიდან გამომდინარეობდა. მას ჰქონდა თავისი საკუთარი კანონზომიერება, რომელიც ეპოქალურად სრულიად განსხვავდებოდა ანტიური ქვეყნისაგან, რის გამოც პეტრიწი არ კმაყოფილდებოდა იმ გავლენით, რომელიც ელადიდან, რომიდან და აღმოსავლეთიდან მოდიოდა, არამედ ამასთან ერთად თავის ცოდნას ამდიდრებდა უშუალო დაკვირვებებით და გამოცდილებით. კრიტიკული ათვისება ფილოსოფიისა და მეცნიერებისა იოანე პეტრიწის შემეცნების თეორიის ერთ-ერთ ძირითად მეთოდს წარმოადგენს. ამრიგად წარმოსდგა იოანე პეტრიწის სოფლმხედველობა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ რენესანსს და იმპულსი მისცა საქართველოს აზროვნების, ლიტერატურისა და პოეზიის შემდგომ განვითარებას.

მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაში გახდა შესაძლებელი, სოციალისტური, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში შემავალ ხალხთა კულტურული მემკვიდრეობის ათვისება. საქართველოს მშრომელმა ხალხმა სიყვარულით მოჰკიდა ხელი თავისი ისტორიული წარსულის უკვდავ ძეგლებს. მხოლოდ ჩვენს ეპოქაში გახდა შესაძლებელი განხორციელება იოანე პეტრიწის სურვილისა, რომ სიყვარულით მოეკიდნა მკვლევარს ხელი მისი საქმის შესწავლისათვის. პეტრიწი ამბობს, რომ ბედნიერად ჩასთვლიდა თავს, „თუ ვინ კეთილ-მებჭემან იხუედრნეს სიტყუანი ჩემნი, მიდმო უსაჯოს გულისკმის ყოფასა ვჰგონებ, რომ არ დავიცილო კერძოჲ სიმართლივ მოქმედთაჲ, სადა უფროჲს ხოლო მადლითა სიყვარულისაჲთა ვიწოდო მის მიერ“ (გვ. 219).

თავის ეპოქის ეს უდიდესი ადამიანი ფიქრობდა, რომ მისი სოფლმხედველობის შეცნობისათვის საჭირო იყო მისი აზრების სალი და გულისხმიერი ათვისება. მართლაც, მკვლევარი, რომელიც პეტრიწის თხოვნას დააფასებს და ობიექტურად შეუდგება მისი მემკვიდრეობის შესწავლას, შესძლებს დაანახოს ქვეყანას ქართული რენესანსის იდეოლოგიური მებაირახტრე.

# ქართული თეატრის ისტორიიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ. ბუხნიკაშვილი

## თეატრის მდგომარეობა საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს

მენშევიკების ბატონობის პერიოდში ქართულმა თეატრმაც განიცადა მწარე დღეები თავის არსებობისა. ეს იყო თეატრის შემოქმედებითი კრიზისისა და დაცემის პერიოდი.

თეატრზე გავლენას ახდენდა ქართველი მენშევიკების იდეური სილატაკე. საქართველოში მენშევიკების ბატონობის პერიოდში სულ 3-4 ორიგინალური პიესა დაიწერა, მაგრამ თავის იდეურ-მხატვრულ ღირებულებით არც ერთი მათგანი არ შეიძლება ჩავთვალოთ ღირსშესანიშნავ ნაწარმოებად. ლიტერატურის ასეთი დაკნინება ცხადია თეატრზე გავლენას ახდენდა. რაც უმთავრესია — მენშევიკური მესვეურნი თეატრს არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ, არ უწევდნენ მატერიალურ დახმარებას.

„ჩვენს თეატრს მაშინ უარყოფითად უცქერდნენ. სახელმწიფოს მაშინდელმა მესვეურებმა განაცხადეს: „ჩვენ არ შეგვიძლია ვაღიაროთ სახელმწიფო თეატრად ჩვენი თეატრი, ვინაიდან იგი არ სდგას სათანადო სიმაღლეზე და არ იქნება სახელმწიფოს შესაფერისიო“, — სწერს მაშინდელი თეატრის ერთერთი მოღვაწე აკ. ფალავა თავის მოგონებაში.

ამას ამბობდნენ მენშევიკები ქართული თეატრის შესახებ. იმ თეატრის, რომელიც წარსულში ერთ-ერთი ჯმნიშვნელოვანესი მხატვრული წამოწყება იყო ქართველი ხალხის კულტურულ განვითარებაში და რომელმაც მოგვცა სცენის ისეთი კორიფეები, როგორიც მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ნატო გაბუნია-ცაგარელი, ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი და სხვანი იყვნენ.

ჯერ კიდევ თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებში, 1917 წელს, ქართული თეატრის მოღვაწენი ალაპარაკდნენ დრამატიული თეატრის რეორგანიზაციისა და განმტკიცების შესახებ. ეს იყო ბუნებრივი მისწრაფება განახლებისა და ზრდისაკენ, ცარიზმის მიერ ეროვნული კულტურის ჩაგვრის შემდეგ.

ძირითადში საკითხი იდგა მხოლოდ თბილისში ერთი პროფესიონალური თეატრის არსებობის მტკიცე ნიადაგზე დაყენების შესახებ. საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ძალა არ შესწევდათ მოეწყოთ თეატრის საქმე. ქართულ დრამატიულ საზოგადოებას, რომელიც წარსულში თეატრის ერთადერთი გამძღოლი საზოგადოებრივი ორგანიზაცია იყო, მენშევიკების დროს თეატრის მოწყობის საშუალება აღარ ჰქონდა. საჭირო იყო სახელმწიფოებრივი დახმარება, მაგრამ იგი არ სჩანდა.

ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ 1917 წლის ივლისში სწერდნენ:

„ჩვენი თეატრი უპატრონო ტაძარია... მართალია, ჩვენი სასცენო ხელოვნების კერას ნაცარი წაეყარა, მაგრამ შიგნიდან სითბო მაინც გამოსცემს; საჭიროა ნაცარი გადაიწიოს და ნაკვერჩხლები გაჩაღდება...“

მიუხედავად ცალკეულ მოღვაწეთა ცდებისა 1917/18 წ. ქართული დრამის სათეატრო სეზონი მოუწყობელი დარჩა.

მთავრობის ორგანოებმა თეატრს არავითარი დახმარება არ გაუწიეს. მსახიობთა ჯგუფები პირადი ინიციატივით მართავდნენ წარმოდგენებს თბილისის კლუბებში. ამ წარმოდგენების მხატვრული ღირებულების შესახებ ლაპარაკიც კი ზედმეტია.

1918 წლის გაზაფხულზე ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ სცადა თეატრალური ცხოვრების გამოცოცხლება. მან მოაწყო თეატრალური სტუდია. სტუდიას ხელმძღვანელობდა გ. ჯაბადარი. შემდგომ სტუდია ერთხანს მსახიობთა კავშირის გამგეობაში გადავიდა და 1919 წელს კი მას საქ. ცენტრალური კოოპერატიული კავშირი — „ცეკავშირი“ ინახავდა.

მენშევიკურმა მთავრობამ არ მოისურვა ეზრუნა ამ ახალ თეატრალურ წამოწყებაზე, რომელშიაც თავმოყრილი იყო ახალგაზრდობა და ეძებდა ქართული თეატრის განვითარების ახალ გზებს.

სტუდიაში იყვნენ: ვ. ანჯაფარიძე, ბ. გამრეკელი, ან. ქიქოძე, ელ. ციმაკურიძე, ი. ანთაძე, მ. გელოვანი, მ. გულაშვილი, გ. თაზიშვილი, დ. მჟავია, გ. სარჩიმელიძე, ა. ვასაძე, დ. ძნელაძე, შ. ღამბაშიძე, გ. ყიფშიძე და სხვანი. რეჟისორები: მ. ქორელი, კ. შათირიშვილი, გ. ჯაბადარი. სტუდიამ დადგა რამდენიმე პიესა, უმთავრესად დასავლეთ ევროპის მწერლებისა. ჰაუპტმანის „ჰანელე“, ე. როსტანის „რომანტიკოსნი“ და სხვ. სტუდია დაიშალა 1920 წელს.

1918/19 წლის სეზონში ქართული დრამატიული თეატრი კვლავ მთავრობის ყურადღების გარეშე დარჩა. სეზონის მოწყობა თავს იდვა ქართველ მსახიობთა კავშირმა (კავშირი მოწყობილი იყო 1917 წელს შ. დადიანის ინიციატივით). დასში შევიდნენ მსახიობები: ქალები — ტ. აბაშიძე, ე. ანდრონიკაშვილი, ს. ანკარა, თ. გოგოლაშვილი, ნ. დავითაშვილი, ოლ. ლეჟავა, ტ. პიერევა, ეფ. მესხი, ოლ. სინაურიძე, მ. ქილარჯიშვილი, ელ. ჩერქეზიშვილი, ან. ჩხეიძე, ნ. ჯავახიშვილი; კაცები — ვ. აბაშიძე, ნ. გვარაძე, ალ. გუგუშვილი, შ. დადიანი, გ. იშხნელი, გ. იორდანიშვილი, ვ. მატარაძე, სანდალა, მ. სარაული, გ. ფრონისპირელი, დ. ძნელაძე, შ. ჯაფარიძე. დროგამოშვებით მონაწილეობდნენ ნ. ჩხეიძე, ალ. იმედაშვილი, ვ. გუნია, კ. ყიფიანი, ვ. გამყრელიძე. რეჟისორებად მოწვეულნი იყვნენ: შ. დადიანი, ნ. შიუკაშვილი, ვ. ყუშიტაშვილი, კ. ანდრონიკაშვილი, ალ. წუწუნავა.

წარმოდგენისათვის კავშირს დათმობილი ჰქონდა განსაზღვრული დღეები საოპერო თეატრში, რადგან ქართულ თეატრს საკუთარი შენობა არ ქონდა.

სეზონი გაიხსნა 1918 წლის 6 დეკემბერს ალ. სუმბათაშვილის „ლალატით“.

ამ პირველი დადგმის შესახებ გაზ. „ერთობა“ სწერდა: „ვერ ვიტყვით, რომ გამარჯვებული გამოსულიყოს დასი ამ წარმოდგენიდან. მოუმზადებლობა, შაბლონიური თამაში, სუსტი მასიური სცენები — აი დამახასიათებელი თვისებები ამ წარმოდგენისა...“

სეზონი მხოლოდ სამ თვეს გაგრძელდა (დეკემბერი, იანვარი, თებერვალი) და ამ ხანში მხოლოდ 25-მდის წარმოდგენა გაიმართა.

დადგმული იყო პიესები: „ლალატი“ — ა. სუმბათაშვილისა, „მთის ზღაპა-

რი" — ნ. შიუკაშვილისა, „სინათლე" I ნაწილი,—ი. გედევანიშვილისა, „სინათლე" II ნაწილი,—ი. გედევანიშვილისა, „ტარიელ გოლუა" — ლეო ქიაჩელის რომანის მიხედვით, „სამშობლო"—დ. ერისთავისა, „ანტიგონე"—სოფოკლესი, „დიდი ამბავი ტყუილ-უბრალოდ" შექსპირისა, „მსხვერპლი" — ი. გედევანიშვილისა და სხვ.

აქტიორები ამავე დროს სარჩოს საშოვნელად ნაუცბათევად მართავდნენ წარმოდგენებს კლუბებში. ოპერეტებსაც კი დგამდნენ, როგორც, მაგალითად, „არშინ-მალ-ალან", „აშუღ ყარიბი" და სხვ.

1919 წლის 3 იანვარს მსახიობთა კავშირმა მოაწყო „მსახიობის დღე", რომლის ერთ-ერთი მიზანი იყო აგიტაცია გაეწია მუდმივი თეატრის დაარსების სასარგებლოდ. ეს დღე უფერულად ჩატარდა და თეატრის დაარსების საკითხს ვერაფრით დაეხმარა.

დიდის ვაივაგლახით 1919 წლის მიწურულში დრამატიული თეატრის საკითხი განიხილა მენშევიკური „დამფუძნებელი კრების" ხელოვნების კომისიამ.

კომისიამ უარჰყო წინადადება დრამატიული თეატრის სახელმწიფო თეატრად აღიარების შესახებ და ამით დაადასტურა მენშევიკების „პრინციპული" ხაზი, რომ ქართული თეატრი ღირსი არ არის სახელმწიფოს სახელი ატაროს.

კომისიამ დაადგინა — თეატრის გაძღოლა ისევ დრამატიულ საზოგადოებას მიენდოსო, „ხოლო მთავრობა და ქალაქის თვითმმართველობა ხსენებულ საზოგადოებას გადასცემს თეატრს და აღმოუჩენს შესაფერის და საჭირო დახმარებას".

ეს დადგენილება მარტო ქაღალდზე დარჩა, რადგან დრამატიულმა საზოგადოებამ ვერ შესძლო თეატრის მოწყობა და მთავრობის დახმარებაც არა სჩანდა.

1919 წელს თეატრის მოწყობის საკითხს ხელი მოჰკიდა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, რომელსაც „სახელოვნო ცენტრი" ერქვა. მასში გაერთიანებული იყვნენ მწერლების, მუსიკოსებისა და მსახიობთა კავშირის წარმომადგენლები (თავმჯდომარე ცენტრისა იყო კ. მაყაშვილი, მდივანი — შ. დადიანი), მაგრამ ამ ორგანიზაციამაც ვერ შესძლო გაეწია თეატრისათვის რეალური დახმარება.

როდესაც დახმარების შესახებ ლაპარაკობდნენ, ნავარაუდევი იყო მხოლოდ 4-5 თვის სასეზონო მუშაობა, მაგრამ ვერც ამის მოწყობა მოხერხდა მენშევიკების მიერ თეატრისადმი დამოკიდებულების პირობებში. ამავე დროს მენშევიკები გამუდმებით სწერდნენ და ლაპარაკობდნენ ქართული კულტურის „განახლების" შესახებ.

საზოგადოებრიობის მხრივ ამოწურული იყო ყველა საშუალებანი თეატრის დასახმარებლად.

1919 წელს თეატრის დახმარების მიზნით კერძო ინიციატივით ლატარიაც მოეწყო. ამ ლატარიის შემოსავალი უნივერსიტეტსა და თეატრს უნდა მოხმარებოდა.

მენშევიკების პარტიული ორგანო, გაზეთი „ერთობა", გვერდს უხვევდა რა საკითხს თეატრისა და უნივერსიტეტის დახმარების შესახებ სახელმწიფოს მიერ, ფართო რეკლამით დიდ აგიტაციას ეწეოდა ამ ლატარიის სასარგებლოდ და მითითებასაც-კი იძლეოდა, თუ როგორ უნდა გავრცელებულიყო ლატარიის ბილეთები.

ერთ-ერთ სტატიაში სწერდნენ: „ბილეთების გავრცელება შეიძლება მოხ-

დეს ისეთ დღეებში, მაგალითად, როგორც არის: ნათლობები, ქორწილები, ქელეხები, დღეობები, ფსონები, სანაძლეოები, შერიგებები, ბანქობა და სხვა".

ლატარიაც ძალიან მცირედ დაეხმარა თეატრს.

1919/20 წლის თეატრალური სეზონი კვლავ ვერ მოეწყო და მსახიობთა ჯგუფები თბილისში ისევ კერძო წარმოდგენებს მართავდნენ.

1920 წლის 2 იანვარს მსახიობთა კავშირმა კვლავ ჩაატარა „მსახიობთა დღე". ერთდღიურ გაზეთში, რომლის გამოშვებაც შესძლო მსახიობთა კავშირმა, აწერილი იყო ქართული დრამატიული თეატრის უმწეო მდგომარეობა. მთელი რიგი საზოგადო მოღვაწენი დიდ გულისწყრომას გამოსთქვამდნენ იმის გამო, რომ მთავრობა არაფრით არ ეხმარებოდა თეატრს.

ცნობილი დრამატურგი ნ. შიუკაშვილი ამ გაზეთში სწერდა: „მთხოვთ სთქვი რამე თეატრზე, მსახიობებზეო... ეს ხომ ჩემთვის იქნება ჩამომხრჩვალის სახლში თოკზე ლაპარაკი... ისე არაფერია დღეს მივიწყებული და ნაგავში გადაგდებული, როგორც ხელოვნება... მსახიობნო, თქვენი გაძევება ცხოვრებიდან ეგრე განუკითხავად, ხეპრულად, უმგვანოდ—ეს განდიდებული კაცუნების ზნეა"...

იმავე ერთდროულ გაზეთში მოყვანილი იყო ცნობები ქართული დრამატიული თეატრის საერთო მდგომარეობის შესახებ. საქართველოში 1920 წლის ორ იანვრისათვის მსახიობთა კავშირში გაერთიანებული იყო 87 ნამდვილი წევრი.

პროფესიულ მსახიობთა წარმოდგენები იმართებოდა მხოლოდ თბილისში და ქუთაისში.

ამავე ცნობებით თვითმომქმედი დრამატიული წრეები არსებობდნენ: 13 თბილისში (მათ შორის სახალხო სახლში), 2 ქუთაისში და თითო სოხუმში, თელავში, ფოთში, სამტრედიაში, ლანჩხუთში, ბათუმში, ხარაგოულში, ხაშურში, ბორჯომში, გორში, საგარეჯოში და შორაპანში.

ბრძოლა მუდმივი თეატრის არსებობისათვის გრძელდებოდა.

1920 წლის მაისში შესდგა ქართველ მსახიობთა კავშირის ყრილობა. იგი ოთხ დღეს მიმდინარეობდა. ყრილობაზე მთავარ საკითხად დაისვა ქართული თეატრის და მსახიობის კატასტროფიული მდგომარეობა. ყრილობამ ორჯერ გაგზავნა დელეგაცია მენშევიკურ მთავრობასთან, მაგრამ ცარიელი დაპირების გარდა ვერაფერი მიიღო.

დამახასიათებელია ამ ყრილობის დადგენილება, რომელიც ნათლად ხატავს თეატრის იმდროინდელ უმწეო მდგომარეობას:

„ქართველ მსახიობთა პროფესიული კავშირის მეოთხე ყრილობამ, გაითვალისწინა რა, რომ საქართველოს დედა-ქალაქში ქართული თეატრის კარი ამოქოლილია და ილაჯგაწყვეტილი ქართველი მსახიობი განუკითხავად განიწირა უსახელო და ხელოვნური სიკვდილისათვის, კერძოდ მაშინ, როდესაც მას თავისი უკანასკნელი სიტყვა ვერ უთქვამს და სავსებით ვერ გადაუშლია თავისი პოტენცია ერისა და დემოკრატიის სამსახურად, დაადგინა: 1) უტყუარი და სწორი ცნობანი მიეწოდოს მთავრობას ქართველ მსახიობთა ავკარგიანობაზე, 2) ეთხოვოს ცენტრალურ საპროფესიო კავშირთა სეკრეტარიატს, რომ ხმა აღიმაღლოს ქართველი მსახიობის შელახულ უფლებათა აღსადგენად და 3) ეთხოვოთ, როგორც მთავრობას, ისე ხელოვნების გამგეობას, რომ შექმნას ისეთი ნორმალური პირობები, რომელნიც ააცდენენ ქართულ თეატრს ხელოვნურ სიკვდილს. უკეთუ ხსენებული პირობები 1 მკათათვემდე არ

იქნება შექმნილი, დაეკალოს საბჭოს, მოიწვიოს საგანგებო საზოგადო კრება კავშირის წევრებისა ჩვენი მომავალი მოქმედების შესახებ".

მძიმე იყო ამ პირობებში დრამატიული თეატრის მსახიობთა მდგომარეობა. ისინი მორალურად დამცირებულნი იყვნენ, რადგან მათი პროფესია არ იყო მიჩნეული საზოგადოებრივ-სასარგებლო პროფესიად, მატერიალურად არ იყვნენ უზრუნველყოფილი და შემთხვევითი შემოსავლით სცხოვრობდნენ.

მსახიობთა მდგომარეობის დამახასიათებლად მოგვყავს დოკუმენტი, რომლითაც ირკვევა, რომ მსახიობი იძულებული იყო ეცხოვრა კერძოდ შეკრებილ ფულით.

„ოქმი ამიერ-კავკასიის ბანკის მოსამსახურეთა საზოგადო კრებისა, რომელიც შესდგა 1920 წ. 29 ნოემბერს დღის 3 საათზე... თანამშრომელმა ი. თურქიამ თავის მოკლე სიტყვაში ამცნო კრებას, თუ როგორ პირობებში იმყოფება ჩვენი თანამემამულე, საზოგადო მოღვაწე, მსახიობი ვასილ აბაშიძე, რომელიც საჭიროებს ნივთიერ დახმარებას. თხოვს დამსწრეთ რამდენადაც შესაძლებელი იქნება დაეხმარონ მას ფულის მხრივ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ერთხმად დაადგინეს: გადაიდოს თვითეულ მოსამსახურის 1 %-ტი 1920 წ. დეკემბრის თვიდან და შეგროვილი ფული გადაეცეს ბ-ნ აბაშიძეს ყოველთვიურად, ყოველ ოც რიცხვს". აი მრავლის მეტყველი დოკუმენტი უნიჭიერესი ქართველი მსახიობის ვ. აბაშიძის ცხოვრებიდან.

1920 წელს საქართველოში მძიმედ დაავადებული ჩამოვიდა ქართული სცენის უდიდესი მსახიობი ლადო მესხიშვილი. იგი გარდაიცვალა უპატრონოდ მიტოვებული. მენშევიკურმა მმართველებმა სრულებით არ იზრუნეს მისთვის, არ აღმოუჩინეს რაიმე დახმარება.

ნახევრად ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი „კომუნისტი" მესხიშვილის შესახებ ნეკროლოგში სწერდა: „...დღეს, როდესაც აგერ-აგერ საქართველოშიც მოანათებს თავისუფალი მზის სხივები, რომლებიც ნამდვილ თავისუფალ ასპარეზს გადაუშლის ხელოვნებასაც, აბარებენ მიწას ამ მხცოვან ხელოვანს".

ამავე წელს მძიმე გაჭირვებამ წუთისოფელს გამოასალმა ნიჭიერი მსახიობი არადელი-იშხნელი.

შეიძლება კიდევ მოვიყვანოთ მთელი რიგი ფაქტები ქართული თეატრის მსახიობთა მძიმე მდგომარეობისა და სრული უპატრონობისა მენშევიკების ბატონობის დროს, მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკურ მთავრობას საკმაო საშუალებანი ჰქონდა მოწინავე შემოქმედებითი მუშაკების დასახმარებლად.

და ბოლოს, 1920 წლის ზაფხულში ქართულ დრამატიულ თეატრის მოწყობის საკითხმა კონკრეტული ფორმები მიიღო. დასი ჩამოაყალიბეს დრამატიულმა საზოგადოებამ და კერძო პირებმა. თეატრის მოწყობაში დამსახურება მიუძღვის ა. ფალავას და მთელ რიგ სხვა მოღვაწეთ. დასში შევიდნენ ყველა ცნობილი მსახიობები და ახალგაზრდები, რომელნიც გ. ჯაბადარის სტუდიაში სწავლობდნენ. თეატრის მხატვრული ხელმძღვანელი იყო ა. ფალავა. კოლექტივი დიდი ენერგიით ემზადებოდა სეზონისათვის, რათა დაემტკიცებინა, რომ ქართული სათეატრო კულტურა არ მომკვდარა და რომ მისი დაქვეითება დროებითი მოვლენა იყო, მენშევიკური მთავრობის ორგანოთა ათვალისწუნებით გამოწვეული.

სეზონი გაიხსნა 1920 წლის 16 ოქტომბერს შ. დადიანის პიესით „გუშინდელნი". წარმოდგენებისათვის დაკავებული იყო კვირაში სამი დღე ახლან-

დელ რუსთაველის თეატრის შენობაში, რომელიც მაშინ კერძო პირს ეკუთვნოდა.

შემდეგში თეატრს ნება დაერთო სახელმწიფო სახელის მიკუთვნებისა. მენშევიკებმა მხოლოდ ამით განსაზღვრეს თავისი ყურადღება თეატრისადმი. არსებითი კი მისთვის არავითარი მატერიალური დახმარება არ გაუწევიათ.

დასში შედიოდნენ შემდეგი მსახიობები: ქალები—ტ. აბაშიძე, ც. ამირაჯიბი, ვ. ანჯაფარიძე, ს. ბეჟანიშვილი, ბ. გამრეკელი, ნ. დავითაშვილი, ე. დონაური, ა. ლოლუა, ე. მესხი, ბ. როსტომაშვილი, ალ. ქიქოძე, ან. ქიქოძე, ოლ. ღოლობერიძე, ა. შოთაძე, ელ. ციმაკურიძე, ელ. ჩერქეზიშვილი, ა. ჩხეიძე, ნ. ჩხეიძე, ს. ჭავჭავაძე; ვაჟები — ვ. აბაშიძე, ვ. ალექსი-მესხიშვილი, მ. გელოვანი, ზ. გომელაური, გ. დავითაშვილი, ა. ვასაძე, ი. ზარდალიშვილი, ა. იმედაშვილი, შ. ლორთქიფანიძე, დ. მჟავია, ა. მურუსიძე, მ. სარაული, გ. სარჩიმელიძე, პ. ფრანგიშვილი, გ. ფრონისპირელი, ალ. ყალბეგიშვილი, ვ. ჯიქია, შ. ხონელი, მ. ჭიაურელი. თეატრის რეჟისორებად მოწვეული იყვნენ ვლ. ალექსი-მესხიშვილი, აკ. ფალავა, მ. ქორელი და ალ. წუწუნავა.

სეზონის გახსნის დღიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე თეატრმა შემდეგი პიესები დადგა: „გუშინდელნი" — შ. დადიანისა, „ოიდიპოს მეფე" და „ანტიგონე" — სოფოკლესი, „სიცრუე" — ვინი ჩენკოსი, „დარისპანის გასაჭირი" და „ირინეს ბედნიერება" — დ. კლდიაშვილისა. „ოტელო" — შექსპირისა, „მსხვერპლი" — ი. გედევანიშვილისა, „უგვირგვინო მეფენი" და „ბერდო ზმანია" — ა. შანშიაშვილისა, „ზღვასთან" — ენგელისა, „აღლუმი" — ვ. გუნიასი, „კოტეს დანაშული" — ნ. ნაკაშიძისა, „სამშობლო"—დ. ერისთავისა, „რაც გინახავს, ველარ ნახავ" — ა. ცაგარლისა, „ვინ არის დამნაშავე" — ნ. ნაკაშიძისა.

თეატრს არ ჰქონდა ახალი ორიგინალური რეპერტუარი. დადგმები ძველებურად ხორციელდებოდა. არც ერთი მათგანი არ შორდებოდა ნატურალიზმის ჩარჩოებს და არ სახავდა ახალ შემოქმედებითს გზებს.

1921 წ. 2 იანვარს კვლავ ჩატარდა „მსახიობის დღე". ამ დღეს გამოსულ ერთდღიურ გაზეთშიც ერთგვარად შეჯამებული იყო ქართული დრამატიული თეატრის რამდენიმე თვის მუშაობა და კიდევ ერთხელ იყო გამოთქმული გულისწყრომა მენშევიკური მმართველობის გულგრილობის გამო თეატრის განვითარების საქმისადმი.

შ. დადიანი, ეხებოდა რა თეატრის პირველ ნაბიჯებს, სწერდა: „ბოლოს და ბოლოს ჩვენ, მსახიობებმა, დავამტკიცეთ ძალიან უმადური საქმე, რომ ორჯერ ორი ოთხია. დღევანდელ სკეპტიკებში ამის დამტკიცება ერთგვარი ვაჟკაცობაა..."

ნ. შიუკაშვილი სწერდა: „ნუ გეგონებათ, ვითომ დღეს ჩვენი მსახიობი განებივრებული იყვეს. პირიქით, დიდს გაჭირვებას განიცდის დღესაც მსახიობი და სცენაზე მუშაობაც ჯერ ისეთ პირობებშია, რომ მხოლოდ რკინის აგებულებას შეუძლიან მისი ატანა. ოტელოს ცხვირსახოცი ვერ მოუშორებია ცხვირიდან. გაღებული ხმა ვერ მისდევს ტემპერამენტს... გულმოსული ოტელო იქნევს თავს, გაქცევა უნდა სცენიდან"...

თუ საქართველოს დედა-ქალაქში ქართული დრამატიული თეატრი უმწეო მდგომარეობაში იყო, უფრო უარესად გამოიყურებოდა თეატრი პროვინციაში. შედარებით რეგულიარულად მუშაობდნენ თეატრები მხოლოდ ქუთაისში და ბათუმში და ისიც თეატრის ცალკეული მოღვაწეების ინიციატივით.

თეატრები არავითარ დახმარებას არ იღებდნენ მთავრობის ორგანოებისაგან. ქუთაისის თეატრს დრამატიული საზოგადოება ხელმძღვანელობდა. მხატვრულ ხელმძღვანელებად სხვადასხვა დროს იყვნენ: შ. დადიანი, კლ. ხმელაშვილი, ი. ზარდალიშვილი, მ. ქორელი, დასში იყვნენ მსახიობები: ნ. ჩხეიძე, ეფ. მესხი. მ. ჭიაურელი და სხვანი.

მთავრობა არა თუ ეხმარებოდა თეატრს, არამედ პირიქით ავიწროვებდა. 1921 წლის იანვარში ქუთაისის თეატრი დააჯარიმეს 10 ათასი მანეთით წარმოდგენის გვიან გათავების გამო (12 ს. და 55 წ.). ეს ჯარიმა მძიმე ტვირთად დააწვა თეატრს.

1920/21 წლის სეზონის მძიმე მდგომარეობის შესახებ სწერს თავის მოგონებებში შ. დადიანი: „მენშევიკების ისედაც პირქუშ ცაზე შავი ღრუბლები თანდათან გროვდებოდა... ხალხი ამრეზილ გუნებაზე იყო, რამაც, რაღა თქმა უნდა, თეატრის საქმეზეც გავლენა იქონია. შემოსავალმა დიდად იკლო, ჯამაგირებს ველარ ვისტუმრებდით. დასიც აღრინდა... მივმართეთ მაშინდელ ნაცად საშუალებას — ბენეფისებს. პირველ რიგში ბენეფისები დავუთმეთ ვინც უფრო გაჭირვებული იყო და ამით ცოტათი სული ამოვათქმევინეთ“...

ქართული დრამატიული თეატრის დაცემა და შემოქმედებითი სილარიბე მენშევიკების ბატონობის დროს თავის უარყოფით გავლენას ახდენდა თვითმოქმედ ხელოვნების განვითარებაზე. ათეულ დრამატიულ წრეს, რომელიც საქართველოში არსებობდა, ახასიათებდა მუშაობის ნაკლები სისტემატიურობა, მატერიალური სივიწროვე, რეპერტუარის სილარიბე. ამ წრეთა შორის განირჩეოდა თბილისში, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლთან არსებული დრამატიული წრე, რომელიც სისტემატურად მართავდა წარმოდგენებს. აქ მუშაობდნენ საკმაოდ გამოცდილი ძალები და მათ შორის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი სახალხო თვითმოქმედებითი თეატრისა — რკინის გზის სახელოსნოს მუშა ნიკო გოცირიძე.

ცარიზმის დროს ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში ქართულ წრესთან ერთად არსებობდა მრავალი წრე სხვადასხვა ეროვნებისა (რუსული, უკრაინული, სომხური, აზერბაიჯანული, ებრაული, ოსური, ასირიული და სხვ.) წრეების ერთად მოღვაწეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ინტერნაციონალური კავშირის განმტკიცებისათვის.

მენშევიკების ბატონობის დროს ეს მუშაობა დაქვეითდა. ბევრმა წრემ შესწყვიტა მუშაობა. ეს იყო ერთერთი შედეგი ქართველი მენშევიკების შოვინისტური პოლიტიკისა.

ასეთი იყო ქართული დრამატიული თეატრის მდგომარეობა მენშევიკების სამი წლის ბატონობის დროს.

ქართველი მენშევიკების მიერ შექმნილ ნაციონალისტურ-შოვინისტურ ატმოსფეროში ცუდს მდგომარეობაში იყვნენ სხვა ხალხთა თეატრებიც.

სომხური თეატრი შევიწროებული იყო. მენშევიკები სისტემატურად სდევნიდნენ სომხურ კულტურულ ორგანიზაციებს, ასახლებდნენ საქართველოდან ცალკეულ მომუშავეებს. ბათუმში, მაგალითად, არსებობდა სომხური თვითმოქმედი დრამატიული წრე. მენშევიკური მილიცია და გვარდია იჭრებოდა დარბაზში წარმოდგენების დროს, მართავდა ჩხრეკას, აპატიმრებდა მაყურებლებს.

შედარებით სისტემატიურ მუშაობას აწარმოებდა თბილისში რუსული პროფესიული თეატრი — ამხანაგობა „ტარტო“ (რუსეთის თეატრალური

საზოგადოების არტისტების ამხანაგობა), დაარსებული 1915 წელს. ამხანაგობა მუშაობდა თავის საკუთარ ანგარიშზე, წარმოდგენების შემოსავალზე დამყარებული.

ამ თეატრში თავმოყრილი იყო საკმაოდ ცნობილი მხატვრული ძალები: ბუდკევიჩი, კოშევა, ჟიხარევა, როკსანოვა, სატინა, ვოლხოვსკაია, ბიულიმოვლანსკოი, ვასილენკო, დნეპროვი, დიმოვი, პოლი, კრუჩინინი, მიხაილოვსკი, ნიროვი, რუზაევი, ობოლენსკი და სხვანი. თეატრის მხატვრული ხელმძღვანელი — ტუგანოვი, რეჟისორი გლავაცკი.

თეატრის რეპერტუარი, რუსეთის და დასავლეთ-ევროპის დრამატურგიის კლასიკოსებთან ერთად, შესდგებოდა მსუბუქი ჟანრის პიესებიდანაც. იდგმებოდა პიესები: „ვასილისა მელენტიევნა“, „პრინც სებასტიანი“, „ვერაგობა და სიყვარული“, „რეცეპტი ქმრებისთვის“, „საყვარელი ტელეფონით“, „ანნა კარენინა“, „მეფე ლირი“, „პავლე 1-ლი“, „სოდომის დაღუპვა“, „იმპერატორის შვილი“, „ქუჩიდან მოსული ქალი“, „პატარა გოგო დიდი ხასიათით“, „აბეზარი ქალი“, „მწარე ყვავილი“, „მადამ სან-ჟენი“, „ქალის შეცდომა“, „სიყვარულისათვის“, „ლურჯი ფრინველი“, „ოქროს შემოდგომა“, „რევიზორი“, „დაძირული ზარი“, „იჭვიანობა“, „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, „გალილეი“, „ჰამლეტი“, „მისტერ ვუ“, „ჩემი ბები“, „პეპელათა ბრძოლა“, „იდიოტი“, „ღალატი“, „ჯენტლმენი“ და სხვ.

თბილისის რუსული თეატრი მოწყვეტილი იყო საბჭოთა რუსეთის თეატრალურ ცხოვრებას, სადაც უკვე ისახებოდა თეატრის განვითარების ახალი გზები. მენშევიკები სდევნიდნენ საბჭოთა კულტურასთან კავშირისა და ურთიერთობის ცდებს. ამ შემთხვევაში დამახასიათებელია ერთი ფაქტი:

1920/21 წლის სეზონში რუსული თეატრის მსახიობები მოწვეულნი იყვნენ მხატვრულ საღამოზე მონაწილეობის მისაღებად საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში. წარმომადგენლობის თანამშრომლებთან ბაასის დროს მსახიობებმა სთხოვეს მათ საბჭოთა თეატრის რაიმე პიესა. თეატრმა მიიღო ა. ლუნაჩარსკის პიესა „მეფის დალაქი“. დაიწყო ამ პიესის მზადება. გამოცხადდა იგი დასადგმელად. მენშევიკებმა დიდი აურზაური ასტეხეს ამის გამო და პიესის დადგმა შეფერხდა.

მენშევიკები სდევნიდნენ რუსული თეატრის ცალკეულ მსახიობებს. ბევრი მათგანი გასახლებული იქნა საქართველოს ფარგლებიდან, როგორც „არა საიმედონი“ მენშევიკური ხელისუფლებისთვის.

გარდა „ტარტოს“ თეატრისა, თბილისში არსებობდა მინიატურის თეატრი.

1917 წელს მოკლე ხნით არსებობდა „თავისუფალი თეატრი“ მსახიობ დიმოვის ხელმძღვანელობით.

1917 წელს თებერვლის რევოლუციის შემდეგ ერთ ხანს თბილისში არსებობდა „ჯარისკაცთა დეპუტატების სამხარეო საბჭოს თეატრი“.

თეატრი მომსახურეობას უწევდა თურქეთის ფრონტის ჯარისკაცებს, თეატრი სპექტაკლების გარდა აწყობდა კინო-სეანსებს და ლექციებს. შემოსავალი ნაწილობრივ ხმარდებოდა ფრონტზე მყოფ ჯარისკაცთა კულტურულ საჭიროებას. თეატრის რეპერტუარი ამ დროისათვის საუკეთესო პიესებისაგან შესდგებოდა. თეატრმა შემდეგი დადგმები განახორციელა: „ფსკერზე“, „რევიზორი“, „შავი ყორნები“, „ქვის მთლელნი“, „ფეიქრები“, „ანათემა“, „უდანაშაულოდ დასჯილნი“, „ტარტიუფი“, „სატანა“, „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ და სხვ.

თავისი „პრესტიჟის“ შესაფერისად მენშევიკებმა მხოლოდ თბილისის მრავალწლობით არსებული საოპერო თეატრი სცნეს, სადაც მთავრობის კომისარიც-კი დანიშნეს და ოპერა სახელმწიფო თეატრად გამოაცხადეს. ეგრეთ ამ ღონისძიებამ არავითარი ცვლილება არ შეიტანა თეატრის მუშაობაში. თეატრი ბევრით არ განსხვავებულა ცარიზმის დროს არსებულ სახაზინო თეატრისაგან. იგივე დაშტამპული დადგმები, ისეთივე რეპერტუარი, ოდნავ განახლებული ქართული ოპერების დადგმით. დასი კერძო ანტრეპრენიორების ხელში დარჩა, რომლებიც ეგრე რიგად არა ზრუნავდნენ ოპერების დადგმათა მხატვრულ გაუმჯობესებაზე.

1917/18 წლის სეზონში შემდეგი ოპერები იქნა დადგმული: „პიკის ქალი“, „ტრავიატა“, „დემონი“, „ფაუსტი“, „მეფის საცოლე“, „აიდა“, „დუბროვსკი“, „ბორის გოდუნოვი“, „რიგოლეტო“, „სამსონი და დალილა“, „ლაკმე“, „ვერტერი“, „თავადი იგორი“, „სევილიელი დალაქი“, „ტოსკა“, „მაზეპა“, „მანონ“, „ალი“, „სადკო“, „ფრადიავოლი“, „იოლანტა“, „ოტელო“, „ღალატი“, „ბატერფლეი“, „კამორა“, „გოფმანის ზღაპრები“, „გუგენოტები“ და სხვ.

სეზონის გარეშე (17 ივნისს) დადგმული იქნა ქართული ოპერა „ქრისტინე“ გოგნიაშვილისა.

შემდეგ სეზონებში იგივე რეპერტუარი ბევრით არ შეცვლილა. 1918/19 წ. სეზონში დადგმული იქნა ქართული ოპერები „თქმულება შოთა რუსთაველზე“ დ. არაყიშვილისა (რეჟისორი ა. წუწუნავა) და „აბესალომ და ეთერი“ ზ. ფალიაშვილისა (რეჟისორი ა. წუწუნავა).

1919/20 წლის სეზონში დადგმული იქნა ქართული ოპერა „ქეთო და კოტე“ — ვ. დოლიძისა (რეჟისორი წუწუნავა).

ქართული ორიგინალური ოპერების დადგმა დადებითი მოვლენა იყო, მაგრამ ეს მენშევიკური მმართველების დამსახურებად არ ჩაითვლება. მით უმეტეს, რომ ეს ოპერები თებერვლის რევოლუციამდე იყო დაწერილი. ოპერები დადგმული იყო ცალკეულ მუსიკალურ მოღვაწეთა ინიციატივით, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ქართული მუსიკის განვითარებით.

ზ. ფალიაშვილმა მისი ოპერის „აბესალომ და ეთერის“ დადგმის შემდეგ მადლობის წერილი მოათავსა პრესაში. ამ წერილში იგი მადლობას უხდიდა ყველა მათ, ვინც ასე თუ ისე მიიღეს მონაწილეობა მისი ოპერის დადგმაში და ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები მთავრობის დახმარება.

ზ. ფალიაშვილი სწერდა: „ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა ვუძღვნა სახელმწიფო თეატრის არტისტ-მომღერლებს: ქ. შულგინისას, მოროზოვას, გრანელს, ვიშემირსკაიას, მანდელოვას, ზალიპსკის, სარაჯიშვილს, ინაშვილს, ქურხულს, ლორთქიფანიძეს, კურბატოვს, ჭუმბურიძეს, ფხალაძეს, ანტრეპრენიორს ევლახიშვილს, თეატრის კომისარს და რეჟისორს ალ. წუწუნავას, ბ. ბ. ბელსკის, კორშინს, ნიკოლაევს, გურესს, სახელმწიფო თეატრის გუნდს და ორკესტრს და სხვათა, რომელთაც დიდი შრომა და ენერგია მოახმარეს და ხელი შეუწყეს ჩემი პირველი ქართული ოპერის „აბესალომ და ეთერის“ დადგმას სახელმწიფო თეატრში. განსაკუთრებით მადლობის ღირსნი არიან ის არაქართველი მომღერლები, რომელნიც, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენა სრულიად არ იცოდნენ, მაინც დიდის სიყვარულით და სინდისიერად მოეკიდნენ ჩემს ოპერას და სძლიეს მათთვის ამ მეტად რთულ საქმეს!“..

მენშევიკურ მთავრობას საერთოდ დიდად არ შეუწყვია ხელი ქართული მუ-

სიკალური კულტურის განვითარებისათვის. მუსიკოსნი მატერიალურად შეიწროებულნი იყვნენ. ცნობილი კომპოზიტორი ნ. სულხანიშვილი 1919 წელს გარდაიცვალა გაჭირვების და სიმშილისაგან დაავადებულობისგან.

ქართული ოპერის პროპაგანდას ეწეოდნენ ცალკეული კომპოზიტორები (დ. არაყიშვილი, კ. ფოცხვერაშვილი და სხვ.) საკუთარი ინიციატივით და საზოგადოებრივ ორგანიზაციის დახმარებით. მაგალითად, „ცეკავშირის" ხარჯზე დ. არაყიშვილმა მოაწყო ხორო, რომელმაც მთელი რიგი კონცერტები გამართა.

კომპოზიტორი კ. ფოცხვერაშვილი თავის შრომაში: „ქართული მუსიკალური ფოლკლორი" ასწერს თავის მწარე თავგადასავალს მენშევიკების ბატონობის დროს: „ჩემი განცხადება მენშევიკური მთავრობისადმი სახელმწიფო კაპელის მოწყობის შესახებ განხილული იყო სამხედრო ტაძრის წინამძღვარის ანალოგიურ განცხადებასთან ერთად, რომელიც თხოვდა სახელმწიფო თანხებს საეკლესიო ხოროს მოსაწყობად. მოხდა რაღაც დამახასიათებელი მენშევიკებისათვის, — მე უარი მითხრეს ყველაფერში და სამხედრო ტაძარს კი უხვი კრედიტები მისცეს საეკლესიო გალობისათვის. მე გავასაჩივრე უარი და მენშევიკური მთავრობის ერთ-ერთი წევრისაგან შემდეგი მტკიცე დასაბუთება მივიღე უარისა: „უსარგებლოა სახელმწიფო ხოროს მოწყობა ქართული სიმღერების რეპერტუარით. ჩონგურისა და ფანდურის ჩვენება სირცხვილია, რადგან ჩვენთან სტუმრად ევროპიელებია. რად დაგჭირდათ ფული სიმღერისათვის, აქამამდე ხომ მუდამ მუქთად მღეროდით?"

საოპერო თეატრში იმართებოდა სასულიერო კონცერტები. მენშევიკები არა ზრუნავდნენ რა ხალხურ მუსიკაზე, ამავე დროს თავის გაზეთ „ერთობაში" დიდი ქებით იხსენიებდნენ ამ სასულიერო კონცერტებს. ერთ-ერთ ასეთ კონცერტის შესახებ გაზეთი სწერდა: „ჩვენ დიდი სურვილით ველით ამ ახალ სასულიერო კონცერტს. თუ რამდენად ტიპიურად და ხელოვნურად არის დაწერილი ქართული ლიტურგია....."

საოპერო თეატრი თუმცა სახელმწიფო თეატრად იყო გამოცხადებული, მაგრამ იგი მატერიალურად უზრუნველყოფილი არ იყო მთავრობის მიერ. თეატრი სხვადასხვა ღონისძიებებს მიმართავდა მატერიალური ბაზის გასაუმჯობესებლად. მაგალითად თეატრის მმართველობა დახმარებისათვის მიმართავდა უცხოელთა მისიას. დაცულია ოფიციალური მიმართვა ოკუპანტებისადმი: „სახელმწიფო თეატრის დირექცია უმორჩილესად სთხოვს პატივცემულ მისიას, დაგვითმოს რაც შეიძლება დაკლებულ ფასებში ამასთან დართულ სიაში დაწვრილებით ჩამოთვლილი მასალები. ღრმა პატივისცემას გამოვთქვამთ რა მისიასადმი, უნდა მოვაგონოთ მას, რომ ჩვენი თეატრი ყოველთვის ცდილობდა გულმოდგინედ და მხატვრულად დაედგა ოპერები, რათა რამდენადმე შესაძლებელი ესთეტიკური კმაყოფილება მაინც განეცდევინებინა ჩვენი სტუმრებისათვის".

თუ რა ესთეტიკურ კმაყოფილებას განიცდიდნენ იმპერიალისტები საოპერო თეატრის წარმოდგენებზე, ამის შესახებაც არსებობს ცნობები. დოკუმენტები მოგვითხრობენ, რომ თეატრის დირექცია არა ერთხელ გახდა იძულებული მიემართნა მენშევიკური მთავრობისათვის საჩივრით საოპერო თეატრის წარმოდგენებზე დამსწრე უცხოელთა საოკუპაციო ჯარების წარმომადგენლების შესახებ. ეს „ესთეტები" წარმოდგენების მსვლელობის დროს

ხულიგნობდნენ. მენშევიკური მთავრობა ამ საჩივრებს უყურადღებოდ სტოვებდა, რადგან „სასურველი სტუმრების“ წყენის ეშინოდა.

ქართული დრამატიული თეატრის დაცემასთან ერთად საქართველოში გაიფურჩქნა სხვა სახის „ხელოვნება“. ეს იყო კაფე-შანტანები და „კაბარე“. მარტო თბილისში ათეულზე მეტი ასეთი „წამოწყება“ იყო, რომლებიც ბურჟუაზიის, თავად-აზნაურობის, სპეკულანტებისა და თეთრგვარდიელების თავშესაფარნი იყვენ. ხელოვნების ნამდვილი ოსტატები ერთდებოდნენ ამ „წამოწყებებში“, რომლებიც არსებითად გარყვნილებისა და გახრწნის ბუდეები იყვნენ.

მენშევიკური მმართველები უსიტყვოდ ურიგდებოდნენ ასეთი „ხელოვნების“ არსებობას და აყვავებას, რომელიც მოსაწონი იყო მენშევიკების პატრონ-პატრონების, ბურჟუაზიისა და თავად-აზნაურთათვის.

ამხ. **ლ. ბერია** სტატიაში: „ხალხთა ერთიანი ოჯახი“ სწერს ქართველი მენშევიკების შესახებ:

„ცარიზმის დამხობის შემდეგ, 1917 წელს, ქართველმა მენშევიკებმა დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების დახმარებით შესძლეს ძალა-უფლების ჩაგდება თავის ხელში. ქართველი ხალხის ამ გამცემელთა სამი წლის პარპაშმა კიდევ უფრო გააუარესა ქვეყნის მდგომარეობა. მენშევიკმა მმართველებმა არა თუ არ გაანთავისუფლეს საქართველოს მშრომელი მასები, არა თუ არ უზრუნველჰყვეს საქართველოს სახალხო მეურნეობისა და ნაციონალური კულტურის აღმავლობა, არამედ საბოლოოდ მოშალეს ისედაც სუსტად განვითარებული სამეურნეო ცხოვრება, უღალატეს ქართველი ხალხის ინტერესებს დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების სასარგებლოდ, მხარს უჭერდნენ რა საქართველოში თავადებისა და აზნაურების, მემამულეებისა და კულაკების მიერ ჩაგვრას“.

ქართველი მენშევიკების ბატონობის დროს ნაციონალური კულტურის დაცემის ერთ-ერთი მაგალითი დრამატიული თეატრი იყო, რომელმაც ქართველი ხალხის ინტერესების გამყიდველ-მენშევიკების სამი წლის თარეშის დროს კრიზისის უძნელესი დღეები განიცადა. ხელოვნების მხოლოდ ცალკეულ მოღვაწეთა და საზოგადოებრიობის დახმარებით და ხელის შეწყობით გადარჩა თეატრი სრული მოსპობისაგან.

მენშევიკების ბატონობის ხანაში ქართულმა თეატრმა ვერ აჩვენა ვერცერთი ისეთი დადგმა, რომელსაც შეეძლებოდა სათანადო ადგილი დაეჭირა ქართული თეატრის განვითარების ისტორიაში; ქართულმა დრამატურგიამ ვერ მოგვცა ვერცერთი ნაწარმოები, რომელიც ცოტად თუ ბევრად დაახასიათებდა ნაციონალური დრამატურგიის განვითარებას.

ქართული თეატრის ნამდვილი აყვავება და შემოქმედებითი აღმავლობა დაიწყო მხოლოდ 1921 წლიდან, როდესაც აჯანყებულმა ქართველმა ხალხმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, და რუსეთის პროლეტარიატისა და მისი უძლეველი წითელი არმიის ძმური დახმარებით, დაამხო კაპიტალიზმის დამქაშ—ქართველ მენშევიკთა ბატონობა და ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონის, მუშებისა და გლეხების ხელისუფლება დაამყარა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შალვა აფხაიძე — „ლექსები“

### გამომც. ფედერაცია, 1941 წ.

შალვა აფხაიძეს ეხლახან გამოცემულ პირველ წიგნში განზრახ არ შეუტანია თავისი შემოქმედებითი ცხოვრების პირველი, სიმბოლისტური პერიოდისათვის დამახასიათებელი არც ერთი ნიმუში. ეს გარემოება, მართალია, საშუალებას გვისპობს მთლიანი წარმოდგენა ვიქონიოთ პოეტის მთელი შემოქმედებითი ბიოგრაფიის შესახებ, მაგრამ სამაგიეროდ გვიჩვენებს მის ღრმა პრინციპულობას დეკადენტურ შემოქმედებითი პოზიციების უარყოფაში, „რეალისტური ხელოვნების“ სოციალისტური ლირიკის ლიანდაგზე დამკვიდრებისაკენ მისწრაფებაში.

ეპოქის ქუხილთან თანხმოვანება, ჩვენი სამშობლოს აღმავლობის ყოველდღიურობასთან განუყოფელობა, საბჭოთა ხალხის მზიურ ცხოვრების ხალისით, ჰეროიკითა და სიყვარულით შთაგონებული ამღერება შეადგენს ლექსის, პოეტური შემოქმედების უპირველეს ღირსებას შალვა აფხაიძის, როგორც ჭეშმარიტი საბჭოთა პოეტის გაგებით:

„ლექსი რა არის—სიყვარულის, სიმღერის გარდა,
თუ არ ხალისი, გადაბმული ჩვენს ქვეყანასთან,
როცა ცხოვრება იფურცლება ბრდღიალა ვარდად,
როცა ჩემი ხმაც ისმის ერთად ეპოქის ხმასთან“.

ამ პოეტურ დეკლარაციაში გამოხატული თვალსაზრისი და განწყობილება მკვეთრ განსახიერებას პოულობს შალვა აფხაიძის მთელს შემოქმედებაში. მისი ყოველი ლექსი აღბეჭდილია საბჭოთა ხალხის უწმინდეს და უმაღლეს გრძნობით — სამშობლოსადმი სიყვარულისა და თავდადებული ერთგულების გრძნობით. ეს პატრიოტული აღფრთოვანება გამოსჭვივის მის არა მარტო ისეთ ლექსებში, რომლებიც უშუალოდ სამშობლოსადმი, ჩვენი ხალხის ბელადისა თუ ჩვენი ეპოქის გმირი ადამიანებისადმი არის მიძღვნილი, არამედ ისეთ პოეტურ ქმნილებებშიც, რომლებითაც პოეტი ისტორიული წარსულის მოვლენებს, ან კიდევ ადამიანის პირადულ ინტიმურ ბრძოლებსა და განცდებს ხატავს. ჩვენი სამშობლოს სიდიადემ, მისი აღმავლობის განუსაზღვრელმა გაქანებამ და ელვარებამ მისცა პოეტს სიმღერის ძალა:

„მახარებს შენი მწვერვალები, ვარსკვლავთა ელერა,
შენმა ცხოვრებამ ბედნიერმა მეც ამამღერა“.

სამშობლოსადმი სიყვარულის, მშობლიური მადლიერებისა და თავდადების გრძნობის გამოხატვაში შალვა აფხაიძე აღწევს პოეტურ უშუალობას, იგი პოულობს ამ დიადი გრძნობის გამოსათქმელად სიტყვებს, რომელთა განმეორება შეუძლია ჩვენი ქვეყნის ყოველ ღირსეულ მოქალაქეს, ყოველ საბჭოთა პატრიოტს:

„შენ აღმაფრინე, შემაყვარე ტრფობის ღადარი
და შენი მიწის მომტყდარ ბელტსაც შევეწირები.
მხარს გიმშვენებენ, დაგხარიან გმირთა-გმირები.
შენი სიმღერა მესმის ტკბილი, შეუსადარი“.

თუ პოეტი თავის სამშობლოსადმი მიძღვნილს, პირადი მეგობრობის წრფელი და კეთილშობილური გრძნობით აღბეჭდილ ჰიმნს სთხზავს, მასში განსახიერებული ოცნება და მისწრაფებაც აგრეთვე სამშობლოსადმი მღელვარე ტრფიალებით არის განათებული:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დავსხდეთ, დავატკბოთ სოფლის საღამო
და მოვუწოდოთ ძმობას სუფრაზე,
ჩვენს ცის მშვენებას მივესალამოთ,
ჩვენს მთებს და ჰაერს ტურფას ტურფაზე.
ვთქვათ სადღეგრძელო ჩვენი ქვეყნისა,
რომლის დიდება ყოველგნით გვიმზერს,
ვთქვათ საკმარისი დარეკილ ხმისა
და სახელგანთქმულ მშობლიურ გმირზე“.

ასე გადააქვს პოეტს ეს დიადი სოციალური გრძნობა თავისი სულიერი ცხოვრების უალრესად ინტიმურ სფეროში და აქ გრძნობისა და განწყობილების ისეთ სიმართლესთან, ისეთ უშუალობასთან გვაქვს საქმე, რომ ჩვენ აღარ ვამჩნევთ ლექსის ამა თუ იმ შეუსაბამო დეტალს ენობრივი ნორმისა და პოეტური ტექნიკის თვალსაზრისით. მტკვრის პირად, აყვავებული ღამის იდილიურ გარემოცვაში სატრფიალო არსებასთან გატარებული წუთების სიტკბოებაც გამდიდრებულია და სრულყოფილი მშობელი ქვეყნის ბედნიერი დღევანდელობისა და გმირული წარსულის განცდით:

„შენსა ღიმილში ვცანი ღიმილი
ფრთაგასწორებულ ჩემი ქვეყნისა.
ველოდით, როგორც ვარდი ნამს დილით,
მის აყვავებას, — და ეს გველირსა.
ზვირთთა ხმაურში გვესმოდა ტკბილი
ქართლის სიმღერა მარადმარადი
და წარსულ გმირთა გვფარავდა ჩრდილი,
ამ წყალს რომ სვამდენ აქ მუზარადით“.

სუბიექტურ განცდათა და გრძნობათა სამყაროს ასეთი ორგანიული შედუღება ეპოქის მამოძრავებელ სოციალურ იდეებთან შეადგენს სოციალისტური ლირიკის უპირველეს ღირსებას.

შ. აფხაიძის ლექსთა კრებულის პირველსავე ფურცელზე, ლექსში — „ორი სურათი“, ჩვენ ვხედავთ იმ გრძნობის განსახიერებას, რომელიც თანაბრად არის სახალხოც და პირადიც ყოველი პატრიოტისათვის. პოეტს მუდმივად თვალწინ უდგას „ნათელი სიბრძნის ორი სახე“ — ლ ე ნ ი ნ ი ს ა და ს ტ ა ლ ი ნ ი ს სახე და აი, როგორის ლირიკულის მღელვარებით გამოხატავს იგი ამ ორი სახის ზემომქმედ შთაბეჭდილების ძალას:

„თვალს ვერ ვაშორებ, თან მიზიდავს წმინდა რამ ძალა,
მათ სულის კაშკაშს მოკრძალებით შევტრფი, შევხარი.
ვგრძნობ, წარმიტაცა მათმა სხივმა და ხმა მიცვალა,
ვხედავ, მათშია უკვდავების თავშესაფარი
და მღერის გული, — ფრთაასხმული, გაშლილი, ვრცელი,
ამ ორი სახის სიყვარული აღუვსებელი“.

შალვა აფხაიძის ლექსები აქტუალური აზრის და წრფელი განცდის მონოლოგებს წარმოადგენენ. ისინი ხან მიმართვითი, ხან მოთხრობითი და ხან აღწერილობითი ფორმებში სახიერდებიან, მაგრამ არასოდეს არ შეიცავენ სიუჟეტურ ელემენტს, ან გარემოცვის პლასტიკურ სურათებს.

ეს საკუთრივ ლირიკული ჟანრის ლექსებია, რომლებშიც ავტორი უმთავრესად, თითქმის ყოველთვის, თავის განწყობილებათა თუ განცდათა მეშვეობით გვაკავშირებს ლექსის თემად არჩეულ პერსონაჟებთან, საგნებთან, მოვლენებთან. მის ლექსებში იშვიათად თუ შეხვდებით დამთავრებულ პეიზაჟებს, გარემოცვის აღწერილობებს, ან მიძღვნითი ლექსთა ადრესატების გარეგნულ პორტრეტებს. უმრავლეს შემთხვევაში პირველ პლანზე წამოწეულია პოეტის განწყობილება. ისტორიული პიროვნებისადმი მიმართულ ლექსებში პოეტი ისწრაფვის მათი ხასიათის თვისებანი, მათი ბრძოლისა და შემოქმედების მთავარი აზრი, მათი ისტორიული ბედის თავისებურებანი გამოხატოს, რასაც ყოველთვის მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამომთქმელ სტრიქონებით იწყებს, ან ამთავრებს.

შალვა აფხაიძე ლექსის გულმოდგინე და დაფიქრებული ოსტატია. პოეტური ტექნიკელ-ბის საშუალებათა შერჩევაში იგი იჩენს უეჭველ გემოვნებასა და კულტურას. იგი ცდილობს ლექსის კომპოზიციის ყოველი დეტალი პოეტური მონაფიქრის მთლიანობას, აზრობრივ მიზანდასახულებას დაუმორჩილოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ. აფხაიძის ლექსთა კრებულის პირველი ორი ციკლი: „მწვერვალები“ და „ბედი ქართველისა“ მოფიქრებულია და შესრულებული ერთიანი აზრობრივი და კომპოზიციური რკალის სახით. ამ ციკლთა ლექსები თითქოს ერთი ლირიკული პოემის ფრაგმენტებს წარმოადგენენ. ისინი სონეტის ყალიბში ჩამოსხმულნი და ერთიან ინტონაციაზე, ერთიან მელოდიკურ და რიტმიულ მოძრაობაზე არიან აწყობილნი. თავისი მხატვრული მონაფიქრის ასეთ მთლიანობის ხაზგასასმელად ავტორი ისეთ ხერხსაც კი მიმართავს, რომ კრებულის პირველ ციკლში ერთი სონეტის ბოლო სტრიქონი მომდევნო სონეტის პირველ სტრიქონად მეორდება ხოლმე.

პოეტს თითქოს განუზრახავს შემოქმედებითად, პრაქტიკულად დაასაბუთოს ის აზრი, რომ თანამედროვე პოეზიისათვის უცხო და მიუღებელი არ არის წინა პოეტური ეპოქების მიერ ნამემკვიდრეები არც ერთი ჟანრი, თუ იგი ნიჭიერად იქნება გამოყენებული. თვით სონეტის განსაკუთრებით რთულსა, კაპრიზულსა და შემზღუდველ ფორმაშიც შეიძლება გამოიხატოს საბჭოთა ადამიანის, საბჭოთა პოეტის უაღრესად მღელვარე, მდიდარი და მრავალფეროვანი განცდებისა და გრძნობების სამყარო.

ვერ ვიტყვით, რომ ლექსთა ციკლების მთლიანობის განზრახვით ნაკარნახევ ხერხს, ერთგვარი მონოტონურობის დაღი არ დაესვას წიგნის პირველი ნაწილისათვის და ნაწილობრივ მაინც არ შეეზღუდოს პოეტი თავის შემოქმედებითი მისწრაფებათა სრული ხმით, თავისუფლად და ბუნებრივად გამოთქმის საქმეში.

მაგრამ მთლიანად ლექსების ეს ორი პირველი ციკლი ავტორის უეჭველ პოეტურ შესაძლებლობათა და ენერგიის შესახებ მოწმობს—აზრის სიცხადე და გრძნობის სიწრფელე ამ ლექსებში შეთავსებულია პოეტური მონაფიქრის ორიგინალობასთან, სახეებისა და შედარებათა სიმდიდრესთან, მხატვრულ დეტალისადმი გამახვილებულ ყურადღებასთან.

ლექსების ციკლში „მწვერვალები“—პოეტი დიდებისა და აღტაცებული სიყვარულის შარავანდედით მოსავს ჩვენი სამშობლოს ძლევამოსილობას, საბჭოთა ხალხის სახელოვან შვილებს, უკვდავი ლენინის მავზოლეის, სტალინის მშობელ ქოხს, კიროვის სახელს, ჩვენი ქვეყნის განახლებულ დედაქალაქებს, კრემლის კედელს, ოქტომბრის გრიგალს, დიად ბრძოლათა ქარცეცხლში ნაწრთობ დროშას, ყველაფერს, რაშიც უკეთესად და უმძლავრესად არის გამოსახული სტალინური ეპოქის სიდიადე და გაქანება.

ლექსში „მავზოლეი“—პოეტმა მახვილად გამოხატა დიდი ლენინის უკვდავებისა და ლენინის საქმეთა ბარადიულობის იდეა:

„და ღვივის ცეცხლად დაუმცხრალი სული ცხოველი —
ის შეხიზნულა უკვდავ ხალხის ნათელ ხსოვნაში.
აქ წევს ლენინი, მარადია ის ყოველ ქვაშიც,
ვით მზის ამოსვლას, მის შეხედვას ისე მოველი“.

ასეთივე ცხოველ სახეებში, ასევე წრფელი და გამართულ ლირიკულ ფრაზათა წყობაში განგვაცდევინებს (ლექსი „ქოხი“) პოეტი ისტორიულ სიდიადეს ქართლის გულში გაჩაღებულ იმ პატარა ქოხისა, რომელშიც თვალი ააბილა კაცობრიობის გენიამ სტალინმა. აქ ყოველი სტრიქონი, ყოველი სიტყვა დატვირთულია აზრობრივად და ემოციურად. აქ ერთიან ლირიკულ ნახატში გადმოცემულია ბელადის საქმეთა სიდიადის განცდაც, წარსულის მოგონებაც, სტალინური ეპოქის სინათლეც. ამ ფონზე არის გახსნილი ლექსის უშუალო თემა:

„ყველა ღირსების სდგას ბრწყინვალე თავშესაფარი,
მან ამოაშრო ხალხის ცრემლი და ხალხის სევდა.
აქ დედა ნანას და გენიის აკვანს არწევდა,
მან კაცთა ძმობას და სიყვარულს გაუღო კარი.
აქ დაიბადა უკვდავება დაუმონარი,
როგორც რიჟრაჟი მზის პირისკენ რომ მიიწევდა“.

როგორც ვხედავთ, აქ თემა განსახიერებულია პოეტურ სახეთა რთულ და უწყვეტ კომპლექტში. ასეთი სიუხვე მეტაფორებისა და შედარებათა დამახასიათებელია შალვა აფხაიძის პოეტიკისათვის. იგი უმრავლეს შემთხვევაში გაურბის აზრის მარტივი [illegible] გამოხატვას. ხშირად მის მიერ დახატული სურათი შინაგან დინამიურობას და [illegible] შეიცავს. აი, როგორის ამოძრავებული, დინამიური ნახატით გადმოგვცემს პოეტი სტალინურ შევარდნის სახეს საბჭოთა კავშირის გმირის—ამხ. ნანეიშვილისადმი მიძღვნილ ლექსში:

„მიჰქრის... ღრუბლები დაარბია, აენთო ალად,
მეხს ფრთა შეახო, შეეფეთა, გაჰკრა კამარა.
გაჰკვეთა ელვა, ქარიშხალი და შემდეგ წყნარად
უფრო მაღალი მწვერვალები შეაშრიალა“.

პოეტის ცხოველი ფანტაზიის და მდიდარი სახეობრივი აზროვნების საუკეთესო ნიმუშს შეიცავს ამ ლექსის უკანასკნელი სტრიქონები:

„თან აედევნა მას დიდება და მოსჩანს ცაში
მზის და მფრინავის დაუღალავ ფრთების თამაში“.

შ. აფხაიძე ისწრაფვის ერთსა და იმავ დროს, ერთ მთლიან პოეტურ სახეში მოვლენის აღწერილობაც მოგვცეს, მისი შინაგანი ბუნებაც წარმოგვისახოს, მისდამი საკუთარი განწყობილებაც გადმოგვცეს. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ლენინის ქალაქისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი სონეტის დასაწყისი სტროფი:

„ბამბის ჭულისფერ შენს ღამეებს ვეალერსები,
და კვლავ მეძახის შენი მიწა და ნევა ნელი;
შენთან ვიხილე ცა რიჟრაჟის დაუტევნელი,
რევოლუციის ამოზრდილი ნედლი ფესვები“.

ან კიდევ ლექსი „დროშა“, სადაც წითელი ფარჩის ნაოჭებში პოეტი ხალხის საბრძოლო მჭუხარების ცოცხალ ანარეკლს, ხალხის დაუცხრომელი ოცნების, მარადიულ წინმსვლელობისა და უდრეკ შეტევათა განსახიერებას ხედავს:

„ხალხის ოცნება ზედ ანთია დაუფერფლავი,
და ღვივის ფარჩის ნაოჭებში კვლავ ქარიშხალი,
წინ, წინ მიიწევს, თითქოს გვერდით იბრძოდეს ხმალი,
ვის გაშლილ მკერდზე მოოქრილი ვარსკვლავი ჰყვავის“.

თუ ლექსების ციკლში—„მწვერვალები“ პოეტი ჩვენი თანამედროვეობის უაღრესად აქტუალურ თემებს განასახიერებს, წიგნის მეორე ნაწილი—„ბედი ქართლისა“ ქართველი ხალხის გმირულ წარსულისადმი მიძღვნილი ლექსებისაგან შესდგება. თანამედროვე ადამიანის, სოციალისტური ქვეყნის მოქალაქისა და მგზნებარე პატრიოტის თვალით შესცქერის პოეტი მშრომელი ხალხის ისტორიის დიდ წიგნს, კანონიერი სიამაყისა და სიყვარულის გრძნობით აცოცხლებს მის მგზნებარე ეპიზოდებს, მის სახელოვან და უკვდავ პერსონაჟებს.

აი, რას ეუბნება პოეტის აზრსა და გრძნობას „ოქროს საუკუნის“ დიდებული ძეგლი, კლდეში გამოკვეთილი ძველი ქალაქი-სასახლე, ვარძია:

„მძვინვარებს ისევ მშვენებათა წარღვნა და თქეში,
სადაც სიყვარულს, გატაცებას ფარავს შამბნარი,
სადაც სამშობლომ დაუტოლა მზეს თავის მხარი
და ჩადგა ლხინი სვლაშეწყობილ მნათობთა წრეში“.

პოეტი ხატავს საქართველოს ისტორიის უდიდეს ადამიანთა სახეების გალერეას. ვახტანგ გორგასლანისა, თამარისა, გიორგი ააკაძისა და ერეკლე მეორეს გვერდით პოეტი ასეთივე სიყვარულით და აღტაცებით უმღერის ცხრა ძმა ხერხეულიძის და სამასი არაგველის ხსოვნას, რომელთა თავდადებული გმირობის ამბავი ჩაუქრობელ შარავანდედად ანთია ქართველი ხალხის ისტორიაში. თამარ მეფისადმი მიძღვნილ ლექსში გამოთქმულია ხალხის უსაზღვრო სიყვარული და მადლიერება თავისი საამაყო წინაპრისადმი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„როგორც შუადღე, მზით სავსეა მისი სახელი,
ბრწყინავს ვარძიის ქვის ჩარჩოში მშვენება წმინდა.
სიდარბაისლის, სილამაზის, სიბრძნის მსახველი —
მისი დიდება მშფოთვარ გულში ხალხს ჩაუფრინდა“.

ამ ციკლის ერთერთ საუკეთესო ლექსში, „წამებული“, რომელიც ალბათ ქეთევან დედოფლის ტრაგიულ თავგადასავალს უნდა ასახავდეს, მოცემულია სამშობლოს სახელისა და ღირსებისათვის უშიშარი თავგანწირვის, რაინდული ქედმოუხრელობის იდეა, მტრებისაგან დაუნდობლად წარმოებული ქართველი დედის სახეში პერსონიფიცირებული:

„სულგრძელობით და თავდადებით დასძლია ღამე,
და როს ჯალათმა გამეტებით მოზიდნა თმანი,
თვით სიკვდილის წინ დაინახა ქართველი ძმანი
და დაკრულ მახვილს შეაგება მან სითამ


“.

ასეთივე ძალით გამოხატულია ლექსში „ბექა ოპიზარი“ ძველი ქართველი ხელოვანის შემოქმედებითი გენია, ხოლო ლექსში „ძველი მემატიანე“, ის უდიდესი ერთგულება, გულმოდგინება, სიმართლე და ცხოველმყოფელობა, რომლითაც საუკუნეთა მანძილზე იწერებოდა „ქართლის ცხოვრების“ უკვდავი ფურცლები.

ციკლი „ბედი ქართლისა“ იხურება ისტორიის მთავარი გმირის—ხალხისადმი მიძღვნილი ლექსით.

კრებულის მესამე ნაწილი—„საზეიმო“ შედგენილია იმ ლექსებისაგან, რომლებითაც პოეტი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს გამოხმაურებია. ეს ლექსები სხვადასხვა დროს არის დაწერილი და მათი ესთეტიური დონე და ხარისხიც თანაბარი არ არის. აქ ჩვენ ვხვდებით ისეთ პროზაულ, არაპოეტურ სტრიქონებს, რომლებშიც თავისთავად ჭეშმარიტი აზრი გამოთქმულია შიშვლად, ყოველგვარი მხატვრული გააზრებისა და მაშასადამე ემოციურ ზემოქმედების ძალის გარეშე.

მაგალითად:

„შეხედავ ქალაქს, ახალ სოფელს — საყვარელია,
მთები, ველები მოსავალი მზეში დნებიან“

ან კიდევ:

„სადაც მათრახი, შუღლი, ტყვია მუდამ მღეროდა,
სიცოცხლე გახდა ტკბილი, ქველი და საამური“.

მაგრამ საბედნიეროდ ასეთი შემთხვევები გამონაკლისის სახით გვხვდებიან შალვა აფხაიძის ლექსებში. უფრო ხშირად კი საბჭოთა ხალხის გმირული სინამდვილის დიად მოვლენებს პოეტი ღრმა განცდით აღბეჭდილი, აქტუალური აზრით გამსჭვალული ეხმაურება. საკმარისია მოვიყვანოთ ერთი მაგალითი ლექსიდან „ორი საათი დაუვიწყარი“, რომელშიაც პოეტმა დიდის განცდით გადმოგვცა მარილაც და დაუვიწყარი ძალა იმ წუთებისა, როდესაც საბჭოთა ხალხი ერთსულოვანი აღფრთოვანებით ისმენდა დიდი სტალინის მოხსენებას ჩვენი სამშობლოს ახალი, სტალინური კონსტიტუციის შესახებ.

„თითქოს შეჩერდა მნათობთა სრბოლა
და მზის გუგუნიც დროით მიყუჩდა,
ამ დროს ცა დადგა მოოქვილ ბროლად
და შეწყდა სიტყვა მომდგარი ტუჩთან...
მაშინ ჩამოხსნა კარი, ფანჯარა
ცით მოვარდნილმა სიცოცხლის წყარომ,
კრემლის დარბაზში თითქოს დამჯდარი
ისმენდა დიდ ჰიმნს მთელი სამყარო“.

როგორც მთელს საბჭოთა პოეზიაში, შალვა აფხაიძის შემოქმედებაშიც ბელადის თემას, დიდი სტალინის სახეს ცენტრალური ადგილი უჭირავს. გარდა იმისა, რომ თანამედროვეობის თემებზე დაწერილ ლექსთა უმრავლესობა შთაგონებულია ბელადის აზრითა და საბჭოთა სიდიადით, პოეტი მთელ რიგ ლექსებს უშუალოდ მიუძღვნის ამხანაგ სტალინს. ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსებში პოეტი ისწრაფვის გამოხატოს საბჭოთა ხალხის ერთსულოვანი სიყვარული და მადლიერება მშრომელთა კაცობრიობის უსაყვარლესი მამისა და მასწავლებლისადმი:

„მილიონების ხმა ისმის შენში,
და მოძახილი აღდგენილ მიწის,
საუკუნეთა მღელვარე წლებში
დარჩება გრგვინვა სტალინის ფიცის“.

მთელი ქართველი ხალხის აზრისა და გრძნობის გამოხატვის ძალას აღწევს პოეტი დიდი სტალინის უერთგულესი მოწაფისა და თანამებრძოლის — ამხანაგი ლავრენტი ბერიასადმი მიძღვნილ სიტყვებში:

„მას გამარჯვება და ჩვენი გული,
ვინაც ქვეყანა აგვიბიბინა,
დიდი ბელადის არის ერთგული
და მშრომელთ გულში ჩაიდგა ბინა“.

ლექსების ციკლში—„საზეიმო“ პოეტი გვიხატავს საქართველოს განახლებული და აღორძინებული დედა-ქალაქის, ახალი თბილისის სურათს, ამწვანებულ მთაწმინდას, კოლხეთის ველზე წარმოებული უდიდესი შემოქმედებითი ბრძოლის დიდებულ შედეგს, გურიისა და აჭარის ვრცელ ველებზე გაშლილ ჩაის პლანტაციებში მომუშავე კოლმეურნე ქალისა და დამკვრელი მუშის სახეებს, ჩვენი ქვეყნის ბედნიერი მოზარდი თაობის ცხოვრებას, ზღვის პეიზაჟებს. ასე ფართოა და მრავალმხრივი მისი შემოქმედების თემატიური დიაპაზონი. წიგნის უკანასკნელი განყოფილება „ოქროს წვიმები“ პირად ინტიმურ თემებზე და მოტივებზე დაწერილ ლექსებს შეიცავს, რომლებშიც უაღრესის კდემამოსილებით და ამამაღლებელი სიფაქიზით არის განსახიერებული სიყვარულის კეთილშობილი გრძნობა.

ლექსების ამ წიგნმა შალვა აფხაიძეს თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ოსტატის რეპუტაცია დაუმკვიდრა. მას მომავალშიც დიდი შემოქმედებითი ბრძოლა დასჭირდება იმისათვის, რომ დასძლიოს მისი ლექსების ერთი ნაწილისთვის დამახასიათებელი ერთფეროვნება, იმისთვის, რომ ბუნებრივი სიმსუბუქე და მუსიკალობა შემატოს ლექსს, რათა მისმა პოეტურმა სიტყვამ ფრთა შეისხას და წიგნის ფურცლებიდან თავისუფლად მიაღწიოს მასიური მკითხველის ცნობიერებამდე. შალვა აფხაიძის კულტურის და გემოვნების პოეტს არ ეპატიება ასეთი ჩლუნგი სტრიქონები:

„ან თუ გვფარავდა ცხელ წყალში ჩამხჩვალ
ჩერო ვახტანგის მიმინოს ფრთისა“.

ის საღი იდეური საფუძველი, რომელზედაც შალვა აფხაიძის პოეზია განვითარდა, მისი ლექსებისათვის დამახასიათებელი გრძნობისა და განცდათა უშუალობა, ლექსების ამ წიგნში გამოვლინებული გემოვნება და ოსტატობრივი კულტურა პოეტის ახალ შემოქმედებითი წარმატებათა უეჭველი საწინდარია.

**ბ. ჟღენტი.**

## გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი II, თურქული ტექსტის თარგმანი, შესრულებული სერგი ჯიქიას მიერ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, თბილისი, 1941 წ., გვ. 503.

ხსენებული წიგნი—თურქული ენის სპეციალისტის ს. ჯიქიას დიდი და საყურადღებო ნაშრომი—წარმოადგენს თურქ-ოსმალების მიერ 1595 წელს შესრულებულ მესხეთის ჩრდილოეთი ნაწილის მოსახლეობის დაწვრილებით აღწერილობას ამ მოსახლეობაზე გაწერილ გადასახადების დაწვრილებითვე ჩვენებით. მესხეთის სამხრეთ ნაწილი (კლარჯეთი, ტაო, თორთუმ-ისპირის მხარე) თურქ-ოსმალებმა დაიპყრეს ჯერ კიდევ 1545 წელს. 1580 წლებში ისინი იპყრობენ დანარჩენ (ე. ი. ჩრდილოეთ) მესხეთსაც, რომელსაც აცხადებენ გურჯისტანის ვილაიეთად (საქართველოს გუბერნიად). აი, ამ ვილაიეთის აღწერილობის 1595 წელს შესრულებულმა ტექსტმა მოაღწია ჩვენამდის.

ხელნაწერი შესრულებულია მაშინ მიღებულ წესის მიხედვით დიაკრიტული ნიშნების უხმარებლად. ამ ნიშნების უხმარებლობა კი ტექსტის წაკითხვას საშინლად აძნელებდა. საკმარისია ითქვას, რომ თურქულ არაბულ დამწერლობაში ასოებისათვის ი, ბ, ბ, ... ერთი და იგივე მოხაზულობაა, რომელთაც ეძლევა ესა თუ ის მნიშვნელობა დიაკრიტული ნიშნების მიხედვით (მაგ, ი-სთვის დაისმის ქვემოდ ორი წერტილი და სხ.).

პირველად ამ ხელნაწერის წაკითხვა მოხდა 1932 წელს, როდესაც ამ მუშაობაში ჩაბმული იყვნენ აწ გარდაცვალებული მოვლან-ზადე (ძველი თურქულის იშვიათი წამკითხველი) და არამ საფრასტიანი. მაშინ მთელი ტექსტი წაკითხული და ჩაწერილი იქმნა ლათინური ასოებით და თარგმანის მეტი ნაწილიც (რუსულად) შესრულებული იყო.

საყურადღებოა თვით ხელნაწერის ისტორიაც. ოსმალეთის ბატონობის დროს ის ახალციხის ხელისუფლების რომელიღაც არქივში ყოფილა მოთავსებული. ამ არქივიდან ის 1829 წელს, როდესაც რუსეთმა შეიერთა ახალციხე და მისი მხარე, მოჰყვა ახალციხის სამაზროს რუსულ არქივში, საიდანაც ის გაეტანა ერთ ახალციხელ ბეგს. ამ ბეგის შვილიშვილმა ლ. ერისთავმა 1925 წელს ხელნაწერი შეაძლია საქართველოს ცენტრარქივს და შემდეგ მიყიდა თბილისის უნივერსიტეტს.

ხელნაწერის თავში მოთავსებულია „გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა წიგნი", შემდეგ მიყვება თვით აღწერილობაც. ჯერ ჩამოთვლილია სოფლები ნაჰიებად (რაიონებად) და ლივებად (ოლქებად), შემდეგ კი ნაჩვენებია სათითაოდ ყოველი სოფლის მოსახლეობა (მამაკაცები) სახელების ჩვენებით (გვარები არაა დასახელებული) და ამ სოფელზე დადებული გადასახადი ხორბალი, ქერი, ფეტვი, ცერცვი და სხ., ყველაფერი ეს ფულზე გადატანით. აღწერა იძლევა საინტერესო მასალას ჩრდილოეთ მესხეთის ეკონომიური ცხოვრების შესასწავლად. ამხ. ს. ჯიქიას უსათუოდ დიდი შრომა გაუწევია სოფლების და მოსახლეობის სახელების გასარკვევად და დასაზუსტებლად. კერძოდ, სოფლების სახელების დასადგენად, როგორც თვით ჯიქია იხსენიებს, საჭირო გახდა სხვადასხვა პირთაგან სამცხე-ჯავახეთში სათანადო ცნობების მოკრება.

გამოცემაში ჯერჯერობით წარმოდგენილია მხოლოდ ქართული თარგმანი, მაგრამ ჩვენ საჭიროდ ვთვლით მკითხველს ზოგიერთი დასკვნითი ცნობა მაინც გავუზიაროთ.

ჩრდილოეთ მესხეთი (გურჯისტანის ვილაიეთი) თურქ-ოსმალებს გაუყვიათ 6 ლივად (ოლქად)—ახალციხისა, ხერთვისისა, ახალქალაქისა, ჩალდირისა (ჩილდირისა), ფოცხოვისა და დიდ არტაანისა.

სულ ამ ექვს ლივაში ყოფილა 708 დასახლებული სოფელი და 19 ცალკე მამული, 383 კი დაუსახლებელი (დაცარიელებული) სოფელი. ამგვარად სოფლის ერთმესამედზე მეტი მოსახლეობისაგან მთლად დაცარიელებული იყო, დანარჩენებშიაც, ცხადია, წინანდელთან შედარებით მოსახლეობა ძალზე შემცირებული იქნებოდა. ეს გარემოება ამტკიცებს, თუ როგორი გმირული ბრძოლა გაუწევიათ მესხებს დამპყრობელ თურქ-ოსმალების სახელმწიფოს წინააღმდეგ თავისი ქართული ვინაობის შესანარჩუნებლად.

გურჯისტანის ვილაიეთის 708 დასახლებულ სოფელში ითვლებოდა 12581 კომლი მცხოვრები (მაშინდელ კომლზე ორთაშუა რიცხვით 8-10 სული არის საანგარიშებელი). სოფლები მაშასადამე ყოფილა პატარა. მართალია, აღწერილობაში წარმოდგენილი ცალკე სოფლები ამჟამად ხშირად წარმოადგენენ ახლანდელი სოფლის მხოლოდ უბანს. შემდეგ ხანებში მოძღარა ცალკე პატარა სოფლების შერწყმა ერთ უფრო მოზრდილ სოფლად.

დასახელებული 6 ლივა შეადგენდა მთელი მესხეთის დაახლოებით ნახევარს. შეგვიძლია ამიტომ ვივარაუდოთ, რომ მთელი მესხეთის მოსახლეობა მე-16 საუკუნის მიწურულში შეადგენდა დაახლოებით 25—30 ათას კომლს ანუ 250 ათას სულს ორისავე სქესისას. ამასთანავე მოსახლეობა წინანდელთან შედარებით სანახევროდ მაინც (თუ მეტად არა) უნდა ყოფილიყო შემცირებული.

ჯ. ხ—ს.

ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შ ი ნ ა ა რ ს ი

## მხატვრული ლიტერატურა


| | |
|---|---|
| | გვ. |
| **ვასო გორგაძე**—პსკოვის შარაზე (ლექსი) | 3 |
| **კონსტანტინე გამსახურდია**—დავით ალმაშენებელი (რომანი. გაგრძელება) | 5 |
| **ლადო ასათიანი**—რადგან ბელადი წინ მიგვიძღვება (ლექსი) | 26 |
| **იოსებ ნონეშვილი**—* * * (ლექსი) | 27 |
| **მარიამ გარიყული**—შემთხვევა (მოთხრობა) | 28 |
| **კლიმენტი გოგიავა**—ღრუბლებში (მოთხრობა) | 36 |
| **კ. ოსიპოვი**—დივიზიის უფროსი კიკვიძე (მოთხრობა. გაგრძელება) | 55 |


## ფაშიზმი კულტურის წინააღმდეგ


| | |
|---|---|
| **ერ. ასტვაცატუროვი** — ბარბაროსები | 72 |
| **ინგლისელი ჟურნალისტი ჰიტლერის გეგმების შესახებ** | 97 |


## მეცნიერება და ფილოსოფია


| | |
|---|---|
| **ილია ფანცხავა**—იოანე პეტრიწის სოფლმხედველობის ძირითადი საკითხები | 114 |


## ქართული თეატრის ისტორიიდან


| | |
|---|---|
| **ვ. ბუხნიკაშვილი**—თეატრის მდგომარეობა საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს | 143 |


## ბიბლიოგრაფია


| | |
|---|---|
| **ბ. ჟღენტი**—შალვა აფხაიძე—„ლექსები“ | 154 |
| **კ. ს.-ს.** — „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“. | 159 |

ფასი 4 მან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

# „МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ